ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 8 თებერვალი 2013 №3(185)



ჩვენი XIX საუკუნე
ზაალ სამადაშვილის ნოველა
დავით წერედიანი ვახტანგ როდონაიაზე
ლიანა ელიავას კინოკრიტიკული ეტიუდი
კორნელი კეკელიძის დაუწერელი მემუარები
გენო კალანდიას შუმერული ფირფიტები
აპოკალიფსი ამერიკულ ლიტერატურაში
ქამალ აბდულას პარისის არჩევანი
ინტერვიუ ლაშა ჩხარტიშვილთან
ნატა ვარადა ესმა ონიანზე

შინაარსი

ისტორიის თეთრი ლაქები	2	**როსტომ ჩხეიძე ვარდს გაეფურჩქნა კოკორი** (კორნელი კეკელიძის დაუწერელი მემუარები)
ექსპრეს-ინტერვიუ	7	**ლაშა ჩხარტიშვილი „ან ყველაფერი, ან არაფერი!“** (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	8	**ზაალ სამადაშვილი მამა-შვილი გაქანზე** (წითლებისდროინდელი ამბავი)
	10	**ლია მოლარიშვილი ლურჯი ოაზისი**
პოეზია	26	**გენო კალანდია შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები**
ლიტერატურული ცხოვრება	29	**ავთანდილ ტარიელიძე გიორგი კორნაპელის გახსენება**
პოეტის ერთი ლექსი	30	**ემზარ კვიტაიშვილი სტუმრად გოცაძეების ოჯახში**
	31	**ნატა ვარადა ანგელოსი ესმა ონიანი**
უცხოეთის ცხოვრებიდან	32	**თემურ გაბუნია აპოკალიფსის წინათგრძნობა ამერიკულ ლიტერატურაში**
კინო	38	**ლია(ნა) ელიავა „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“**
თქმა მართლისა	40	**მანანა გაბაშვილი ქართული მეცნიერების 20 წელი**
რეპორტაჟი	49	**ნინო დეკანოიძე წიგნი — ეპოქის სარკე** (ნინო ვახანიას „ჩვენი XIX საუკუნე“)
სილუეტი	53	**დავით წერედიანი თვალი თვალში** (ვახტანგ როდონაია)
უცხოური ნოველა	54	**ქამალ აბდულა პარისის არჩევანი**
ლიტერატურული ცხოვრება	60	**ნუნუკა გურალია ხევსურული სიკვდილის ეპიტაფია** (გოგიტა არაბულის ხსოვნის საღამო)
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**ჰოი, მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო...**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 92) 25_94_94

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge

ბეჭდვითი სამსახური "ომეგა თეკი" PRINTED BY "OMEGA TECI" PRINT HOUSE
საპარეოველი, თბილისი, სარაჯიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62 TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **ლია მოლარიშვილი, ნათია ყურმაშვილის ფოტოეტიუდი**

დიდი კანიონი, ჩრდილოეთ არიზონა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 თებერვალს

როსტომ ჩხეიძე

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი

(კორნელი კეკელიძის დაუწერელი მემუარები)

— გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს მემორანდუმი ჩემი დაწერილია. მე გადავეცი კათალიკოს ამბროსის, მასთან შეთანხმებული ვიყავი. იმან კი გადასცა ინგილო ივანიცკის, რომელმაც მემორანდუმი საზღვარგარეთ გაიტანა.

ეს კორნელი კეკელიძის სიტყვებია.

უთუოდ სენსაციური.

კათოლიკოს ამბროსი ხელაიას ის მემორანდუმი არამარტო პოლიტიკური დოკუმენტია, არამედ ჩვენი ზნეობრივი ისტორიის ერთ-ერთი თავმოსაწონებელი ფურცელიც. მთავარი და უმთავრესი ხელმოწერა გახლდათ, სწორედ სულიერი მწყემსი რომ აღბეჭდავდა თავისი ხელრთვით, ამას უნდა გამოეწვია დასავლელი საზოგადოების აღშფოთება რუსეთის და თანაგრძნობა — საქართველოსადმი. მაგრამ ის საპროტესტო ტექსტი თუ ვისი შედგენილია, თავისთავად უთუოდ საგულისხმოა.

მითუმეტეს, აქამდე სხვაგვარად გადმოგვცემოდა ამ ტექსტის შედგენის ისტორია.

აქამდე — ვიდრე „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“ (2011, №9-10) მიხეილ კეკელიძის მრავალმხრივ საგულისხმო მემუარულ თხზულებას გამოაქვეყნებდა — „შეხვედრები კორნელი კეკელიძესთან“.

ავტორს ერთხელაც და მეორედაც თავისი სახელოვანი ბიძისათვის უთხოვია მოგონებების დაწერა, მაგრამ იმას შორს დაუჭერია: შენ რა, გინდა დამიჭირონ და დამხვრიტონო?

ეს იმიტომ, რომ ამ ჟანრს იმ მოთხოვნას უყენებდა, რაც წესითა და კანონით მემუარისტიკის უმთავრესი ნიშანი და სულისკვეთება უნდა იყოს:

ყველაფერი ზუსტად და შეულამაზებლად აღიწეროს.

ეს ის იდეალია, რომელსაც მეტ-ნაკლებად, ზოგჯერ უღმერთოდაც შორდებიან მოგონებათა ავტორები, მაგრამ მიკერძოების, აშკარა გაყალბების, შელამაზების ამ ღვართქაფში ხანდახან ხომ გამოერევა ხოლმე ამ იდეალის შესატყვისი ავტობიოგრაფიული თხზულებანიც, რომელთა წყალობითაცაა გადარჩენილი ამ ჟანრის პრესტიჟიც და... დანიშნულებაც.

კორნელი კეკელიძე მონდომებულიყო, რომ არ გადაეხვია მემუარისტიკის ამ უმთავრესი მოთხოვნისათვის.

მაშ რაღა უშლიდა ხელს?

— ვთქვათ... ვიღაც ოხერს ეს ნაწერი ხელთ ჩაუვარდეს. კარგ ხეირს დამაყრიან, აი მე კომუნისტებს არაფერში ვენდობი. ეგენი დაუნდობელი ხალხია. ახლაც ბევრჯერ წამომძახებენ და მაყვედრიან, დეკანოზი იყავიო. მერე რა, კაცისმკვლელი ხომ არ ვიყავი.

და დაანამუსებდა ძმისშვილს: რომ ჩამაცივდი, დაწერე, დაწერეო, ეს ხომ ჩემთვის საშიშიაო.

და ძმისწული რომ ურჩევდა: საშიში ეპიზოდები გამოტოვეთო, — აღშფოთდებოდა: ეგ რაღა მოგონებები იქნებაო, — და მაშინაა, მემორანდუმის ტექსტის შედგენას რომ გაიხსენებდა ნიმუშად იმისა, ამის დაწერის უფლებას ვინ მომცემსო.

არც ის ეიმედებოდა, რომ ეს პოლიტიკური რეჟიმი ოდესმე შეიცვლებოდა, თორემ თავისთვის ჩაინიშნავდა გარდასულ ეპიზოდებს უკეთესი ჟამის მოლოდინში; და არც ის, რომ ისე საიდუმლოდ შენახვას მოახერხებდა, ჩეკა ადრე თუ გვიან ვერ აღმოუჩენდა.

ვაითუ ვიღაც ოხერს ეს ნაწერი ხელთ ჩაუვარდესო...

წარსულს დროდადრო რომ შეახსენებდნენ ხოლმე, იმიტომაც, გაუთავებელ შიშსა და ცახცახში ჰყოლოდათ, ერთხელაც იქნება შინ შემომეჭრებიან და რაღაც ყალბი საქმის შესათითხნად ყველაფერს გადამიქოთებენო.

გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს მემორანდუმი ჩემი დაწერილიაო...

აქამდე როგორ გადმოგვცემოდა მისი შედგენის ამბავი?

— ბატონო შალვა, ამბროსი ხელაიას ტექსტი როგორ შედგაო, — ეკითხებოდა ვიქტორ რცხილაძე შალვა მაღლაკელიძეს, როდესაც ის მეტეხის ციხის ამბებს უყვებოდა, იქ გამოკეტილ ტუსაღებს შორის თვითონაც რომ იმყოფებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის შემდგომ.

სიტყვა-სიტყვით მე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ შინაარსზე გეტყვითო, — აღიდგენდა იმ დღეებს მეხსიერებაში გენერალი და განუცხადებდა, რომ იდეა ეკუთვნოდა გრიგოლ ლორთქიფანიძეს:

— ყოველთვის გვქონდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავამტკიცოთ, რომ 1921 წელს საქართველოში არ მომხდარა ხალხის აჯანყება და რომ მოხდა მისი დაპყრობა, ოკუპაცია. მიმართვის მიზანი გახლდათ, კონფერენციაზე, სადაც მომხსენებელი იყო გიორგი გვაზავა, ერთალიგის ორგანიზაციაში, ფრანგულის საუკეთესო მცოდნე, საფრანგეთში გაზრდილ მეგრელ კაცს გაერკვია საზოგადოებრიობა იმაში, რომ საქართველო არის დაპყრობილი. ტექსტში ამბროსი ხელაია მიმართავდა მსოფლიოს საზოგადოებას, რომ საქართველო არის ორმაგად დაპყრობილი რუსეთის მიერ — ერთხელ 1783 წლის ტრაქტატის დარღვევის ნიადაგზე და მეორედ ეხლა. ეს ტექსტი მეტეხის ციხიდან გადავაგზავნეთ სიონში, იტალიელმა კაპიტანმა, ქართველი ცოლი რომ ყავდა, ჩაიტანა დანიშნულ ადგილზე. ამბროსი ხელაიამ ტექსტზე მარტო ხელი მოაწერა. გვაზავამ ტექსტი რომ წაიკითხა, ყველანი შეშფოთებულან, სად არის ეს კაციო და თბილისში არისო. სულ მალე დაიჭირეს კათალიკოსი.

და დაბეჯითებით გაიმეორებდა:

— დიახ, ტექსტი შეადგინა გრიშა ლორთქიფანიძემ. ჩვენ ვღებულობდით მონაწილეობას ტექსტის შედგენაში. ფრანგულად ტექსტი თარგმნა, თუ არ ვცდები, კოწია გვარჯალაძემ, ფრანგულის საუკეთესო მცოდნემ, პარიზში ნასწავლი კაცი იყო. კოლია ქარცივაძე ევროპაში სწავლობდა. მთელი რიგი ტუსაღებისა ფრანგულის კარგი მცოდნეები იყვნენ და ზუსტად ვერ გეტყვით, რომელმა თარგმნა

ტექსტი ფრანგულად. ქართულად კი გრიშა ლორთქიფანიძემ შეადგინა და მეც მაქვს მიღებული მონაწილეობა.

ეს გახლდათ ერთადერთი გადმოცემა ტექსტის შედგენის თაობაზე.

და, აი, უეცრად ჩნდება მეორე ვერსიაც, რომელიც ასე, ერთი შეხედვით, კი არ ავსებს ან აზუსტებს პირველს, არამედ პირწმინდად გამორიცხავს.

რომელი გადმოცემა შეიძლება იყოს უფრო სანდო და უტყუარი?

გრიგოლ ლორთქიფანიძემ შეადგინა მეტეხის ციხეში შალვა მაღლაკელიძის მცირეოდენი მონაწილეობით

თუ

კორნელი კეკელიძემ?

რაზეც ეჭვობს შალვა მაღლაკელიძე, აგერ დარწმუნებით არც ამტკიცებს ფრანგულად მთარგმნელის ვინაობას, მაგრამ რაც შეუძლია დაბეჯითებით მოგვახსენოს, იქ კატეგორიულია: დიახ, ტექსტი შეადგინა გრიგოლ ლორთქიფანიძემო...

მაგრამ ვითომ კორნელი კეკელიძე იკადრებდა მიეწერა თავისთვის სრულიად უცხო ტექსტის ავტორობა?

მითუმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც ეს დასამალი გახლდათ და კიდეც არავის გაუმჟღავნებდა საკუთარი ძმისწულის გარდა.

არადა, ეს ურთიერთგამომრიცხაობა?!.

თუმც ეგებ არც ასე სახათაბალო იყოს ამ გაურკვევლობის ამოხსნა და ჩრდილი არცერთ ვერსიას არ ადგებოდეს.

კორნელი კეკელიძე

ხომ შეიძლება მეტეხის ციხიდან მიტანილი ტექსტი კათოლიკოს-პატრიარქმა კორნელი კეკელიძეს გადაამუშავებინა? ანდა, ის ტექსტი რომ უკვე ხელთ ეპყრა, კორნელისაც სთხოვა, ასეთი და ასეთი შინაარსის მემორანდუმი მომიმზადეო, და ურთიერთშეჯერებისას უკეთესი, მათ საფუძველზე შედგენილი მესამე ვარიანტი ამჯობინა?

ასეა თუ ისე, იდეის ერთპიროვნულ ავტორად კვლავ გრიგოლ ლორთქიფანიძე რჩება, კორნელი კეკელიძემ კი — ისევე, როგორც შალვა მაღლაკელიძემ — გარკვეული მონაწილეობა მიიღო მის დახვეწასა და საბოლოო ტექსტის გამზადებაში. შესაძლოა შალვაზე ცოტა უფრო მეტი.

კიდევ შეიძლება რაიმე ურთიერთგამომრიცხაობაზე სიტყვის დაძვრა?

მემორანდუმის შედგენის ისტორია ჩვენს თვალწინ შეივსო — ესაა და ეს.

ვაითუ ვიღაც ოხერს ეს ნაწერი ხელთ ჩაუვარდესო...

ან ის ამბავი როგორ მოეგონებინა, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლებს მისი ვაჟიც რომ შესწირვოდა?

იმხანად თვითონ, მეუღლესთან ერთად, ქემერტში იმყოფებოდა შინაურ პატიმრობაში — ხუთი დღის განმავლობაში. თბილისში დაბრუნების ნებას რომ დართავდნენ, იმავე ღამეს სამი ჩეკისტი დაადგებოდა თავს: ახლავე დაწერე, რომ მენშევიკების ავანტურას გმობ, თორემ შენი საქმე ცუდად წავაო.

— აბა, წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა? — ამდენი წლის მერე შესჩიოდა ძმისწულს, — ის საქმე, რომელსაც ალექსი შეეწირა, უნდა დამეგმო! რის ავანტურა! ეს იყო ქართველი ხალხის აჯანყება რუსების, კომუნისტების წინააღმდეგ, სამწუხაროდ, ცუდად დამთავრდა. დამაწერინეს, სხვა რა გზა მქონდა. ამ დღეში მარტო მე არ ჩავუგდივარ. ყველას, ცოტად თუ ბევრად გამოჩენილ ინტელიგენტებს, აწერინებდნენ: ავანტურას ვგმობთო. მაშინდელ გაზეთებში ბევრს ნახავდი ასეთ განცხადებებს. ყველაფერი ეს შიშით დაწერილია.

და ამოიგმენდა:

— ღმერთო, რა საშინელი დღეები იყოო!

ვაითუ ვიღაც ოხერს ეს ნაწერი ხელთ ჩაუვარდესო...

ან ის ეპიზოდი როგორ გაეხსენებინა, თუ როგორ დაესხა თავს უნივერსიტეტში მსუბუქი კავალერია და უბრძანეს: ამის შემდეგ მღვდლებსა და წმინდანებზე წერას თავი გაანებე და პროლეტარულ მწერლებზე წერე. იქნებ შენ პროლეტარული სახელმწიფო და პროლეტარული მწერლობა არ მოგწონს, ამაზე გვიპასუხეო.

თურმე ამ თავდასხმის დროს ვიღაცას სურათი გადაეღო — კორნელი მაგიდასთან ზის და ზემოთ იყურება. გარს კი 6-7 კავალერისტი ახვევია. ეს ისტორიული სურათი მიხეილ კეკელიძის დას ჰქონია, ბოლოს თვითონ მიხეილის ქაღალდებში ინახებოდა, მაგრამ... გაებნეოდა და, სამწუხაროდ, ვეღარც მიაგნებდა.

ღმერთო, რა საშინელი დღეები იყო...

დასასრულიც რომ არ უჩანდა?!.

თავზარდამცემ შიშში ცხოვრება რომ არა, ან იმ ბროშურას რა დააწერინებდა, იესო ქრისტეს ღმერთობას რომ უარყოფდა.

— აიძულესო? — ეკითხებოდა მიხეილი კორნელი კეკელიძის მეუღლეს, მინადორა კასრაძეს, და ძალო პასუხობდა: ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ ვიღაცებმა რომ შეაშინეს, ეს კი მჯერაო.

— საკმაოდ მშიშარაა. როცა გაიგებს, რომ ვინმე მისი ნაცნობი დაიჭირეს, მაშინ მთელი დღეები ბორგავს, მოუსვენრად არის და მეუბნება: მე რომ დამიჭირონ, მაშინვე მოვკვდები, წამლებს ვინ მომცემსო.

დიაბეტით იყო ავად. მეუღლე რაც კი შეეძლო, აწყნარებდა და ამშვიდებდა. ისიც იჯერებდა, მაგრამ ზოგჯერ უჩვეულო სიჯიუტეს იჩენდა და იქით უმტკიცებდა: კომუნისტებმა კაცი რომ დაიჭირონ, ამისათვის სულაც არაა საჭირო, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს. დაიჭერენ, რად-

გან მთავრობას ასე სურს, რაღაცაში სჭირდება, იქნებ ხალხის დასაშინებლადო.

— აბა, რაზე დაიჭირეს გრიგოლ წერეთელი, ცნობილი ელინისტი. ღმერთი სწამდა და ყელზე ჯვარი ეკიდა. მხოლოდ ამიტომ, თორემ გრიგოლ წერეთელი თოფითა და ზარბაზნით არ გამოსულა მთავრობის წინააღმდეგ. მე ეგენი დამინდობენ?

ის ბროშურა რომ გამოქვეყნდებოდა, იმხანად უნივერსიტეტის კიბეზე ივანე ჯავახიშვილი შეხვდებოდა. ცოტას ილაპარაკებდნენ და ბოლოს ივანე ღიმილით რომ ჰკითხავდა: ბატონო კორნელი, ჯვარი სულ მოიხსენი ყელიდანო? — ეს დაიბნეოდა და წამოილუღლუღებდა: სამწუხაროდ, ცხოვრებაში ხანდახან ასეთი რამეც ხდებაო.

მწარედ დაამახსოვრდებოდა მისი სათაყვანებელი კაცის ეს გახუმრება.

და, აი, ერთხელაც გაზეთში ნახავდა სურათს — ივანე ჯავახიშვილი პიონერებითაა გარშემოხვეული და დიდი, წითელი ყელსახვევი უკეთია. საპატიო პიონერად აირჩევდნენ და ისიც გაღიმებული მიესალმებოდა მათ.

და უნივერსიტეტის კიბეზე კვლავ რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ცოტა ლაპარაკის მერე, გამომშვიდობებისას კორნელი ნესტარს წაჰკრავდა: ბედნიერი კაცი ბრძანდებით, ბატონო ივანეო! — და ის რომ ვერ მიუხვდებოდა ირონიას: რა ბედნიერებას გულისხმობდა, — კორნელი კეკელიძე გულს მოიოხებდა: ბედნიერებაა, მაშ რა არის, თანდათან ახალგაზრდავდებით, გუშინ სურათზე გნახეთ, ბავშვებში. ძალიან გიხდებოდათ წითელი ყელსახვევი, საპატიო პიონერობას გილოცავთო.

და დიდად რომ გაიხარებდა იმის ნირწამხდარი სახის შემხედვარე და წამოლუღლუღებისა: რა ვუყოთ, ასეც ხდება ხოლმეო, — შინ აღტაცებული მიიჭრებოდა და მეუღლესთან თავს მოიწონებდა: ახლა მე და ივანე ბარიბარსა ვართო!..

ვაითუ ვიღაც ოხერს ეს ნაწერი ხელთ ჩაუვარდესო...

1912 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე საქართველოს რომ ესტუმრებოდა, სასულიერო სასწავლებელსაც მიაკითხავდა და მის რექტორს კორნელი კეკელიძეს მოწიწებით ემთხვეოდა ხელზე, არც ქათინაურებს დაიშურებდა: ქართველები მამაცი, მეომარი ხალხი ხართ. ქრისტიანობაც ჩვენზე ადრე მიიღეთ და ესეც საამაყო უნდა იყოს თქვენთვისო. და ამასაც დასძენდა მისი თავის მოსაქონად: ტახტის დიდად ერთგული ხალხი ხართ ყველანიო. თუმც ვერ მოხიბლავდა, რაკიღა რექტორი გუნებაში გაივლებდა: ისემც რა გითხარიო. ეგაა, სიმამაცისა და რუსებზე ადრე გაქრისტიანების ხსენებას დაუფასებდა და პირჯვარსაც გადასახავდა.

ამ ამბავსაც ძმისწულთან თუ გაიხსენებდა იმის შიშით, მონარქისტობასა და იმპერატორის მორჩილებას დამწამებენო.

— მე შენ გეტყვი და, თავის მართლების საშუალებას მოგცემენ.

ვაითუ ვიღაც ოხერსო...

თავზე ხელიც რომ აეღო და ეს ყოველივე ჩაენიშნა, იმ ეპიზოდს არაფრისდიდებით არ ანდობდა ფურცელს, თუ როგორ ეთხლიშა სემინარიაში სწავლისას სოსო ჯუღაშვილისათვის თავში წიგნი.

მასთან ერთხანს კარგი ურთიერთობაც გაუბამს, რაღაც ნაწერებიც მიუცია და იმას გამოუყენებია.

— უნიჭო არ ყოფილა, მაგრამ თავიდანვე ემჩნეოდა, რომ ამხანაგებში პირველობას ჩემულობდა, აი, თქვენი თაობა რომ იტყოდა ახლა — ყოჩობდა. ხშირად თავხედურად იქცეოდა.

ერთ დღეს, დიდი დასვენებისას კორნელი გარეთ არ გავიდოდა და წმინდანთა წიგნს, ბიბლიისხელას, ჩაუჯდებოდა. უცებ ოთახში გიჟივით შევარდებოდა ჯუღაშვილი ორ ბიჭთან ერთად და დასცინებდა: მაგ წიგნის კითხვას ამ წიგნის წაკითხვა სჯობიაო, — და ცხვირთან მიუტანდა ბოკლის "ცივილიზაციის ისტორიას". ეს თავს გამოიდებდა: ეგ წიგნი შენზე ადრე მაქვს წაკითხულიო, — მაგრამ ის არ მოეშვებოდა: კიდევ წაიკითხე და უკეთ გაიგებო.

— ბიჭოს, ეს მასხრადაც მიგდებს, მგონი! — გაიფიქრებდა, წამოდგებოდა და თავის იმ ვეება წიგნს ისეთი ძალით თხლიშავდა თავში, ის დაბარბაცდებოდა და კინაღამ წაიქცეოდა. გავარდებოდა და კარიდან მოაძახებდა: არ შეგარჩენო.

ჯერჯერობით შერჩენოდა.

ეგაა, სიცილის გუნებაზე ვეღარ გახლდათ, მაშინდელივით, ემანდ არ გამიხსენოსო. და მადლიერებით მოიხსენიებდა ლავრენტი ბერიას, რომელიც უარს განაცხადებდა, რომ სტალინურ პრემიაზე წარედგინათ კორნელი კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორტომეული, მიზეზად კი ამ გარემოებას მოიდებდა: ესღა გვაკლია ახლა, მღვდელსაც პრემია მივცეთო.

— ძალიან კარგი მოხდა, — შვებით ამცნობდა ძმისწულს, — რომ წარედგინათ, სტალინი ნახავდა და თავში ჩარტყმასაც გაიხსენებდა და ზოგიერთ სხვა რამესაც, რაც არ ესიამოვნებოდა, და რა ვიცი, რას მიზამდაო!..

თუმც... მთლად ასეც არ ყოფილა საქმე, სტალინს კორნელი დავიწყებული რომ ჰყოლოდა, აგერ, 1945 წელს შემოეთვალა მისთვის: ჩამოდი ჩემთან მოსკოვშიო.

ნახეთ, ეს რა დიდგულად ელაპარაკება მასთან საბჭოთა იმპერატორის მიერ გამოგზავნილ კაცს:

— მაშინ კარგი კორნელი ვიყავი, ჩემი დაწერილი ლექსები თავის სახელით რომ მიართვა ილია ჭავჭავაძეს, და ახლა არაფერი არ დავრჩი. თუ ჩემი ნახვა უნდოდა, მოსკოვში ვიყავი კონფერენციაზე, არ მნახა, გვერდი ამიარა. ეხლაც ალბათ რაიმეს ელის ჩემგან და იმიტომაც მიხმობს, თორემ ისევ ის კორნელი ვარ, როგორიც ვიყავი.

ტოლ-ამხანაგები რომ შემოწყრებიან ერთიმეორეს!..

მაინცდამაინც ვერ გრძნობ, რომ ასე აგდებულად იმ ადამიანს იხსენიებენ, მსოფლიოს რომ აზანზარებდა, თორემ საბჭოთა სივრცე ხომ გალურსულიყო და თვითონ კორნელი კეკელიძეც შიშით ცახცახებდა, აი, ახლა შემომიღებენ კარს ჩეკელები და, აი, ახლაო...

თუმც ამჯერად განსაკუთრებით დამაფიქრებელი ის სიტყვებია:

ჩემი დაწერილი ლექსები თავის სახელით რომ მიართვა ილია ჭავჭავაძესო...

კიდევ ერთი გამაოგნებელი ფრაზა:

კიდევ ერთი სენსაციური პასაჟი.

ის ლექსები — განსაკუთრებით მაინც „დილა", საყმაწვილო პოეზიის შესანიშნავი ნიმუში — კორნელი კეკელიძის დაწერილი ყოფილა?

კი მაგრამ, რა რჯიდა, დაუნანებლად რომ აჩუქა თანაკლასელს?

თვითონ რა, ვერ გამოაქვეყნებდა თავისი სახელით, მაინცდამაინც "სოსელო" რომ არ მოწეროდა ქვეშ?

სწორედაც ჩუქება ყოფილა, რაკიღა იმხანად არსად გაუპროტესტებია, ამხანაგმა ჩემი ლექსები მიითვისაო.

1945 წელს რაღა დროს ამის გახსენება იყო!..

თანაც, სახელმწიფო ტერორის პირობებში...

თუ აჩუქა, რაღას ამადლის?!.

ესეც ძველქართული საგალობელი ხომ არ არის, მკვლევარებს ხან დადგენა რომ უძნელდებოდათ თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ცალკეული ჰიმნების ნამდვილი ავტორი და ცილაობა შეექნებოდათ ხოლმე?

აგერ XIX საუკუნის მიწურულს გამოქვეყნებული ლექსის ავტორი ვეღარ დაგვიდგენია, ყველაფერი მზესავით ნათელი რომ გვეგონა, უეცრად საჭოჭმანო გაგვიხდა.

ეგებ ამჯერადაც ისე მომხდარიყო, რომ კორნელი კეკელიძეს დაუნანებლად კი არ გადაელოცა თავისი დაწერილი ლექსი თანაკლასელისათვის, არამედ იმისი ლექსებისათვის გაეკრა ხელი და დაეხვეწა? უამისოდ ის ლექსები „ივერიის" ფურცლებზე ვერ მოხვდებოდა, რედაქციული ჩარევის შემდეგ კი თავისუფლად დაიბეჭდა და შემდგომ უკვე ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს უფლება ჰქონდა თავისი წილი მოეთხოვა იმ პუბლიკაციიდან.

ისე მაინც ვინ არის „დილას" შემთხზველი?

იოსებ სტალინი?

კორნელი კეკელიძე?

თუ ერთპიროვნული შემქმნელი არა ჰყოლია და ეს ორნი ინაწილებენ მის ავტორობას?

რაღაც უცნაური ალიანსი კი გამოდის — ლექსის "დილა" ავტორები... იოსებ სტალინი და კორნელი კეკელიძე.

ორი პოლუსი.

ვითომ მართლა ორი პოლუსი?

მსოფლმხედველობით, რასაკვირველია.

ცხოვრების გარეგნული სტილითაც.

ოღონდ მარტოდენ გარეგნული.

* * *

ვახტანგ ჭელიძის პუბლიცისტურ სტატიაში „ოსტატი და შეგირდი" ჩვენი სინამდვილის ერთ მეტად საჭირბოროტო პრობლემაზე გამახვილდებოდა ყურადღება, სათაურივე რომ ღაღადებდა და ავტორი ერთხელ კიდევ შეგვახსენებდა „ოსტატის" სრულფასოვან განმარტებას, რაც გულისხმობს არამარტო თავისი საქმის კარგ მცოდნეს, არამედ საზოგადო მოღვაწესაც.

— ოსტატის საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი, უპირველეს ყოვლისა, შეგირდების მომზადება, და, ამდენად, ქვეყნის მომავალზე, ხალხის ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა.

ოსტატისა და შეგირდის ამ ჰარმონიულ ურთიერთობას მოიხსენიებდა ქებულ სკოლად, რომელსაც შეექმნა ჩვენი ხალხის დიდი კულტურა: თუნდაც ჩვენი ძველი განთქმული სამკურნალო ხელოვნება, სამშენებლო ხელოვნება, წიგნის გრაფიკის დღევანდელი დღისთვისაც კი სანატრელი დონე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბეჭდვის შემოღებამდე ლამის ათი საუკუნე იყო წინ... და ისტორიულ ექსკურსს აღარ გაჰყვებოდა: ძალიან შორს წაგვიყვანსო.

ამჯობინებდა თანადროული ცხოვრებიდან მოეტანა თვალსაჩინო მაგალითები.

აგერ ქართველ ენათმეცნიერთა შესანიშნავი სკოლა, რომელთაც ისეთი მეცნიერები ამშვენებდნენ, საერთაშორისო აღიარებაც რომ მოეპოვებინათ და სანიმუშოდ თუნდ აკაკი შანიძის სახელი იკმარებდა. ამ დიდებულ სწავლულთა შრომებს ხომ სახელი გაეთქვა არამარტო უშუალოდ ამ დარგისათვის, არამედ მთელი ქართული კულტურისათვისაც.

— მაგრამ ამ მართლაც დიდებულ მეცნიერთა ძველი თაობის ღვაწლი მაინც ცალმხრივი იქნებოდა, რომ მათ ასეთივე გულითა და მონდომებით არ ეზრუნათ ახალი თაობის აღზრდისათვის, რა გულითა და მონდომებითაც თავიანთ საკუთარ მეცნიერულ სფეროს ემსახურებოდნენ. და ახლა ყველას, ვისაც კი ჩვენი კულტურის განვითარებაზე გული შესტკივა, დამშვიდებით შეუძლია თქვას, რომ იმ პირველი პლეადის ჩვენი დიდებული ენათმეცნიერები ღირსეულ ცვლას ტოვებენ. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. მათი მოღვაწეობა ცალმხრივი არა ყოფილა.

ვახტანგ ჭელიძეს თვითონ გულდასმით მიედევნებინა თვალი არნოლდ ჩიქობავასა და მისი მოწაფეების მუშაობისათვის და დაბეჯითებით აცხადებდა: შეუძლებელია არ მოიხიბლო ოსტატისა და შეგირდების ამ შესანიშნავი თანამშრომლობით, ოსტატის ჩუმი, უხმაურო, ხაზგაუსმელი გულისხმიერებითა და მზრუნველობით თავისი შეგირდების მიმართო.

და აჰა თვალსაჩინო შედეგიც:

დიდებულ განძთან შედარებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, მრავალი დარგობრივი თუ ტერმინოლოგიური ლექსიკონი... კავკასიის ხალხთა ენების საფუძვლიანი, მეცნიერული შესწავლა („... რასაც მარტო ენათმეცნიერული მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ მონათესავე დარგის მეცნიერებებსაც დაუფასებელ დახმარებას უწევს").

აგერ კიდევ ფილოლოგიურ მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი დარგი — კლასიკური ფილოლოგია, რომელიც 30-იანი წლებიდან ერთ ადამიანს, მაშინ ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერს სიმონ ყაუხჩიშვილს რომ დასწოლოდა მხრებზე და ნიჭით, შესაშური ენერგიით, შრომისმოყვარეობითა და ჭეშმარიტად მამულიშვილური სულით კლასიკური ფილოლოგიის ისეთი სკოლა შეექმნა, რომლის სახელიც ასევე გასცდენოდა საქართველოს საზღვრებს.

მაგრამ ამჯერად მთავარი ის გახლდათ, რომ გარდა საკუთრივ დიდი მეცნიერული მოღვაწეობისა, მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებსა და სახელმძღვანელოებს რომ მოიცავდა, თავის შეგირდებთან ჰარმონიული თანამშრომლობით ბევრი საჭირო და სასარგებლო წიგნი მოემზადებინა და გამოეცა (მარტო „გეორგიკის" 8 ტომი რად ღირდა!).

— ამასთან, თუ ამ სამი ათეული წლის წინათ დიდი ანტიკური ლიტერატურის ნიმუშები თითქმის სულ არ მოგვეპოვებოდა ქართულად, ახლა ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად ამოვსებულია, ქართული ლიტერატურა გამდიდრდა ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების მაღალხარისხოვანი თარგმანებით და მუშაობა ამ მხრივ კვლავ ინტენსიურად გრძელდება. მალე ჩვენს მკითხველს ქართულად ექნება ბერძნული და რომაული მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

აგერ კიდევ ქართველ ფსიქოლოგთა განთქმული სკოლა, დიდ მეცნიერს დიმიტრი უზნაძეს რომ ჩაეყარა საფუძველი და ისიც საერთაშორისო ასპარეზზე გასულიყო, და თვით ისეთ ქვეყნებშიც, სადაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებას განვითარების ძალზე მაღალი დონისათვის მიეღწია, მას ანგარიშს უწევდნენ და პატივს სცემდნენ.

აგერ კიდევ ქართველ მათემატიკოსთა დიდებული სკოლა და მათი სხვადასხვა თაობის ღირსეული წარმომადგენლები.

თუმც სტატიის ავტორისათვის გულდასაწყვეტი ის გახლდათ, რომ ცალმხრივი მოღვაწეობის მაგალითებიც არსებობდა — თუნდ აგერ ფილოლოგიური მეცნიერებიდან, როდესაც დიდ ოსტატს მართლაც დაუფასებელი განძი შეექმნა, ეროვნული მეცნიერება დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაემდიდრებინა, მაგრამ... ამ ღვაწლის შესაფერისი სკოლა ვეღარ მოემზადებინა, თავისი ღირსეული ცვლა ვეღარ შეერჩია და დაეტოვებინა.

— და ამიტომ მისი მოღვაწეობა ცალმხრივია, რადგან ის თაობა, ვინც ამ მეცნიერმა დატოვა, წინ წასვლას ვერ ახერხებს და ერთ ადგილს ტკეპნის, სხვადასხვა ვარიაციით იმასვე იმეორებს, რაც მრავალი წლის წინათ გამოუთქვამთ, ვერც იმ მიღწევებს უვლის სათანადოდ, რაც წინაპრებს თავის დროზე მოუპოვებიათ და ახალს კი მით უმეტეს ვერაფერს ქმნის, მეცნიერების ამ დარგს ვერ ანვითარებს...

გულის დამამძიმებელი სურათია.

რამხელა განძიც უნდა შეექმნას ამ დარგის თვალსაჩინო მკვლევარს, განა ეს კმარა საიმისოდ, რომ თავი დავიმშვიდოთ და ისე გავხედოთ მომავალს, სადაც ეს განძი იფანტება და გულისგამაწვრილებლად მეორდება?

კი მაგრამ, თუკი საიმედო ცვლა ვერ გამოუჩნდა ამ სფეროს?

თუ გულანთებული ყმაწვილები არ შემოკრბნენ გამორჩეული მეცნიერის გარშემო?

თუ დაიშრიტა ნიჭიერება ამ დარგში?

ეს რიტორიკული შეკითხვები იმ კუთხიდანაა დასმული, რომ როგორმე გამართლდეს მკვლევარის ცალმხრივი მოღვაწეობა — ახალგაზრდებს წვრთნა რას უზამდათ, თუ ბუნებაც არ უშველიდათო!..

მაგრამ ნურავინ დაიჟინებს, რომ სადმე, რომელიმე სფეროში ნიჭი შეიძლება დაიშრიტოს.

ყველაფერი მეცნიერზე, წინამძღოლზე ჰკიდია.

ვის მოჰკიდებს ხელს, ვის გამოარჩევს, ვის ამოიყენებს გვერდით.

და თუ ეჭვიც არ ეპარება, რომ მეცნიერებამ მასთან და სწორედ მასთან ამოწურა თავი, საკვლევი და საძიებელი აღარც აღარაფერია და მომავალ თაობებს ისღა დარჩენიათ, რომ მის ნაღვაწს გაუწიონ პოპულარიზაცია?

მაშინ გვერდით მისწევს ნამდვილ ტალანტებს და მოეჭიდება იმ ადამიანებს, რომელთაც სხვა არაფერი მოეთხოვებათ, გარდა ერთ ადგილას ტკეპნისა და სხვადასხვა ვარიაციით განმეორებისა იმ ყველაფრისა, რაც უკვე თქმულა და გაკეთებულა.

ასეთ დროს მკვლევარის რეალისტური ხედვა შეცვლილია მითოსური ხედვით — ამ ახალი, უფრო ზუსტად პირადი მითოსის შუაგულში თვითონ იდგეს, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი, როგორც ამ სფეროს დამასრულებელ-დამაგვირგვინებელი.

ის, რაც ნიშანდობლივი გახლდათ სტალინისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე, ამჯერად მეცნიერებაშია გადატანილი.

სტალინთან მთავრდებოდა ყოველგვარი მოძრაობა.

ყველაფერი ჩერდებოდა და ხევდებოდა.

და უნდა ყოფილიყო მისი საქმისა და ღვაწლის დაუსრულებელი ქება-დიდება უკუნეთი უკუნისამდე.

სტალინი სტალინად და... ჩვენი სამეცნიერო ცხოვრებაც დაიხუნძლებოდა პატარ-პატარა, ხანაც მოდიდო სტალინებით.

ეგაა, მათი პირადი მითოსები გაცილებით უფრო იოლი გასაქარწყლებელი აღმოჩნდებოდა, ვიდრე საბჭოთა იმპერიის სახელმწიფოებრივი მითოსი.

თუმც... ყველა მითოსი ასე იოლადაც არ ამოიშლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და ერთი ასეთი ნიმუში ვახტანგ ჭელიძეს გაეხსენებინა გამჭვირვალე მინიშნებით.

დასახელებით არ დაასახელებდა, თუმც ცალმხრივ მოღვაწედ კორნელი კეკელიძეს იგულისხმებდა, მის მიერ შექმნილ დაუფასებელ განძსაც შესაფერისი მოწაფეები რომ ვერ მოჰყოლოდნენ ახალი და ახალი განძის შემოქმედებად.

მაინც რბილად ჩამოაყალიბებდა თავის გულისტკივილს: ღირსეული ცვლა ვერ შეარჩიაო.

ვერ თუ...

„ვერ“-ს კიდევ რა უშავს!..

ოდესღაც ვერ აიტანდა სტალინისგან დაცინვას და თავში ჩარტყმული წიგნით გვარიანადაც დააბარბაცებდა, მაგრამ იმას არ შეეხებოდა, თავის სულში ჩამჯდარ სტალინს, არამცთუ შეეხებოდა, გამოკვებავდა, მოაღონიერებდა და ქართული ფილოლოგიის ბედის გადაწყვეტასაც მას მიანდობდა.

ამიტომაცაა, კოლოსივით რომ წამომართულა თავის მოწაფეებს შორის, მის ნასუფრალს რომ დასჯერებიან და ქართული ფილოლოგიის განვითარებად კორნელი კეკელიძის ნარკვევთა გაუთავებელ ვარირებას რომ სახავენ.

...კორნელი კეკელიძეს კიდევ რა უჭირდა — თვითონ მაინც შეგვიქმნა დაუფასებელი განძი.

თქვენ იმ პატარ-პატარა სტალინ-მეცნიერთა წყებას უნდა მიადევნოთ თვალი, ვიდრე მოგბეზრდებოდეთ ერთფეროვან კომიკურ პერსონაჟთა ხილვა.

* * *

არა, „დილა“ მაინც ვის დაეწერა?

იოსებ ჯუღაშვილ-სტალინს?

კორნელი კეკელიძეს?

თუ... ორივეს ერთობლივად?

ანდა —

გენუის კონფერენციაზე კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ხელმოწერით გაგზავნილი მემორანდუმის ტექსტი ვიღას შეედგინა?

გრიგოლ ლორთქიფანიძეს?

კორნელი კეკელიძეს?

თუ ორივეს წვლილიც იდო, და მათთან ერთად შალვა მაღლაკელიძისაც?

* * *

მოგონებანი ზუსტად და შეულამაზებლად უნდა დაიწეროსო, — ასე ლაკონიურად და მოხდენილად განსაზღვრავდა კორნელი კეკელიძე მემუარისტიკის ჟანრის მიზანს, მეთოდს, დანიშნულებას.

ლაშა ჩხარტიშვილი

„ან ყველაფერი, ან არაფერი!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკიდურესი ფინანსური კრიზისი.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სტაბილურად არსად, მონაცვლეობით ვიცხოვრებდი მაინც აღმოსავლეთის ქვეყნებში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— უკიდურესი სულიერი სიმშვიდე.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ზღაპრული დევი, ანტიგონე.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— დავით აღმაშენებელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ედგარ დეგა.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ჯუზეპე ვერდი, ზაქარია ფალიაშვილი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— სითამამეს, ერთგულებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

— ქველმოქმედება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი პროფესია — თეატრმცოდნეობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ბესო ჟღენტი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— პუნქტუალურობა და პასუხისმგებლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, პუნქტუალურობას, პასუხისმგებლობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— არასტაბილურობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— წამიერი სიამოვნება, რომელიც გარკვეული დროით თან სდევს ადამიანს.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ოჯახის რომელიმე წევრის ჩემამდე გარდაცვალება.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სწორედ ისეთი, როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— იასამნისფერი, ნარინჯისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— არ მიყვარს ყვავილები.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბატი და იხვი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ნიკო ლორთქიფანიძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— პოეზია არ მიყვარს.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მედეა, ანტიგონე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— რობერტ სტურუა და გურანდა გაბუნია.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ჟანა დარკი.

— საყვარელი სახელები?

— თეკლა და ნუცა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— დაგვიანებას, უპასუხისმგებლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ლავრენტი ბერია, იოსებ სტალინი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— კრწანისის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არგუსის სისტემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— პოლიგლოტობა.

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მშვიდ ვითარებაში, უკეთესი იქნება ძილში.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აფორიაქებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— სინანული.

— თქვენი დევიზი?

— ან ყველაფერი, ან არაფერი!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება!

ზაალ სამადაშვილი

მამა-შვილი ბაქანზე



წითლებისდროინდელი ამბავი

რაც წამოიზარდა, მას შემდეგ ბიჭი სულ დაყვებოდა მამას სოფელში. სადგურთან ახლოს ცხოვრობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ადრე გადიოდნენ შინიდან, მატარებლის გასვლამდე თითქმის ორი საათით ადრე. ბილეთების რიგში უნდა ჩამდგარიყვნენ, ხალხით გადავსებულ ბაქანზე გზა უნდა გაეკვლიათ სასურველ ვაგონამდე მისაღწევად, ვაგონში ასულებს სხვებისთვის უნდა დაესწროთ ადგილის დაკავება და ყოველივე ამას რომ განახორციელებდნენ, ათ-თხუთმეტ წუთში რადიოც გამოაცხადებდა, მატარებელი ნომერი ესა და ეს ამა და ამ მიმართულებით გავაო.

ჩამოჰკრავდა ზარს სადგურის წითელქუდიანი მორიგე, დაიწყებდა ქშენას ვეებერთელა, შავი ორთქლმავალი, ამოუშვებდა ბოლს ძაბრივით მილიდან და მსუბუქი ბიძგებით დასძრავდა რამდენიმე ვაგონიან შემადგენლობას. მგზავრები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ზურგიან ხის სკამებზე. ბიჭი მესამედ თუ მეოთხედ ახლდა მამას და ამჩნევდა, რომ ყოველი მგზავრობის შემდეგ მათ წინ მჯდომი ადამიანები იცვლებოდნენ, სულ უფრო და უფრო სიტყვაძუნწები და პირქუშები ხდებოდნენ. ისე გაივლიდა რამდენიმე საათი, ერთმანეთს არ გამოელაპარაკებოდნენ ამინდზეც კი, და თუ ვინმე საუბრის წამოწყებას შეეცდებოდა, მას ეჭვის თვალით უწყებდნენ ყურებას.

მატარებელი დიდ სადგურებში უფრო მეტხანს ჩერდებოდა, ვიდრე პატარებში, და თუ ვინმეს წყურვილის მოკვლა, ანდა პაპიროსის მოწევა მოუნდებოდა, სწორედ დიდი სადგურის ბაქანზე უნდა ჩამხტარიყო. ბაქნები კი, მათ მიღმა მდგარი რუხი შენობებითა და შენობების ფასადებზე ულვაშა ბელადის უზარმაზარი პორტრეტებით, ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ბიჭს არ უყვარდა დიდი სადგურები, რადგან სულ იმის შიში ჰქონდა, ვაგონიდან ჩასულ მამას უკან ამოსვლა არ დაგვიანებოდა და მარტო არ დარჩენილიყო ამდენ უცხო ხალხში. უხაროდა, როცა ტამბურის კარში დალანდავდა; ისე უხაროდა, რომ გამოწვდილი წყლით სავსე ბოთლს ყურადღებას არ აქცევდა, წყურვილს ივიწყებდა, რაზეც მამას ეცინებოდა, — დალიე, კაცო, ტყუილად მარბენინე ზევით-ქვევითო?

მეორედ მაშინ დაფრთხებოდა ხოლმე, როცა კონტროლიორი იწყებდა მგზავრების ჩამოვლას და ბილეთების შემოწმებას. ახლა იმის შიში იპყრობდა, ბილეთები ხომ არ დაკარგა მამამო. ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღებისას ხომ არ ამოუვარდა, ანდა პირიქით, გულისჯიბეში რომ იდებდა, გვერდით ხომ არ ჩამოუცურდაო. ნანახი ჰქონდა, როგორ ჩაჰყავდათ მატარებლიდან კონტროლიორის მიერ გამოძახებულ მილიციელებს უბილეთო მგზავრები და რა საცოდავად გამოიყურებოდნენ ისინი კოპებშეკრული ფორმიანების გარემოცვაში.

მოსალოდნელი თუ სავარაუდო საფრთხეების გადავლის შემდეგ მოშიების დრო დგებოდა. ადამიანების დადუმებისა და სიტყვაძუნწობისა არ იყოს, წინა მგზავრობებთან შედარებით სხვაობა ამ შემთხვევაშიც თვალშისაცემი გახლდათ — აღარავინ აღარ იღებდა ფეხებს შორის ჩადგმული ჩანთებიდან მწირ საგზალს — მაგრად მოხარშულ კვერცხსა და შავი პურის ნაჭერს. ერთიცა და მეორეც იშვიათ პირის ჩასატკბარუნებლად იყო ქცეული და ბიჭს ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდნენ მამიდასთან, სადაც რძეში ჩაფხვნილი მჭადითა და კრაჭუნა, ნასვრეტებიანი ყველით გაუმასპინძლდებოდნენ.

სამი საათი უნდა მოეთმინა. აქედან ორი — ორთქლმავალს სჭირდებოდა წიფის გვირაბისა და კიდევ რამდენიმე სადგურის გასავლელად, ერთი საათი კი ფეხით უნდა ევლოთ სოფლამდე. შემოდგომის ბოლოს უწევდათ ხოლმე ამ გზის დაფარვა და კოჭებამდე ტალახში ტოპვა სიქას აცლიდა ორივეს. ტალახებში სიარულს მეტი ენერგია მიჰქონდა. ხანდახან ისე იღლებოდნენ, რომ ჭამის თავიც აღარ ჰქონდათ, ჩამოეძინებოდათ მაგიდასთან; ამის შემხედვარე მამიდას წამოსცვივდებოდა ცრემლები — ჩემი საწყალი ბიჭებიო, და ამოიკვნესებდა. ის ამ სოფელში ექიმად იყო გამწესებული სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. პედიატრიც იყო, თერაპევტიც და — თუ საჭირო გახდებოდა — სტომატოლოგიც... თავისი საქმის უბადლო ცოდნისა და გამორჩეული გულისხმიერების გამო ყველა ემადლიერებოდა. მადლიერებას მცირეოდენი ძღვენითაც გამოხატავდნენ — ვინ კვერცხს მოუტანდა, ვინ ახალამოყვანილ ყველს, ვინ კიდევ სიმინდსა და ლობიოს. მარტოხელას ყველაფერი ძმის ოჯახისთვის უნდოდა; როცა ახერხებდა, თვითონ ჩაჰქონდა ქალაქში სანოვაგე, როცა ვერა — წერილს გზავნიდა და თავისთან უხმობდა „ბიჭებს".

ამ ჯერზე ორ ფუთამდე სიმინდს, თითქმის ნახევარ ფუთ ლობიოს, ოთხ წველა ყველს და ცოტაოდენ თხილს ატანდა. სიმინდი ჯვალოს მოზრდილ ტომარაში იყო დაბინავებული, დანარჩენი — ტოპრაკებში, რომლებიც თოკით გადაება ერთმანეთზე, იოლი სატარებელი რომ ყოფილიყო. ტოპრაკებს ბიჭი გადაიკიდებდა მხარზე ხურჯინივით, ტომარას კი მამა მოიგდებდა ბეჭებზე. უბარგოდ როგორ იღლებოდნენ და ტვირთაკიდებულებს რა დღე დაადგე-

ბოდათ. სადაც კი მშრალ ადგილს ნახავდნენ, ჩერდებოდნენ და სულს ითქვამდნენ. ასე, სვენებ-სვენებით მიაღწევდნენ პლატფორმამდე, სადაც ქვის მომცრო, ფარდულივით ნაგებობაში მოსაცდელიც იყო და სალაროც — ცხაურიანი სარკმლით...

* * *

იმ დღეს მატარებელს დაუგვიანია და მამა-შვილი დიდხანს მსხდარან მოსაცდელის გვერდით მდგარ თუჯისფეხებიან სკამძელზე. ესეც მაშინდელი ცხოვრების წესი იყო — ადამიანებისთვის უხერხულობის შექმნა ნებისმიერ ადგილას. სკამი და გნებავთ სკამძელი მოსაცდელში, წვიმისა და ქარისაგან დაცულ ადგილას უნდა მდგარიყო და არა გარეთ, მოტიტვლებულ ბაქანზე. პალტოს საყელოში ცხვირ-ჩარგულ ბიჭს ერთი პირობა ჩასძინებია კიდეც მამის მხარზე მიყრდნობილს. არა და არ დადგომია საშველი ორთქლმავლის შემოკივლებას ბუჩქნარით დაფარულ ფერდობებს შორის. რაღაცით ხომ უნდა შეექციათ თავი, ჰოდა, გახსენებიათ, ცოტაოდენი თხილიც რომ ჰქონიათ გამოტანებული და მოუხსნიათ პირი ერთ-ერთი ტოპრაკისთვის. შედგომიან მოგრძო, გაკრიალებული თხილების მტვრევას და მსხვილი, რძისფერი გულებით პირის ჩატკბარუნებას. ნაჭუჭებს ძირს ჰყრიდნენ თურმე, ფეხებთან ახლოს, რადგან მერე ფეხითვე გადაეყარათ ბაქნიდან. ნაგვის ყუთის ჭაჭანება არ ყოფილა ირგვლივ. შუა ჭამაში ყოფილან, ვიღაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი რომ წამოდგომიათ თავზე. გრძელი შინელი სცმია, საყელოზე ლურჯი რომბებით და წელზე შემორტყმულ ქამარზე ტყავის ბუდეში ჩასმული რევოლვერი ჰქონია აკრული. ის კი არ უთქვამს, საბუთები მაჩვენეთ, ვინ ხართ და რატომ ანაგვიანებთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილსო, პირდაპირ უბრძანებია მამასთვის, აიღე და ჯიბეში ჩაიყარე ეს ნაჭუჭებიო. კაცი ფეხზე წამომდგარა პალტოს კალთების ბერტყვით და რაღაც გაღიმებისმაგვარი უცდია. ბიჭი თავიდან ვერ მიმხვდარა, რა ხდებოდა, ჭამით გართულს წესიერად ვერც გაუგონია, რა თქვა სამხედრომ, მაგრამ ფეხზე წამომდგარი და ნირწამხდარი მამისთვის რომ შეუხედავს, თავადაც ამდგარა და მის გვერდით ატუზულა. ამჯერად რუსულად გაუმეორებია ბრძანება სამხედროს და მეტი დამაჯერებლობისთვის რევოლვერის ბუდისკენ წაუღია ხელი, რასაც კაცის მხრიდან ნაბიჯის გადადგმა და შვილის წინ დადგომა მოჰყოლია. ბიჭი, რა თქმა უნდა, ველარ დაინახავდა მამის სახეს, მაგრამ წარმოსახვა უკარნახებდა, როგორი გამომეტყველება ექნებოდა მას. იშვიათად, ძალიან იშვიათად ჰყავდა ნანახი გაბრაზებული მამა, თუმცა იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის გაბრაზებას. დაყოვნება რომ რაღაც ცუდის, ძალიან ცუდის ტოლფასი იქნებოდა, უმალ მიმხვდარა, წამითაც არ დაფიქრებულა, დახრილა და თხილის ნამტვრევები ორივე ხელით მოუბოჭავს. ამის შემხედვარე სამხედროს, — „Вот так!"-ო, უთქვამს, შეტრიალებულა და დაუტოვებია იქაურობა. მამა ერთხანს გაშეშებულივით მდგარა, მერე დახრილა, ჩაცუცქული შვილისთვის თავზე ხელი გადაუსვამს და თვითონაც აუღია ნაჭუჭები. ჯიბეები მატარებელში ასვლისთანავე დაუცარიელებიათ, ტამბურის ჩამტვრეული ფანჯრიდან გადაუყრიათ გარეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუთრევიათ ვაგონში თავიანთი ბარგი-ბარხანა...



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

* * *

საბჭოთა ეპოქის, იგივე ოკუპაციის პერიოდის გახსენებისას ვის რა წარმოუდგება თვალწინ და ვის — რა. არიან ადამიანები, ვისაც ენატრება ის დრო, როცა „საკავშირო მნიშვნელობის" ბანაკ „არტეკში" ისვენებდნენ მზრუნველი, ბობოლა მშობლებისა და პიონერული ორგანიზაციის წყალობით; როცა სტუდენტურ არდადეგებს მოსკოვში ატარებდნენ და რესტორან „ნაციონალის" ვიტრინიდან კრემლის შემოგარენს გაჰყურებდნენ, რომელიღაც ტანიას ან ზოიას დიდ მკერდზე ოცნებაში დანთქმულები; როცა „ცეკას" მაღაზიაში რამდენიმე ბოთლ ჩეხურ ლუდს, უნალექო ინდურ ყავას, უცელოფანო სოსისს და ფინურ ძეხვს ყიდულობდნენ სულ რაღაც ათ მანეთად; როცა ე. წ. სპეცსანატორიუმის ფოიეში ისეთ წარჩინებულ გვამს ეთამაშებოდნენ ბილიარდს, როგორიც კინემატოგრაფისტი გერასიმოვი გახლდათ და მათ პაექრობას თვალყურს ადევნებდა არც მეტი, არც ნაკლები — კინომსახიობი მაკაროვა...

მე სხვა სურათს ვხედავ. ამ სურათზე რევოლვერისკენ ხელწაღებული НКВД-ს ოფიცერი და მის წინაშე მდგარი მამა-შვილი არიან აღბეჭდილები. ბიჭი, რომელმაც დიდ ხიფათს გადაარჩინა მამა, ბიძა იყო ჩემი. ის ამ შემთხვევიდან ხუთი წლის შემდეგ დაიღუპა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ პატარა ქალაქთან, ვერმახტის ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც შეეხება მამამისს — ბაბუაჩემს, მან ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა; პირველად მან მომასმენინა „ამერიკის ხმა" ქართულ ენაზე და ბევრ სხვა რამესთან ერთად მასწავლა, როგორ უნდა „დამეჭირა" ტრანზისტორული რადიომიმღებით ის სადგურები, რომლებსაც კომუნისტები ახშობდნენ...

ლია მოლარიშვილი

ლურჯი ოაზისი

(მოთხრობა დიალოგების სახით)

ნინო
ლევანი
გიგა
სიდო
ვანო
სოლიკო

1.

დიდი ოთახი სოფლურ სახლში. ქვითკირის კედლები. ბუხარში ცეცხლი ანთია... ვანო იატაკზე ზის და ნაწილებად დაშლილ ტელევიზორს უკირკიტებს. ნინო ფანჯარასთან დგას. გარეთ იყურება. ამოიოხრებს.

ვანო. რას ოხრავ, გოგო! ვაჰ, არ შემიწუხა გული?

ნინო. როდის ამოვიოხრე?

შემოდის სიდო — მოხუცი ქალი. შემოაქვს რძით სავსე ჭურჭელი.

ვანო ***(კბილებით წყვეტს რაღაც შნურს).*** ზის მთელი დღე ფანჯარასთან და ყვავებს ითვლის!.. მიდი, მამიდაშენს ხელი მაინც წააშველე.

სიდო. არავის მოხმარება არ მინდა, ოღონდ ერთმანეთს ნუ დაერევით.

ვანო. კი, ბატონო! შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მენაღვლება... რამდენი წლის ხარ? ასოთხმოცდაჩვიდმეტის, არა? დრო აღარ არის, რომ დაისვენო? ეს კი ***(ხელს გაიშვერს დისკენ)*** ხესავით დგას და ზეზეულად ხმება, სიზარმაცისგან.

სიდო. რას ამბობ, რას?! ***(ნინოს)*** ხომ არ გტკივა რამე, შვილო? მართლაც, ფერი სულ დაკარგე ამ ბოლოს. აღარც იცინი.

ვანო. ეგ გაუცინარი ხელმწიფის შვილია. ასე ადვილად ვერ გააცინებ.

სიდო. ***(ნინოს)*** თუ შეგიძლია, რძე გასათბობად დადგი, შვილო.

ნინო უხმოდ ჩამოართმევს ჭურჭელს და გადის.

ვანო ***(მისძახის).*** წინ იყურე, ფეხი არაფერს წამოჰკრა!

სიდო. მამაშენი ძალიან აგვიანებს. აღარ უნდა დაბრუნებულიყო ამდენ ხანს?

ვანო. კაცი პაციენტთან არის წასული.

სიდო. ნუ მაიმუნობ! არაფერი მოგივიდოდა, შენც რომ გაჰყოლოდი.

ვანო. სად, არ გამაგიჟო! მელოგინე ძროხას ბებიაქალად დავუდგე? ეგ ჩემი მოწოდება არ გახლავთ!

სიდო. ჰო. შენი მოწოდება მხართეძოზე კოტრიალია, ზარმაცს კი სხვებს ეძახი. ***(უცებ სახე შეეცვლება. შუბლზე იკიდებს ხელს)***

ვანო. რა მოგივიდა?

სიდო. არაფერი. წნევაა, ალბათ.

ვანო. დაბერდი, მამიდაჩემო. რატომ ვერ ისვენებ? დაჯექი, ფეხი ფეხზე გადაიდე, პაპიროსი გააბოლე და პედიკურს მიხედე.

სიდო. მე რომ დავჯდე, ოჯახს ვინ მოუვლის?

ვანო. მე აქ არა ვარ? თქვენთვის ვზრუნავ. აგერ, ტელევიზორს ვისთვის ვაკეთებ? სადაცაა, ზამთარი მოვა, თოვლს ჩამოჰყრის და რა უნდა აკეთოთ ზამთრის საღამოებში? დაჯდებით და გაიგებთ, ქვეყანაზე რა ხდება, ბნელებო!

სიდო. ნეტა შენ, რომ ტელევიზორის და რადიოს მეტი არაფერი გაგონდება. ცოლი მაინც შეგერთო, უსაქმურო.

ვანო. ცოლი რა ჩემი საქმეა. მე პოეტი ვარ.

სიდო. შენი დაწერილი ლექსი ვის უნახავს?

ვანო. გულით ვარ პოეტი, გულით!

სიდო. პოეტი კი არა, პარაზიტი ხარ.

ვანო. მართალია. შენ კი — ნამდვილი მუშა ფუტკარი. სიკვდილის მერე ალბათ წმინდანად გამოგაცხადებენ. ***(გულზე დაიკრეფს ხელებს და თვალებს ჭერისკენ აღაპყრობს)*** ნეტარი ქალწული სიდონია!.. რომელსაც დაფასება არ ღირსებია უმადური ძმისშვილებისგან, მაგრამ იქ, სამოთხის მინდვრებში, მშვიდად სეირნობს და უბილეთოდ ესწრება ყველა ზეციურ წარმოდგენას, ცოდვილების ცირკის ჩათვლით.

სიდო ***(პირჯვარს იწერს).*** ყველაფერზე ხუმრობა არ შეიძლება, ვანო!

შემოდის ნინო და ბუხართან დგება.

ვანო. შეშა მაინც შეამატე, ცეცხლი არ ჩაქრეს, შეყვარებულივით რომ ეხუტები მაგ ბუხარს!

ნინო უხმოდ ემორჩილება.

სიდო. გცივა, შვილო? სიცხე არ გქონდეს შენ...

ნინო. ჰა?.. ***(გამოერკვევა)*** არა... სიცხე არ მაქვს, უბრალოდ...

ვანო უცებ მგელივით შეჰყმუვლებს. ქალები დაფრთხებიან. ვანო ხარხარებს.

სიდო ***(გულზე უდევს ხელი).*** შენ რა, მართლა გასულელდი? ჯობია, მამაშენს მიაკითხო, ნასვამი არ წამოვიდეს და რამე არ დაემართოს.

ვანო. ნუ გეშინია. გინდა გითხრა, რატომ შეაგვიანდა? ალბათ იმ პატიოსან ძროხას მშობიარობა გაურთულდა. მამაჩემს ხომ ახალდაბადებული ხბოების მიმართ უფრო ნაზი გრძნობები აქვს, ვიდრე ჩვენდამი... მაინც რაში სჭირდებოდა, ვეტექიმი რომ გახდა? მთელი ცხოვრება, დიდი ბოდიში და — პირუტყვის უკანალშია შემძვრალი.

სიდო ***(ღიმილით).*** ბავშვობიდან უყვარდა ცხოველები.

ვანო. ცხოველები მეც მიყვარს, მაგრამ სოფლის მეურნეობა რაღაც არ მიზიდავს. და საერთოდ, აქ არაფერი მაკავებს. ერთ დღესაც დავკრავ ფეხს და...

სიდო. ცეტი ადამიანი ხარ, ვანო. იმ მსახიობების ჩამოსვლამ ხომ სულ აგირია ტვინი. ***(ნინოს შეშა დაუვარდება ხელიდან. ხმაურზე იქით მიიხედავენ)*** ასე არაა, ნინო, შვილო? ჩამოვიდნენ აქ... გაერთნენ მთელი ზაფხული. იმათ რა

ენაღვლებოდათ — დაისვენეს მთაში... ეს ჩვენი ნაცარქექია კიდევ, მთელი დღეები არ შორდებოდა, ცხვარს უკლავდა, აქეიფებდა. ჰოდა, გაალოთეს, გააზარმაცეს და, რაც ყველაზე უარესია, უმაქნისი აზრებით გამოუტენეს თავი.

ვანო ***(იგივე ტონით აგრძელებს).*** უწიგნური ხარ, მამიდაჩემო, გაუნათლებელი. ეზოს არ გაცილებიხარ. უკეთესი არაფერი გინახავს. არადა, ამ კედლებს იქით სხვა ცხოვრებაა. ნამდვილი ცხოვრება!

სიდო. არტისტობა ხომ არ მოგინდა შენც?

ვანო. რატომაც არა? რა გინდა, ცუდი ბიჭები იყვნენ? ერთს ძმად გავეფიცე კიდეც ***(ხელზე დაისვამს დანას),*** ძველებურად, სისხლით... აი, იმას — გახსოვს, ჩვენთან რომ ათევდა ხანდახან? როგორი ბიჭი იყო, ჰა? თიბვაშიც მოგვეხმარა.

სიდო. ჰო, ის კარგი ბიჭი ჩანდა.

ვანო. ჰოდა, კარგი რომ იყო, იმიტომაც ვჭამეთ ფიცვერცხლი... არა, ისე, ჩვენი წინაპრები მაგარი ვაჟკაცები იყვნენ. რა სიტყვებია, ნახე: ჩემი დედაი — შენი დედაი, ჩემი დაი — შენი დაი...

ნინო ***(უცებ ხმამაღლა შეჰკივლებს).*** ვაიმე!

სიდო. რა მოხდა?

ნინო. რძე!.. რძე სულ დამავიწყდა! ***(გაიქცევა)***

ვანო. კაი დროსია!

ნინო ***(შემოდის დამნაშავის იერით).*** მიმწვარა.

სიდო. შენი ჭირიც წაუღია.

ვანო. ახლა, მე რომ დამმართნოდა ეგ ამბავი, იმ რძის ქვაბს ხომ თავზე დამამხობდი? ვაჰ, როგორ მჩაგრავთ, ქალებო, როგორ...

ნინო. მე წავალ, მამას მივაკითხავ.

სიდო ***(გახარებული).*** მართლა? კარგს იზამ. ოღონდ, რამე მოიხურე, არ გაცივდე.

ნინო. ჰო... ***(თავშალს მოიხვევს და გადის).***

ვანო. სიდო, მოდი ერთი რაც იქნება, იქნება — ხინკალი მოხარშე.

სიდო. რა დროს ხინკალია?

ვანო ***(ტელევიზორს მოუთათუნებს ხელს. კმაყოფილი).*** ესეც ასე. აბა, მომეხმარე, სიდო. დავდგათ თავის ადგილას, კოხტად! ***(ორივენი ასწევენ)*** ყოჩაღ, სიდო! ხელი არ გაუშვა, თორემ დავიღუპებით. ***(ტელევიზორს ჩართავს. გადასართველებს ატრიალებს. შიშინი)***

სიდო. ადრე ხმა მაინც ჰქონდა, ახლა ისიც ჩაუწყვიტე.

ვანო ***(გაჯავრებული გამოთიშავს).*** ეს ტელევიზორი შენი ხნისაა, მეტის თუ არა! ***(სიდო დაბარბაცდება)*** რა მოგივიდა, სიდო?.. ***(ტახტთან მიჰყავს და დასვამს)*** წნევა, ხომ? მაგის კუბო დავდგი! ***(ბალიშს დაუდებს)*** წამოწექი.

სიდო. არ მინდა, გამივლის ***(წამოიწევს).*** ხინკლის ცომს მოვზელ.

ვანო ***(ძალით მიაწვენს).*** ხომ არ გაგიჟდი, ქალო? ***(იქვე ჩამოჯდება)*** გახსოვს, ერთხელ შუაღამისას რომ გაგაღვიძე? სულ შენთან გვეძინა, პატარები რომ ვიყავით... ჰოდა, მაშინაც ხინკალი მოგთხოვე... შენც ადექი და ღამის სამ საათზე დაიწყე კეთება. დედაჩემი ცოცხალი იყო, ჩვენ კი მაინც შენ დაგდევდით უკან ***(ჩაფიქრდება).*** მაგრამ რა არის, იცი? არ გეწყინოს და ყოველთვის ასეთი მახსოვხარ — მოხუცი... სურათიც არ მინახავს შენი ახალგაზრდობის. მართლა, აქამდე როგორ არ გამახსენდა... შენ რა, სურათი არასდროს გადაგიღია?

სიდო. მაშინ ვის ეცალა სურათისა და კინოსთვის.

ვანო. კინო რა შუაშია, ქალო? ეე, ბნელი ხარ, სიდო, ბნელი... სურათი როგორ არ გადაიღე, ერთხელ მაინც?

სიდო ***(წამოდგება. ქვაბით წყალს შეჰკიდებს ცეცხლზე).*** ერთხელ ჩვენს სოფელში ფოტოგრაფი ამოვიდა... ნატურით უხდიდნენ სურათის საფასურს. ვისაც რა შეეძლო: ყველი, კვერცხი, ქათამი... რამდენი წლის ვიყავი მაშინ? თხუთმეტის, თექვსმეტის?.. წავიყვანე ყველაზე დიდი მამალი და მივედი. მან კი ერთი შემომხედა, შეჰყო თავი იმ რაღაც ჩამოფარებულ ქსოვილში და ტკაც!.. გამოვარდა თეთრი კვამლი... ***(ჩუმდება)***

ვანო. მერე? გადაგიღო სურათი?

სიდო. სურათიც გადამიღო და ის ჩვენი მამალიც უკან გამომატანა. დღესაც არ ვიცი, რატომ.

ვანო. მე ვიცი — მოეწონე და იმიტომ.

სიდო. მოვეწონე, არა!..

ვანო. კი, კი, მე მოვკვდე!.. რა უყავი ის სურათი, სიდო?

სიდო. რაღა მახსოვს ახლა. სურათი კი არა, კაცი ცვდება. ***(ხმაური გარედან)*** აი, მოვიდნენ! ***(გახარებული)*** მამაშენის ფეხის ხმას ათას ხმაში გამოვარჩევ.

ვანო. ნეტა რა გიხარია. მოვა და დაიწყებს ყეფას, ჰიტლერივით.

სიდო. ენა არ გაგიხმეს! ვის ადარებ მამაშენს?

ვანო. ვის კი არა — რას...სირცხვილია, მეზობლის ძაღლის სახელი რომ არ იცი.

შემოდიან ნინო და გიგა, რომელსაც ხელი აქვს გადახვეული ქალიშვილისთვის.

გიგა. როგორ ბრძანდებით, სახლის ანგელოზებო?

სიდო ***(საყვედურით).*** მაინც დალიე, არა?

გიგა. ცოტა, ცოტა. სულ ორი ჭიქა.

ვანო. ბიჭია თუ გოგო?

გიგა. მამას დასცინი, არა? თვითონ რას მიკეთებდი მთელი დღე?

სიდო ***(საჩქაროდ).*** ტელევიზორი გაფუჭდა და იმას აკეთებდა.

გიგა. ისევ ტელევიზორს? არა, ეს ბიჭი მეზარალა ნამდვილად!

სიდო ***(მორიდებით)*** კარგი ახლა, გიგა...

გიგა. შენ კიდე, შენს საქმეს მიხედე... ყველას მამიდა!

ვანო. მე რას გეუბნებოდი, სიდო, ჰიტლერზე?

გიგა. ჰა, წაგივიდნენ ძმაბიჭები? აღარ დაგპატიჟეს ქალაქში?

ვანო. ვიცი, რატომ ხარ ასე დაბოღმილი. ერთი ხბო დავკალი და არ გადამაყოლა? გიყიდი სამაგიეროს!

გიგა. რა ფეხებით მიყიდი? თანაც, მე ხბო კი არ მენანება, მაინტერესებს, შვილივით გაზრდილი სანაშენო საქონელი როგორ გაიმეტე?

ვანო. მე არ მიჭამია.

გიგა. დიდი შეღავათია.

ვანო. გამომიხვედი რა შენც — მინდია!

გიგა. სიდო, ახლა უთხარი, აქედან მოშორდეს, თორემ არ ვიცი, რას ვუზამ!..

სიდო. დაწყნარდი, რა მოხდა ასეთი...

გიგა. ის მოხდა, რომ რეგვენია. არა, მაინც რას აპირებს ცხოვრებაში ეგ ვაჟბატონი? შეეკითხე ერთი, ძალიან მაინტერესებს! დილაობით, თუ წყალი არ გადაასხი, ლოგინიდან ვერ წამოაგდებ. მერე მთელი დღე ან გარეთ დაყიალობს, ან შლის და აწყობს... შლის და აწყობს: რადიოს, ტე-

ლევიზორს, ანტენას... პატარა ბავშვებმა რომ იციან, ისე. ამხელა კაცი!..

ვანო. აუჰ, დაიწყო!.. წავედი მე. ***(საკიდიდან თბილ ქურთუკს ჩამოგლეჯს)***

სიდო. სად, ვანო?

გიგა. სად წავა? ვინმეს ანტენა ექნება გასასწორებელი და სხვა ვინ აძვრება სახურავზე? ***(ვანო კარს გაიჯახუნებს)***

სიდო. კი მაგრამ... ხინკალი?

გიგა. რა უმაქნისია... თან სულელი, კაცო! წმინდა წყლის სულელი. ყველა შემხვედრი რომ გააბრიყვებს, იმისთანა.

ნინო. მამა, მეც წავალ, რა... კინოს საყურებლად.

გიგა. კი, მაგრამ... ***(სიდოს მიუბრუნდება)*** აკი ტელევიზორი შეაკეთაო?

სიდო *(დაიბნევა).* რას შეაკეთებდა... მკვდარს გააცოცხლებ?

გიგა *(ხელს ჩაიქნევს).* ეს ხომ ყველას გამოესარჩლება... ***(ნინოს)*** წადი, შვილო, წადი... შენ ოღონდ ასე მოწყენილი ნუ დადიხარ და... ***(ნინო გადის)*** რა სჭირს ამ ბავშვს? ტკივა რამე? შენთვის არაფერი უთქვამს?

სიდო. ვკითხე, მაგრამ...

გიგა. კიდევ იმაზე დარდობს, ალბათ, მისაღებ გამოცდებზე რომ ჩაიჭრა... თუმცა იმის მერე რამდენი ხანი გავიდა... რად მინდა მაგის სწავლა, თუ ჯანმრთელობა გადააყოლა. ვერ ხედავ, მოჩვენებას დაემსგავსა? მუნჯივით დადის. შენ ხომ იცი, სიდო, ყველაზე მეტად ეგ მიყვარს ჩემს შვილებში. მირჩევნია, ცოცხლად დამწვან, ვიდრე მაგას თითი წამოსტკივდეს...

სიდო. ოჰ, ოჰ! დაწექი, დაწექი, ნასვამი ხარ!

გიგა. რა ნასვამი! გითხარი, ორი ჭიქა დავლიე-მეთქი. ***(მაგიდასთან მიდის)*** მაჭამე რამე.

სიდო. ეს რა ჩვევა გაქვს. სუფრიდან მოდიხარ და ითხოვ საჭმელს.

გიგა. რა ვქნა, ასეა... თანაც, შენი მორთმეული პური და ყველი მირჩევნია სხვის ხაჭაპურს და მწვადს. ***(მოხუც ქალს მოაქვს საჭმელი და სუფრაზე ალაგებს)***

გიგა. მოდი, შენც დაჯექი. ***(სიდო მის პირდაპირ ჩამოჯდება)*** მე რას შემომცქერი, გადაიღე რამე!

სიდო. არ მშია... ეჰ, ბიჭმა ხინკალი მთხოვა და მერე ისე გავარდა...

გიგა. ვინა, ის ბედოვლათი? არაფერი მოუვა... ***(მადიანად ილუკმება)*** პატარა ბავშვივით ყველა თხოვნას როგორ უსრულებ ამოდენა კაცს, შე კაი ქალო?

სიდო. რა დიდი საქმეც ეგ არი...

გიგა. გაჩუმდი ერთი, გაჩუმდი! არა და არ იცვლები...

სიდო. შენ კი ძალიან შეიცვალე.

გიგა. გიკვირს? იმის მერე, რაც... ***(ხელს ჩაიქნევს)***

სიდო. მითუმეტეს... ვანოსთან სხვანაირი ლაპარაკი სჯობია. ისედაც გაქცევაზე უჭირავს თვალი.

გიგა. გავაქცევ მე მაგას!.

სიდო. ცხონებული მამაჩვენი უფრო ლმობიერად გექცეოდა.

გიგა. სამაგიეროდ, შენ არ მიაჩნდი არაფრად. დაგავიწყდა? მე კარგად მახსოვს, რა მკაცრად გეპყრობოდა. ჩვენს სახლში მოჯამაგირესავით უფრო იყავი. არა, მამას, რაც გინდა თქვი და — უცნაური, სასტიკი ხასიათი ჰქონდა.

სიდო. ყოველთვის ასე კი არ იყო... ***(ამოიოხრებს)*** ადამიანები იცვლებიან. ყველა ვიცვლებით. ხანში რომ შევიდა, სხვანაირი გახდა.

გიგა. არა, ბატონო! ჩემს მიმართ, პირიქით, ბოლოს უფრო იჩენდა სითბოს. პატარაობისას რამდენჯერ ვუცემივარ მათრახის ტარით, მოხუცებულობაში კი შაქარივით დატკბა.

სიდო. შენ ხომ უმცროსი შვილი იყავი. თანაც, ერთადერთი ბიჭი.

გიგა. შენ კი — ერთადერთი ქალიშვილი.

სიდო. იქნებ ის უხაროდა, იმედი რომ არ გაუცრუე და კარგი ადამიანი დადექი.

გიგა. შენ ვითომ რითი გაუცრუე იმედი? გერი ხომ არ იყავი მართლა და მართლა?

სიდო. მე არ განვიცდიდი. მიხაროდა კიდეც, გეფიცები...

გიგა. რა გიხაროდა?

სიდო. რომ შენ ასე უყვარდი დედასაც და მამასაც.

გიგა. მე კი ისე მეცოდებოდი... სულ იმას ვნატრობდი, ნეტა მალე გავიზარდო, რომ ამ პირუტყვულ შრომას ჩამოვაშორო-მეთქი. თუმცა... ***(ნაღვლიანად ჩაიცინებს)*** მაინც არ გეშველა. ეტყობა, ასეთი ბედი გქონია. მერე ჩემს ოჯახში გადაიქეცი მოსამსახურედ.

სიდო. ჩემთვის უფრო სასიამოვნო საქმიანობა არც არსებობდა. ან ვინ მყავდა თქვენზე ახლობელი?

გიგა. ეგ კი ეგრეა, მაგრამ ვინ იცის, საკუთარი ოჯახი რომ შეგექმნა, უფრო ბედნიერი ყოფილიყავი. თორემ რა გამოდის — მამა ვარ და ჩემმა შვილებმა რა გამიკეთეს... მამიდა ვიღას ახსოვს?

სიდო. სამაგიეროდ, მე ხომ მახსოვს? კარგად იყვნენ და სხვა არაფერი მინდა.

გიგა. ასე არ შეიძლება. არ შეიძლება, ყველას ყველაფერი აპატიო.

სიდო. კარგი, დამშვიდდი, შეირგე ვახშამი. რა დროს ძველი ამბების გახსენებაა?

გიგა. ძველი? ***(ჩანგალს დააგდებს და თავს ხელებში ჩარგავს)*** ეჰ, გული მეფლითება, რომ გამახსენდება.

სიდო *(ღიმილით).* რა, ჩემი ახალგაზრდობა?

გიგა. ეგეც და... ისიც, რა დამმართეს ჩემმა ბიჭებმა.

სიდო. არ გინდა ახლა...

გიგა. როგორ ვაპატიო... უკითხავად გამეპარნენ!

სიდო. ორივეს უყვარდი და პატივს გცემდნენ, მაგრამ... ხომ იცი, რას ნიშნავს ომი პატარა ბიჭებისთვის.

გიგა. თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ რა დამავიწყებს.

სიდო. უნდა შევეგუოთ, სხვა გზა არ არის.

გიგა. ერთი სიტყვითაც არ გამაფრთხილეს!

სიდო. რომ ეთქვათ, გაუშვებდი?

გიგა. არ ვიცი... ***(პაუზა)***

სიდო *(წამოდგება, ნელა საქმიანობს რაღაცას ბუხართან).* ლევანის ბრალი არ ყოფილა... ისიც არ იყო დიდი ხნის. ოცი წელი განა რა ასაკია... და როცა დაბრუნდა, ისე ცივად რომ არ შეხვედროდი, იქნებ ის უბედურებაც არ შემთხვეოდა.

გიგა. ჰოო? ***(გაოცებით შეხედავს)*** ამდენ ხანს ერთი საყვედურიც არ გითქვამს ჩემთვის.

სიდო. როგორ გეტყოდი... დათუნას მერე...

გიგა *(ჩუმად).* სახელს ნუ იტყვი... ვერც მე ვამბობ. ერთხელაც არ მიხსენებია, ხომ იცი.

სიდო. ვიცი... წუხელ დამესიზმრა და ალბათ იმიტომ...

გიგა. დაგესიზმრა?! როგორ?.. თუმცა არა, არ მომიყვე! ***(წამოდგება და ბუხართან ჯდება, დისგან ზურგშექცევით)***

სიდო. იქნებ დაწვე და დაისვენო?

გიგა. მე რატომ არ მესიზმრება... ***(პაუზა)***

სიდო ***(ცდილობს საუბრის თემა შეცვალოს).*** მაინც როგორ დაგვტოვა უტელევიზოროდ ჩვენმა ჩხირკედელამ? ეგ საქმე მაინც ემარჯვება და ახლა რაღა მოუვიდა... ისე, ძალიან კი ცდილობდა...

გიგა. რაც უნდა მითხრა, სულერთია, შვილებმა იმედი გამიცრუეს. მხოლოდ ჩემი გოგო... ***(სიტყვა გაუწყდება, რადგან კარი გაიღება და შემოვარდება აღელვებული ნინო)*** რა მოხდა? ***(წამოხტება)***

ნინო. მამა!.. მამიდა!.. ლევანი ჩამოვიდა!

ოთახში შემოდის ძველ ტანსაცმელში ჩაცმული, პირგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, ხელში პატარა ფუთით.

ლევანი. გამარჯობა, მამა!

სიდო მივარდნას აპირებს, მაგრამ ძმა ისე შეხედავს, ადგილიდან ვერ დაიძრება. ლევანი ქუდს მოიხდის და გადახოტრილ თავზე უხერხულად ისვამს ხელს.

ნინო. ლევანი ჩამოვიდა, გესმით?

ლევანი. ძალიან დავიღალე... ***(გაღიმებას ცდილობს)*** მაჭამე რამე, მამიდა, მშიერი ვარ.

სიდო ***(ვეღარ მოითმენს).*** მოგიკვდეს ჩემი თავი! ***(მივარდება და გადაეხვევა).***

გიგა უხმოდ გადის ოთახიდან.

2.

დილა. სიდო ცეცხლთან ფუსფუსებს. რაღაცას ურევს ქვაბში. შემოდის ნინო. ახალგაღვიძებულია. თვალებს იფშვნეტს.

სიდო. გაიღვიძე, გენაცვალე? ნახე, რა მოგიმზადეთ. ლევანი ბავშვობიდან გიჟდება ხაჭოს ნინკალზე.

ნინო. გაათენე, მამიდა? რა საყვარელი ხარ! ***(ჰკოცნის)*** არასოდეს იღლები, არასოდეს წუწუნებ!.. მე კი მართლა უმაქნისი და ზედმეტი ადამიანი ვარ!

სიდო ***(გაოცებით)*** რა სისულელეს ამბობ?

(წინკარში ვიღაც ახმაურდება. გამოჩნდება ლევანი)

ნინო. ლევანიც რა ადრე ამდგარა. ***(მისკენ გაიქცევა)***

ლევანი. პირი დამაბანინე, დაიკო! ***(ნინო წყალს უსხამს)***

ლევანი ***(სახეს იმშრალებს. თან რაღაც უცნაურად უყურებს დას. ჩაიცინებს).*** გამოცვლილხარ, ხომ იცი?

სიდო. აბა რა იქნება. ცამეტი წლის ბავშვი დატოვე და...

ლევანი. არა, მაგაზე არ ვამბობ... მერეც ხომ ვნახულობდი, ციხეში რომ მოდიოდა... რაღაც სხვანაირი მეჩვენა.

ნინო. სხვანაირი?.. შენც სხვანაირი ხარ.

ლევანი. კი. უარესი გავხდი, ვიდრე ვიყავი. ***(ისევ ჩაიცინებს)***

სიდო. მოდით ახლა, დასხედით!

ლევანი. სასაფლაოზე მინდა გასვლა.

სიდო. ჯერ...

ლევანი. არა, ერთ ლუკმასაც ვერ შევჭამ. გუშინაც ვაპირებდი, მაგრამ იმ წკვარამ ღამეში აღარ ღირდა.

სიდო. მარტო წახვალ?

ლევანი. ჰო, მარტო... ***(გადის)***

სიდო. ***(სიყვარულით გააყოლებს თვალს)*** უარესი გავხდიო... არადა, უფრო დამშვენებულა იმ დასაწვავ კედლებში.

ვანო ***(შემოდის მთქნარებით).*** სად არი ლევანი?

სიდო. სასაფლაოზე წავიდა.

ვანო. ჩვენი ფიურერი?

სიდო. ვინა?

ვანო. შენი ძმა... რა იყო, რომ ხმა არ გასცა ლევანს? კაცი ციხიდან გამოვიდა. შვილია, ბოლოს და ბოლოს.

სიდო. დაელაპარაკება, შენ არხეინად იყავი.

ვანო. კაცო, შენ გადამრევ, სიდო!.. უბრალოდ, ამ სახლში გაძლება არ შეიძლება, რა! რატომ არ გინდა გაიგო, რომ შენი ძვირფასი ძმა პირველი უჟმურია. მეორე ეს არის...

ნინო ***(მოულოდნელი გაცხარებით).*** მე თავი დამანებე, გესმის? იდიოტო!

ვანო. აი! აი, რა სიტყვებს გაიძახის!.. მამას გოგო.

სიდო. კარგი რა, ვანო...

ვანო. შენ კიდევ... რა უნდა გელაპარაკო, საკუთარი აზრი არ გაგაჩნია. ყველას ეფერებოდე და ეფარებოდე, ეგეთი არაფერი გამიგია. ერთხელ მაინც გაამტყუნე ვინმე, ცხოვრება გაიმრავალფეროვნე... ***(სუფრასთან ჯდება)*** მაჭამე რამე. ერთი აქაურობას მომაშორა და!.. ჩვენ ხომ ადამიანური ცხოვრება არ ვიცით, რაა. მიკარგული სადღაც მთაში, ტყეში და ოხრობაში, მგლებივით... გზა აქ არ ამოდის და არაფერი. დაცარიელებული სახლები... ყველა წავიდა.

სიდო. და შენც გარბიხარ, არა?

ვანო. აბა, რას დავუჯდე აქა?

სიდო. მგლებივით ნამდვილად არ ვცხოვრობთ, მაგრამ თუ აქედან წახვალ, მაშინ კი მოგიწევს მგელივით წანწალი ლუკმა-პურის საშოვრად. შენ გგონია, მზამზარეულს მოგართმევენ?

ვანო. რა იცი, შენ, გეკითხები? წავალ იმ ჩემს ძმაკაცებთან და მომაწყობენ სადმე. ნუ გეშინია, ქუჩაში არ დავრჩები.

სიდო. ჭამე, ჭამე და მაგ სისულელეზე ფიქრს მოეშვი. რატომ არ უნდა იცხოვრო აქ. ჰაერია, ბუნება... გზა თუ არ მოგწონს, თვითონ გაიყვანე უკეთესი. ყველანი რომ გარბიხართ, იმიტომ იქცევა ის გზაც და ხიდიც და სოფელიც.

ვანო. რას გეტყვი, იცი, აგიტატორო? ნეტა შენ თვითონ გაქცეულიყავი თავის დროზე. გაყოლოდი იმ შენს ფოტოგრაფს, ქათმებიანად.

სიდო. ვინ ფოტოგრაფს?

ვანო. ვითომ არ იცის!.. სურათი რომ გადაგიღო და ერთი ნახვით შეუყვარდი.

სიდო. შენ რა გითხარი! ***(გაღიმება)*** გესმის, ნინო?

ვანო. მაგას არაფერი აღარ ეყურება. აი, შეხედე, როგორ მიაშტერდა ფანჯარას... ახლა სადღაც დაფრინავს, ხო იცი? ***(ხელს ჩაიქნევს)*** ამ სახლში ნელ-ნელა ყველა ითიშება, ჩვენი ტელევიზორივით.

სიდო. ადე, გაიარ-გამოიარე და ნერვებიც დაგიმშვიდდება.

ვანო. აი, ეგ მაგიჟებს სწორედ. ადგები, გაივლი, გამოივლი — არაფერი! გახვალ ეზოდან, გაიხედავ — ტყე! გამოიხედავ — მთა! ერთი და იგივე სახეები! არსად გეჩქარება, არსად გელიან. წახვალ, დადგები უსაქმურად. წამოხვალ...

სიდო. საქმის მეტი რაა, თუ ხელს გაანძრევ.

ვანო. ამას არ გავიძახი? აქ ან უსაქმურობით ამოგხდება სული, ან ვირული შრომით. მე არც ერთი მაძლევს ხელს და არც მეორე... ეჰ, წავედი, წავედი!

სიდო. სად?

ვანო. ნუ გეშინია, დღესვე კი არ ვაპირებ აქედან გადასახლებას. გავივლი, გამოვივლი. დავხედავ მეზობელ ადამიანებსა და მეზობელ ცხოველებს. ლევანსაც გადავავლებ თვალს დღის სინათლეზე. ***(გასვლისას დას წკიპურტს გაჰკრავს ცხვირზე)***

ნინო ***(ისტერიულად).*** მომშორდი!

სიდო. ნინო, რა გემართება?

ვანო. ქაჯია რა! ქაჯის ქალი. ***(გადის. სიდოც გაჰყვება)***

ნინო ***(სარკესთან მიდის).*** ვერ მცნობენ! ვერ მცნობენ! ***(ლოყებზე ჩამოისვამს ხელებს)*** ვინ ხარ, შენ? თავადაც ვეღარ გცნობ... სხვანაირი გახდი და მეზიზღები, რომ გიყურებ...

3.

საღამო. სიდო ბუხართან ზის და მატყლს ჩეჩავს.

გიგა ***(კარს აღებს და წვიმის ხმაური შემოიჭრება).*** უუჰ, რა თავსხმაა! ძლივს შემოვასწარი. ***(ცეცხლს მიუშვერს ხელებს)*** მარტო ხარ?

სიდო. ჰო, ყველანი სადღაც წავიდ-წამოვიდნენ.

გიგა. მაინც სად?

სიდო. ხომ იცი, რაც ლევანი დაბრუნდა, გადაპატიჟებები არ თავდება. ყველას უნდა, პატივი სცეს, ამდენი ხნის მერე.

გიგა. აბა რა! ძალიან პატივსაცემია, ისეთი სასახელო საქმისთვის იჯდა ციხეში.

სიდო. აღარ უნდა დამშვიდდე, გიგა?

გიგა. შენ — აღარ უნდა მოეშვა ადვოკატობას?

სიდო. ახლა ჩემი გადაკეთება გვიანია. სულ ასეთი ვიყავი. აკი თვითონაც ხშირად მიმეორებ ამას.

გიგა. ჰო, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება დაივიწყო, რა სამარცხვინო დანაშაული ჩაიდინა შენმა ძმისშვილმა.

სიდო. შენ კი დაგავიწყდა, რომ ის დანაშაული უნებურად მოხდა... სახლიდან წავიდა და გაეხვია შარში.

გიგა. საქმეც მაგაშია, რომ წასვლა მოინდომა. ჯერ ომიდან ჩამოყოლილი ჭრილობა არ მოშუშებოდა, რომ იმ ქალთან ერთად გავარდა ცხრა მთას იქით.

სიდო. რას იზამ, ყველას აქვს ბედნიერების უფლება.

გიგა. მაგის გარდა მოვალეობაც არსებობს. როგორ გგონია, მე არ შემეძლო ფეხი დამეკრა და გავქცეულიყავი შინიდან? მაგრამ ოჯახი არასდროს მიმიტოვებია.

სიდო. ჰოდა, ეტყობა, შენთვის ბედნიერებაც ეს იყო.

გიგა. რა?.. ***(გაოცებულია. ფიქრობს)*** მართლა ასე გგონია? ***(პაუზა)*** კი მაგრამ, შენ? შენ ვინღა წაგართვა ეგ უფლება? რატომ ერთხელ მაინც არ გაიბრძოლე, რომ უკეთესად გეცხოვრა?

სიდო. მერე? ***(გაეღიმება)*** მოვალეობაც ხომ არსებობს?

გიგა. შენი მოვალეობა არ ყოფილა ჩემი შვილებისთვის თავის შეწირვა.

სიდო. ამაზე ხომ ვილაპარაკეთ... იცი, რას გეტყვი? ცოდოა ბიჭი, ასე ნუ ატკენ გულს.

გიგა. გგონია, მე არ მეცოდება? ჩემზე მეტად შენ გიყვარს ჩემი შვილი? მაგრამ რომ გამახსენდება, რის გამო დაიღუპა თავი...

სიდო. სიყვარულის გამო.

გიგა. რაო, სიყვარულიო?

სიდო. ამით ყველაფრის გამართლება შეიძლება.

გიგა ***(გაეცინება).*** შენც რომ სიყვარულზე დაიწყე ლაპარაკი... ვითომ ძალიან გამოცდილი იყო სასიყვარულო ამბებში.

სიდო ***(მატყლის ჩეჩვას თავს ანებებს).*** მართალია, აბა, რა გამეგება.

გიგა. ჩემზე უფრო ვინ განიცდის? საკუთარი შვილი არ გყოლია. მე კი ოთხი გავზარდე და...

სიდო ***(ჩაწყვეტილი ხმით).*** მართლაც, აბა, მე რას მივხვდები...

გიგა. მაპატიე, ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ შენი მიმტევებლობა გადამრევს. კაცს ერთი დედ-მამის შვილები არც ვეგონებით. შენგან ერთი შელაპარაკებაც არ ახსოვს არავის. არადა, ასე ჩუმად ჩამობერდი კიდეც.

სიდო ***(კუშტად).*** ჰო, დავბერდი.

გიგა. ეგებ სულ ჩუმად, უსიტყვოდ ყოფნამ მოგახუცა. მუდამ წყნარად, თავჩაღუნული დადიოდი. ახლა იმის მეშინია, ეს გოგოც შენ არ დაგემსგავსოს და ძმების მოსამსახურედ არ დარჩეს სახლში.

სიდო. მაგის ნუ გეშინია... ***(წამოდგება, რამდენიმე ნაბიჯს გაივლის, მერე კი მაგიდას დაეყრდნობა)***

გიგა ***(შეშფოთებით).*** რა მოგივიდა?!

სიდო ***(გაულიმებს).*** არაფერია.. გამივლის.

გიგა ***(მასთან მიდის).*** დაწექი, დაისვენე. წვეთებს დაგისხამ... მთელი ცხოვრება ყველაზე ადრე იღვიძებ და ყველაზე გვიან წვები. ერთხელ მაინც დაიძინე დროზე.

სიდო. მინდოდა, ბავშვებს დავლოდებოდი...

გიგა. ბავშვები დიდი ხანია გაიზარდნენ... დაისვენე! ***(ხელს აშველებს. ერთად გადიან)***

4.

შუაღამეა. სიდო კვლავ ბუხართან ზის და ქსოვს. ლევანი უჩუმრად მიეპარება და მხრებზე მოეხვევა.

ლევანი. მამიდა! შენ ერთადერთი ხარ, შეუცვლელი... ჩვენი წმინდანი, ჩვენი ყველა და ყველაფერი. ჩვენი...

სიდო ***(წყენით).*** ისევ? ერთი დღე მაინც ჩაგეგდო, რომ არ დაგელია.

ლევანი. ხომ იცი, ასე ადვილად არ ვთვრები... მაგრამ ამ ამოთხრილ გზაზე ფეხი მაინც დამიცდა და ტალახიან გუბეში ჩავვარდი.

სიდო. მთლად დასველებულხარ. გამოიცვალე, ჩქარა! ***(ლევანი სვიტერს იხდის. მოხუცი ქალი ამშრალებს)*** ეს რაა, ბიჭო, სულ დაფარული ხარ წარწერებით. ტანის ასე მოხატვა გაგონილა?

ლევანი. ეგ ისე, უსაქმურობისგან... ხომ იცი, რამდენი თავისუფალი დრო მქონდა.

სიდო. მერე, საკუთარმა სხეულმა რა დაგიშავა?

ლევანი. მაგან დამიშავა, თუ დამიშავა... ისე, ხომ კარგი ფიგურებია? ნახე, ამას შეხედე... ქვემოთ ვეფხვია. ***(ზურგით მიუტრიალდება).*** მარცხენა ბეჭზე დანას ხედავ? ზურგიდან ნუ ჩამცემთ, მუხანათურადო, რა...

სიდო. დაგვიფარე, ღმერთო! უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე?

ლევანი. კი, მანდ შენი საყვარელი ბრძნული გამონათქვამებიც ბლომად წერია.

სიდო. სხვა გასართობი ვერ მოიფიქრე-მეთქი დროის გასაყვანად?

ლევანი. არა, რატომ, წიგნებსაც ვკითხულობდი, ღილების დაკერებაც ვისწავლე და...

სიდო ***(მშრალ პერანგს ჩააცმევს).*** ახლა ლამაზი ხარ... არა, ისედაც ძალიან ლამაზი ხარ. ***(თავისთვის)*** ღმერთო, როგორ მაგონებ...

ლევანი ***(ყურს მოჰკრავს).*** ვის, სიდო? მამაჩემს არ ვგავარ, დედას — მით უფრო. შენ მაინც გამაგებინე, ვის უნდა ვუმადლოდე ამ სილამაზეს — ქუჩაში მშვიდად ვეღარ გამივლია, მაშინვე უნდა ჩამკეტონ, მზეთუნახავივით, შვიდირვა წელი ***(იცინის).***

სიდო. ნუკი ხუმრობ, მართლა შნოიანი ხარ.

ლევანი. და ვის ვგავარ?

სიდო. სახის ალი... თვალ-წარბი ***(წარბებზე გაუსვამს თითს)...*** მხარ-ბეჭი... აჰ, არ ვიცი... მთავარია, რომ ასეთი ხარ და ეგეც ღვთის საჩუქარია, რომ იცოდე.

ლევანი ***(წაიმღერებს).*** ლამაზი ხარ, მაგრამ ნაგავიოო! სიდო, გესმის?

სიდო. ვინ გითხრა? ის ქალი გეტყოდა.

ლევანი. ჰო. მალე მოსწყინდა ცარიელი თვალ-წარბის ყურება და მთლად უწარბო, უთმო და უმხარბეჭო კაცში გამცვალა.

სიდო. ნუ გიკვირს. მანამდე ხომ ქმარიც მიატოვა შენი გულისთვის და ოჯახიდან გაიქცა.

ლევანი. არც მიკვირს. ეგეთ ქალებს სისხლში აქვთ ღალატი.

სიდო. ლამაზი კია ისიც... საბრალო. როგორ უყვარდი.

ლევანი. რა, სიდო? საბრალოო?! იმას ფული უყვარს, სხვა არაფერი.

სიდო. შენ ხომ ფულისთვის არ გამოგყოლია.

ლევანი. რა მიყო, ნახე... დანა ამაღებინა ხელში, მკვლელი გამხადა.

სიდო. მაგრამ ხომ გადარჩა, მადლობა ღმერთს.

ლევანი. ჰო, მადლობა, დიდი მადლობა! ისეთი მადლიერი ვარ, რომ აღარ ვიცი, რა ჩავიდინო კიდევ... გადარჩა, დიახ!

სიდო. თვითონაც უბედურია, ალბათ.

ლევანი ***(არ უსმენს).*** ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ შვილი როგორ გაიმეტა? ჯერ დაუბადებელი შვილი... ჩემგან არ უნდოდა, ხელს უშლიდა. როგორ გაიმეტა! ჩემი შვილი...

სიდო ***(ეფერება).*** შენ კიდევ გეყოლება შვილი. იმდენი, რამდენსაც ინატრებ. ნახე, რა ლამაზი ხარ, რა ღონიერი... რომელი ქალი არ გამოგყვება სიხარულით?

ლევანი. სიხარულით ხომ? ნაციხარს, დაღუპულს.

სიდო. ნაციხარი — დიდი ამბავი... აი, ჩვენს ეკას, აგე, დღემდე უყვარხარ.

ლევანი. ვის? აა, ეგ არ გათხოვილა?

სიდო. არა, შვილო. ბევრსაც მოსწონდა, მაგრამ ყველა უარით გაისტუმრა.

ლევანი. არ გინდა, რა! ეკა... უარეს გუნებაზე დავდექი.

სიდო. კარგი, შევეშვათ ეკას. ვინც უნდა ამოარჩიო, თავს დავდებ, უსიტყვოდ გამოგყვება ქვეყნის კიდემდე. ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალიც კი.

მხატვარი თამარ მინაშვილი

ლევანი. ყველაზე ლამაზმა ქალმა კი, იცი, რა მიყო.

სიდო. იქნებ დაწვე და დაისვენო, შვილო.

ლევანი. იმათ... სძინავთ?

სიდო. რახანია.

ლევანი. შენ უძილობა გჭირს?

სიდო. ჰო.

ლევანი. მეც... წყალი შეგიძლია დამალევინო?

სიდო. ცუდად ხარ, ხომ?

ლევანი. თავისუფლებამ დამცადა.

სიდო. ფერი სულ დაგეკარგა... ასე არ შეიძლება ***(წყალს დაისხამს და სველ ხელებს უსვამს სახეზე)!***

ლევანი. იმას ვამბობდი, რომ არ ვიცი, რაში მჭირდება თავისუფლება, როცა მშობლიურ სახლში არ მიგელიან, არავის უყვარხარ, არავის...

სიდო. ეგ რამ გათქმევინა! ***(მის თავს ჩაიხუტებს)*** ჩემო პატარავ! ჩემო...

ლევანი ***(ტირის).*** მხოლოდ შენ... მხოლოდ შენ... ***(თავს კალთაში ჩაუდებს. მამიდა თავზე ეფერება. კარში პერანგისამარა ნინო გამოჩნდება)***

ნინო ***(დამნაშავის იერით).*** მომწყურდა... საწოლთან რომ გრაფინი მედგა, სულ დავცალე.

ლევანი. ძალიან გწყურია, ნინო? შენც გწყურია, ვინმე დაიმონო და მერე წვეთ-წვეთად გამოსწოვო სისხლი?

სიდო. რა სისულელეებს ამბობ, ბიჭო! ვანოსავით დაიწყე შენც?

ლევანი. რატომ, ქალებს ხომ გიყვართ, ფეხქვეშ გაიგოთ ყველა ბრიყვი, ვისაც ჰგონია — დაგიმორჩილათ... შენ არ გეხება, სიდო, ისეთი კეთილი გვყავხარ. ეს ჩემი პატარა დაიკო კი, რომ ვუყურებ, ასე მგონია, კბილით გადაღრღნის ყელს იმას, ვინც... ***(ხელს ჩაქნევს)***

ნინო ***(ენა ებმის).*** რა... რატომ... რა საშინელებას ამბობ!..

სიდო. მართლაც. ასეთი რა დალიე? წადი, დაიძინე!

ლევანი. რა დამაძინებს, როცა ჩემი და გათენებამდე მოჩვენებასავით დაბორიალობს ოთახიდან ოთახში, ძმა ძილში მღერის, მამას ვეჯავრები და მხოლოდ შენ დამრჩი ერთგული.

სიდო. მამას ვეჯავრებიო? ახლა კი მართლა რაღაცას როშავ.

ლევანი. ეგრე გეგონოს. გული საშინლად მტკივა...

ნინო ***(სიბრალულით).*** მამას უყვარხარ, ძალიან უყვარხარ!

ლევანი. მამაჩვენს მხოლოდ უცოდველი კრავები უყვარს. მეგონა, რომ დამინახავდა, მთელ საქონელს დაკლავდა და ამ ხეობის ხალხს ყველას შეჰყრიდა, მაგრამ როგორ! საგმირო საქმე ხომ არ ჩამიდენია — მკვლელობის მცდელობისთვის ვიხდიდი სასჯელს... არა უშავს, ცოტა ხანს მოვიცდი და მერე მოვშორდები, აღარ ვანერვიულებ.

სიდო. რა თქვი?

ლევანი. წავალ, სამუშაოს ვიშოვი, სიდო. ისედაც დიდი ხანი ვიჯექი უსაქმოდ. კაცი ვარ. ერთ-ორ კაპიკს ვიშოვი, თქვენც გამოგიგზავნით.

სიდო. ჩვენ მშვენივრად ვირჩენთ თავს. არაფერი გვჭირდება.

ლევანი. ნინოს ხომ სჭირდება? ახალგაზრდაა. თანაც, უსწავლელი ხომ არ დარჩება? მე წავიყვან ***(დას შეხედავს).*** ოღონდ გაზაფხულამდე მოითმინე როგორმე.

სიდო ***(სიცილით).*** კარგი, მოითმენს... მაგრამ იქნებ აქ ერჩივნა? ეგებ შენც გადაიფიქრო...

ადრე არავინ არსად მიდიოდა. სამუშაო აქაც თავზესაყრელად იყო. ეჰ, მოიშალა ქვეყანა. დაცარიელდა ეს სავსე ხეობა. ***(ნინოს)*** ან ჩაიცვი, ან ლოგინში ჩაწექი, თორემ ხომ იცი შენი ამბავი — თუ ერთი დაგახველა, მერე...

ლევანი. სანთლის ქანდაკებასავით ხარ, დაიკო. მე რომ ამის ნიჭი მქონდეს, პატარა ფიგურას გამოვთლიდი ნედლი ხისგან და „გაზაფხულის მოლოდინს" დავარქმევდი. მერე ალბათ აყვავილდებოდა და ფოთლებსაც გამოისხამდა... კარგი, წავედი, დავიძინებ ***(გადის).***

ნინო ***(შალს მოისხამს და მამიდასთან ჯდება. ეხუტება).*** ხანდახან მეშინია ლევანის. როგორ ლაპარაკობს.

სიდო. რა გასაკვირია. იქ განა რამე სასიკეთოს ისწავლის კაცი? ვინ იცის, როგორ უჭირდა... მაგრამ ადამიანის სახე არ დაუკარგავს. მისთვის სულერთი არაა, როგორ ვცხოვრობთ, და ეს მიხარია. ხომ შეიძლება, ყველაფრის მიმართ გულგრილი გამხდარიყო. მაინც ვერაფერმა გააუხეშა.

ნინო. როგორ არა! ზოგჯერ ისეთ რამეს მოგახლის...

სიდო. უხეში სიტყვა ერთია, სულის გაქვავება კიდევ — მეორე.

ნინო. გამოხედვა? გიყურებს და თითქოს შენს ყველა ფიქრს კითხულობს.

სიდო. დაკვირვებული გახადა ცხოვრებამ, თორემ გრძნეული ხომ არ არის... ***(ერთხანს ჩუმად სხედან)***

ნინო. გთხოვ, პატარაობისას, ძილისპირულს რომ მეუბნებოდი, ის სიმღერა მომაგონე რა. აი, ანგელოზებზე...

სიდო ***(რაღაცას იხსენებს. მერე ძლივს გასაგონად აღიღინდება)***

ნინო ***(იმეორებს).*** ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი... პატარა ბავშვების ძილის მფარველები...

მამიდა, როგორ ფიქრობ, ეგ ანგელოზები ისევ აქ არიან? ***(სიდო მხრებს იჩჩავს)*** მე კი ასე მგონია, კარგა ხანია გადაიკარგნენ ამ სახლიდან. იქ მიაშურეს, სადაც მეტი სინათლეა, მეტი ხალისი, ხალხმრავლობა... მოსწყინდებოდათ აქ, ჩემსავით.

სიდო. შენი კი მესმის, მაგრამ მაინც მგონია, ცუდად არ ვცხოვრობთ.

ნინო ***(წელში გასწორდება).*** ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა, მამიდა!

სიდო. ჰო ***(გაუღიმებს)...*** მართალი ხარ. შენ ახლა იწყებ ცხოვრებას და ფრთები გინდა გაშალო, განა არ მესმის? ჩემსავით ვერ დაკმაყოფილდები ერთფეროვანი არსებობით და მომაბეზრებელი ყოველდღიური შრომით. მაგრამ ხომ იცი, ყველაფერი წინ გაქვს.

ნინო. ყველაფერი წინ მაქვს — უკვე რამდენი ხანია. მომავალი, მომავალი... შორეული, ბუნდოვანი. ის სულ მოდის და მოდის. მე კი ახლა მინდა, ახლა მჭირდება — დღესვე, ამ წუთას!

სიდო. რა გჭირდება, ზუსტად იცი? მაინც წინაა ყველაფერი. ისწავლი კიდეც და ბევრსაც მიაღწევ.

ნინო. ახლა ძალიან მიჭირს. თავი უდაბნოში მგონია. აი, ძალიან რომ გწყურია და მარტო ქვიშა ყრია... ღამე მესიზმრება კიდეც — ვითომ უგზო-უკვლოდ მივდივარ ცხელ ქვიშაში და წყურვილით ვიხრჩობი. თან რაღაც პატარა ფრინველი მომდევს საცოდავი ძახილით... ვითომ იმასაც სწყურია... არა, მართლა ძალიან მიმძიმს...

სიდო. გთრგუნავს რამე? ვინმე გჩაგრავს, ცუდად გექცევა თუ რა? თავისუფალი ჩიტივით ცხოვრობ.

ნინო. რომ მჩაგრავდნენ, უკეთესი იქნებოდა. თუ ვინმე გტანჯავს და გაწამებს, მაშინ აჯანყდები და იბრძოლებ. გაიქცევი, ბოლოს და ბოლოს. ახლა კი ვის გავექცე, ვის ავუჯანყდე — საკუთარ თავს? ***(ერთხანს დუმან)***

სიდო. პირველ რიგში საკუთარ თავს... საკუთარ უძლურებას და არაფრობას.

ნინო. რა გინდა მითხრა — რომ ნამდვილი არარაობა ვარ?

სიდო ***(შეწუხებული).*** შენ არა ***(კოცნის)!*** ჯვარი გწერია. ჩემთვის ვფიქრობდი... ყველაფერს აიტანს ადამიანი — თუ ის მართლაც ადამიანია — მხოლოდ თავისივე არარაობის შეგნება გაანადგურებს. დანარჩენი გასაჭირი რა მოსატანია, ოღონდ კაცმა საკუთარი ღირსება იწამოს... როცა შენს თავთან მოაგვარებ საქმეს, მაშინ ყველასთან, თვითონ ცხოვრებასთან შეგუებასაც შეძლებ.

ნინო ***(ცხარედ).*** ღმერთმა დამიფაროს, იმას შევეგუო, რისი გაძლებაც არ შეიძლება და რაც არასწორად მიმაჩნია!

სიდო. რა თქმა უნდა! ღმერთმა ნუ ქნას! ეგ ასეც უნდა იყოს... ცუდს და უკადრებელს კი არაფერს ვგულისხმობდი. მაგრამ იმ სწორ არჩევანს რომ გააკეთებს კაცი, თვითონ აღარ უნდა იხლიჩებოდეს და ორ ცეცხლს შუა არ იწვოდეს.

ნინო. რამდენიც გინდა, იმდენია, ვინც არაფერზე დარდობს; არც შეცდომებზე ფიქრობს და სულ არ აწუხებს, სწორად მოიქცა თუ არა. არც ორ ცეცხლს შუა იწვიან და არც არაფერი... მთავარია, რამე წაგლიჯონ ამ ცხოვრებას და მორჩა!

სიდო ***(იცინის).*** ისე ლაპარაკობ, თითქოს ასი წელი გაწევს მხრებზე და რაც კი ქვეყანაზე ოხერ-ტიალია, სულ შენ გადაეყარე. მაგრამ სწორად კი ამბობ. ანდა წლებში რა ხეირია. მამაშენიც კი მარიგებს: რაც არ გაგეგება, იმაზე კაი მსაჯულივით ნუ ლაპარაკობო... მაგრამ ერთ რამეს მეც კი ვხვდები — სულ არ არის აუცილებელი, გინდა თუ არა, მთელი დედამიწა შემოიარო და ათასი რამე გადაგხდეს თავზე, რომ ავი და კარგი, ნათელი და ბნელი გაარჩიო და იცოდე, რა არის სწორი.

ნინო. იცოდე და ვერ იცხოვრო, არა? ყველაფერს შეიგრძნობდე და არაფერი იგემო; ხვდებოდე, რომ ნამდვილი ცხოვრება სადღაც უსათუოდ არის და მხოლოდ მასზე ფიქრით დაკმაყოფილდე...

სიდო. შენც ამდენს ნუ ფიქრობ ***(თმას მოუჩჩავს ხუმრობით)...***

ნინო. როგორ არ ვიფიქრო. მეტი რა საქმე მაქვს...

სიდო ***(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ).*** შენ ჩვენთვის ღვთის წყალობასავით იყავი — იმდენი წლის ლოდინისა და სამი ბიჭის მერე... ბამბის ქულასავით თეთრი და მოწმენდილ ცასავით ლურჯთვალა. თითქმის დავიწყებული გვქონდა ჩვილის სუნი. ბიჭები — ნამდვილი გადარეულები — სულ გარე-გარე დარბოდნენ სათამაშოდ. ხელში ვერც მოიგდებდი, თავს არც მოგაფერებინებდნენ. შენ კი სულ სხვა სინათლე

შემოიტანე სახლში. ყველანი შენს პატარა საწოლს მივეჯაჭვეთ. მართლა მოწყურებულივით გეფერებოდით. ცუდია, რომ დედა არ გახსოვს. ისეთი ბედნიერი იყო მაშინ...

ნინო. დედა რომ მყავდეს, იქნებ ასეთი აუტანელი დარდი არ მედოს გულზე.

სიდო. ჰო... რაც უნდა მეცადა, ვერ შევცვლიდი შენს ახალგაზრდა, ძვირფას, მოსიყვარულე დედას...

ნინო. შენ არ გიგრძნობინებია უმისობა.

სიდო. ტყუილია. თუმცა დედაცაა და დედაც... წამო, დავიძინოთ... ***(წამოდგება)*** მე ძალიან მკაცრად მახდევინებდნენ ყველა შეცდომის საფასურს. ძალიან მკაცრად...

ნინო. მართლა, მამიდა? რისთვის გსჯიდნენ? თუ არ ისწავლიდი? შენ ხომ ისეთი წყნარი და ბეჯითი იქნებოდი...

სიდო. ჰო, წყნარი და ბეჯითი... ***(საძინებლისკენ მიდიან)***

ნინო. დამჯერე და მორჩილი.

სიდო. ძალიან, ძალიან მორჩილი... ***(შუქს აქრობს)***

5.

შუადღე. სიდო რძეს ასხამს თოკებზე დაკიდულ ხის ჭურჭელში. ნინოს შეხედავს, რომელიც ცეცხლთან ზის და კალთაში გადაშლილი წიგნი უდევს.

სიდო ***(გაულიმებს).*** შედღვებ?.. იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი, გიყვარს. ***(ნინო უხმოდ მიდის და კარაქის დღვებას იწყებს. მონოტონურად ამოძრავებს ხელს)*** მგონი, ეგ ერთადერთი საქმეა, სწავლის გარდა, რასაც გულმოდგინედ აკეთებდი, ბავშვობიდან. სხვას არ დაანებებდი. ალბათ, მთელი ფერმის რძეც რომ ყოფილიყო თავმოყრილი, მაშინაც... თუმცა ახლა... თითქმის გაშრა საქონელი.

ნინო. ჰო...

სიდო. ისე იყურები გარეთ, თითქოს ვინმეს მოელი. წვიმის და ქარის მეტი მაინც არაფერი ჩანს. საითაც გაიხედავ, სულ გამოკეტილი სახლები... კვამლიც რომ არსაიდან ამოდის. ეჰ, ჯერ ზამთარი კარგად არც კი დაწყებულა და უკვე გაზაფხულის მოლოდინში მელევა გული.

ნინო. იცი, რას გეტყვი... დეიდასთან რომ წავსულიყავი?

სიდო. კაი დროსია. გზები ისედაც რა დღეშია და ახლა ალბათ, ჩაიკეტა კიდეც. ტრაქტორზე თუ დაჯდები, თორემ სხვას რას უნდა გაჰყვე ბარისკენ?

ნინო. ვინმეს ექიმი რომ დასჭირდეს, მაშინ რას იზამენ?

სიდო. ყველას ჯვარი სწერია და ისევ ტრაქტორით თუ წავლენ, შენც ხომ იცი. თანაც, ქალაქელები ისეთი ხალხია... დეიდაშენი კია, მაგრამ ამ ქარაშოტში თავზე რომ დაადგები, არ გადაირევა? იმასაც ოჯახი ჰყავს, ავადმყოფ ქმარს უვლის.

ნინო. ჰოდა, მივეხმარები.

სიდო. რას ამბობ, სად შეგიძლია.

ნინო. შევძლებ!

სიდო. არ ვიცი, ნინო, როგორც გინდა... მაგრამ, მე მგონი, უღელტეხილზე თოვლის დადნობამდე ამაზე ფიქრიც არ ღირს.

ნინო. იქ თოვლი როდის გადნება?

სიდო ***(ღიმილით).*** როგორც ყოველთვის — გაზაფხულზე. ***(გადის)***

ნინო. გაზაფხულზე... გაზაფხულზე!.. ***(თითებს იმტვრევს)*** იქამდე ხომ მოვკვდები კიდეც!..

სიტყვა გაუწყდება, რადგან უფროს ძმას დაინახავს – ლევანი კარის წირთხლს მიყრდნობია და შესცქერის.

ლევანი. მოგწყინდა, არა? მართლა მოგკლავს და გაგათავებს კაცს ეს მოწყენილობა... მაგრამ შენ ხომ გიყვარდა ზამთარი? ფისოსავით ცეცხლთან ახლოს დასკუპება და ზღაპრების კითხვა. მაინცდამაინც გარეთ არ მიგიწევდა გული. ასეთი გოგო იყავი, მახსოვს... თუმცა ჰო, მერე ხომ გაიზარდე კიდეც — მე სულ მავიწყდება... გაიზარდე და ძალიან გალამაზდი. შენც ქალაქში გინდა წასვლა ჩვენი ვანოსავით? დამიჯერე, ყველგან ერთი და იგივეა.

ნინო. ცოტა ხნის წინათ სხვანაირად ლაპარაკობდი.

ლევანი. მართლა?.. ***(მხრებს იჩეჩავს)*** როგორ ამბობდი: მოვკვდებიო? ***(ჩაეცინება)*** რა სისულელეა! მოვკვდებიო, მაშინ გგონია, როცა თავისუფლებას კარგავ! მხოლოდ მაშინ.

ნინო. ჰოდა, იქნებ მეც დავკარგე.

ლევანი. არა, როცა ძალით გართმევენ. ***(ფანჯარასთან მიდის. ისე ლაპარაკობს, დისკენ არც კი შემობრუნდება)*** გარეული ცხოველივით გიჭერენ და გალიაში ზიხარ. ოღონდ უკვე ეშვები და ბრჭყალები დაცლილი გაქვს, იმდენჯერ გცემეს... ფიქრობ, რომ მორჩა! ახლა მაინც დაგანებებენ თავს, ნებას მოგცემენ — მშვიდად მოიხადო სასჯელი. ვერ მოგართვეს! ნება და უფლება არა, ის! მაინც გირტყამენ.

დერეფნის გავლისას — წიხლებით მიგაცილებენ. გამოვლისას — ხელკეტებით.

გვერდით მყოფს თუ გამოელაპარაკე — პირდაპირ კბილებში მოგხვდება.

არ დაემორჩილები? კარცერიც იქვეა. ვერ დაჯდები და ვერც დაწვები დაცემენტებულ იატაკზე, კოჭებამდე წყალში, სადაც ვირთხები დარბიან და სამარესავით ბნელა.

კარგად გამიგე? ყველაფერი შედარებითია.

სიკვდილზე მაშინ ფიქრობ, როცა გრძნობ, რომ შენს საღ ფილტვებში შავი ჩრდილები ლაგდება და შენი საკნიდან რიგრიგობით გააქვთ სხვები, ციხის საავადმყოფოში. ფორმალობისთვის, თორემ იმათ არაფერი ეშველებათ უკვე...

მაგრამ უფრო უარესია, როცა გამოდიხარ და თავისუფლებას ვეღარ შეიგრძნობ, რადგან სამუდამოდ დაგასახიჩრეს.

ასეა, ნინო... შენ კი მთელი ცხოვრება წინ გაქვს. შენი სული არაფრითაა დაჩრდილული. სიკვდილი არც კი უნდა ახსენო. და კიდევ... მაპატიე, მაგრამ მე ვერ დაგიცავ ***(მხრებს იჩეჩავს).*** ჩემი ღირსება იქნებ ბოლომდე ვერ გაიგდეს წიხლქვეშ, შიშიც ვერ ჩამითესეს გულში, მაგრამ ჭკუა სამუდამოდ მასწავლეს — ვეღარ გავრისკავ!

თვით შენი გულისთვისაც ვეღარავის მოვკლავ, სამწუხაროდ.

ნინო ***(შეშფოთებული).*** არავის მოკვლა არ მჭირდება, ხომ არ გაგიჟდი?

ლევანი ***(მოუბრუნდება).*** მით უკეთესი, მით უკეთესი... ***(კარაქის სადღვებს წაავლებს ხელს)*** გინდა, მოგეხმარები.

ნინო. არა. მე თვითონ... თვითონ გავაკეთებ ყველაფერს. მე თვითონ მივხედავ თავს! ***(ერთმანეთს დაჟინებით შესცქერიან)***

6.

დილა. იატაკზე დაწოლილი ვანო მკლავებზე აზიდულა და ვარჯიშობს.

ვანო. ოცდაცხრა, ოცდაათი, ოცდა... ფუჰ, მეტი აღარ შემიძლია... ოცდათერთმეტი... ჭირი და დოზანა! სუნთქვა, სუნთქვა აღარ მყოფნის. ***(შემოდის ლევანი. სიგარეტს უკიდებს)*** ნელა, თავზე არ დამაბიჯო! და ეგ ჩააქრე, ხომ ხედავ, ვვარჯიშობ.

ლევანი. ბოდიში.

ვანო ***(პირქვე დავარდება).*** გავთავდი კაცი!

ლევანი. მერედა, რატომ იკლავ თავს?

ვანო. ფიზკულტურა თვითმკვლელობაა? მაგრამ ისე, მე მგონი, მართალი ხარ ***(ოხვრით წამოდგება).*** გული ამომივარდა. სუნთქვის დამუშავებაა საჭირო ***(მკლავებს მოისინჯავს).*** კუნთებს ვინ დაეძებს... რამდენს ვჭამ და გრამსაც ვერ ვიმატებ, რა მჭირს?

ლევანი. მაინც კარგი ტიპი ხარ. აი, წახვალ ქალაქში და პირდაპირ დიდ კინოში ამოყოფ თავს... პირდაპირ წითელ ხალიჩაზე: ქერათმიანი, გრძელფეხება ლამაზმანების გვერდით.

ვანო. შენ იცინე, იცინე...

ლევანი. როდის გავიცინე? მართლა კარგი ტიპი ხარ: გამხდარი, თხელი... შუბლზე ჩამოყრილი თმა...

ვანო. შენ უფრო ათლეტურად გამოიყურები, როკი მარჩიანო.

ლევანი. გავცვალეთ კომპლიმენტები.

ვანო. არა, მართლა. კიდეც სვამ, კიდეც ეწევი. არ ვარჯიშობ და მაინც... შენი კუნთები რომ მომცა...

ლევანი. რას იზამდი? მთებს გადაატრიალებდი? ან რა ვარჯიშები აგიტყდა ამ შუა ზამთარში.

ვანო. კაცი არ უნდა მოეშვა, სულ ფორმაში უნდა იყო. აბა, ისე ხომ გამისკდება გული ამ გადაკარგულში, კისრამდე თოვლს რომ დადებს. ღვინის სმა, შაშხის ჭამა და ცეცხლთან მთქნარება — მეტს რას აკეთებენ აქ?

ლევანი ***(ისევ მოუკიდებს სიგარეტს და ფანჯარასთან დგება).*** მე კი მიყვარს ზამთარი და იცი, რატომ? სწორედ ზამთარია იმედებით აღვსების პერიოდი და არა პირიქით...

ვანო. რატომ ვითომ?

ლევანი. იმიტომ, რომ გაზაფხულის მოლოდინი გაქვს, როგორც დიდი ამბის. რაღაც მაინც გაძლებინებს... რაღაც სასწაულ ცვლილებებს ელი... მაგრამ მერეა ძნელი — ის გაზაფხულიც რომ მოდის და მიდის, ზაფხულიც მიჰყვება და არაფერი არ ხდება, არც არაფერი იცვლება... მაშინ მართლა შეიძლება აგემღვრეს გული.

ვანო. მაგასაც ვნახავთ, თუ არაფერი შეიცვლება. ავდგები და უბრალოდ წავალ აქედან.

ლევანი. ეგ კარგია — დედაქალაქი... თავკომბალას დაემსგავსა ეს ქვეყანა. ყველა ქალაქში გარბის. შენ რითი ხარ სხვაზე ნაკლები.

ვანო. ჰოდა, მერე გადაგიფრენთ საკუთარი ვერტმფრენით და ხელს დაგიქნევთ. სიდოს ახალ კალოშებს ჩამოვუყრი, შენ — სიგარეტებს, მამაჩემს — საჯიშე საქონელს ჩამოვუსვამ პარაშუტით...

ლევანი ***(იცინის).*** კარგია. შენი იმედი გვაქვს. ***(შემოდის სიდო)***

ვანო. ერთ ადგილას არ უნდა გაჩერდე. თორემ აგერ, სიდოს შეხედე — ცხოვრება გავიდა მატარებელივით და ეგ ბოლო ვაგონსაც ვერ შეახტა. მეტაფორა იქით იყოს და ნამდვილი მატარებელიც არ უნახავს თვალით.

სიდო. მინახავს.

ვანო. მართლა? არ გადამრიო.

სიდო. შორი მატარებელი...

ვანო. სად, რომელი მატარებელი?

სიდო. ყველაზე შორი... ბაქანზე ვიდექი. სიგნალიც მისცეს და სადაცაა დაიძრებოდა. მე კი იმას სამუდამოდ უნდა გავყოლოდი. ***(ჩუმდება და ნინოს უყურებს, რომელსაც დარეცხილი თეთრეული შემოაქვს კალათით და საუთოვებელ მაგიდასთან დგამს)***

ვანო. მერე?

სიდო. როგორც ხედავ, არ გავყოლილვარ. შინ დავბრუნდი.

ვანო. ეგ რომელ ეპოქაში მოხდა? არაბების პირველ შემოსევამდე?

სიდო. ჰო... ახლა გაიქე, გომური გამოასუფთავე. შენ არ დაგავალებდი, მაგრამ მამა უთენია წავიდა დაბაში, მე კი უცებ მარცხენა მხარი გამიშეშდა თითქოს ***(დამნაშავესავით იღიმება)...*** ნიჩაბი ვეღარ ავიღე ხელში.

ვანო. ფეხი ფეხზე გადაიდე და მაკიაჟს მიხედე-მეთქი, ვის ვეუბნებოდი?

ნინო. ჩუ!.. გესმით? ***(გაფაციცდება)*** წეროს ძახილი...

ლევანი. რა დროს წეროებია. მეგონა, უკვე გადაფრინდნენ.

ნინო. ***(ფანჯარას მივარდება და ხელისგულებს ადებს მინაზე)*** ჩამორჩენილია, საწყალი!

ლევანი. იქნება გარეული ბატია ან ინდაური.

ვანო. მეც მინდა ახლა თბილ ქვეყნებში. ბატი და ინდაური რომ გაჯობებს... ***(სადღაც შორს თოფი დაიქუხებს)***

ნინო. ასეც ვიცოდი... ***(ხელები ჩამოუცვივდება)***

ვანო. სოლომონაა. ცაში ფრინველს არ აჭაჭანებს და ძირს ჭიანჭველას... წავედი, წავედი... ***(კარში გასვლისას)*** დადებითი გმირი ტონობით ნაკელს არ უნდა ეზიდებოდეს აქეთ-იქით, მაგრამ ჯანდაბას თქვენი თავი... ***(გადის)***

ლევანი. ხვალიდან მე გავაკეთებ ყველაფერს... ადრე ავდგები. მეყო უსაქმოდ გდება.

სიდო. რას ამბობ? შეშა დამზადებულია, თივა შენახული... ფქვილი ამოტანილი. რა უნდა აკეთო? შენ დასვენება გჭირდება. მოგიკვდეს ჩემი თავი.

ლევანი. გუშინ ძალიან მივქარე, არა?

სიდო. არაფერი მიგიქარავს. ვინ მოგახსენა?

ლევანი. ყურადღება არ მიაქციო, თუ რამე ისეთი ვთქვი. ხან რა შეგიჯდება კაცს... სად გტკივა ხელი, აბა, მაჩვენე...

სიდო. განა მტკივა. დამიდუნდა თითქოს.

ლევანი. მაჩვენე! ***(ხელებზე ჰკოცნის)***

სიდო. რას აკეთებ?.. ძროხის სუნი ამდის, არც კი დამიბანია.

ლევანი. როგორ დარჩი აქ... ასეთი ხელების პატრონი. არსად მინახავს ასეთი ხელები, არსად...

7.

შუაღამე. გიგა ბუხართან ზის და გაზეთს კითხულობს. ლევანი ფრთხილად შემოაღებს კარს.

გიგა ***(სათვალეს მოიხსნის).*** მოხვედი? მადლობა ღმერთს! რას ანერვიულებ მამიდაშენს... მერამდენე ღამეა, თეთრად ათენებს, ზის და გელოდება.

ლევანი. შენ არ მელოდები? ***(მამა ისევ გაზეთს მიუბრუნდება)*** პასუხის გაცემაც არ გინდა, არა?

გიგა. წადი, დაიძინე!

ლევანი. დაძინებას კი მოვასწრებ, ნუ გეშინია ***(სკამს აიღებს და პირდაპირ დაუჯდება).*** ეგება გველაპარაკა მე და შენ? ***(პაუზა)*** გადავწყვიტე — მარტი როგორც კი დადგება,

აქედან წავიდე. ძალიან გამიჭირდება, ვიცი... ჩემნაირები კი არა, დალაგებული ხალხი ვერ აწყობს ახლა ცხოვრებას, ასე ადვილად, მაგრამ აქ რას დავუჯდე...

გიგა. კიდევ წასვლა? უკვე მერამდენედ გარბიხარ შინიდან.

ლევანი. ჰო, იმიტომ, რომ მერამდენედ არ გესიამოვნა ჩემი დაბრუნება. ისე შემხვდი, როგორც დაუპატიჟებელ სტუმარს. მე კი, სულელი — ვფიქრობდი, სიხარულით შემეგებება-მეთქი. ალბათ, გერჩია, ციხიდან არც გამოვსულიყავი.

გიგა. ეგ რამ გაფიქრებინა?

ლევანი. შენმა დახვედრამ!.. არადა, ხვდები მაინც, იქ რა გადავიტანე?

გიგა. მეც — მთელი ეს წლები.

ლევანი. ისეთი რა ჩავიდინე, რა?!.

გიგა. მეზობელს რომ ცოლს მოსტაცებ, ამაზე უარესი თუ რამეა და...

ლევანი. მეზობელი არ ყოფილა.

გიგა. ჩვენს სოფელში ხომ ცხოვრობდა... აქედან გადასახლებაზეც კი ვფიქრობდი მაშინ, მაგრამ მერე ის ოჯახი თვითონ გადავიდა, ხომ იცი.

ლევანი. ვინ აღარ გადავიდა. ახლა ამ ხეობის დაცლასაც მე ნუ დამაბრალებ.

გიგა. დანაშაულს დანაშაულზე უმატებდი.

ლევანი. შეცდომებს შეცდომებზეო — უნდა გეთქვა... მაგრამ ვიცი, რას ვერ მპატიობ. მთავარი ის არის, რომ დათუნას სიკვდილს მე მაბრალებ. შენ ხომ ჯერაც ვერაფერს მიხვდი. ჰოდა, გაიგე, რომ...

გიგა. არ გინდა!

ლევანი. მე მინდა! აქამდე არ მითქვამს შენთვის, არა — დათუნა მე კი არ წამიყვანია იმ ომში, როგორც შენ ჩაიჭედე თავში. არა — თვითონ აიხირა. დღედაღამ ამაზე ფიქრობდა და ამისთვის ემზადებოდა. ატაცებულივით იყო, როგორც ყველა ჩვიდმეტი წლის ბიჭი. მივხვდი, ვერავინ დააკავებდა, ვერაფერი შეაჩერებდა, მაინც გაიპარებოდა. მაშინ მეც ავყევი. დავაჯერე, დამლოდებოდა. ვარწმუნებდი, რომ თვითონაც ვაპირებდი წასვლას. არადა, სულ სხვა რამე მინდოდა მაშინ! ლაჩარი კი არ ვიყავი, სიკვდილის კი არ მეშინოდა, ოღონდ... ხომ გახსოვს — კრივს ვაკლავდი თავს, კრივის მეტი არაფერი მაინტერესებდა. იმაზე ვლოცულობდი, მალე გავსულიყავი პროფესიულ რინგზე. მაგრამ ყველაფერს მივაფურთხე და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ჩემი ძმა მარტო არ გამეშვა იქ. იმიტომ, რომ მისთვის მიმეხედა!.. მართალია, ვერ გადავარჩინე, მაგრამ ხომ ვეცადე? ხომ ყველაფერი გავიღე: სისხლიც, მომავალიც, იმედებიც... გაიგე? ახლა გასაგებია შენთვის? ***(პაუზა)*** დათუნასთან ერთად მეც დავიღუპე იქ... არასდროს გიკითხავს, რა გადავიტანე. ცოცხალ-მკვდარი ჩამოვედი, შენ კი ისე შემხვდი, როგორც ოჯახის მოღალატეს. ღმერთს მადლობა კი არ შესწირე, რომ ერთი შვილი მაინც გადაგირჩა, როგორც ამას ყველა ნორმალური ადამიანი იზამდა, არა — მთელი მრისხანება, მთელი ტკივილი და სასოწარკვეთა ჩემზე გადმოიტანე და შემოძულე.

გიგა. ეგ სისულელე მეორედ აღარ გაიმეორო!

ლევანი. შენ ხომ მკვდრები ცოცხლებზე მეტად გიყვარს.

გიგა. მე ყველანი მიყვარხართ, აქაც და იქაც. ახლა დედაშენი და შენი ძმა თუ ისევ მიყვარს, მგონი ამას დანაშაულად არ ჩამითვლი.

ლევანი. არა, კაცის დამნაშავედ გამოცხადება მე არ მჩვევია, ეგ შენ შეგიძლია, ბრალი დასდო ისე, უბრალოდ...

გიგა. ნორმალური ადამიანიო, ამბობ... მე სხვა არაფერი მინდა, თუ არა ნორმალური ოჯახი. მინდა დაცოლშვილდეთ შენ და ვანო; საქმეს მოკიდოთ ხელი დაქ როცა რამეს გადაწყვეტთ, უბრალოდ, გამაფრთხილოთ მაინც.

ლევანი. ახლა ხომ გაგაფრთხილე.

გიგა. წავალთ, წავალთო... მიდით, გაიხურეთ ჭიშკარი და მიატოვეთ თქვენი სახლი! ***(პაუზა)***

ლევანი. ყველაფერი წაიშალა, მამა. რაღაცნაირად, ხუხულასავით დაინგრა. ხომ ხედავ, სოფელიც — ის სოფელი აღარ არის... გეგონება, ის ძველი ზვავმა ჩაიტანა. ქვეყანაც თითქოს ერთიანად გადატრიალდა. შეიცვალა... რისთვის უნდა იცხოვრო, რამ უნდა გაგაძლებინოს კაცს, აღარ ვიცი... და ერთადერთი კარგი რამ, ერთადერთი, ნამდვილი ბედნიერება — ესეც შეიძლება ვერ დაინახო, ვერ მიიღო და უბედურებად მიიჩნიო.

გიგა. მაგას რაზე ამბობ?

ლევანი. ისე, უბრალოდ...

გიგა. მე რომ გითხრა, ცდები-მეთქი, მაინც წახვალ? სულ გელოდი, ყოველ წუთს შენზე ვფიქრობდი-მეთქი... იმ სამარცხვინო ამბის მერეც კი...

ლევანი. ეგ სამარცხვინო ამბავი იყო ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი... არც კი ვიცი, რა დავარქვა, მაგრამ ეგ იყო ნამდვილი სიცოცხლის შეგრძნება და მაშინ მე ვცოცხლობდი.

გიგა. კარგი ამბავია. მეგონა, არაფერს გაკლებდით, უზრუნველი ბავშვობა გქონდათ. მერეც, დედათქვენის სიკვდილის მერეც კი... ვცდილობდი, რომ არასდროს გაგეგოთ, რას ნიშნავს ნამდვილი მწუხარება. ერთად გადავიტანეთ რამდენი ამბავი, მაგრამ თურმე მარტო მაშინ ცოცხლობდი, როცა...

ლევანი. თავიდან დავიწყოთ? მშვიდად მინდა ვილაპარაკოთ.

გიგა. რა დამამშვიდებს. ამდენი წლის მერე ძლივს მოაღწიე სახლამდე და ისევ სადღაც უნდა გადაიკარგო.

ლევანი. მამა, ხომ არ გეშინია, რომ გზას უფრო მეტად ავცდები?

გიგა. რაც გინდათ, ის ქენით. რაკი არ იშლით და აქედან ცოფიანებივით გარბიხართ, ძალით ვერ დაგაკავებთ ვერც ერთს. მარტო ქალიშვილი დამრჩება. ასე იყოს! ***(პაუზა)***

ლევანი. ამქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარდი. ყოველთვის... არც დედა, არც და-ძმები, არც... არავინ, არავინ... შენ კი რა ადვილად ამომიღე გულიდან... ***(მამა შეპასუხებას აპირებს, მაგრამ შვილი ანიშნებს, გაჩუმდიო)*** ახლა იმას ვფიქრობ — მე რომ ისე მკაცრად გამასამართლე, ამდენი წელია, არ მაპატიე — ნინოს რაღა განაჩენს გამოუტან?

გიგა. მაგით რა გინდა, რომ მითხრა?

ლევანი. არაფერი, არაფერი, ისე... ვთქვათ და... რამე რომ შეეშალოს, ნეტა ოდესმე თუ აპატიებ?

გიგა. შენს დას არაფერი შეეშლება, ნუ გეშინია.

ლევანი. ჰო, მამა, ჰო... ***(მხარზე ხელს დაადებს, თითქოს ამშვიდებს. მერე მიტრიალდება და გადის)***

8.

მთელი ოჯახი სუფრასთან ზის.

სიდო. ძლივს არ მოხდა — ყველა ერთად ვსადილობთ.

ლევანი. როგორც ძველად, არა?

სიდო *(ძმას გადახედავს).* მთლად ძველებურად არა, მაგრამ...

ვანო ***(გემრიელად ილუკმება).*** ჩვენი ქათმები კიდევ კვერცხს დებენ ამ მინუს 90 გრადუსში? როგორ არ ეყინებათ ის საკვერცხეებია თუ რა არის... ექიმ აიბოლიტთან ბოდიში მომითხოვია ***(მამას დაუკრავს თავს, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს).*** არა, ზოგჯერ სოფელი ძალიან მხურვალედაც მიყვარს.

ლევანი. ზოგჯერ?

ვანო. ნატურალური პროდუქტის ამბავში... ფუტკრებისგან თაფლი მოდის, ყველ-კარაქი — ძროხებისგან, შებოლილი ბარკლები ღორისგან...

სიდო. ჰო, თავისით მოდის... ახლა მაინც თუ ხვდები, რომ ამხელა მეურნეობას მოვლა-პატრონობა უნდა და არა მიტოვება? ***(ლევანს მიუბრუნდება)*** გადაიღე, გადაიღე! შენ ნოყიერი საკვები გჭირდება.

ვანო. მე რატომ არ მაძალებ? ტანსაცმლის საკიდს ვგავარ.

სიდო ***(გაეცინება).*** მადას ისედაც არ უჩივი.

ვანო. მითუმეტეს — იქნებ რა მჭირს?

სიდო. ნუ გეშინია, ფერი კარგი გაქვს და არაფერი გტკივა. სიგამხდრეს კიდევ – ხალხი ნატრობს.

ვანო. ხალხი, ხალხი! სად უნახავს ნეტა ეს ხალხი!

სიდო ***(ნინოს).*** შენ რაღას იციცქნები ჩიტივით?

ვანო. აი, მაგასაც რცხვენია, ფუტკრები და ქათმები მუშაობენ, თვითონ კი ჭამს.

ნინო. თავი დამანებე!

ვანო. ნუ გერიდება, შენ ხომ ფერმის იმპერატორის ქალიშვილი ხარ.

სიდო. ფერმა ადრე ჰქონდა სოფელს, თორემ ახლა რაღა... ნეტა იმ დროს. რა დოვლათი ტრიალებდა.

გიგა. ჰო, ცოტას თუ მაინც გასცემ, ბევრს მიიღებ ამ დალოცვილი მიწა-წყლიდან.

ვანო. მიწა-წყალი და მამული!..

გიგა. საქილიკოს რას ხედავ? მამაჩემის და იმის მამის ადგილ-მამულში ვცხოვრობთ და სხვა, აბა, რა ჰქვია?

თქვენ ვერც კი ხვდებით, თუ როგორ მიყვარს მე აქაურობა. ამაზე ძვირფასი რა უნდა გაგაჩნდეს ადამიანს? არ იცით, არა...

ვანო. რა არ ვიცით, კაცო. გავიგეთ — გიყვარს.

გიგა. იმაზე უფრო მეტად, ვიდრე შენ მიგაჩნია საქილიკოდ. არ იცით, როგორ მინდა, ისევ გაივსოს ეს ხეობა. ვინც წავიდა, უკან დაბრუნდნენ... ჩემი შვილები დაოჯახდნენ და აქ დასახლდნენ.

ვანო. აქ არ ვართ?

გიგა. მხოლოდ სულელი არ დააფასებს ამ წყალს, მიწას და ჰაერს.

ვანო. მე კი სული მეხუთება ხშირ-ხშირად და...

გიგა ***(ხელს ჩაიქნევს)***

ვანო. იქნებ ბრონქების ამბავია, მე რა ვიცი. აგერ, ნინოსაც ეხუთება სული. მაგას რომ ვუყურებ, ანკესზე წამოგებული თევზი მახსენდება. ხან ფანჯარას მიაწყდება და ხან კარს.

ლევანი. უფრო ჩიტი უნდა გეთქვა, ალბათ.

ვანო. არა, თევზია მაგასავით დამუნჯებული და უენო.

სიდო. ჭამე, ჭამე და გაჩუმდი — უფრო შეგერგება.

ვანო. რა უფრო შემერგება — საჭმელი თუ დალოცვილი მიწა-წყალი?

გიგა. ჰო, დალოცვილი მიწა-წყალი! ბოლოს და ბოლოს, საფლავები მაქვს აქ. სხვა თუ არავინ არაფრად გიღირს — დედათქვენის და თქვენი ძმის... ***(სიჩუმე. უხმოდ შეექცევიან საუზმეს)***

ლევანი. მგონი, მალე გათოვდება.

სიდო. ეს ტელევიზორი მაინც აჩვენებდეს, ხან ჭკვიანურს მოვისმენდით, ხან...

ვანო. გაიგეთ, რომ, ჩვენ სადაც ვცხოვრობთ, ამისთანა ადგილას, ტელეანძაა საჭირო — ოსტანკინო ან ...

გიგა. ჰო, შენ ნაირ-ნაირი ანტენები და ბლომად ტელეარხები გინდა. რაღა გიჭირს, ხან ერთზე გადართავ და ხან მეორეზე.

სიდო. გაღმელების ბიჭივით... დღე და ღამე ერთმანეთში აერიაო, დედამისი ჩიოდა. აღარც უცოლობა აწუხებს და აღარც უშვილობა.

ვანო ***(ნიშნისმოგებით).*** სამაგიეროდ, არსად აპირებს გაქცევას. ეგეც თქვენ!

ლევანი. არ ჯობდა, კისრისტეხით გაქცეულიყო?

ვანო. მეც ზუსტად მაგას ვამბობ.

ლევანი. ილუზიებით ცხოვრებაა, რა... ეკრანს შეხედავ და მორჩა. წარმოიდგენ რაღაცას, წაიოცნებებ და კმაყოფილი ხარ. ამას სულ უტელევიზორობა მირჩევნია.

ვანო. ისე, შენც კი დადიხარ კრივის საყურებლად.

ლევანი ***(მხრებს იჩეჩავს).*** მხოლოდ ხანდახან.

ვანო. არც მე მჭირდება ოცდაოთხი საათი ეკრანს მიშტერება. უკეთესია, სხვებმა მიყურონ.

ლევანი. კინოში? ***(ჩაიცინებს)***

ვანო. დიახაც!.. სულ ტყუილად გგონიათ, ძალიან მაინტერესებს სხვისი ცხოვრებით ცხოვრება. მშვენივრად ვიცი, ეგ ყველაფერი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი.

სიდო. ხანდახან ოცნებასაც არა უშავს. დაღლილი თუ ჩამოვჯდები და ძველ, კარგ ფილმს შევხედავ, რა უჭირს.

ვანო. ყველაფერი ძველი როგორაა კარგი? ეჰ, სიდო, სიდო, მომინდომა აქ ალენ დელონის კოცნა! ნახე... ***(ნინოსკენ უთითებს)*** ამას არც ეცინება. შენზე ეჭვიანობს და იმიტომ.

სიდო ***(ნინოს).*** გადაიღე რამე...

გიგა. ძნელია აქ ყოფნა. გგონიათ, არ მესმის? მეც ვიყავი ახალგაზრდა. მაგრამ ძველის დანგრევას რა აზრი აქვს? თუ რამეს აშენებ, ბარემ ზედ დააშენე, უფრო გააძლიერე.

ვანო. რა ანდაზებით ლაპარაკობ? და თუ დამპალი შენობაა, ზედ რაღა უნდა დააშენო? დროს არ უნდა ჩამორჩე, ადამიანო. თუ ასეთი მაგარი ფერმერი ხარ, რატომ არ გეტყობა? ნახე, ნუგზარას ერთი ძროხაც არ ჰყავს და რა მანქანა დაიყენა.

სიდო. დაიყენა, თორემ... ქალიშვილმა გამოუგზავნა საჩუქრად.

გიგა. რა გზითაც ის გოგო შოულობს ფულს... მამამისს რომ სინდისი ჰქონდეს, შიმშილით სიკვდილი უნდა ერჩიოს მაგ ფულის აღებას.

ვანო. ისე, რა ქალია?!

ლევანი. სად ნახე?

ვანო. გაგიკვირდება და — ტელევიზორში.

სიდო. ისეთი მორცხვი და კარგი გოგო იყო...

ვანო. ჟურნალის ყდაზეც დარცხვენილია — არაფერი აცვია და...

ლევანი. მოდელი ყოფილა, რას ერჩი.

ვანო. მოდელს გააჩნია ***(მრავალმნიშვნელოვნად).***

ლევანი. ესე იგი, აქედანაც წასულა და ხელიდანაც...

ვანო. ახლა, სხვის პირადულში ნუ ჩავერევით, ამხანაგებო. რა ჩვენი საქმეა.

გიგა. აი, ეგ არის ყველაზე უარესი — რომ ფიქრობ: მე როგორც მინდა, ისე ვიცხოვრებ, ვისი რა საქმეაო. მინდა ავაშენებ, მინდა დავანგრევ, მინდა უკუღმა ვივლი... ამან გაიხადა, რა ჩემი საქმეა, იმან მოიპარა, მე ვინ მკითხავს, სამშობლო გაყიდა, მერე მე რა...

ვანო. ნუგზარას გოგომ თუ გაიხადა, სამშობლოს ღალატია?

გიგა. ქვას კი არავის ვესვრი, მაგრამ დიდი ბოდიში, თუ არ მომწონს. მაპატიეთ, თუ შეიძლება!

ლევანი ***(ფიქრში წასული).*** ნამდვილად გათოვდება.

გიგა. გათოვდება და გათოვდეს.

ლევანი. თოფს არ მათხოვებ?

გიგა. რა?

ლევანი. სანადიროდ ვაპირებ წასვლას, ბიჭებთან ერთად.

სიდო ***(ძმას გადახედავს).*** დათუნას თოფია, ხომ იცი.

ლევანი. როგორ არ ვიცი. იმას უყვარდა ყველანაირი იარაღი, ომობანა, დანასობია და მიზანში სროლა. ფრინველზე როგორ ნადირობდა... გახსოვს, გაპუტვას რომ ვარ აუდიოდი და ეჩხუბებოდი?

სიდო ***(ღიმილით).*** რა დამავიწყებს.

ლევანი. გამთენიისას გავდივარ... თუ გათოვდა, მით უკეთესი.

ნინო. ***(ადგება)*** მამა, მე წავალ, მამა! სანამ გათოვდება... დეიდასთან.

გიგა. ამ დროს? ზაფხულში წადი და მთელი თვე დარჩი, მე არ გიშლი.

ნინო. არა, გთხოვ. გზის ფულიც მაქვს გადანახული.

გიგა. ახალ წელს ერთად არ უნდა შევხვდეთ?

ნინო. ახალ წელს?.. ***(ცოტა ხანს კართან დგას, მერე კი გადის)***

ლევანი. გაუშვით, წავიდეს.

გიგა. სად, ამ ზამთარში სად უნდა გავუშვა, ან რატომ?

ლევანი. დამიჯერე, ასე აჯობებს.

გიგა. დეიდამისს თავი გასჭირვებია.

ლევანი ***(პაუზის შემდეგ).*** წავიდეს... ისედაც ძალიან უმძიმს.

გიგა. მაგით რა გინდა, რომ თქვა?

ლევანი ***(ძალიან ხმადაბლა).*** რა და... ორსულად რომ არის, ვერ ხედავთ? ***(მეხის გავარდნა ასე არ იმოქმედებდა ოჯახის წევრებზე)***

გიგა. რას ბოდავ? პასუხს აგებ მაგ ნაბოდვარზე!

ლევანი. ყველას ნაცვლად მე ვაგო პასუხი?

გიგა. თუ გაგიჟდი, თქვი და გიპატრონებთ.

ლევანი. მამა, ჩვენ თუ ვერ გავუგეთ და ვერ ვაპატიეთ, სხვები ხომ დაწიხლავენ და სიცოცხლეს გაუმწარებენ.

გიგა ***(ეძახის).*** ნინო! ***(დუმილი)*** ნინო! ***(ნინო შემოდის და უხმოდ უყურებს)*** დაჯექი!

ნინო. არ მშია.

გიგა. აქ დაჯექი!***(ისეთი ხმა აქვს, ნინო ძალაუნებურად ემორჩილება. მაგიდასთან მიდის, მაგრამ არ ჯდება. მამა მის ხელს აიღებს და გულში ჩაიკრავს)*** ნინო, ნინუცი... იქნებ პასუხი გასცე შენს ძმას იმ ნაბოდვარზე, რაც მაგისგან მოვისმინე.

ლევანი. გთხოვ...

გიგა. შენს ბრიყვ ძმას, რომელიც მიმტკიცებს, რომ თურმე შენ... ბავშვს ელოდები!

ვანო. მე არაფერი მითქვამს! ხომ არაფერი მითქვამს?.. ნინო, უთხარი რამე! ეგ ხომ ტყუილია! ***(ნინო ხელის გათავისუფლებას ცდილობს)***

ლევანი. არ მინდოდა...

გიგა. ეს მართალია?

ნინო. მამა...

გიგა. მართალია-მეთქი?

ნინო. მამა...

გიგა. მიპასუხე. ***(პაუზა)***

ნინო. მართალია.

ლევანი. მაპატიე...

გიგა. ვინ არის?.. ***(ნინო ხმას არ იღებს).*** ვინ არის? ***(თითქმის ხვეწნით)***

ნინო. მამა, ნუ მტანჯავ!

გიგა. სახელი. სახელი არა აქვს?

ნინო. აქაური არ არის.

ვანო ***(ლევანს).*** ბიჭო, შენ ხომ არ გაგიჟდი!

ლევანი. ყველა გავგიჟდით.

ვანო. რა გინდათ, რა! ***(მამას)*** ნახე, რას ჰგავს, თავს მოიკლავს.

გიგა ***(ხელს გაუშვებს ნინოს).*** შვილო, მე მხოლოდ იმას გთხოვ, მითხრა, ვინ არის.

სიდო. გიგა, გიგა...

გიგა. შენ მაინც გაჩუმდი. ***(ნინოს)*** აბა, გელოდები.

ნინო. აქაური არ არის.

გიგა. ეგ უკვე გავიგეთ.

ნინო. ჩამოსული იყო... იმ მსახიობებთან ერთად... ***(სახეზე აიფარებს ხელებს)***

ვანო ***(ადგილიდან წამოხტება).*** ვინ... ვისზე ამბობ?!

ნინო. ***(თავგანწირული გაბედულებით)*** აქ ათევდა ღამეს... თიბვაშიც მოგვეხმარა.

გიგა. თიბვაშიც მოგვეხმარა და სიძედაც მოგვეკიდა... აი, ჩემი გოგო. ძალა დაგატანა? შეგაშინა?

ნინო. არა, არა!

გიგა. რატომ არ მითხრა... შენი თავი რატომ არ მთხოვა, როგორც წესი და რიგია?

ნინო. ცოლად ვერ შემირთავს.

გიგა. რატომ? ***(პაუზა)*** ეგება პირველი არ იყო შენთვის?

ვანო. რას ამბობს?!

ნინო. ცოლიანია.

ვანო. ზურა...

ნინო. ჰო, ზურა.

ვანო. ***(თითქმის ატირებული)*** წავალ, მოვძებნი და მოვკლავ.

გიგა. სახლში დაეტიე! ადამიანის მოკვლა რამ გაფიქრებინა. ამისთანა საქმეში მარტო კაცს ვერ გაამტყუნებ. რა, ძალა დაატანა თუ?

ნინო. ასე ნუ ლაპარაკობ! შენ არაფერი იცი.

გიგა. მართალი ხარ, არაფერი არ მცოდნია. მეგონა, წესიერი შვილი გავზარდე.

ნინო. წესიერი? მე უწესო ვარ, უწესო? უწესო ქალები ასე იტანჯებიან?

ვანო. ახლა რა ვქნათ, რა?

ნინო. რაც გინდათ, ის მიყავით. ყველაზე უარესი უკვე გადავიტანე.

გიგა. შენ ასე გგონია?

ნინო. ის მპირდებოდა... მპირდებოდა, თან წაგიყვანო. წასვლის წინ კი მითხრა, ცოლიანი ვარ და ყველაფერი მაპატიეო. ***(რაკი ყველა ჩუმად არის, ხმას უწევს)*** თავს არ ვიმართლებ, ნეტა მომკლავდეთ!

გიგა. ეგ რამ გაფიქრებინა? რამ გაფიქრებინა, რომ ჩვენი უნდა გეშინოდეს.

ნინო. შიში? გგონიათ, მეშინია? მრცხვენია, მრცხვენია, გესმით? ამაზე საშინელი ნეტა რაღა უნდა მოხდეს?

გიგა. ის მოხდება, რომ თვალს ვეღარავის გავუსწორებ.

სიდო. გაჩუმდი! ერთი წუთით ყველანი გაჩუმდით, გეხვეწებით.

გიგა. თუ ცუდად ხარ, შენს ოთახში გადი. ამდენ ხანს ვერაფერი შენიშნე? შენ ხომ ქალი ხარ, უნდა მიმხვდარიყავი... თუმცა როგორ მიხვდებოდი... დედამისი მაშინვე შეამჩნევდა. წადი, წადი!... ***(ნინოს)*** შენც გადი!

ნინო. სად, მამა?

გიგა. მამას ნუ დამიძახებ. წადი!

ნინო. სად წავიდე?

გიგა. სადაც გინდა, ოღონდ თვალით ნუღარ დამენახვები. დღეს მაინც. ***(ნინო უცებ დაახეთქებს თეფშს და კარს გაიჯახუნებს. სიდო უკან გაეკიდება)***

ვანო ***(მამას მივარდება).*** შენ ხომ არ გაგიჟდი?

გიგა. ვის უბედავ?

ვანო. ვინ გგონია შენი თავი, ღმერთი?

გიგა. შენ ცალკე მოგივლი. ხვდები, რომ ყველაფერი შენი ბრალია? შინ ვინ შემომითრიე? აი, როგორ პატივს გცემენ შენი ძმაკაცები. სულში ჩაგაფურთხეს... ძმად გაგეფიცა, არა? პირში ძმობას გეფიცებოდა, ზურგს უკან კი დაგცინოდა. ვინ იცის, ამხანაგებში რას ჰყვებოდა და რამდენს იცინოდნენ შენზე.

ვანო. გეყოფა.

გიგა. ასე გამასხრებენ და გაბითურებენ. ერთი ნამდვილი ძმაკაციც არ გყავს. მარტო ძაღლი გყავს ერთგული, ყურშა.

ვანო. მამა!

გიგა. შენი იმედი მე არასდროს მქონდა. და აი თურმე რატომ... კრუხივით ზიხარ შინ და უაზრო ლაპარაკით გაგყავს დრო.

ვანო. ჰო, მართალი ხარ. ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, მართლა უნდა წავიდე სახლიდან. დღესვე წავალ.

გიგა. სად წახვალ?

ვანო. ეგ არ ვიცი. ჯერ ნინოს მოვძებნი. იცოდე, ჩემს დას რომ რამე დაემართოს... ***(ქურთუკს ჩამოგლეჯს და გადის)***

ლევანი ***(ისევ სუფრასთან ზის და ჩანგალს ათამაშებს).*** მე ასე არ მინდოდა...

9.

დილა. გიგა ბუხართან ზის გაუნძრევლად. სიდოს რძე შემოაქვს ბადიით.

სიდო. ცეცხლი გაპარულა.

გიგა ***(თავაუღებლად).*** ჰა?

სიდო. ცეცხლი გაპარულა-მეთქი... ***(ბადიას დადებს. შეშას აწყობს ბუხარში)*** ვანო არ დაბრუნებულა წუხელ. სად იყო, ვისთან გაათია... ლევანს უნდა ვუთხრა, სადმე მოძებნოს.

გიგა. ვის მოძებნის, უთენია წავიდა სანადიროდ. მაინც წავიდა.

სიდო. რას ამბობ. როგორ ვერ გავიგე... მაგრამ, ეტყობა, გამთენიისას ჩამეძინა. შენ სულ არ დაწოლილხარ, ხომ?

გიგა. რა მომასვენებდა.

სიდო ***(გაუბედავად).*** არც **იმას** ეძინა... მთელი ღამე ვდარაჯობდი. სამჯერ ადგა. მერე, რომ იცოდე...

გიგა ***(აწყვეტინებს).*** უკითხავად ჩამოხსნა თოფი.

სიდო. აკი გთხოვა.

გიგა ***(იფეთქებს).*** ნებართვა არ მიმიცია-მეთქი!

სიდო ***(თავს გადააქნევს).*** თოფი, თოფი! უსულო რკინა... ***(რძე გააქვს)***

გიგა. ჩემს დღეში არ დავრთავდი ნებას, ჩემს დღეში! ვისთვის უბრალო იარაღია, ვისთვის მთელი ცხოვრება... ჩემი ბიჭის თოფია, დიახ!

სიდო ***(აღელვებული ბრუნდება).*** არ არის!.. წასულა!

გიგა ***(შეკრთება).*** ვინ?

სიდო. ხომ გითხარი — ღამით რამდენჯერმე ადგა. ეტყობა, ადრე გაიპარა. თბილი ტანსაცმელიც არ აუღია. მხოლოდ საგარეო პალტო არ ჩანს. რას ვიფიქრებდი, თუ...

გიგა ***(თავისთვის).*** კარგი, ასე იყოს...

სიდო. რა ვქნათ ახლა, სად მოვძებნოთ?

გიგა. მე უკან არ გავეკიდები. თვითონ მიღალატეს. ყველამ, სათითაოდ.

სიდო. რა დროს ამაზე ლაპარაკია. ახლა რამენაირად უნდა ვიმოქმედოთ.

გიგა. ზედმეტია აწი რამის გაკეთება.

სიდო. ფული არა აქვს. ნაცნობი მაგას არ ჰყავს და ახლობელი, ჩვენს გარდა... ***(ხელებს იმტვრევს)*** კიდევ კარგი, რომ თოვლი არ მოსულა ჯერ. დაბის ავტობუსს გაჰყვებოდა დეიდამისთან.

გიგა. ჰოდა, იქ დარჩეს!

სიდო. მამაჩემს ემსგავსები!

გიგა. რა სირცხვილია... გაფიქრებაც კი მიჭირს. ასეთი მორიდებული, ლმობიერი, უენო გოგო... თითქოს ყველაზე წესიერი და უცებ — ვიღაცას, ორი დღის გაცნობილს, ნება მისცა... რა თავისმოჭრაა. წესიერად არც კი დალაპარაკებია ალბათ და... ამის გაფიქრებაც არ მინდა!

სიდო. შენც ნუ იფიქრებ.

გიგა. აბა, რაზე ვიფიქრო?

სიდო. იმაზე, თუ როგორი დაუცველია შენი შვილი... ან რანაირი იყო აქამდე. როგორები იყვნენ შენი შვილები პატარაობისას. აღარ გახსოვს? გადაგავიწყდა? რა კარგი დრო იყო, როცა ამ სახლში ცხოვრება დუღდა... და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ბავშვები დარბოდნენ და ყურთასმენა აღარ იყო იმათი ჟრიამულისგან. ყოველთვის შვილები იყო შენი მთავარი სიმდიდრე, სხვა კი არაფერი. რაღა ფასი აქვს უმაგათოდ რამეს.

გიგა. ჩემთვის ჰო, მაგრამ მაგათთვის რას წარმოვადგენ, ხომ დაინახე?

სიდო. ახლა უფრო სჭირდები სამივეს, ვიდრე ოდესმე. ნინოს — მით უფრო.

გიგა. უკეთესია, უკან თუ არ დაბრუნდება.

სიდო. კარი გინდა მიუხურო? ამისთანა სასტიკი იქნები?

გიგა. რაღა სასტიკი. უკვე დავბერდი.

სიდო. ჯვარი გწერია.

გიგა. შენ არ გესმის, რომ გუშინდელმა დღემ სულ ერთიანად დამანგრია? ვერ ხედავ, რომ მოვტყდი? ასი წლის მოხუცივით ვგრძნობ თავს. მგონი, ფეხზე წამოდგომა და ხელის განძრევაც არ შემიძლია. შენ იმათზე მეუბნები: სჭირდებიო, მაგრამ როდემდე?

სიდო. სანამ პირში სული გიდგას.

გიგა. აბა, შვილი როდისღა უნდა გამომადგეს?

სიდო. შვილი — გამოდგომისთვის? შვილის სიყვარულისთვის სამაგიეროს ვინ ითხოვს?

გიგა. ეგ მხოლოდ სიტყვებია. ცარიელი სიტყვები. შენ ხომ სინამდვილეში სანახევროდაც ვერ გაიგებ, რასაც მშობელი გრძნობს, მთელი შენი უანგარო სიყვარულის მიუხედავად.

სიდო. დამიჯერე, მეც განვიცდი რაღაცას...

გიგა ***(ახლაღა შეხედავს).*** მაშინ ჩემიც გაიგე.

სიდო. და შენიც მესმის.

გიგა. იმ შიშზე რაღას იტყვი, ბოლოს რომ მიღებს? შიში, რომ მორჩა — ჩემი შვილი ხალხის ყბაში ჩავარდება, ამით დაიჩაგრება. რომ აწი ისე ვეღარასდროს ვიქნებით ერთმანეთთან, როგორც უწინ და ყოველ წუთს გამახსენდება, რაც ჩაიდინა. ყოველთვის მექნება იმის ფიქრი, რომ ჩემი ქალიშვილი ისეთი წმინდა არ ყოფილა, როგორიც მეგონა... ძველებურად ვეღარ შევხედავთ ერთმანეთს... შიში, რომ ვაითუ გზას ასცდეს, უარესად დაიღუპოს და მთლად უცხო გახდეს ოჯახისთვის.

სიდო. რაც უნდა მოხდეს, ის მაინც შენი შვილია და უნდა გიყვარდეს.

გიგა. თვითონ მომიძულეს. ღმერთიც არ პატიობს ყველას და მე ხომ მართლაც ღმერთი არ ვარ.

სიდო ***(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ).*** სულ ცოტა ხნით ჩავთვლიმე გათენების ხანს და ისეთი სიზმარი ვნახე...

გიგა. იმაზე უარესი კოშმარი, რაც გუშინ ვნახეთ ყველამ ერთად?

სიდო ***(ჩაფიქრებული აგრძელებს).*** ვითომ აღმართზე მივდიოდით მე და შენ...

გიგა. სინამდვილეში დაღმართზე მივექანებით.

სიდო. ბავშვები მოგვდევდნენ და ვერ გვეწეოდნენ. ხმამაღლა გვეძახდნენ. მერე დაიღალნენ. პირველი ლევანი ჩამორჩა. ვითომ გულაღმა დაწვა და ზემოდან თეთრი კაბის ნაკუწები და ფოთლები ეყრებოდა. ქარი აყრიდა... ჩემი საცოდავი ბიჭი.

გიგა. სულ ვამჩნევდი, რომ ლევანი გიყვარდა სხვებზე მეტად.

სიდო ***(გაოცებული).*** მე ეგ არ შემიტყვია.

გიგა. რა არ შეგიტყვია — სხვებში რომ გყავდა გამორჩეული თუ მე რომ ვამჩნევდი?

სიდო. იმას თუ ხვდებოდი, სხვებზე მკაცრად რომ ექცეოდი პატარაობიდან?

გიგა. და იმანაც თავში ჩაიდო, რომ მამას არ უყვარს, არა? ამიტომაც წაიტეხა კისერი.

სიდო. რა დაუნდობელი ხარ.

გიგა. იმაზე დაუნდობელი მაინც არა, ვიდრე მე მომექცა ცხოვრება. ნახე, რა დამმართეს შვილებმა. ***(პაუზა)***

სიდო. შენ ყოველთვის ძლიერი იყავი. გიყურებდი და სიამაყეს ვგრძნობდი. ისე უმკლავდებოდი სიძნელეებს... ავდარში, დარში, საქმეში თავდაუზოგავი, ყველას იმედად და საყრდენად მიაჩნდი.

გიგა. შენი ბრალია. შენ მაქეზებდი, ყოველთვის ისე მოვქცეულიყავი, თითქოს გმირი ვიყავი. და მეც თავი საუკეთესო მეგონა. არადა, ხელში რა შემრჩა? ჩემს შვილებს არ მოვწონვარ, ხომ ხედავ. რამდენი რამე დავაკელი თურმე... ვერც მანქანა ვუყიდე ვანოს და ჩემს პროფესიასაც მასხრად იგდებს.

სიდო ***(ფიქრში წასული).*** ინსტიტუტში რომ ჩააბარე, რა ბედნიერები ვიყავით. მანქანა გაჩუქა მამამ. მერე იმ მანქანით პირველად გაასეირნე შენი საცოლე.

გიგა. ამას უყურე... მე აღარც მახსოვდა ეგ ამბავი.

სიდო. და არც ის გახსოვს, გახარებულმა მამამ ხარი რომ დაკლა? თვრამეტი შეგისრულდა მაშინ. ვანოსავით ტანთხელი და ფიცხი იყავი... მთელი სოფელი ქეიფობდა ჩვენთან. მე კი ვტიროდი, მოფარებულში.

გიგა. რაღა გატირებდა?

სიდო. რა ვიცი... ნიშა ხარი მებრალებოდა.

გიგა. ჰო, მამამ მართლა გაიხარა მაშინ... ***(ახლაღა მიუბრუნდება)*** რატომ მიყვები ახლა ამ ძველ ამბებს, რაღა აზრი აქვს? ისევ რამე საგმირო საქმე უნდა ჩამადენინო? ყველაფერი დამთავრდა. წავიდა ჩვენი დრო. ***(სიდო არაფერს ეუბნება. ფანჯარასთან დგას და უხმოდ იყურება გარეთ)*** მე უკვე დავბერდი, სიდო. მოგწონს ეს თუ არა, ერთი ხანშიშესული, მოტეხილი, ხელმოცარული კაცი ვარ... ვფიქრობ და ვერ მომიფიქრებია — რა ჩავიდინე ცხოვრებაში ისეთი, ასე მწარედ რომ გადამეხადა. ანდა ვისი ცოდვებისთვის ვისჯები.

მითხარი, შენ ხომ ყველაფერი გახსოვს — რაც ფეხი ავიდგი, იქიდან მოყოლებული — ჩემი შეცდომები ან დანაშაული მომაგონე...

სიდო. გათოვდა... მთელი ღამე ვგრძნობდი, რომ ამაღამ არ გადააცილებდა. ***(ძალიან ჩუმად, ამოოხვრით)*** რა გაატარებს ამხელა ზამთარს მარტოობაში... ***(ტახტზე ჯდება. ერთხანს დუმან. ძახილი)*** გაიგონე? ***(კარს მივარდება და ზღურბლზე ეჩეხება მეზობლის ბიჭს)***

მეზობლის ბიჭი. გამარჯობათ, ხალხო!

სიდო. მოდი, მოდი, სოლიკო, შემოდი!***(ბიჭი ფეხებს აბაკუნებს, თოვლს იბერტყავს მხრებიდან)*** დაჯექი, დაჯექი... ***(სკამს მიუწევს ცეცხლთან)*** მაგრამ ვანო რომ არ არის შინ?

სოლიკო. ვანოსთან არ მოვსულვარ. ამბავი მოგიტანეთ ***(უხერხულად გაჩერდება).***

სიდო. რა ამბავი?

სოლიკო. ლევანი ცოტა შეუძლოდ გახდა, მარა ახლა კარგად არის.

სიდო. თვითონ სადაა... შენ რატომ გამოგიშვა?

სოლიკო. მკლავში მოხვდა უცებ ტყვია და...

სიდო. ტყვია!..

სოლიკო. ამ დილით სანადიროდ ხომ წავედით მე, კობა, ლევანი... კიდევ კობას ბიძაშვილები ქალაქიდან. მანქანით ჩამოვიდნენ და იმათთან... იმათთან...

სიდო. დაწყნარდი და ისე გვითხარი.

სოლიკო. იმის ქმარი იყო რა... უფრო სწორად, ადრინდელი ქმარი — აი, ლევანის ცოლის. მოკლედ, რამაზაც იყო და... რა ვიცი, ლაპარაკი მოუვიდათ. არადა, ჯერ ვითომც არაფერი, ისე ვიარეთ... ვერაფერს შეატყობდა კაცი. კურდღელიც კი მოვკალით. მერე, ცეცხლთან რომ დავსხედით და ცოტა დავლიეთ... გასათბობად მოვსვით თითო ყლუპი — ეს უცებ ადგა და ძაან ცუდი სიტყვები უთხრა, პირდაპირ.

გიგა. ვინ?

სოლიკო. იმან რა. ლევანს ხმა არ ამოუღია საერთოდ.

სიდო ***(მუდარით).*** მერე, მერე?

სოლიკო. თქვენ არ ინერვიულოთ, კარგად არის. იმან კი ესროლა, მარა ხომ გითხარით, არაფერი ისეთი...

გიგა. მაინც უწია. ამდენი წლის მერე. ხედავ?

სიდო. რას ამბობ, რას?

გიგა. მძიმედ არის დაჭრილი?

სოლიკო. არა, დამიჯერეთ რა! კიდევ კარგი, მკლავში მოხვდა. არა, მხარში. მარცხენა მხარი კია, კარგად ასცდა... მაგრამ სისხლი ბლომად დაკარგა და ქალაქში წაიყვანეს.

იმათ მაგარი მანქანა ჰყავთ და გააქციეს მაშინვე საავადმყოფოში.

სიდო. ღმერთო, ღმერთო!..

გიგა. მერე, გზა?

სოლიკო. გზა რა... აქ ჯერ რა თოვლია და უღელტეხილზე კი გადავლენ, ისეთი მანქანაა. ყველგანმავალია რა.

სიდო. ხომ არ გვატყუებ, რამეს ხომ არ გვიმალავ, დედას გაფიცებ!

სოლიკო. აუ, ყველა საფიცარს გეფიცებით, თუ რამეს გიმალავდეთ.

გიგა. ამას ხომ არ უსვრია?

სოლიკო. არა, ლაპარაკი როგორც კი დაიწყეს, თოფი მაშინვე გადააგდო.

სიდო ***(ძმას).*** ახლა შვებით ამოისუნთქე, არა?

სოლიკო. კაი, მე წავედი... დამირეკავენ თუ არა, მაშინვე გაგაგებინებთ. კარგად იქნება ყველაფერი. ***(მიდის. სიდო აცილებს)***

სიდო ***(კარის მიხურვისთანავე).*** კმაყოფილი ხარ? ახლა მაინც გამოისყიდა დანაშაული? შეიძლება დაღუპულიყო.

გიგა. მაგრამ ხომ გადარჩა.

სიდო. რომ შემეძლოს, ფეხით ჩავიდოდი ბარში ***(ქვითინებს).***

გიგა. გგონია, მაიძულებ, ავდგე და რომელიმეს ამბავი მაინც ვიკითხო? ძალა აღარ მაქვს. და აღარც სურვილი, თუ გაინტერესებს.

სიდო. ტყუილია! ძალას შვილების სიყვარული უნდა გაძლევდეს. ყველაფერს აიტან იმათი გულისთვის. სანამ ცოცხალი ხარ-მეთქი, აკი გითხარი... და ამის სურვილი თუ დაკარგე, მაშინ მშობელი არ ყოფილხარ.

გიგა. რა იცი შენ შვილის სიყვარული, ან შვილისგან მოყენებული ტკივილი? მთელი შენი თავდადების მიუხედავად, სიცოცხლე არავისთვის მიგიცია.

სიდო. გაჩუმდი!

გიგა. არა, ყველაფერს გეტყვი. აქამდე მეცოდებოდი... ყოველთვის მეცოდებოდი. გარეგნულად ამაყი ჩანდი, მაგრამ მე ხომ ვხედავდი, როგორ გტანჯავდა მარტოობა. და შენც წესად აიღე, ჭკუა დაგერიგებინა ყველასთვის და შეუმჩნევლად ჩაძვრომოდი სულში.

სიდო. უსამართლობაა ჩემთვის ამის დაბრალება, როცა ვცდილობდი, ისე დამეღამებინა ყოველი დღე, ოჯახის წევრებისთვის ოდნავაც არ მომებეზრებინა თავი.

გიგა. ჯობდა, სულ ცოტა ეგოიზმი მაინც გქონოდა. მაშინ მეც გამიგებდი.

სიდო. მგონი, ყოველთვის მესმოდა შენი.

გიგა. გესმოდა კი. მეტისმეტად კარგადაც. ხანდახან მეგონა, მიყურებდი და ჩემს აზრებს კითხულობდი. აი, აქ! ***(შუბლზე იკაკუნებს თითს)*** მორჩა, შენი კარნახით ნაბიჯსაც ვერ გადამადგმევინებ.

სიდო. მხოლოდ იმას თუ გთხოვდი, ზედმეტი სიმკაცრე არ გამოგეჩინა ბავშვებთან. ჩემზე კარგად ვინ იცის, როგორ შეიძლება დაუნგრიო შვილს მთელი სამყარო.

გიგა. კარგად გაიხსენე, რაც ახლა სჭირთ შენს ძმისშვილებს და მითხარი, ამაზე უარესი რაღა უნდა დამართნოდათ. მაინც როგორ გამოგეპარა, რა მოუვიდა შენს გვერდით მყოფ გოგოს?

სიდო ***(ისევ ფანჯარასთან მიდის).*** მე ხომ მართლაც სხვის ფიქრებს ვერ ვკითხულობ... დედა მაშინვე მიუხვდებოდა... გახსოვს, ლევანს რომ ის ამბავი შეემთხვა, ქალის ოჯახის წევრები შინ მოგვივარდნენ. ჩვენი ბიჭის გამართლება არც მიცდია, მაგრამ, ეტყობა, რაღაც ისეთი მეწერა სახეზე... ისეთი, რასაც შენ სიამაყეს ეძახი, რომ ქალის დედამთილმა გამხმარი ხე მიწოდა. გამხმარი ხე... ახლა შენც იგივეს თქმა გინდა. ***(პაუზა)*** თოვლმა ყველაფერი დაფარა... ***(მინას გაუსვამს ხელს)*** მიკვირს როგორ შეგიძლია, ასე გაუნძრევლად იჯდე ცეცხლთან, თითქოს შვილების ბედი სულ არ გადარდებს. ეგ დანაშაულია.

გიგა. რა უფლებით მასამართლებ? ყველას მამიდა ხარ, მართლაც.

სიდო. დედა ვარ შენი.

გიგა. ჰო, გამზარდე. ვინ გეხვეწებოდა მერე. უშენოდ ვერ გამზრდიდნენ? წასულიყავი და საკუთარი თავისთვის მიგეხედა.

სიდო. ვერ წავიდოდი. იმიტომ, რომ ჩემი შვილი ხარ.

გიგა. დედაჩემი ვერ მომივლიდა?

სიდო. შენ სხვა დედა არ გყოლია — მე ვარ დედაშენი!

გიგა. გასაგებია, რომ ამაგი გაქვს...

სიდო. ღმერთო, ღმერთო, ნუთუ სიკვდილის წინ მაინც არ უნდა დამიჯერონ სიმართლე, რომელიც ასე ტანჯვით ამოვთქვი?

გიგა ***(გაღიმებას ცდილობს).*** ხუმრობ, არა? ხუმრობ!

სიდო. არა, მე გაგაჩინე... აი, რატომ არ წავედი არსად. აი, რატომ!

გიგა ***(წამოდგომას ცდილობს, მაგრამ თითქოს მთლად წაერთვა ძალა. თავზე იფარებს ხელებს).***

სიდო. ნინო რომ გაუთავებლად იყურებოდა ფანჯარაში, რაღაც მენიშნა, მაგრამ რა — ვერ მივხვდი. იმდენი ხნის წინათ იყო ყველაფერი, ვეღარ მოვისაზრე — საკუთარი თავი მენიშნა. ***(მოგონების შესაფერი პაუზა)*** იმხელა თოვლი იდო... ხალხიც და პირუტყვიც დააზრო დიდთოვლობამ. მე კი მეგონა, გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე დავდიოდი. ვერც სიცივეს ვგრძნობდი, არც ხმები მესმოდა. მხოლოდ აუტანელი შიშით ველოდი მოსახდენს... ***(მიუბრუნდება)*** ეს შენ გეგონა, რომ მამა ყოველთვის მკაცრად მექცეოდა. არადა, იმას არასდროს ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მერე... მგონი ჩემი მოკვლა უნდოდა, ან სიკვდილი... უნდოდა დავყოლოდი ამ ამბავს. დედასაც არ მისცა ჩემთან ყოფნის ნება და სულ მარტო ვიყავი გაყინულ ოთახში, იმ ღამეს, როცა... ***(ყოყმანით. მთელ თავის გამბედაობას მოუხმობს)*** როცა ჩემი შვილი დაიბადა. შენ ხედავდი, როგორ მექცეოდნენ... გახსოვს? უსიტყვოდ ვითმენდი ყველაფერს. გახსოვს?

გიგა ***(ჩაწყვეტილი ხმით).*** მახსოვს...

სიდო. გგონია, მართლა მონა ვიყავი? მონად დავიბადე? გგონია, ერთი ასჯერ მაინც არ მინდოდა, წერტილი დამესვა ყველაფრისთვის და სიგიჟის წუთებში ცეცხლი წამეკიდებინა სახლისთვის, ან უკანმოუხედავად გავქცეულიყავი, ან ყულფში გამეყო თავი, რომ მენახა მამაჩემის ტანჯვა და მკვდარს მეზეიმა... რომ გამეგო, ბოლოს და ბოლოს, მართლა ადამიანი იყო თუ უგულო ქვა. ან იქნებ ფიქრობ, მუდამ ასეთი კუშტი და უენო ვიყავი? ჩემი სიცილი აღვიძებდა მთელ ამ ხეობას. გგონია, ვინმე იყო ჩემზე თამამი და ლაღი? საღამოობით მამაჩემის ნაჩუქარ ფირფიტებს ვატრიალებდი და ვერავინ ცეკვავდა ჩემსავით დაუღლელად. ლევანმა მითხრა, არსად მინახავს ასეთი ხელებიო... ***(ეღიმება)*** იცი, ჩემი სურათი ქალაქში, ვიტრინაში ედოთ, ფოტოატე-

ლიეში... ვანოს კი ეგონა, არსად გამიდგამს ფეხი... ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რასაც მაშინ ვერ ვხვდებოდი — რომ ლამაზი ვიყავი. ნამდვილად, ნამდვილად ლამაზი. ალბათ, უნდა წავსულიყავი. ალბათ, სხვანაირადაც შეიძლებოდა მეცხოვრა... მაგრამ მე არასდროს მინანია, რომ დავრჩი.

გიგა. რატომ არ წახვედი, რატომ?!

სიდო. აქ ხომ შენ მყავდი. უნდა ამერჩია... ჩემი დედ-მამის შვილი ეგონე ყველას და, მგონი, ბოლოს მათაც დაიჯერეს. ახლა მოჩანს ყველაფერი მარტივი, თორემ მაშინ შეუძლებელი იყო, რამე შემეცვალა.

გიგა. კი, მაგრამ ის კაცი...

სიდო. იმას არ მივუტოვებივარ, არა!.. *(ცხარედ)* საბოლოოდ მაინც არ მივუტოვებივარ. ფეხი რომ აიდგი, სწორედ იმ დღეს მომივიდა შეტყობინება. კონვერტში სამგზავრო ბილეთიც კი იდო — ძალიან შორი, დიდი ქალაქის მისამართით... ქვეყნიდანაც კი შორს იყო.

გიგა. არ გაგიშვეს, ხომ?

სიდო. გაშვება რად მინდოდა. ვინ დამაკავებდა, ფრთაშესხმული გავიქცეოდი, მაგრამ შენს თავს მთხოვდნენ სანაცვლოდ: სადაც გინდა, წადი, ბავშვი აქ დარჩებაო! ფეხებშიც რომ ჩავვარდნოდი მამაჩემს, რა გამოვიდოდა... მე კი სიკვდილი მერჩია მის წინ დაჩოქებას.

გიგა. უნდა წასულიყავი.

სიდო. როგორ, როგორ... პატარა ხელები ჩემსკენ გქონდა გამოწვდილი და პირველი ნაბიჯიც ჩემსკენ გადმოდგი. *(პაუზა, რომლის დროსაც ერთმანეთს შესცქერიან)* თუმცა მაინც წავედი...

გიგა *(უზომოდ განცვიფრებული).* როგორ?

სიდო. სანახევროდ... მხოლოდ მატარებლის სადგურამდე.

გიგა *(მოუთმენლად).* მერე?

სიდო. მერე ვიქეცი იმად, რადაც ვიქეცი... *(ტახტზე ჩამოჯდება)* ხედავ, რა ხვავრიელად თოვს? დილით უკვე დასათოვლი იქნება სახლიც და ბოსელიც. კოჭის ძელი ერთ ადგილას მთლად დაფუტრულია სიძველისგან... შენ რომ გაჩნდი, იმ წელს გაუდეს სახურავს.

გიგა. რაღა ახლა მიყვები ამას, რაღა ახლა...

სიდო. ალბათ, იმიტომ, რომ ფანჯრიდან აღარაფერი ჩანს... მარტო სითეთრე. სულ მეშინოდა ზამთრის. ზამთრის და მარტოობის. და ახლაც ისევე მარტო დავრჩით მე და შენ, როგორც იმ ღამეს... არც ცეცხლი, არც შუქი... შიშველ მკერდზე გიკრავდი და ისე გათბობდი. რა მალე მოსაღამოვდა, არა?

გიგა. რა დროს საღამოა...

სიდო *(ტახტზე მიწვება).* ქარი ამოვარდა, გესმის? ნამდვილი ქარბუქია... *(ქარი მართლაც აზუზუნდება)* რა მიხარია, ნეტავ? სიხარულისგან ვტირი... პატარა ვარსკვლავიდან პატარა ანგელოზი დაეშვა ჩემთან ღამით... *(ღიღინებს)* გარეთ მგლები ყმუიან, მე კი არ მეშინია; პატარა ანგელოზი — პატარა ვარსკვლავიდან, ისე წყნარად ღუღუნებს...

გიგა. სიდო, სიდო... რას ბუტბუტებ? წადი, დაწექი. საქონელს მე მივხედავ. ანდა ისე ეყარონ. ჰო, ჰო, არ მოგესმა. არ ვიცი, რა გავაკეთო, ამ დღიდან... ხვალ, ზეგ... იქნებ მეც წავიდე? თუ დავრჩე... ცხოვრებას თავიდან ვეღარ დავიწყებ, ტყუილია. დავიღალე, დავიღალე. მაინც როგორ მომახალე სიმართლე, სიდო? რა უცნაური იყავი ყოველთვის; იქნება ესეც შენი უცნაური ტყუილია... არსადაც არ წავალ, ახლა დავჯდები და დავთვრები, მარტო... გესმის, სიდო? სიდო!.. *(უფრო ხმამაღლა)* სიდო! დაგეძინა? ყოჩაღ შენ... *(ჩუმად)* მე ხომ აღარ დამეძინება აწი მშვიდად, არასდროს. *(მძინარესთან მიდის)* გავალ, პირუტყვს დავხედავ. *(შალს გადააფარებს. ორ ნაბიჯს გადადგამს და უკან ბრუნდება)* სიდო!.. *(შიშით ეხება მხარზე)* თვალი გაახილე, გთხოვ!.. მოდი, კიდევ ვილაპარაკოთ! გთხოვ, არ მიმატოვო. სულ მარტო ვარ, გესმის? *(იჩოქებს)* არ დამტოვო!.. *(ტირის)*

გარეთ ქარბუქი ჩადგა. ისეთი მდუმარეაა, როგორც მხოლოდ თოვის დროს იცის. ბუხარში ცეცხლი კარგა ხანია ჩაქრა და ოთახში აცივდა. გიგა ნელ-ნელა წამოდგება. ცეცხლს თავიდან ანთებს, სულს ფრთხილად უბერავს ნაკვერჩხლებს. მერე დაბამბულ ჯუბას იცვამს და ფეხაკრეფით მიდის კართან.

გიგა *(მობრუნდება).* რა მოკლე დღეა. ასეთ თოვაში სად უნდა წასულიყვნენ... ნუ გეშინია, დიდხანს არ დაგტოვებ. ჩემს შვილებს მოვძებნი და მერე შენთან დავბრუნდები. არ შეგეშინდეს, აუცილებლად დავბრუნდები. შენ ცოტა ხნით დაისვენე, დედა... *(გადის)*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 26 იანვარს **სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში** გაიმართა პრეზენტაცია **გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის** სამეცნიერო შრომათა კრებულისა **„ოქონა"** და ისტორიკოს **სოსო ალიმბარაშვილის** წიგნისა **„ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან".** ღონისძიება ჩატარდა სამთავისისა და **გორის მიტროპოლიტ ანდრიას** ლოცვაკურთხევით. საღამოს უძღვებოდა გორის მუზეუმის დირექტორი **თინათინ სოსანიძე**. მან აუდიტორიას გააცნო **ნატო ხეჩიკაშვილის** მიერ პატრიარქისადმი მიძღვნილი მილოცვის ტექსტი. მიმოიხილა მუზეუმის ისტორია. აღნიშნა, რომ „ოქონის" ხატებისა და ტაძრების საკითხი კარგა ხანია იწვევს მეცნიერთა ინტერესს, ამის მიუხედავად დღემდე არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები. მადლობა გადაუხადა მიტროპოლიტ ანდრიასა და მართლმადიდებელ ქალთა საზოგადოებას ოქონის ხატის აღდგენა-რესტავრაციაში შეტანილი წვლილის გამო. სიამოვნებით აღნიშნა, რომ მეუფე ანდრიას ძალისხმევით გორში საძირკველი ჩაეყარა „ოქონას" ტაძრის მშენებლობას.

პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ: პროფესორები: **ელენე კავლელიშვილი, თამარ მესხი, თამარ გოგოლაძე, სოსო ალიმბარაშვილი**, მართლმადიდებელ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე **ნანა ჯავახიშვილი**, მხატვარი, გრაფიკოსი **ელზა გომარელი**. მათ საინტერესოდ ისაუბრეს გორის მცველისა და მფარველის „ოქონის" ხატებისა და ტაძართა ისტორიის შესახებ. საკამათო საკითხები მკვლევართა მიერ რიგ შემთხვევაში განსხვავებულად იყო გაშუქებული, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მათ მოხსენებებს. აღსანიშნავია, რომ კრებული ერთადერთია, რომელიც თითქმის სრულიად ავსებს იმ სიცარიელეს, რაც წლობით არსებობდა „ოქონას" ხატების გარშემო.

რაც შეეხება წიგნს „ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან". ავტორმა **სოსო ალიმბარაშვილმა** საინტერესოდ ისაუბრა „ოქონას" ხატის ბედზე, ამ საკითხით დაინტერესებულ პირებზე. განმარტა, რომ მან თავი მოუყარა არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საგვარეულო სიგელებში დაცულ ცნობებს.

აუდიტორიას სიტყვით მიმართა **სერგი მაკალათიას** შვილიშვილმა, პროფესორმა **მანანა გაბაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ გორი განსაკუთრებულია იმ ინტელიგენციის გამო, რომელიც სიცოცხლის რისკის ფასადაც კი სადარაჯოზე ედგა ქართველ ხალხს. რომ დღევანდელი დღე ათბობს ცივ კედლებს, პიროვნებები დღესაც აკეთებენ დიდ საქმეს, რომელთა წყალობითაც დაუბრუნდება საქართველო ძველ გზას, რადგან პიროვნებასთან ბრძოლაში მარცხდება ყველა სისტემა.

სიტყვით გამოვიდნენ: **მამა ხვთისო,** ხელოვნებათმცოდნე **სულიკო ნადიმაშვილი, სესილი ხუციშვილი.**

წიგნები საჩუქრად გადასცეს **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.**

არის გენო კალანდიას პოეზიაში ის, რასაც ფორმისა და შინაარსის ჰარმონიას უწოდებენ.

ეს სტილია. ხედვაა. ესთეტიკური პოზიციაა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, რადგან ჰარმონიის ფენომენი, ყველაფერთან ერთად, ენაც არის, პოეტის კულტურული თვითიგივეობის საფუძველია, ამ ენაზე ლაპარაკობს, აკადემიური კანონის ენაზე.

რაზეც უნდა წერდეს, რა თემასაც უნდა ეხებოდეს, იდეურ ორიენტირებს არ ცვლის, ეთიკურ ფასეულობათა ერთგული რჩება.

მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება კითხვა: რატომ მიმართავს პოეტი შუმერული ფირფიტების პიქტოგრამებს? შეიძლება თუ არა ამ პრელიტერატურული ტექსტებიდან ისეთი ფორმის წამოღება, რომელიც ახალ შინაარსს გახსნიდა დაინტერესებული მკითხველისთვის? დავიწყებული ძველის სურნელი ხომ არ ასდის ამ თამამ აქციას?

მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ლიტერატურაში სიძველე ფარდობითი ცნებაა. არ არსებობს ძველი და ახალი თემები; ძველი და ახალი საგნები, ძველი და ახალი იდეები. ხშირად, რასაც პოეზიაში ავანგარდიზმის შეფუთვით გვთავაზობენ, სწორედ ის არის ხოლმე კარგად დავიწყებული ძველი.

გენო კალანდიამ იცის, რას აკეთებს, როგორ აკეთებს, რისთვის აკეთებს. იცის, რას მოუტანს შუმერთა ვნებების გაცოცხლება და ქართულ სიტყვაში გადმონერგვა.

რაც შეეხება ცხრამეტ ტრიოლეტს, რომლებიც „ჩითის საბანის“ ქვეშ არის გაერთიანებული, უნდა ითქვას, რომ ეს კიდევ ერთი შტრიხია გენო კალანდიას ელეგანტური პოეტური პორტრეტისათვის.

გენო კალანდია

შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები

I დაფა

ენქიდუ

კედარის ტყეში მიდის ენქიდუ, —
ლომივით მშვიდი და უძლეველი.

ენქიდუმ რძე და წყალი დალია,
კედარის ტყეში მიდის ენქიდუ.

ნისლივით ნაზი, ჰაეროვანი
ვიღაცა ცხოვრობს ლერწმოვანებში,
ვიღაცა ცხოვრობს ლერწმოვანებში,
კედარის ტყეში მიდის ენქიდუ.

ალბათ, ლაგაშის მზის ქალწულია,
ალბათ, ლაგაშის მზის ქალწულია,
კედარის ტყეში მიდის ენქიდუ
სავსე თესლით და მწიფე ნაყოფით.

შედგა... შეჩერდა უცებ ენქიდუ
და გირჩებივით გადმოუცვივდა
ზურმუხტისფერი დიდი თვალები.

ბალახზე ქალის და მზის სხივია,
ბალახზე ვნება და თაფლუჭია,
კედარის ტყეში მიდის ენქიდუ.

II დაფა

* * *

ოდეს განძივით გადაუშალა,
ქალმა თავისი ავლა-დიდება,
ამოიქშინა ერთი ხარივით
და შეანათა ვნება ველური.

ექვსი დღე, შვიდი ღამე თივაში
ბერტყა და ბერტყა ქალი ენქიდუმ,
ალვის შტოსავით შემოიხვია
ბანჯგვლიან ტანზე მისი მკლავები.

და მამრის ყველა მაგარ კოცნაზე,
და მამრის ყველა ახალ ალყაზე,
ქალი შრიალებს უსურვაზივით,
ქალი ღრმად სუნთქავს უსურვაზივით.

ჯერ მდედრი, მერე მამრი მოირღვა
ნეტარი წუთის მზე და ნიავით,
ექვსი დღე, შვიდი ღამე თივაში
ბერტყა და ბერტყა ქალი ენქიდუმ.

III დაფა

დუმუზის შეხვედრა ინანასთან

ინანა, ყანაა მკერდი შენი!

დუმუზი

ყანა ხარ სასურველი,
ხორბალი ოქროსფერი.

წყარო ხარ — წყაროსთვალი,
ლაჟვარდი მოსახნავი.

ლერწამი შტომრავალი
ღმერთების სანატრელი.

ტაძარი, სამლოცველო,
იმედი ნაღვლიანთა.

მეურვე, მეპატრონე
ცოდვილთა, განკიცხულთა.

ვარსკვლავი — ვარდყვავილთა
ეტლიდან გადმოსული.

მოვედი სალამურით,
ჩემი ხმა გაგაგონო.

მოვედი ნაკვერჩხლებით
შენი ცა გავანათო...

მწყემსი ვარ ჭეშმარიტი,
ურუქის დედოფალო!

IV დაფა

ინანა

მიდიან... მიაქვთ ჯორით, აქლემით
ძვირფასი ძოწი და სამკაული,
მიდიან... მიაქვთ შარვლის ტოტებით
ზურმუხტის თვლები და საფეთქლები, —
ვით ხოხბისა და ტრედის კვერცხები.

მიდიან... მიჰყავთ უდაბნოს გზებით
ურის, ურუქის დიდი ღმერთქალი,
მიდიან... მიჰყავთ ქვესკნელისაკენ
ანგელოზივით ტანფეხშიშველი.

კაცებს არ უნდათ უკვე ქალები,
არც ქალებს უნდათ უკვე კაცები,
გაუქრათ ვნება და სიყვარული,
ტოფობის ჟამი და ნეტარება,
გაუშრათ რძე და ანდამატები,
გაუხმათ თესლი და ნარგავები.

მიდიან... მიაქვთ ეტლით, ოთხთვალით
ევფრატის სელის გრძელი კაბები,
დუმუზის კვერთხი და სალამური,
კედარის ზეთი, ნელსაცხებლები,
ლუდის კათხები და ზარდახშები,
სამეფო ბუკი და დაფდაფები!

მიდიან... მიჰყავთ წყვდიადი სახლში
უდაბნოს გზებით და საძოვრებით,
ურის, ურუქის ცის დედოფალი.

V დაფა

ცოლის ერთგული ურუქელის ლექსი

სასახლე მთხოვე,
მხევლები მთხოვე,
გარდა იმ ერთი ლერწამისა.

ყანები მთხოვე,
ბაღები მთხოვე,
გარდა მისი გიშერ-ნაწნავისა.

მდინარე მთხოვე,
არხები მთხოვე,
გარდა მისი ბაგე-ბადაგისა.

უდაბნო მთხოვე,
ზროხები მთხოვე,
გარდა მისი ერბო-კარაქისა.

ბეღელი მთხოვე,
ფინიკი მთხოვე,
გარდა მისი მუხის საწოლისა.

დიდი მზე მთხოვე,
დიდი ცა მთხოვე,
გარდა მისი მორჩი ლაჟვარდისა.

ჩითის საბანი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი
გალაკტიონ ტაბიძე

I
მძიმედ იღება კარები რკინის,
კარებთან ციხის მსტოვრები დგანან
და... ჩია ტანის ტუსაღი გაჰყავთ,
მძიმედ იღება კარები რკინის.

გარეთ ჩახმახის ჩხაკუნი ისმის,
თითქო კაკალი უცვივა ბაყალს,
მძიმედ იღება კარები რკინის,
კარებთან ციხის მსტოვრები დგანან.

II
უცებ დაეშვა სიკვდილის ფარდა,
და უცებ შეწყდა სიცოცხლე მისი,
მოირწყა მიწა ოსტატის სისხლით,
უცებ დაეშვა სიკვდილის ფარდა.

თვალი გაექცა გვამისკენ ბადრაგს,
თვალი — უვადო მახვილის ღირსი,
უცებ დაეშვა სიკვდილის ფარდა
და უცებ შეწყდა სიცოცხლე მისი.

III

მწერალი მოსე გვასალია სათუთად ინახავდა მიხ-ეილ ჯავახიშვილის მიერ ორთაჭალის ციხეში დატოვე-ბულ ჩითის წითელ საბანს, რომელიც თან წაიღო გადასახლებაში და ათწლიანი პატიმრობის შემდეგ ოჯახს დაუბრუნა, როგორც ძვირფასი რელიქვია.

მამის ძვირფასი პერანგის დარად,
ჩითის წითელი საბანი მიაქვს
და ერთი პეშვი ქართული მიწა,
მამის ძვირფასი პერანგის დარად.

გაივლის ათას სოფელს და დაბას, —
ჯოჯოხეთის და სიკვდილის ზიარს,
მამის ძვირფასი პერანგის დარად,
ჩითის წითელი საბანი მიაქვს.

IV
შემოგეძარცვა სამოსი ტანზე
და გტანჯავს უცხო შხამი და შლამი,
ვით ჰაუპტვახტში გახრწნილი გვამი,
შემოგეძარცვა სამოსი ტანზე.

ვეღარ გაძლებდა აქ დიდი დანტეც,
ვერც მწვალებელი დღისა და ღამის,
შემოგეძარცვა სამოსი ტანზე
და გტანჯავს უცხო შხამი და შლამი.

V
გაიშხუილებს ჰაერში კოღო,
ვით მონღოლური ხმა და ისარი,
ომგამოვლილი, ნამაისარი,
გაიშხუილებს ჰაერში კოღო.

ყოველდღე მოდის აქ ერთი გოგო, —
ფრთებმოხატული ტურფა ციცარი,
გაიშხუილებს ჰაერში კოღო,
ვით მონღოლური ხმა და ისარი.

VI
ხეებს ჭრიან და ებრძვიან შიმშილს,
უგვანთა ხელით მოარულ სიკვდილს,
გულაგის ყველა მთავარი კიდით,
ხეებს ჭრიან და ებრძვიან შიმშილს.

გლოვის ზარივით გუგუნებს შიში,
ხერხემლით, ვაზის ჩხასავით ფილტვით,
ხეებს ჭრიან და ებრძვიან შიმშილს,
უგვანთა ხელით მოარულ სიკვდილს.

VII

ძაღლი ძაღლს მისდევს, ბადრაგი — ბადრაგს,
წუხელ ბანაკში დაიწყო ბუნტი.
პირისპირ დგანან ძაღლი და ქურდი,
ძაღლი ძაღლს მისდევს, ბადრაგი — ბადრაგს.

ეს არის ძულვის და ცოდვის საგა, —
ნაჯახი, ტყვია და სისხლის გუბე,
ძაღლი ძაღლს მისდევს, ბადრაგი — ბადრაგს,
წუხელ ბანაკში დაიწყო ბუნტი.

VIII

თოვლი და თოვლი, ბინდი და ბინდი,
ქარით ნაგვემი ტრამალის კალთა,
სიკვდილის ველი — ქალთა და კაცთა,
თოვლი და თოვლი, ბინდი და ბინდი.

სადღაც შორს დაგრჩა დღეები მშვიდი,
ბედნიერების ფარული განცდა,
თოვლი და თოვლი, ბინდი და ბინდი,
ქარით ნაგვემი ტრამალის კალთა.

IX

ყინავს და ცივა, ყინავს და ცივა,
სოფელში მგლების ყმუილი ისმის, —
გულშემზარავი, ქარივით ხისტი.
ყინავს და ცივა, ყინავს და ცივა.

ო, ეს საბანი ჰგავს ბავშვის სიზმარს,
ჰგავს მზით და მთვარით მოხატულ თბილისს...
ყინავს და ცივა, ყინავს და ცივა,
სოფელში მგლების ყმუილი ისმის.

X

ყაყაჩოსავით გახსნია პირი
უბრალო ჩითის ალისფერ საბანს
და ჰყვება ერთი ტანჯულის ამბავს,
ყაყაჩოსავით გახსნია პირი.

როგორ ჩაასხეს ხახაში კუპრი,
როგორ უმსხვრევდნენ სისხამზე სახსარს,
ყაყაჩოსავით გახსნია პირი
უბრალო ჩითის ალისფერ საბანს.

XI

კაცი ხარ, — სითბო, ალერსი გინდა,
ქერის ყანაში მკლავების გაშლა
ძახველის ფერით შეთვალულ შაბათს,
კაცი ხარ, — სითბო, ალერსი გინდა.

მინდვრის ჩიტივით ცქრიალა ლიდა
გაგიფენს ნოხს და ქალწულის თავშალს,
კაცი ხარ, — სითბო, ალერსი გინდა,
ქერის ყანაში მკლავების გაშლა.

XII

ეს მერამდენედ განათდა წიწვი, —
თოვლით, ნამქერით გაივსო უბე, —
ყვავთა, ყორანთა ნამდვილი ბუდე,
ეს მერამდენედ განათდა წიწვი.

სანთელ-საკმელი საკანში იწვის
და სარკმელს უმზერ, ვით ვარდის ფურცელს,
ეს მერამდენედ განათდა წიწვი —
თოვლით, ნამქერით გაივსო უბე.

XIII

სიზმარში შაშვის გალობა გესმის, —
ვით ბავშვობაში დიდედას ხმები, —
შაქარყინულით, ჩონგურის ფრთებით,
სიზმარში შაშვის გალობა გესმის.

იღვიძებ... ცრემლის ციმციმებს კვესი, —
ფერად-ფერადი ფირუზის ქვები,
სიზმარში შაშვის გალობა გესმის, —
ვით ბავშვობაში დიდედას ხმები.

XIV

ჩემთვის ჰაკი ხარ, — ჰაკი ხარ, აძბა,
გადარჩენილი ჯალათის ტყვიას,
ეშმაკის ბორბალს, გულაგის წყვდიადს,
ჩემთვის ჰაკი ხარ, — ჰაკი ხარ, აძბა!

ტანჯვამ, წვალებამ გაქცია კაცად
და ობლის კვერი გამოცხვა გვიან,
ჩემთვის ჰაკი ხარ, — ჰაკი ხარ, აძბა,
გადარჩენილი ჯალათის ტყვიას.

XV

მალე გაცდები გულაგის კედლებს,
მთელი გზა მშიერ-მწყურვალი ივლი
ფეხებდამზრალი ციმბირის ყინვით,
მალე გაცდები გულაგის კედლებს.

ცისთვალა გოგო შეგისვამს მხრებზე
და ზურგს გიმაგრებს საბანი ჩითის,
მალე გაცდები გულაგის კედლებს,
მთელი გზა მშიერ-მწყურვალი ივლი.

XVI

ოდეს მიადგა ოსტატის ოჯახს,
ხელი ვარდივით შეახო საბანს,
ფრთხილად და ნაზად, ფრთხილად და ნაზად,
ოდეს მიადგა ოსტატის ოჯახს.

ვით საქართველოს ხმალი და დროშა,
სხივებს აფრქვევდა საბანი ქალაქს,
ოდეს მიადგა ოსტატის ოჯახს,
ხელი ვარდივით შეახო საბანს.

XVII

თბილისი მუდამ თბილისი არი, —
თავისი გზებით, ფრთებით, ქარებით,
მტრედებით უფლის, — მწიგნობარებით,
თბილისი მუდამ თბილისი არი.

გამოგისტუმრა უკან უარით,
მსაჯულის მკაცრი, ცივი თვალებით,
თბილისი მუდამ თბილისი არი, —
თავისი გზებით, ფრთებით, ქარებით.

XVIII

რკინიგზის ახლოს და ზღვასთან ახლოს
მალე სოხუმში დაიდებ ბინას...
აღესრულები იქვე ერთ დილას,
რკინიგზის ახლოს და ზღვასთან ახლოს.

შამბი დაფარავს იმ ყვითელ მაღლობს,
შენ რომ ეძახდი საფლავის მიწას...
რკინიგზის ახლოს და ზღვასთან ახლოს
მალე სოხუმში დაიდებ ბინას.

XIX

იმ შაბათ ღამეს, იმ ცოდვის ღამეს,
შენ და ოსტატი მესიზმრეთ ერთად,
იდექით ზღვისპირ — ფორთოხლის ხესთან,
იმ შაბათ ღამეს, იმ ცოდვის ღამეს.

თავს დაგნათოდათ ქართული მთვარე,
როგორც ოდესღაც ბაგრატს და ბექას...
იმ შაბათ ღამეს, იმ ცოდვის ღამეს
შენ და ოსტატი მესიზმრეთ ერთად.

ოთარ ჩაკვეტაძის „აბსტრაქციის“ ფრაგმენტი

გიორგი კორნაპელის გახსენება

„დამესიზმრება: მოვკვდები, მეძახის მწვანე ჩიტი და ჩემს საფლავზე დაფრინავს გაღვიძებული კვირტი“.

ეს **გიორგი კორნაპელის** სიტყვებია.

ამ პოეტს ფართო მკითხველი საზოგადოება არ იცნობს, რადგან უხმაუროდ ემსახურებოდა მუზას, არ უყვარდა თვითრეკლამა, თავის წარმოჩენა, ეპატაჟი.

დაიბადა 1932 წლის 23 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში. გარდაიცვალა 1997 წლის 7 აპრილს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელში, არა სასაფლაოზე, არამედ განმარტოებულ ადგილზე (ანდერძისამებრ), კორნაპის სერზე, რომლის მიხედვითაც ჰქონდა შერჩეული ფსევდონიმი „კორნაპელი“.

მისი ლექსები გამოირჩევა მეტაფორულობით, მისტიკური სიღრმითა და ფანტაზიის დიდი უნარით.

„გიორგი კორნაპელის შემოქმედებაში ახალი ეპოქის შესაფერისად არის განვითარებული და გაღრმავებული გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის ლირიკის ძირითადი, წამყვანი მოტივები — სიკვდილისა და სულის უკვდავების, წარმავლობისა და მარადისობის, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართების უზოგადესი პრობლემები“, — წერს კრიტიკოსი **გია ბენიძე**.

2012 წლის 27 ნოემბერს ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრში გაიმართა გიორგი კორნაპელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

გიორგი კორნაპელის შემოქმედების ხასიათსა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს მწერლებმა: **გია ბენიძემ, მურად ნებიერიძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, ზაზა ქინქლაძემ, ზაალ ებანოიძემ, ავთანდილ ყურაშვილმა, თემურ ამყოლაძემ, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, გოჩა სხილაძემ, ნანა ჩიტორელიძემ, მალხაზ მაჭავარიანმა,** განათლებისა და კულტურის მუშაკებმა: **ლამარა ჭანკვეტაძემ, დავით ლაბაძემ, ქეთევან ედიბერიძემ, თორნიკე ეფრემიძემ, ნუგზარ წერეთელმა.**

ითქვა, რომ გიორგი კორნაპელი მრავალმხრივ საინტერესო მოვლენაა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მის ერთი შეხედვით რთულ, მაგრამ შინაარსიან ლექსებში ასახულია ეპოქის ხასიათი და სულისკვეთება.

საღამოზე ზესტაფონელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი გიორგი კორნაპელის შემოქმედების მოტივებზე. საგალობლები შეასრულა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კულტურისა და შემოქმედების ცენტრის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა.

ავთანდილ ტარიელიძე

2011 წლის მაისში მოვინახულე ჩემი ნაბოლარა ბიჭის, ბაქარის პირველი მასწავლებელი ქალბატონი მერი დვალიშვილი, რომელიც პირველ სკოლაში დაწყებითი კლასების დამრიგებელი იყო და ბავშვებს დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა. ქალბატონი მერი ადრე დაქვრივდა და სამი შვილი, ვაჟები: ლევანი და გიგა, გოგონა — ლიკა, ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდა. ამჟამად იგი დამსახურებულ პენსიაზეა და, რძლებთან ერთად, შვილიშვილებს უვლის. ყოველთვის მამხნევებდა, მაიმედებდა — ბაქარი უეჭველად კარგი კაცი დადგებაო. ღმერთმა უსმინოს.

ჩვენი ახლობლური, მეგობრული ურთიერთობა დღემდე გრძელდება. მათთან იმდღევანდელი ყოფნის შემდეგ დავწერე მოზრდილი სალაღობო ლექსი, რომელშიც შევეცადე დამეხატა გოცაძეების სტუმართმოყვარე, შეხმატკბილებული ოჯახი, რწმენას გამოვთქვამდი, ერთი წლის მერე ქალბატონ მერის უკვე ხუთი შვილიშვილი ეყოლებოდა. ჩემი ნათქვამი გამართლდა — ლევანს, მრავალმხრივ განათლებულ სამართალმცოდნეს, ისევ ვაჟი, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის მიერ მონათლული იოანე შეეძინა, ხოლო გიგა, საუკეთესო, გულისხმიერი ექიმი მეორე ვაჟის, საბას მამა გახდა. ლევანისა და გიგას და, მშვენიერი გარეგნობის ლიკა, ნიჭიერი მხატვარი-დიზაინერი, გასათხოვარია და ისიც ცალკე იტყვის თავის სიტყვას. მჯერა, ქალბატონი მერის შვილიშვილთა რაოდენობა ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთმა ფესვმაგარმა, მდიდარი ტრადიციების ოჯახებმა უნდა გაამრავლონ და გააძლიერონ სასიკეთო გზაზე დამდგარი საქართველო!

ემზარ კვიტაიშვილი

სტუმრად გოცაძეების ოჯახში

ენა ვერ იტყვის, რა კარგი
იყო გასული კვირა;
სიამოვნება ასეთი
გამომიცდია ძვირად.

სხვა რა სჯობს, ადამიანი
კეთილს რომ ტოვებს სახელს?!
ჩემი ბაქარის პირველი
მასწავლებელი ვნახე.

იცინის, პირველ შვილიშვილს
შეჰხარის მერი ბებო;
თეკლა ნაწნავებს ისწორებს —
ჭკვიანი, სანაქებო.

მეუღლეები გვერდით ჰყავთ
ძმებს — გიგასა და ლევანს;
აქ სადღეგრძელო, მრავალი,
ბოლომდე დაილევა.

თავგადაკლული, ძმისწულებს
უვლის მამიდა ლიკა;
ნამოიზარდა ილიაც,
ღვინის უჭირავს ჭიქა.

ისროლა ჭრელი მუთაქა,
ააყირავა ტახტი,
ცმუკავს, არ იშლის ცელქობას,
ხელმოტეხილიც დახტის.

უყვარს უფროსი დაიკო,
ერთიც რომ არ აქვს ხინჯი,
ქება რად უნდა, თქვენც იცით —
თეკლა გოგოა დინჯი.

ბაგაშიც ერთად ივლიან,
ისწავლეს კოხტად ჩაცმა,
არ მეგულება ქალაქში
მათზე ლამაზი და-ძმა.

ანგელოზივით გვიღიმის,
შევყურებთ თეთრად მოსილს;
ჯერ მხოლოდ სამი თვის არი
პაწია ნიკოლოზი.

აღუსაც ამბობს, ვარსკვლავს ჰგავს
გიგას ყმაწვილი, თოთო,
დიდად მეამა, იმასთან
რომ გადავიღე ფოტო.

გულში იხუტებს ნიკოლოზს,
შუბლზე კოცნის და ფუთნის
მერი ბებია, გაისად,
მწამს, დამხვდებიან ხუთნი.

ვის რას ვუშავებთ, ხარობდეს
ქართველთა ჯიში, ფესვი!
როგორც კახეთში იტყვიან,
მე საკართანოც შევსვი.

დავლოცე ფუძე, სამშობლოს
ხსნად, იმედად რო მოჩანს;
გვიმრავლოს, ღმერთი წყალობდეს
გოცაძეების ოჯახს!

7 წლის ბაქარ კვიტაიშვილი თავის პირველ მასწავლებელთან — მერი დვალიშვილთან ერთად

ნატა ვარადას აქვს პოეტური თხზვის თავისებური, ადვილსაცნობი მანერა, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს თავისებურება, ხშირად ძნელი გასარკვევია, რადგანაც ჭირს მის კომპოზიციურ სტრუქტურაში შეღწევა, მითუმეტეს, სტრუქტურის დანაწევრება ან ნაწილებად წარმოდგენა. იქ, სადაც ფორმა მთლიანობას აღწევს, ერთობ სარისკო და გაუმართლებელია საუბარი შედგენილობაზე.

„ანგელოსი ესმა ონიანი“. ვერ ვიტყვით, რომ ამ ლექსს რაიმე აკლია ფორმის ან შინაარსის მხრივ, მაგრამ არის მასში რაღაც ისეთი გამჭვირვალობა, რომელიც საშუალებას იძლევა დავინახოთ კომპოზიციური ერთეულები და მათი „გადაბმის“ ადგილები, რაც მიგვანიშნებს „პოეტიკურ გასაღებს“, ნატა ვარადას ლექსის თავისებურებას.

ჩვენ წინაშეა სამნაწილიანი სიუჟეტი კლასიკური ალუზიით: ჯოჯოხეთი — სალხინებელი — სამოთხე. გაუცხოების ტკივილი, ომი, სიკვდილი — ჯოჯოხეთია; ქალაქი, უნივერსიტეტი, პოეტის წიგნი — სალხინებელი; მიახლება პოეზიასთან — სამოთხე.

ახლობლობის, სულიერი ნათესაობის განცდა არის საკუთარი თავის მიგნების გზა და საშუალება.

როგორც ჩანს, ნატა ვარადამ ესმა ონიანის ლექსებსა და ფერწერულ ტილოებში იპოვა თავისი თავი, მის მეწამულისფერ ტონალობებში აღმოაჩინა ის, რაც მხატვრობასა და პოეზიას აერთიანებს და აყალიბებს ერთიან მოცემულობად.

თაყვანისცემა და ხსოვნა კრისტალდება პოეტურ ტექსტად, რომელსაც ცხოვრება წერს. მეხსიერების სიღრმეებში მყარად დგას საგნებისა და მოვლენების რიგი, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, რადგან უკვე პოეტურ ფაქტად არის ქცეული. ეს ის მომენტია, როცა გარდასული, თითქმის დავიწყებული წარსული ხდება რეალური, ცხადი, ნამდვილი, რომელიც იმდენად თავისებური და ყოვლისმომცველია, რომ ემსგავსება მეოთხე დროს, რომელშიც თავმოყრილია წარსულის, აწმყოსა და მომავლის უცვლელი დეკორაციები. ეს უბრალო, მიამიტური, ბავშვური სისავსით გამორჩეული ზმანებანი კი ალბათ ის არის, რასაც სამოთხეს ვუწოდებთ.

ნატა ვარადა

ანგელოსი ესმა ონიანი

მწიფე სუნებით გაბრუებული,
მე გრძელთმიანი, საზიზღარ ქვეწარმავალივით
ფეხმავალი,
მივიზლაზნები შუადღის მზეში, დამდნარ ასფალტში.
სად გინდა გასვლა,
როცა მარტოობა მხოლოდ სასაფლაოზეა და
წიგნების მაღაზიაში.
დღეს ურმებზე დაბარგებულ გლეხების
ცნობისმოყვარე მზერის
არ მაქვს სურვილი,
ისინი თავის ჭუჭყიან პატარებთან ერთად,
ყურძნის წვენით გათხუპნულები,
მიყურებენ მე — მოჩვენებას,
რომელიც საფლავის ქვებს ეფარება.
დღეს წიგნის დღეა, მაგრამ ნატალა
ტუჩაბზუებით და მტრულად მიცქერს,
მისი ანზორი დახლის ქვევიდან
ნეკა თითზე წაზრდილი ფრჩხილით
პერსონაჟობას იხდენს —
ჟანრი უცვლელი.

თუმცა იმ დროს, აბა, რა იყო, საშინელებათა,
მიამიტი დედინაცვლის ასულები.
გუდიანი კაცი,
გვრიტების შემგროვებელი.
მაგრამ, წიგნებისგან შორს,
ჩემს ქვეყანაში ქუხდნენ მთები,
ზღვას კი ქვიშა გადმოსდიოდა.
იყო ომი, და ჯარისკაცები, დაუმარხავნი
იწვნენ ცის პირას, ბედის ანაბრად.
„თეთრი სტუმრები“ — თეთრი წიგნი.
აი, რა მსურდა.
წამოვედი და შემოდგომის საღამოს
დავემალე იქ, სადაც მთვარე ღამღამობით
მშობიარობდა, ანუ სხვენში,
და ეს ლექსები და ეს სახელი — ესმა ონიანი —
სურათ-ხატებად გამიცოცხლდა.
ასე დაიბადა ეს ჩემი თავშესაფარი, ნავმისადგომის გარეშე.
მე წამოსვლისას
ბევრ რამეს ხელი გავაშვებინე,
მე მივატოვე დამტვერილი სასაფლაოს ხმელი ჭადრები,
და ეს წიგნი და ეს სახელი — ესმა ონიანი —
თან წამოვიღე.
მაგრამ ქალაქი, სადაც უნდა მესწავლა ხელობა,
სადაც ვისწავლე ჯოჯოხეთის სურათებზე წერა,
დამხვდა ომისგან გაბრუებული,
ნაშიმშილარი, ნაავადარი.

სახლიდან უნივერსიტეტის ბაღამდე
მე გავდიოდი ესმა ონიანის სახლის ჭიშკარს,
მე დავდიოდი ამ ქალაქში და თავში აზრადაც არ გამივლია,
რომ გამეკითხა ლექტორებთან,
ნეტავ სად სახლობს პოეტი ქალი,
ნეტავ ამ ლექსებს მამაზე და წინაპრებზე გაგრძელებებად
ისევ თუ ხატავს?!

ვინ იცის, სტუდენტურ ზურგჩანთით,
სადაც მუდმივად დამქონდა პოეტის წიგნი ავგაროზივით,
პლეხანოვზე რამდენჯერ გვერდითაც კი ჩავუარე,
ვინ იცის,
და მან ჩემი თვალები საკუთარი ლექსებით იცნო.
თუმცა
მე ახლაც,
როცა წუთისოფლის დაღებულ ხახამდე ერთი ნაბიჯი მრჩება,
ვგრძნობ უხილავ ხელს,
რომელსაც, როგორც ხავსს, ისე ვეჭიდები,
რომელიც მიმიყვანს ხოლმე ესმა ონიანის პოეზიასთან
და მესმის: დარჩი.

ფულის კერპად ქცევა, ტრადიციულ სულიერ ღირებულებათა რღვევა, სექტების მოძალება, ვაჭრების ჩამოყალიბება გაბატონებულ ფენად, მასობრივი უღმერთობა, აი, ის მოვლენები, რომლებმაც ჩვენი ეპოქა შეძრა... ეს პროცესები აირეკლა ლიტერატურაშიც, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ხანდახან სწორედ ლიტერატურაში აისახება სრულფასოვნად ეპოქალური მოვლენები, ხოლო დიდი მწერლები სხვებზე უკეთაც კი ჭვრეტენ თავიანთი ქვეყნის მომავალს... ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს განვიხილოთ XX საუკუნის ამერიკული მწერლობა...

თემურ გაბუნია

აპოკალიფსის წინათგრძნობა ამერიკულ ლიტერატურაში

...ძალიან რთულია... სულიერი ცხოვრებით იცხოვრო ამერიკაში, რადგან ხალხს შერეკილი ჰგონიხარ, როცა ამას ცდილობ.

ჯერომ სელინჯერი „ტედი“

...ეშმაკზე რაღაც უარესი დაეპატრონა ქვეყანას და მანამდე აღარ გაუშვებს ხელიდან, სანამ მთლიანად არ აკუწავენ.

ჯონ სტაინბეკი „მრისხანების მტევნები“

მის ხმაში ფულის წკრიალი ისმის“, თქვა მან უეცრად.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი „დიდი გეტსბი“

ფულმა ჩაახშო ყველაფრის სიყვარული...

ჯონ სტაინბეკი „მრისხანების მტევნები“

I

დიდ ამერიკელ მწერლებს — სტაინბეკს, ფიცჯერალდს, სელინჯერსა და ჰემინგუეის — ბევრი რამ განასხვავებდათ: მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესი და თუნდაც დამოკიდებულება რელიგიისადმი, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი, გარკვეული თვალსაზრისით, ჰგავდნენ კიდეც ერთმანეთს, უფრო მეტიც, ერთი საერთო პერსონაჟიც კი ჰყავდათ. ის, მართალია, უპიროვნო იყო და უსქესო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამ მწერლების რომანთა პერსონაჟებზე, მათ ქცევასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხმის ჟღერადობაზეც კი.

აი, რას ვკითხულობთ ფ. სკოტ ფიცჯერალდის „დიდ გეტსბიში“:

„რა დაურიდებელი ხმა გაუხდა დეიზის, სავსე რაღაცით...“ სიტყვა ვეღარ შევარჩიე.

„მის ხმაში ფულის წკრიალი ისმის“, თქვა მან უეცრად.

ასეც იყო. აქამდე ვერ ვხვდებოდი. მართლაც ფულის წკრიალი ისმოდა მის ხმაში. სწორედ ეს ანიჭებდა უცვლელ ეშხს, ხან რომ მინავლდებოდა და ხანაც აღზევდებოდა, ციმბალების რაკრაკივით... თვით დეიზი კი სადღაც მაღლა იყო, მეფის თეთრ სასახლეში, როგორც ქალწული ოქროსი...“

იმავე მოვლენაზეა საუბარი სტაინბეკის „მრისხანების მტევნებში“: „ფულმა ჩაახშო ყველაფრის სიყვარული, სარგებლიანობამ დაანელა გახელებული სურვილები და ფერმერები იქცნენ ჭირნახულით მოვაჭრე წვრილ საქმოსნებად, წვრილ მეწარმეებად, რომლებიც საქონელს მანამ ყიდიან, სანამ დაამზადებენ“.

ფიცჯერალდთან ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს — ფულს — განუსაზღვრელი ძალაუფლება ენიჭება. ის იჭრება ადამიანთა სასიყვარულო საქმეებში, ხლართავს ინტრიგებს, ორ შეყვარებულს შორის კედელივით აღიმართება, ჩარხავს ფულზე დამყარებულ ქორწინებას. სტაინბეკთან კი ადამიანის ეკონომიკური დამონების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად იქცევა, აიძულებს ფერმერებს აიყარონ მშობლიური მიწებიდან, გულს უსასტიკებს და თვალებს უბრმავებს მდიდრებს, რომლებიც ვეღარ ამჩნევენ, რომ მათ გვერდით ქალები და ბავშვები შიმშილით იხოცებიან.

ფულის გაკერპებას ზიზღით უყურებდა სელინჯერიც, რაც ნათლად გამოჩნდა მისი რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ პირველივე აბზაციდან. აი, ასე ახასიათებს ჰოლდენ კოლფილდი თავის უფროს ძმას: „დ.ბ... ჩემი ძმაა, ჰოლივუდში ცხოვრობს... სწორედ ახლახან იყიდა „იაგუარი“. ერთი მოციცქნილი ინგლისური მანქანაა, საათში ორას მილს გადის. ბარე ოთხი ათასი დოლარი დაუჯდა. იცოცხლე, ფული ჩეჩქივით აქვს ახლა. უწინ ქესატად გახლდათ. შინ რომ იჯდა, მწერალიც მაშინ იყო. იმისთანა პატარ-პატარა მოთხრობებს წერდა, რომ შიშით სული გაგძვრებოდა“. ჰოლდენს მიაჩნდა, რომ ჰოლივუდთან თანამშრომლობითა და ნამდვილ მწერლობაზე უარის თქმით დ.ბ. სულიერი პროსტიტუციის გზას დაადგა.

რამ გამოატანინა ჰოლდენის მეშვეობით მწერალს ასეთი მკაცრი განაჩენი დ.ბ.-სათვის? ალბათ იმან, რომ რაბინის შვილიშვილი სელინჯერი ფულის გადამეტებულ სიყვარულს კერპთაყვანისმცემლობასთან აიგივებდა. მას რაღაც შინაგანი სიძულვილიც კი ჰქონდა ამ ბომონისადმი, ისევე როგორც ოდესღაც ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, თავიანთ თვისტომს რომ აფრთხილებდნენ: „ნუ იმრუშებთ უცხო ღმერთებთანო“. მწერლისთვისაც ფულის გაღმერთება პროსტიტუციასთან, ანუ სულიერ მრუშობასთან გათანაბრებული ცოდვა იყო.

თავის თანამოკალმეთა მსგავსად, სელინჯერიც მტკივნეულად განიცდიდა ფულის დიქტატურას, როგორც რაღაც საშინელსა და ამაზრზენ მოვლენას, ადამიანს სულიერად რომ ამახინჯებდა.

არანაკლები მნიშვნელობის მქონე პერსონაჟად გვევლინება ეს უპიროვნო, უსქესო და უსულო კერპი ჰემინგუ-

ეის შემოქმედებაშიც. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ფულის დიქტატურამ მხოლოდ მწერლის შემოქმედებაზე როდი მოახდინა გავლენა, არამედ მის პირად ცხოვრებაზეც. აი, რას წერს ჰემინგუეი ავტობიოგრაფიულ წიგნში — „განუყრელი დღესასწაული“: „მდიდრებს ყოველთვის ჰყავთ თავიანთი თევზი-ლოცმანი, რომელიც მათ გასავლელ გზას წინასწარ ზვერავს... შემდეგ მდიდრებიც გამოჩნდებიან და ყველაფერი შეუქცევადად იცვლება. თევზი-ლოცმანიც ქრება. ეს ადამიანი ყოველთვის სადღაც მიემართება ან საიდანღაც ბრუნდება, თუმცა დიდხანს არსად ჩერდება. ის ჩნდება და ქრება პოლიტიკასა და თეატრში, ისევე როგორც ჩნდება და ქრება... ადამიანების ცხოვრებაში, როცა ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან.

მისი დაჭერა შეუძლებელია. მას თვით მდიდრებიც კი არ იჭერენ... ბადეში კი მხოლოდ ის ებმება, ვინც თევზ-ლოცმანს მიენდობა“.

სამწუხაროდ, თევზი-ლოცმანის მსხვერპლი თვითონ ჰემინგუეიც აღმოჩნდა, რადგან ამ უცნაური მეგზურის მოყვანილმა მდიდრებმა მწერალს პირველი მეუღლე ჰელდიც დაკარგვინეს და ოჯახური იდილიაც... აი, როგორ აღწერს ამ მოვლენებს თვით მწერალი:

„როცა ორ ადამიანს უყვარს ერთმანეთი, როცა ბედნიერები და მხიარულები არიან და თანაც ერთ-ერთი ან ორივე ერთად ნამდვილად რაღაც მშვენიერს ქმნიან, ისინი ხალხს ისევე იზიდავენ, როგორც კაშკაშა შუქურა ღამით გადამფრენ ფრინველებს“.

ალბრეხტ დიურერი — აპოკალიფსის ოთხი მხედარი

ზუსტად ამ ფრინველებივით მიიზიდეს ავსტრიის სათხილამურო კურორტ შრუნსში დასასვენებლად ხანგრძლივი დროით მყოფმა ერნესტმა და მისმა პირველმა მეუღლემ ჰედლიმ მდიდრები. თუმცა, საუბედუროდ, ჰემინგუეის არ აღმოაჩნდა იმუნიტეტი. იგი ისევე ბრმად მიენდო მათ, „როგორც პოინტერი, რომელიც მზადაა ნებისმიერ თოფიან კაცს გაყვეს“. ჰემინგუეი ნანობდა, ცდუნებებს რომ აჰყვა და თავი ღირსეულად არ დაიჭირა: „ჩემი რომანებიდან ნაწყვეტებსაც კი ვუკითხავდი... ისინი კი მეუბნებოდნენ, „ეს გენიალურია, ერნესტ, ნამდვილად გენიალური!... ამ ძაღლიშვილებს რომანი მოეწონათ, მერედა რა არის ამაში ცუდი?“ წესით, ასე უნდა მეფიქრა, თავი პროფესიონალივით რომ დამეჭირა“. თუმცა ჰემინგუეიმ მათ თავი გაუყადრა და, როგორც თვითონვე აღნიშნავს, გაწვრთნილი პოინტერივით ჩაყვინთა წყალში მათი გადაგდებული ჯოხის ამოსატანად.

სამწუხაროდ, მთავარი ხიფათი ჯერ კიდევ წინ იყო. მალე გამოჩნდნენ სხვა მდიდრებიც, რომლებმაც მისი პირადი ცხოვრების დასანგრევად ისეთივე ძველი მეთოდი გამოიყენეს, „როგორიც თვით სამყარაა“. აი, რაში მდგომარეობდა ის: „ახალგაზრდა დაუქორწინებელი ქალი“ მოულოდნელად დაუმეგობრდა მის მეუღლეს და, როცა მწერლურ საქმიანობაში გართულმა ჰემინგუეიმ სამუშაო დაასრულა, უნებლიეთ აღმოაჩინა, „რომ მის გვერდით ორი მომხიბლავი ქალბატონი იყო. მათგან ერთ-ერთი უჩვეულო და იდუმალებითმოცული“...

და აი, როცა შრუნსიდან ნიუ-იორკში საქმეების მოსაგვარებლად წასული ჰემინგუეი პარიზში დაბრუნდა, რათა პირველივე მატარებლით ავსტრიაში გამგზავრებულიყო სათხილამურო კურორტზე დატოვებულ ცოლ-შვილთან, იქ (ვითომდაც სრულიად შემთხვევით) ის მდიდარი და იდუმალებითმოცული ქალბატონი დახვდა... ასე დაიწყო ჰემინგუეის „პარიზული არდადეგები“, მისი გაორებული ცხოვრება, რომელიც უსაყვარლეს მეუღლესთან — ჰედლისთან — განშორებით დასრულდა.

თუმცა ჰემინგუეის მეორე ქორწინებამ ბედნიერება ვერ მოუტანა. ეს ნათლად ჩანს მოთხრობაში „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“. ამერიკელი მწერალი ჰარი, რომლის პროტოტიპიც თვითონ ჰემინგუეია, და მისი მდიდარი მეუღლე, აფრიკაში მოგზაურობენ. ჰარი, რომელსაც ფეხზე განგრენა დაეწყო და უდაბნოში თითქმის გარდაუვალ სიკვდილს ელოდება, მეუღლეს საყვედურობს, რომ სწორედ „მისი ოხერი ფულის“ გამო დაკარგა უძვირფასესი დრო და ვეღარ შექმნა ღირებული ნაწარმოებები. „ვერ იქნა და ვერ მოჰკიდა კალამს ხელი. არ ეწერებოდა. ყოველი დღე ფუფუნებით იყო სავსე და ეს გულს ურევდა, ნიჭს უჩლუნგებდა, წერის სურვილს უდუნებდა, ისე, რომ საბოლოოდ სულაც გაანება თავი წერას“.

საგულისხმოა, რომ მოთხრობაში გამოყვანილი მდიდარი ქალის პროტოტიპი სწორედ ჰემინგუეის მეორე მეუღლე პაულინია.

პირველ ცოლთან, ჰედლისთან, კი ყველაფერი სხვაგვარად იყო... მასთან გატარებული წლები საოცარი მწერლური აქტიურობით გამოირჩეოდა. თუმცა ჰემინგუეი, როგორც ჩანს, ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებდა. აი, რას ამბობს მისი ლიტერატურული ორეული ჰარი. „თვითონვე აირჩია, რომ სხვა რაღაც ხრიკებით ეცხოვრა და არა კალმითა და ფანქრით. ისიც მრავლისმეტყველია — არა განა? — რომ ყოველი ახალი ქალი, ვი-

საც ის შეიყვარებდა, წინანდელზე მდიდარი იყო“. ჰარის ხშირად უხდებოდა ცოლისთვის კომპლიმენტების თქმა, „შენსავით არავინ მყვარებიაო“. ეს სიცრუე იყო, ამას თვითონაც ხვდებოდა, მაგრამ მაინც იმეორებდა ამ ბანალურ ფრაზას, რადგან სწორედ ეს აჭმევდა პურს. თუმცა მთავარი უბედურება ის კი არ იყო, რომ ცრუობდა, ამას კიდევ მოევლებოდა, უბედურება ის გახლდათ, „რომ სიმართლე აღარც ჰქონდა სათქმელი“.

ჰარისა და მისი მდიდარი მეუღლის ურთიერთობა რაღაც გარიგებას ჰგავდა, ქალს ჰქონდა ფული, კაცს — პოპულარობა. ქალი ცხოვრების მისეულ წესს ყიდულობდა, „კაცი კი თავისი ძველი ცხოვრების ნარჩენებს ჰყიდდა... ჰყიდდა უზრუნველი ცხოვრებისთვის, კომფორტისთვის...“

ჰემინგუეის პაულინისთან ქორწინებამ მართლაც მოუტანა უზრუნველი ცხოვრება. 1933 წელს, როცა დიდი დეპრესიისას ამერიკასა და ევროპაში ხალხი შიმშილით იხოცებოდა, ისინი აფრიკაში საკმაოდ ძვირადღირებულ სანადირო ექსპედიციებში დადიოდნენ. ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ ერთ-ერთი საფარისას მათ მეგზურობას ცნობილი თეთრკანიანი მონადირე ფილიპ ჰოუპ პერსივალი უწევდა, რომელიც 1909 წლის სანადირო ექსპედიციაში თვით თეოდორ რუზველტს ახლდა. სწორედ 1933 წლის ათკვირიანი აფრიკული ნადირობის დროს დაავადდა ჰემინგუეი დიზენტერიით და თვითმფრინავით ნაირობში გადააფრინეს. მსგავსი მოვლენებია აღწერილი „კილიმანჯაროს თოვლიან მთაში“. თვითმფრინავის მოლოდინში ჰარი იხსენებს თავის განვლილ ცხოვრებას: პირველ ცოლს, რომელიც ძალიან უყვარდა; დაჭრილ არტილერისტს, მას რომ ეხვეწებოდა, მომკალიო; პარიზის ღარიბულ უბანს, სადაც პოლ ვერლენი გარდაიცვალა, და გული წყდება, რომ პარიზზე ვერაფრის დაწერა ვერ მოასწრო...

საბედნიეროდ, ჰემინგუეიმ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მაინც მოახერხა თავისი პარიზული მემუარების გადამუშავება. მოგონებათა წიგნი, „განუყრელი დღესასწაული“, 1964 წელს გამოიცა. 1986 წელს დღის სინათლე იხილა მისმა დაუმთავრებელმა რომანმაც „ედემის ბაღი“. და აი, ლიტერატორებიც ალაპარაკდნენ იმ თვალშისაცემ კონტრასტზე, რომელიც ოციან წლებში პარიზში მცხოვრებ ერნესტსა და „ედემის ბაღის“ პერსონაჟ დეივიდს შორის იყო.

ისევე, როგორც ჰარი, „ედემის ბაღის“ მთავარი გმირი დეივიდ ბოუმიც ამერიკელი მწერალია. იგი თავის ახალშერთულ მეუღლესთან ერთად თაფლობის თვეს საფრანგეთის ერთ-ერთ ზღვისპირა რეგიონში, კამარგაში ატარებს. ბოუმები იქ ხვდებიან ახალგაზრდა ქალს მარიტას, რომელიც ორივეს უყვარდება, თუმცა მხოლოდ დეივიდი ახერხებს მარიტას გულის მოგებას. ეს უცნაური ამბავი საბოლოოდ დეივიდისა და ქეთრინის დაშორებით მთავრდება. ჰემინგუეის ბიოგრაფს ჯეიმზ მელოუს მიაჩნდა, რომ რომანის პერსონაჟის ქეთრინის პროტოტიპი პაულინი იყო, დეივიდისა კი — თვითონ ერნესტი, და რომ მსგავსი ამბავი მათ თაფლობის თვის ლე გრაუ-დუ-როიში გატარებისას უნდა გადახდენოდათ...

ვინც კარგად იცნობდა ჰემინგუეის ბაირონისეულ ცხოვრების სტილს; მის სიყვარულს კრივისა და ნადირობისადმი; ვისაც კარგად ახსოვდა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „განუყრელი დღესასწაული“ როგორ ამაყობდა პარიზში მცხოვრები ჰემინგუეი საკუთარი ჯანმრთელი სექსუალური ორიენტაციით, უთუოდ გაოცდებოდა „ედემის ბაღის“ პერსონაჟის დეივიდ ბოუმის გაცნობისას, რომელიც მშვიდად ისმენდა ქეთრინის საუბრებს ანდროგენულობის შესახებ და მზად იყო თმა იმავე საღებავით შეეღება, მისი ცოლი რომ იყენებდა...

ეს, ალბათ, არათუ მკითხველს, თვით ჰემინგუეისაც უკვირდა, რადგან როცა 1956 წელს პარიზის სასტუმრო რიცში სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი თავისი ახალგაზრდული ჩანაწერების გადამუშავება დაიწყო, მძიმე დეპრესიაში ჩავარდა. როგორც ჩანს, საკუთარ პორტრეტს მიჩერებული დორიან გრეის მსგავსად უკვე აშკარად გრძნობდა, რა სხვაობაც იყო ამ ორ ჰემინგუეის შორის...

აი, ასე საბედისწეროდ დასრულდა მდიდრების შემოჭრა ჰემინგუეის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, მწერალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ისევე, როგორც მამამისმა და მისმა და-ძმამ, რასაც ექიმები გენეტიკური ჰემოქრომატოზით (ორგანიზმში რკინის ათვისების უნარის დაქვეითება) ხსნიდნენ. რაც შეეხება ჰედლის, მწერალი მასთან განშორებას სიცოცხლის ბოლომდე მტკივნეულად განიცდიდა...

არანაკლებ ტრაგიკულადაა ასახული მსგავსი თემა მსოფლიო ლიტერატურის შედევრში „დიდი გეტსბი“. მდიდარი ადამიანები იქაც ადვილად იჭრებიან შეყვარებულთა ცხოვრებაში. ქორწინება ამ რომანში კომერციულ გარიგებას უფრო ჰგავს, ვიდრე ცხრა საიდუმლოდან ერთ-ერთად მიჩნეულ ღვთაებრივ აქტს. ფიცჯერალდი ასე აღწერს გეტსბის ფრონტიდან დაბრუნების მოლოდინში მარტო დარჩენილი დეიზის სულიერ მდგომარეობას: „ქალს ვერ გაეგო, რატომ არ ჩამოდიოდა გეტსბი... შინაგანი ხმა... ეძახდა და სთხოვდა გადაეწყვიტა რამე. სურდა ახლავე, დაუყოვნებლივ მოეწყო თავისი ცხოვრება და გადაწყვეტდა კიდეც ამ ნაბიჯის გადადგმას, თუკი აიძულებდა რაიმე ძალა — სიყვარული იქნებოდა ეს, ფული თუ აშკარად ხელსაყრელი რამ გარიგება“.

და აი, მალე „ეს ძალაც გამოჩნდა, ტომი თვითონაც ზორბა კაცი იყო და ცხოვრებაც ასეთი ჰქონდა... ტომი და დეიზი დაქორწინდნენ. რას ეფუძნებოდა მათი შეუღლება? „— არასოდეს არ ყვარებიხართ, გესმით?.. მხოლოდ იმიტომ გამოგყვათ ცოლად, რომ ღარიბი ვიყავი და ლოდინმა დაღალა. შეცდა, საშინლად შეცდა. გულის სიღრმეში ჩემ გარდა სხვა არავინ ყვარებია!“ — პირში მიახლის გეტსბი ტომს.

ნუთუ ეს მართალია? შესაძლოა. მაგრამ მოდით ამ ამბავს სხვა კუთხითაც შევხედოთ. განა თვითონ გეტსბიც არ იყო მოქცეული ფულის დიქტატურის გავლენის ქვეშ? მაშ რატომ რცხვენოდა საკუთარი მშობლების, ღარიბი ფერმერები რომ იყვნენ? რად შეიცვალა სახელი და გვარი? რატომ იქცა ჯეიმზ გეცი — ჯეი გეტსბად? იმის გამო ხომ არა, რომ „უნიათო მშობლები ჰყავდა — უგერგილო ფერმერები“. და „თავის ოცნებაში მშობლებად არც კი იხსენიებდა“, რადგან რცხვენოდა მათი შვილობა? ან რად მოატყუა დეიზი, რატომ „შეუქმნა შთაბეჭდილება, საკუთარ ფეხზე მყარად ვდგავარო“. ან რად მოაჩვენა თავი ისე, „თითქოს იმავე წრეს ეკუთვნოდა, რომელშიც თვით დეიზი აღიზარდა და რომ სავსებით შეეძლო უზრუნველეყო მისი ცხოვრება. სინამდვილეში კი ამის თავი არ ჰქონდა — ზურგს ვერ უმაგრებდა შეძლებული ოჯახი და მთავრობის უპიროვნო ძალას ყოველწუთს შეეძლო გადაესროლა იქ, სადაც მოეპრიანებოდა“.

დიახ, გეტსბიც განიცდიდა ამ მაგიური ძალის, ფულის დიქტატურის, გავლენას, მაგრამ ის სხვებზე გაცილებით

უკეთესი იყო, რადგან ჯერ კიდევ შერჩენოდა წმინდა სიყვარულისა და ოცნების უნარი. შემთხვევით არ ეუბნება ნიკი გეტსბის გამომშვიდობებისას: „მაგ წყეულ ბანდას ბევრად სჯობიხარო“. ნიკის პოზიცია ავტორისას უნდა ემთხვეოდეს, რადგან ფიცჯერალდის აზრითაც ეს იშვიათი ადამიანი, „გულში უბინო ოცნებას“ დაატარებდა, სწორედ ამიტომ უწოდა მას „დიდი გეტსბი“.

ისევე, როგორც ჰემინგუეის ავტობიოგრაფიულ წიგნში, „დიდ გეტსბიშიც“ ნათლად ჩანს, რომ ქორწინებას ხშირად პრაგმატული მოსაზრებანი წარმართავს, რის გამოც კომერციულ გარიგებას ემსგავსება. უკვე აღარავის უკვირს, რომ ხანდახან მომავალ მეუღლეებს შორის ქორწინებამდე რაღაც იურიდიული შეთანხმებაც კი იდება იმის შესახებ, თუ რამდენი ღამე უნდა გაატარონ ერთად კვირაში ან თვეში; როგორ უნდა გადაანაწილონ ქონება სიკვდილის შემდეგ და სხვა... აი, ასე გადაასხვაფერა ფულის დიქტატურამ ადამიანი... თუმცა ამ უპიროვნო ძალას მხოლოდ ადამიანები არ შეუცვლია, მან შეცვალა თვით სახელმწიფოებიც, მათ ბირთვს უკვე საშუალო ფენა კი აღარ შეადგენდა, არამედ ბანკებისა და კორპორაციების უკან მდგომი ერთი მუჭა მილიარდერები, რომლებმაც არა მხოლოდ ქარხნები და ფაბრიკები ჩაიგდეს ხელში, არამედ ქვეყნის მთავარი სიმდიდრე — მიწაც.

ეს აპოკალიფსური პროცესი იყო, რადგან ანტიქრისტეს შესახებ წინასწარმეტყველებაში გარკვევითაა ნათქვამი: ის „ერთი მუჭა“ ხალხის მეშვეობით აღზევდებაო. რას უნდა ნიშნავდეს ეს გამონათქვამი? უთუოდ იმას, რომ უკანასკნელ ჟამს მთელი მსოფლიოს სიმდიდრე და ძალაუფლება თითზეჩამოსათვლელ ოლიგარქთა ხელში იქნება მოქცეული. როდის დაიწყო ეს პროცესი და რა ეტაპზეა ის ახლა? კაპიტალის გამსხვილება ფეოდალიზმის რღვევის თანამდევი მოვლენა იყო, ის ყოველთვის მიმდინარეობდა, თუმცა მკვეთრად დაჩქარდა დიდი დეპრესიისას. ოლიგარქებმა უკვე თამაშის საკუთარი წესების კარნახი დაიწყეს. ისინი ცდილობდნენ წარემართათ პოლიტიკა, გაეკონტროლებინათ წვრილი და საშუალო ბიზნესი, მედია, ხელში ჩაეგდოთ მიწები... სწორედ ამ თემას ეხება ჯონ სტაინბეკის ცნობილი რომანი „მრისხანების მტევნებიც“. აი, როგორ გამოხატავს ავტორი გაღატაკებული ფერმერის, მიულის პირით საკუთარი მიწიდან აყრილ მიწათმოქმედთა ტრაგედიას:

„ — თავიდან უბრალოდ ერთი კაცი მოვიდა და თაფლივით ტკბილად დაგვიწყო დაყოლიება: „აქედან უნდა წახვიდეთ, ეს ჩემი ბრალი არ არისო“. აბა, ვისი ბრალია, წავალ და იმას გავუსწორდები-მეთქი. ეს „შონის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კომპანიის“ საქმეა. მე მხოლოდ ბრძანებებს ვღებულობო. ვინ არის „შონის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კომპანია“-მეთქი. „არავინ არ არის, უბრალოდ კომპანიაა“. ადამიანი პირდაპირ ჭკუიდან შეიშლება. თითქოს პასუხსაც ვერავის მოსთხოვ. ბევრი გააფთრებით ეძებდა დამნაშავეს, რომ ჯავრი ეყარა, მაგრამ ბოლოს მოსწყინდა და ბედს დაემორჩილა...“

აი, ასე დაიწყო ფერმერთა შევიწროება. სტაინბეკი ამ ლოკალურ პროცესს ისეთი სიღრმით აღწერს, რომ მას უკვე არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ გლობალური, ზოგადსაკაცობრიო და თვით რელიგიური მნიშვნელობაც კი ენიჭება. მწერალი წამოჭრის კითხვას: რას წარმოადგენს მიწასმოწყვეტილი ადამიანი? რა მოუვა მიწას, რომელსაც მოსიყვარულე ხელი აღარ შეეხება? ან რა ბედი ელის ქვეყანას მას შემდეგ, რაც მის უმთავრეს სიმდიდრეს რომელიღაც უპიროვნო ძალები, კორპორაციები და ბანკები დაეპატრონებიან? სტაინბეკის აზრით: „თუ ადამიანს მიწა აქვს, ოღონდ ისე, რომ თავის მიწაზე დააბიჯებს და უვლის მას, სწუხს, როცა მოსავალს კარგი პირი არ უჩანს, უხარია, როცა დროულად მოდის წვიმა, მაშინ ეს მიწა მასთან შეზრდილია და ადამიანი როგორღაც უფრო დიდია, რადგან მას აქვს მიწა...“

მაგრამ კორპორაციებმა და ბანკებმა მიწა და ადამიანი ერთმანეთს დააშორეს. ამიერიდან ისინი ერთ მთლიან არსებას აღარ შეადგენენ. ამით მათ ერთდროულად ორი რამ გაეკეთეს: პირველი — ადამიანი მომთაბარე, ხელფასზე დამოკიდებულ არსებად აქციეს, და მეორეც — მიწა გააუპატიურეს. სტაინბეკის აზრით, ტრაქტორები მიწას კი არ ხნავდნენ, არამედ აუპატიურებდნენ. მას, ვინც მიწაზე მკვდარი მანქანით ძალადობდა, მხოლოდ ქიმია ესმოდა, მოძალადეს უკვე დაკარგული ჰქონდა მიწასთან ნათესაური სიახლოვე, მას „მიწაც ეჯავრებოდა და საკუთარი თავიც“, ამიტომ მისთვის სულერთი იყო, რა ქიმიურ სასუქს იხმარდა, ადამიანისთვის სასარგებლოს თუ მავნეს, ან რას გაურევდა ყურძნის წვენს ღვინოდ ქცევამდე — გოგირდის სითხეს თუ რაიმე ქიმიურ ფხვნილს. მთავარი იყო მოგება. ფულის სიყვარული ადამიანს აბრმავებდა, საღ აზრს უკლავდა. სტაინბეკი წინასწარმეტყველურად ჭვრეტდა, სადამდე მიიყვანდა კაცობრიობას სიხარბე, მის ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა გენური ინჟინერიით გამოყვანილი ყინვაგამძლე ბოსტნეულის ჯიშები, ათასგვარი ქიმიური მინარევებით დამზადებული საკვები. თუმცა დიდ მწერალს გული ცუდს უგრძნობდა, ისევე, როგორც წმ. მამა იოანე კრონდშტანდტელს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბოლო ჟამს უამრავი საკვები იქნებოდა, თუმც ადამიანისთვის სასარგებლო — არცერთი.

აი, რას ამბობს სტაინბეკის ერთ-ერთი პერსონაჟი, ყოფილი მღვდელი კეისი: „აგერ მე მთელი ძალ-ღონე ეშმაკთან ბრძოლას შევალიე, რადგან ეშმაკი ხალხის უბოროტესი მტერი მეგონა. ნამდვილად კი ეშმაკზე რაღაც უარესი დაეპატრონა ქვეყანას და მანამ აღარ გაუშვებს ხელიდან, სანამ მთლიანად არ აკუწავენ. გინახავს ოდესმე შხამიანი ხვლიკი, მისტერ? როგორ ჩაავლებს ხოლმე მსხვერპლს კბილებს და უჭირავს? შუაზე რომ გაჭრა, მაინც უჭირავს. კისერიც რომ მოაკვეთო, ყბებს მაინც არ გახსნის. სატეხით უნდა გაუპო თავი და მაშინღა მოეშვება. მაგრამ სანამ მსხვერპლი უპყრია, შედის და შედის შხამი ნაკბილარში“.

მაინც რას გულისხმობდა სტაინბეკი ეშმაკზე უარეს არსებაში? რაღა თქმა უნდა, ფულის დიქტატურას, ბანკსა და სხვადასხვა კომპანიებს. მისი აზრით, მართალია, ბანკი თვითონ ადამიანებმა შექმნეს, მაგრამ ის თანდათანობით უფრო დიდი გახდა, ვიდრე ადამიანები, ურჩხულს დაემსგავსა და საკუთარი მონებიც კი გაიჩინა, რომლებიც მისთვის ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებდნენ. თუმცა თვით მისი „რწმუნებულები ბანკებისა და კომპანიების მაგივრად პასუხს არ აგებდნენ, რადგან ისინი იყვნენ ადამიანები და ამასთანავე მონები...“ ზოგიერთ რწმუნებულს თავიც კი მოჰქონდა, რომ „ასეთი ულმობელი და ყოვლისშემძლე ბატონის მონა იყო“, მათ მოვალეობას წარმოადგენდა ხალხისთვის განემარტათ, თუ რა სურდა მათ ბატონს. გაღატაკებული ადამიანი ბანკისგან ფულს რომ სესხუ-

ლობდა, მალე ამ ურჩხულის ლუკმა ხდებოდა. ამ უპიროვნო ძალის უკან კი, სტაინბეკის აზრით, ხანდახან ძალიან უღირსი პიროვნებებიც კი იდგნენ. აი, როგორ აღწერს ყოფილი ფერმერი ერთ-ერთ მსხვილ მიწათმფლობელს: „ზღვის პირას არის ერთი მეპატრონე, გაზეთის მეპატრონე, მილიონი ქცევა უჭირავს... ყველგან გზირები უყენია და სიახლოვეს არავის უშვებენ. თვითონ ტყვიაგაუმტარი მანქანით დაბრძანდება. სურათში მინახავს. რაღაც მსუქანი, უსიცოცხლო ორფეხა, წვრილი ბოროტეული თვალები აქვს, ვირის უკანალს მიუგავს პირი. ეშინია, რომ მოკლან. მილიონი ქცევა უჭირავს და სიკვდილის ეშინია...

— სიკვდილის ეშინიაო, თქვენ ამბობთ? — ჰკითხა კეისმა.

— ჰო, ეგრე მოვკარი ყური.

— ეშინია, უფალმა რომ მოიკითხოს?.. თუ მილიონი ქცევა იმისთვის უნდა, რომ სიმდიდრე იგრძნოს, მე მგონი, სულიერად ძალიან ღარიბი ყოფილა...“

და აი, სწორედ კორპორაციებს ამოფარებული ასეთ მშიშარა და ხარბ ადამიანთა ხუშტურის გამო ასობით ათასი ადამიანი მშობლიური ადგილებიდან აიყარა და კალიფორნიისკენ დაიძრა ლუკმაპურის საშოვნელად. რა მოელოდათ მათ ამ მდიდარ შტატში, სადაც ხანდახან ისეთი უხვი მოსავალი მოდიოდა, რომ ფორთოხალს ნავთს ასხამდნენ და წვავდნენ? დიახ, ფორთოხლის მთებს ცეცხლი ეკიდა, „კირმოყრილი ღორის ხორცი თხრილში“ იხრწნებოდა, ხილი მიწაზე ლპებოდა, კარტოფილი წყალს მიჰქონდა“, თვალუწვდენელი ნაყოფიერი მიწა უქმად ცდებოდა, ხოლო გაძვალტყავებული დაქანცული ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ. აი, სადამდე მიიყვანა ფულის გაკერპებამ, ფულის ღმერთად გამოცხადებამ ადამიანები დიდი დეპრესიის დროს.

სტაინბეკი რომანში აღწერილ მოვლენებს არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური კუთხით აფასებს, არამედ რელიგიურითაც. შემთხვევით არ შეურჩევია მას სათაურად მრისხანების მტევნები. იოანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ: „და დაუშვა ანგელოზმა ნამგალი ქვეყნად, და მოისთვალა მტევანნი ქვეყნისა, და ღმრთის რისხვის ვეება საწნახელში ჩაყარა ისინი. და დაიწურა საწნახელი ქალაქგარეთ, და წარმოდინდა სისხლი საწნახელს...“ (თ. 14, ლ 19-20)

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ნამგლით ვენახის მოჭრასა და მტევნების საწნახელში ჩაყრაში იოანე ღვთისმეტყველი უფლის რისხვას გულისხმობს, ცოდვილებს რომ უნდა დაატყდეს თავს უკანასკნელ ჟამს.

„ისევ მოძღვარი რომ ვიყო... ასე ვიტყოდი, ცოდვილ მიწას უფლის წყრომა თავს დასტყდომია-მეთქი“, აღმოხდება ფერმერთა ნასახლარების დანახვისას კეისის.

სტაინბეკს თვითონვე ჰქონდა განცდილი ის გაჭირვება, ოკლაჰომადან კალიფორნიისკენ გაუმართავი ფურგონიანი მანქანებით დაძრულმა ფერმერებმა რომ გადაიტანეს, რადგან, როცა ჟურნალმა „ლაიფმა“ სთხოვა დაზარალებულ მიწათმოქმედებზე ნარკვევი დაეწერა, გადაწყვიტა საკუთარი თვალით ენახა ყოველივე. და როცა დარწმუნდა, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ეს გასაცოდავებული ადამიანები, მიხვდა, რომ მათ ტრაგედიას ერთ პატარა სტატიაში ვერ ჩაატევდა. სტაინბეკი თვითონაც ათევდა ღამეს „კარავთა ქალაქებში — ჰუვერვილებში და ლტოლვილთა მხარდამხარ კრეფდა ბამბასა და ფორთოხალს“, ამიტომ მას სხვებზე უკეთაც კი უნდა დაენახა ღვთის რისხვის ანარეკლი გაძვალტყავებულ და დამშეულ ადამიანთა მზერაში. მათ თვალებში მრისხანება ჩასდგომოდათ, ხოლო სულებში მწიფდებოდა და მძიმდებოდა მრისხანების მტევნები...

II

და ერთმა ანგელოზმა ძლიერმა აიღო ქვა, დიდი დოლაბის მსგავსი, და ზღვაში ჩააგდო, და თქვა: ასე სწრაფად შთაინთქმება ბაბილონი, დიდი ქალაქი, და აღარ იქნება.

(გამოცხადება, თ. XVIII, ლ. 21)

იოანეს გამოცხადებაში ძალიან მოკლედ, თუმცა ამომწურავადაა განმარტებული, რამ უნდა გამოიწვიოს ბაბილონის სასჯელი, მისი უზარმაზარი დოლაბის ქვასავით ზღვაში ჩაგდება. მაინც რატომ უნდა შეწყდეს მეჩანგეთა, მეწინწილეთა, მესტვირეთა და მესაყვირეთა ხმა ღვთისგან განწირულ ქალაქში? რად უნდა მიინავლოს სანთლის ნათელი? რატომ უნდა ჩაკვდეს სიძისა და სძლის ხმა? მიზეზი მარტივია: „რადგანაც ვაჭარნი შენნი ქვეყნის მთავარნი იყვნენ, და მწამვლელობით შენით შესცდა ყოველი ხალხი. და პოვნილ იქმნა შენში წინასწარმეტყველთა და წმიდათა და ამ ქვეყნად ყოველი მოკლულის სისხლი“ (გამოცხადება, თ. XVIII, ლ. 23-24).

როგორც ვხედავთ, ბაბილონის მოსალოდნელი დაცემის პირველი მიზეზი სწორედ ვაჭართა კლასის გაბატონებაა მსოფლიოზე. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ღმერთისთვის ვაჭრები ან ვაჭრობა იყოს საძულველი, პირიქით, მეჯოგეობის თანადროულად სწორედაც ვაჭრობდნენ ბიბლიური პატრიარქები იაკობი და იოსები, თუმცა ღმერთს ისინი ისე გამორჩეულად უყვარდა, რომ აკურთხა კიდევაც იაკობი და მისი მოდგმა და უწოდა მათ სახელად ისრაელი. მაშ როგორ უნდა გავიაზროთ აღნიშნული მონაკვეთი იოანეს გამოცხადებიდან? აშკარაა, რომ უფალს ყველა ვაჭარი კი არ სძულს, არამედ მხოლოდ ისინი, უკანასკნელ ჟამს მსოფლიოს სათავეში რომ უნდა მოექცნენ, თანაც არა პროფესიის, არამედ — მწამვლელობის გამო. ძველი ქართული სიტყვა მწამვლელობა ჯადოქრობასა და გრძნეულებას ნიშნავდა, თუმცა ახალ ქართულში ის იმ ადამიანის სინონიმად იქცა, სხვას რომ წამლავს, რაც საკმაოდ ნიშანდობლივია, რადგან იოანეს გამოცხადებაში სწორედ ბაბილონის ელიტის მიერ მსოფლიოს ხალხთა სულიერი გახრწნისა და იდეოლოგიური მოწამვლის შესახებაა საუბარი. ამრიგად, ღმერთს არა ვაჭარი, არამედ ვაჭრული ფსიქიკის ადამიანი სძულს, რომელსაც ელიტურობას იჩემებს და თანაც ყველაფერთან ერთად უღმერთოცაა. სწორედ ასეთი გახლდათ ფ.სკოტ ფიცჯერალდის პერსონაჟი „დიდი გეტსბიდან“ ტომ ბიუკენენი, ასევე მისი მეუღლე დეიზიც, რომელიც ისე გამსჭვალულიყო სიმდიდრის სიყვარულით, რომ თვით მის ხმაშიც კი ფულის წკრიალი ისმოდა. შემთხვევითი არაა, რომ რომანის მთხრობელი არისტოკრატული წარმომავლობისაა. ბაკლუს ჰერცოგთა შთამომავალ ნიკ კაროუეისთვის

თვალშისაცემი უნდა ყოფილიყო იმ ადამიანის სიმდაბლე, რომელსაც გარეგნობაც მეფური ჰქონდა და სასახლეც, მაგრამ სულიერად მაინც მდაბიოდ დარჩენილიყო. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ნიკი ტომს ერთხანს ხელს არ არ-თმევს, რადგან მან, იმის ნაცვლად, რომ თვითონ გასწორებოდა გეტსბის, რისი საკმაო მიზეზიც ჰქონდა, სხვა განაწყო და წააქეზა მის მოსაკლავად, მოღალატე ცოლზე კი არც გაბრაზებულა... ისე განაგრძო მისი ფლობა, როგორც ვაჭარმა რაღაც ძვირფასი ნივთის.

დიახ, ღმერთს ვაჭრები როდი სძულს, არამედ ისინი, რომელთა სულებშიც ფულის სიყვარულს ღმერთისა და მოყვასის სიყვარული ჩაუხშვია (ჯონ სტაინბეკი); მწერალი ფულის გამო საკუთარი ნიჭს რომ ყიდის (სელინჯერის პერსონაჟი დ.ბ. რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“); ადამიანი, რომელიც გამდიდრების პერსპექტივის გამო ფეხმძიმე ქალს, საკუთარი შვილის მომავალ დედასაც კი კლავს (დრაიზერის „ამერიკული ტრაგედია“)...

ამრიგად, ამერიკულ მწერლობაში აშკარად იგრძნობოდა აპოკალიფსის სუნთქვა, ამის ერთ-ერთი ნიშანი კი სწორედ არისტოკრატული სულის ჩახშობა და ფულის კერპად ქცევა გახლდათ. ამ მახინჯ მოვლენას მძაფრად განიცდიდა კიდევ ერთი დიდი ამერიკელი მწერალი უილიამ ფოლკნერი, რომლის მთელი შემოქმედებაც სწორედ სნოუპსების ტიპის ფულსდახარბებულ ადამიანთა მოძალებით გამოწვეული ტკივილით გაჟღენთილიყო. ფოლკნერი თვითონ გახლდათ იმ სამხრეთული არისტოკრატიის შთამომავალი, სამოქალაქო ომში რომ დამარცხდა და ადგილი „ახალ არისტოკრატიას“ — კომერსანტებსა და ფინანსისტებს — დაუთმო. თუმცა მწერალი არ ეგუებოდა ადამიანის დამარცხებას. მისი აზრით, გარკვეული დოზით განსაცდელი აუცილებელიც კი იყო სულიერი განწმენდისა და განვითარებისთვის. იმედგაცრუება სტაინბეკისთვისაც უცხო გახლდათ. აი, რას ვკითხულობთ „მრისხანების მტევნებში“: „არ არსებობს ისეთი გაჭირვება, რომელსაც ვერ დასძლევ, თუ კაცები არ გატყდებიან“.

სტაინბეკი თავის რომანში ეხება კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას — რწმენის დაკარგვასა და სრულ უღმერთობას, რაც ასევე უკანასკნელი ჟამის ძირითად ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. რწმენადაკარგული ადამიანის ერთ-ერთი სახეა მხტომელთა სექტის ყოფილი მღვდელმსახური კეისი. აი, რას ეუბნება იგი ტომ ჯოუდის: „— ახლა იმდენს აღარ ვქადაგებ. ხალხი გამოიცვალა, აღარც ღმერთი სწამთ და აღარც ხატი. ცუდი ის არის, რომ მე თვითონ აღარაფერი მწამს. რასაკვირველია, ზოგჯერ, როცა სული მოითხოვს, ვუხმობ მრევლს წირვაზე. ანდა, როცა გაწყობილ სუფრაზე მომიწვევენ, წარმოვთქვამ ხოლმე ლოცვას, მაგრამ გული აღარ მიმიდის. ამას მხოლოდ იმისთვის ვაკეთებ, რომ ჩემგან მოელიან“.

კეისის უკვე ყველაფერში ეჭვი ეპარებოდა, თვით ნათლობის საიდუმლოშიც კი. „მოგიხდა ის ნათლობა? წაგივიდა საქმე უკეთ?“ — ეკითხება ყოფილი მოძღვარი მის მონათლულ ტომ ჯოუდის. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ყოველი ქადაგებისა და ნათლობის შემდეგ რომელიმე გოგონას აირჩევდა, ბალახებში გაიყვანდა და გვერდით მიუწვებოდა. ასე შვებოდა ყოველთვის. თუმცა მერე ცუდად ხდებოდა და ინანიებდა, მაგრამ ეს არაფერს შველოდა. თანდათანობით კეისი მიხვდა, რომ მღვდლობის უფლება აღარ ჰქონდა, რადგან სწორედ იმ „წმინდა ჭურჭელს“ ბილწავდა, რომლის სისპეტაკეზეც უნდა ეზრუნა. ყოველივე ამან კეისი გაორებულ სულიერ მდგომარეობამდე მიიყვანა. მას უკვე იმ უპატრონო ქუჩის ძაღლისაც შურდა, რომელიც სადღაც მიწანწალებდა, რადგან თვით ცხოველმაც კი იცოდა, სად მიდიოდა, მან კი არა...

გაორებულ მდგომარეობაშია სელინჯერის პერსონაჟი რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“ ჰოლდენ კოლფილდიც, რომელსაც უნდა, რომ ილოცოს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც ცოტას მოიათეისტებს. მას მართალია ქრისტე უყვარს, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი, რაც ბიბლიაშია, სისულელე ჰგონია.

„ამერიკა არის ქვეყანა, სადაც ძალიან ძნელია ადამიანმა სულიერი ცხოვრებით იცხოვროს, რადგან როცა ამას ცდილობ, ხალხს შერეკილი ჰგონიხარ“, — ამბობს სელინჯერის ერთ-ერთი პერსონაჟი — ტედი.

„თავისი პური უზნეობასა და უტიფრობაში მოჭამა. ონავარი ბავშვივით უკეთური, შეუბრალებელი და მოუთმენელი, მთელი არსებით ერთობოდა. ძალიან ბევრს ჭამდა, როცა მოიხელთებდა, ძალიან ბევრს სვამდა, როცა ექნებოდა, ძალიან ბევრს ლაყბობდა ყოველთვის“, — ასე ახასიათებს სტაინბეკი თავის ერთ-ერთ პერსონაჟს, მოხუც ჯოუდის.

ამრიგად, ამერიკულ ლიტერატურაში უღმერთო, უზნეო და სულსწრაფ ადამიანთა ბევრი პორტრეტია. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დიდი ამერიკელი მწერლები მხოლოდ ცუდზე წერდნენ და კარგს ვერაფერს ამჩნევდნენ. პირიქით, შეულამაზებელ პორტრეტთა დახატვით ისინი ამხელდნენ და აშიშვლებდნენ ადამიანის ნაკლოვან მხარეებს და ცდილობდნენ, რომ სისასტიკე და თვალთმაქცობა, სიხარბე და მომხვეჭელობა ცხოვრების წესად არ ქცეულიყო. ხანდახან თავიანთ შედევრთა შესაქმნელად ძალიან მუქ ფერებსაც კი იყენებდნენ და მათ ნაწარმოებებშიც აშკარად იგრძნობოდა აპოკალიფსის სუნთქვა, მაგრამ არც ეს იყო ტრაგედია, რადგანაც თავისთავად აპოკალიფსის სიახლოვე სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ადამიანმა იმედი დაკარგოს, პირიქით, უნდა გამხნევდეს და მოემზადოს ახალ სამყაროსთან შესახვედრად, რომელიც მშობიარობის ტკივილების შემდეგ აუცილებლად დაიბადება.

ამერიკელი მწერლები არ დანებებულან, არ შეგუებიან ადამიანის დამარცხებას. ამას ნათლად ადასტურებს უილიამ ფოლკნერის სიტყვები: „მე უარს ვამბობ მივიღო ადამიანის დასასრული... ის უკვდავია და გადარჩება... მე მჯერა, რომ არა მხოლოდ გადარჩება, არამედ გამარჯვებასაც იზეიმებს. ადამიანი უკვდავია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა არსებას შორის მხოლოდ მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არამედ იმის გამოც, რომ გააჩნია სული, სულიერება, რომელსაც ძალუძს თანაგრძნობა, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანის უნარი და გამძლეობა. მწერლისა და პოეტის დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ ყოველივე ამის შესახებ წეროს“.

ფოლკნერს არ უღალატია თავისი მრწამსისთვის, არც სელინჯერს, სტაინბეკსა და სხვებს. ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ მათ ნაწარმოებთა წაკითხვა ადამიანს მხნეო-

ლია(ნა) ელიავა

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“

2012 წლის დამლევს, კინოცენტრში მიმდინარე ხმაურიან შეხვედრებზე, როგორც იქნა, კინოსაზოგადოება შეთანხმდა, რომ ქართული კინო არ მომკვდარა, ცოცხალია!

ქართული კინოს გარდაცვალების ავტორი ბატონი — გიორგი შენგელაია, ეტყობა, ბოლობოლო დაარწმუნეს საპირისპიროში, რადგან ნაახალწლევს, ტელეარხის „რუსთავი-2” გადაცემაში „კურიერი” ეს მოსაზრება არ გაუმეორებია.

სამაგიეროდ, ჯიუტად დაიჩემა არანაკლებ მომაკვდინებელი — ბოლოდროინდელი, ქართული ფილმები დაბალი მხატვრული დონისააო (ლაპარაკია საქვეყნოდ აღიარებულ ფილმებზე, კერძოდ გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირსა” და ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეებზე”).

მხატვრული არასრულფასოვნების იარლიყი მათი ავტორებისთვის, თუ თვითონ არ ილონეს რამე: არ გადაიხვეწნენ, უცხოური ფილმები არ გადაიღეს, არ გაიყიდნენ, ან პროფესია არ შეიცვალეს, იგივე შემოქმედებითი სიკვდილია.

უდავოა, რომ არც გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი” იმსახურებს ამგვარ მკაცრ განაჩენს, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ხნის წინა მაქვს ნანახი, გამოწვლილვით არ მახსოვს და საერთო სიტყვებით ლაპარაკი არ მიყვარს. ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეებზე” კი შევეცდები მაყურებლის თვალში მაინც გავაქარწყლო ეს მცდარი მოსაზრება. არ მინდა რამე ჩრდილი მიადგეს ამ ფილმს.

გამოგიტყდებით და ახალგაზრდობაში კინოსადმი იმდენად გასულიერებული დამოკიდებულება მქონდა, აღვიქვამდი, როგორც ცოცხალ არსებას. ჩემი „სინემათი” სიყვარულშიც კი გამოვუტყდი საჯაროდ. ცნობილმა უცხოელმა კინომოღვაწეებმა საერთაშორისო ფესტივალებზე ასეთივე სიყვარულით მიპასუხეს. ქართველთაგან (მაყურებელს არ ვგულისხმობ), სიყვარულს ვინ ჩივის, კეთილგანწყობაც ვერ დავიმსახურე. ამას სხვა უსამართლობებიც დაერთო და ახლა, ოდესღაც ჩემს სათაყვანებელ კინოს, სიახლოვეს არ ვეკარები, გავურბივარ, არ ვუყურებ.

„ქუჩის დღეებმა” კი შემიტყუა და ძალით მაყურებინა თავი. ისე მომეწონა, რომ მივხვდი, მოყვარული რეჟისორის მიერ არ იყო გადაღებული. მისი ავტორი არც ჩვეულებრივი პროფესიონალი გახლდათ, იმდენად სრულყოფილი იყო, ამ ერთი შეხედვით, ბანალური თემის მხატვრული გადაწყვეტა, დაღდასმული განუმეორებელი ეროვნულობით. ჩემთვის კი (როგორც მიხაილ რომის მოწაფისათვის) „რაზე” უფრო მთავარია „როგორ”.

დავიწყებ სცენარით, რომლის ერთ-ერთი ავტორი თვითონ რეჟისორიცაა.

სიუჟეტი დაძაბული, ალაგ კი სახალისოდ ღიმილისმომგვრელიცაა.

სიტყვაძუნწი ქართული დიალოგები დაწმენდილია უცხო და უხამსი მინარევებისაგან (ქართველებში ყველა კი არ ბილწსიტყვაობს და არ უქცევს ინგლისურად, რუსულად თუ კინტოურად).

უზუსტესი შტრიხებითაა დახატული მოპირულ დანის პირზე მავალი მთავარი გმირი, ფილმში უკვე ნარკომანი, ერთ დროს კი იმედის მომცემი ახალგაზრდა. ასე იხსენებენ მისი უღირსი საქმიანობითა და მისივე შვილის (ისიც მათი მოსწავლეა) გამოუვალი ეკონომიური მდგომარეობით შეწუხებული მასწავლებლები.

აწ გაფუნქციონერებულ და დალხენილ სკოლის მეგობართა წრიდან იგი უკვე კარგა ხანია გარიყულია.

შერცხვენილი და განამებულია მის ხელში ცოლ-შვილი.

მათთვის ემეტებათ მხოლოდ გაუცხოება, ქილიკი, მუქარა და არა სითბო, ზრუნვა, შველა, რაც მათ წამალზე მეტად სჭირდებათ.

უთანაგრძნობს გმირს მხოლოდ ბნელში ნათლის სვეტივით მოკიაფე ერთ-ერთი მეგობრის პატარა ბიჭი.

უნებისყოფო, მაგრამ კეთილშობილი ნარკომანი არ გასწირავს ამ თავის ერთადერთ მხარდამჭერს. მის გადასარჩენად თვითონვე გაებმება კრიმინალური სამართალდამცველების მიერ დაგებულ მახეში და იკლავს თავს.

როგორ არა ჰგავს არავის სხვა ფილმებიდან „ქუჩის დღეების” განარკომანებული გმირი. ასე უმწეო და აგრერიგ პატიოსანი! ძალიან ქართულია სხვა ხასიათებიც, ურთიერთობანი, გარემო.

სცენარის გმირებს სულით ხორცამდე ქართველი არაპროფესონალები თუ მსახიობები განასახიერებენ, თანაც ისე ბუნებრივად, რომ ცხოვრება, არსებობა უფრო ეთქმით, ვიდრე დაკისრებული როლების შესრულება.

რომ არ მცოდნოდა, ვერ დავიჯერებდი, რომ მთავარი გმირი, — გუგა კოტეტიშვილი — დიზაინერია და არა მსახიობი. თუმცა რა გასაკვირია ორი უაღრესად არტისტული წინაპრის: ბაბუა — ვახტანგისა და მამა — ვახუშტის შთამომავლისაგან ამგვარი მსახიობური ნიჭი!

განსაკუთრებით შემძრა მისმა სულიერმა სინაზემ ცოლის — გაუსაძლისი ცხოვრებისგან ქანცგაწყვეტილი ქალის მოფერების მცდელობისას. რამდენი რამ იკითხება ამ დროს მის თვალებში: სიყვარული, სევდა, დანაშაულის გრძნობა, მონანიება... რამდენი რამაა ამ ერთ წამში ჩატეული!

ვინმე რომ არ გამომრჩეს, სხვა გმირებიდან ვერავის გამოვყოფ (ხანდაზმულობის პატივსაცემად, ბატონ — ლეო ანთაძის გარდა), იმდენად სრულყოფილია ანსამბლი.

შინაარსის შესატყვისია ფილმის გამომსახველობითი მხარეც. არავითარი თვალწარმტაცი თბილისური პანორამები. მწირი გარემო, დაბზარული სახლები, ნახევრადბნელი ქუჩები, გმირის უსახური, უკიდურესად ღარიბული ბინა. ეტყობა, წამლისთვის ყველაფერი გაზიდა აქედან სახლის პატრონმა. ამ ქალაქში მხოლოდ ფუფუნება ჩახჩახებს და ლაღობს.

რა კარგად უთქვამს, ვინცა თქვა (მგონი, უცხოელმა კინომცოდნემ), ეს ფილმი იმდროინდელი, ანუ 80-იანი წლების, საქართველოს ავტოპორტრეტიაო.

მწყობრად დინამიურია ფილმის მონტაჟი. მკაცრად გააზრებულია კადრებისა თუ ეპიზოდების მონაცვლეობა, განსხვავებით ბევრი ნაქები ფილმისაგან, რომელთა რეჟისორებს მონტაჟის არათუ ხელოვნება, უბრალო წესები და კანონები არ გაეგებათ.

აქ მივადექი მთავარს. ვინაა ამ ფილმის რეჟისორი და საიდან ასეთი პროფესიული ცოდნა, ნიჭზე რომ აღარაფერი ვთქვათ?

რადგან ფილმი ჩემთვის უცნობი ავტორის მიერ იყო გადაღებული, მისი ნახვის შემდეგ მომინდა „გუგლში" გამერკვია მისი ვინაობა, გავცნობოდი სხვათა ნააზრევსაც

აღმოჩნდა, რომ იგი ადრე ტელევიზიაში ნამუშევარა, მერე გადაუწყვეტია ქართულ კინოინსტიტუტში ჩაბარება. ალბათ ვერ გაბედა კინოსარეჟისოროზე (მაინც არ მიიღებდნენ!) და კინოეკონომიური დაუმთავრებია. ბოლოს რეჟისორულმა ჟინმა, ეტყობა, თავისი გაიტანა და მოსკოვის კინოინსტიტუტის — „ვგიკის" — სარეჟისორო ფაკულტეტი დაუმთავრებია. ამაზეც არ გაჩერებულა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტშიც უსწავლია, კინორეჟისურის განხრით.

გუგა კოტეტიშვილი (კადრი ფილმიდან „ქუჩის დღეები")

ნამდვილად ეტყობა მის ნაწარმოებს რუსულ-ამერიკული სკოლის ოსტატობის კლასი. თუმცა, როგორც თვითმყოფად შემოქმედს, თავის ფილმში არ გამოუჩენია რუსებისთვის დამახასიათებელი, გადაჭარბებული ინტერესი ფიზიოლოგიისადმი. არაჰოლივუდურია მისი მთავარი გმირიც, ტიპაჟურად, ხასიათი ასევე არ იმეორებს ამერიკულ კლიშეს ფილმის ფინალი.

ჩემთვის იმთავითვე არ იყო სადავო, რომ რეჟისორისთვის ნარკომანია მხოლოდ კონკრეტიკაა ცხოვრების ფართო შრეების ღრმად გასააზრებლად.

არ შეიძლება როყიოდ წამოსროლილი სიტყვებით ყველა მიღწევის დამდაბლება, გაბიაბრუება, რის უფლებასაც ხშირად აძლევს თავს კინომცოდნე თეო ხატიაშვილი. საბუთად მომყავს ჟურნალში „ცხელ შოკოლადი" დაბეჭდილი მისი დასკვნა ზემოთხსენებულ ფილმზე:

„ქუჩის დღეები" მთლიანად სტერეოტიპებზე იგება. მეჩვენება, რომ „ქუჩის სკოლის" რომანტიზაციის (შესაძლოა, უნებლიე) რეანიმაციასთან გვაქვს საქმე".

უფრო აბსურდული დასკვნა ამ ფილმზე წარმოუდგენელია! ვითომ შემარბილებელი „უნებლიე" დიდი შეღავათია მოაზროვნე რეჟისორისათვის? უნებლიეთ შეიძლება რაღაც წამოგცდეს, უნებლიე კონცეფცია არ გამიგია მე. ნუთუ ქუჩის ძაღლივით ღირსებადაკარგული გმირისა და საერთოდ მისნაირთა, ამ წამლით დაღუპული თაობის, ადრე შეწყვეტილი ცხოვრება რომანტიზაციის საფუძველს იძლევა?! სხვა რომელი „ქუჩის სკოლაა" მის გარშემო?!

მადლობა ღმერთს, კინომცოდნეებშიც მოიძებნებიან, ასე რომ არ ეჩვენებათ! არც ყველა რეჟისორია ცუდი მაყურებელი. ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეებს" მარტო ოთარ იოსელიანის ნათქვამი „საოცარი ფილმი" ეყოფა საამაყოდ.

რაღა შორს (იტალიაში) წავიდეთ?! ლევან კოღუაშვილი სწორედ, რომ ოთარ იოსელიანის ხელწერის მემკვიდრეა დღევანდელ ქართულ კინოში. შესაძლოა, მათ სულთა ერთობაც აკავშირებდეთ. თავისი დიდი წინამორბედის მსგავსად, ისიც გულისყურით აკვირდება, აგროვებს მასალებს არჩეული თემის გარშემო, აანალიზებს, გაიაზრებს და ამგვარად ქმნის თავის კინემატოგრაფიულ სამყაროს, რომელშიც, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობს თავს.

ამ ფილმის პოპულარიზაციისთვის არც მე დამიკლია ცდა. 2011 წელს, როცა ვნახე ინტერნეტით (ჩემი სულიერი საარსებო საშუალებაა შორეულ ფინეთში), ვისაც მივწვდი, ყველას დავურეკე, ზოგს მობილურით, ზოგსაც სკაიპით. გავუზიარე ჩემი აღტაცება და ვურჩიე, აუცილებლად ენახათ.

იმავე წელს თბილისში ყოფნისას, როცა ახალ ქართულ კინოზე მკითხა საპატრიარქოს რადიოინტერვიუში მწერალმა მაკა ჯოხაძემ, სწორედ ეს ფილმი დავუსახელე საუკეთესოდ ბოლო დროს ჩემს მიერ ნანახ ახალ ქართულ ფილმებს შორის (მომიტევეთ, თუ მათი უმეტესობა მიზეზთა და გარემოებათა გამო, არ მინახავს).

შემდგომ უკვე ამავე ავტორის მიერ ამერიკაში, მოხუცთა მომვლელებად მომუშავე ქართველ ქალებზე შექმნილ, დოკუმენტურ ფილმს დაინტერესებული გულშემატკივრის თვალით ვუყურე. მეხსიერებაში ჩამებეჭდა ფილმის დასაწყისის გადაწყვეტა: ახლო კადრით კუპიურების გამგზავნთა ფოსტის მოხელეთა ხელები, ფულის შემმოწმებელ-დამთვლელი ხელსაწყოები და ამ ფონზე თითოეული დოლარის საქართველოში დარჩენილთა სასიცოცხლო აუცილებლობაზე მეტყველი, ბუნებრივად ჩაწერილი დიალოგები. ამას ჰქვია რეჟისურა!

ისევ მეწყინა მასთან ერთად, თუ მის მაგივრად, როცა კინოჟურნალ „ნატოში" წავიკითხე საყვედური იმის გამო, რომ წერილის ავტორმა ვერ დაინახა მედლის მეორე მხარე. მეგონა, იგი მედლის მეორე მხარეში ამ ქალების საქართველოში დარჩენილ ქმრებს გულისხმობდა, რაც ფილმისთვის აუცილებელი არა, მაგრამ ასე, თუ ისე, მისაღებია. თურმე ნუ იტყვით და, ამ ქალების მოსავლელი, ავადმყოფი ამერიკელი მოხუცები აინტერესებდა. ეს ქართული კინოკრიტიკის სენია საერთოდ. ეძებენ იმას, რაც არ არის, რომ რამე ნაკლი გამოუნახონ ნაწარმოებს.

ამგვარ შენიშვნებს ბატონ გიორგი შენგელაიას სატელევიზიო გამოსვლამაც რომ დაუსვა წერტილი, უკვე მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. თავს ვერ ვუღალატე. ძველი დანაქადები გამახსენდა: რადგან ჩემი გზა კინოში დასაწყისიდანვე აფეთქებულია, აწი უკვე სხვების შელახულ ღირსებას დავიცავ-მეთქი.

ეს სურვილი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა, თორემ მძიმედ გასენილს, რა მეწერება ხელმეორე ქიმიური მკურნალობის ორკვირიან შუალედში?!

ბოლოს კიდევ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. ბატონ გიორგი შენგელაიას მხრიდან რეიტინგებით პაექრობისკენ მოწოდება ახალგაზრდების უთანასწორო ბრძოლაში გამოწვევას ნიშნავს. ვინმეს დაუთვლია წელიწადში, ყველაზე მომგებიან საეთერო დროს, რამდენჯერ უჩვენებენ ქართული ტელეარხებით კინოში პრივილეგირებულთა, მათ შორის, თავად გიორგი შენგელაიას ფილმებს და რამდენჯერ ამ ახალგაზრდებისას?! ამას დაურთეთ განსხვავება საქართველოში მათ რეკლამებს შორის და კიდევ ათასი რამ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან არ იცის, რომ ფილმის რეიტინგი ყოველთვის არაა მისი ხარისხის მაჩვენებელი?!

ლევან კოღუაშვილმა, თავისი პირველივე ფილმებით დაამტკიცა, რომ ღირსია, წლობით არ მოცდეს გზის გასაკაფად, სახსრების მოსაძიებლად და სხვა კიდევ უფრო უაზრო წინაღობათა გადასალახად. მას ამაში მხოლოდ სპონსორები კი არა, სახელმწიფოც უნდა დაეხმაროს.

დროა, ქართული კინოს გადახალისების, ახალი ტალღის შემოსვლის და მისთვის ადგილის დათმობის! ეს სრულიად არ ნიშნავს ძველი თაობის წალეკვას. მას თავის დანიშნულებას და დამსახურებულ, საპატიო ადგილს ვერავინ წაართმევს!

მივესალმები ქართული კინოს ღირსეულ მომავალ თაობას და დავულოცავ გზას აკაკი წერეთლის სიტყვებით: **„...ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე!.. ბევრი ვეცადე, ძირმწარეს ვერ გავუთხარე ძირი მე. ახლა კი თქვენი ჯერია, დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმე!..“**

მანანა გაბაშვილი

ქართული მეცნიერების 20 წელი

წერილი მეორე

განათლებისა და მეცნიერებისადმი არაკომპეტენტურმა, რეფორმებისადმი ზერელე დამოკიდებულებამ ქართული მეცნიერება საფრთხის წინაშე დააყენა და შემდეგ არასასურველ ტენდენციებს გაუხსნა გზა. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩნდა სამეცნიერო ნაშრომთა შეფასება არა მნიშვნელობითა და სიღრმით, არამედ შრომათა რაოდენობის მიხედვით (რაც სამეცნიერო კონფერენციებზეც გავრცელდა) ქულათა დაჯამებით. ეს იმ დროს, როდესაც, მაგალითად, ცნობილი ორიენტალისტი ადამ მეცი, ერთადერთი, თანაც დაუმთავრებელი წიგნით „მუსლიმური რენესანსი“ მეცნიერების ისტორიაში შევიდა. ფერდინანდ დე სოსიურის ნააზრევმა კი, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, სტუდენტთა მიერ ჩაწერილი ამ მეცნიერის ლექციების გამოქვეყნების შედეგად, გადატრიალება მოახდინა ენათმეცნიერებაში და სხვ.

ქულებზე და არა ხარისხზე ზრუნვამ დასცა მეცნიერების დონე, მით-უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც საერთო გაჭირვებამ მეცნიერებიც (დაბალი ხელფასებიდან გამომდინარე) არსებობისათვის ბრძოლაში ჩააბა. სალექციო საათებისათვის დაწყებული ნამდვილი ომი ზოგჯერ ფიზიკური გადარჩენის ტოლფასი გახდა. ამ პირობებში მეცნიერს დრო ფიქრისა და სერიოზული კვლევებისათვის ნაკლებად დარჩა. ეს უკვე გამოჩნდა ზოგიერთი — და უკვე არაერთი — სამეცნიერო გრანტის მაგალითზედაც, რომელიც იგრძნობა, რომ ფულისა და არა მეცნიერების ინტერესებისათვის არის დაწერილი.

ამის მიზეზი ისიცაა, რომ დასავლეთიდან გადმოღებულ საგრანტო სისტემას ნაკლებ აქვს საერთო იმ პრინციპებთან, რითაც დასავლურ მეცნიერებაში ხელმძღვანელობენ. ცნობილია, რომ გრანტი დასავლეთში დამატებითი და არა ძირითადი საშუალებაა მეცნიერის მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ასევე დასავლეთში (ადრე ასე იყო საბჭოურ მეცნიერებაშიც) მკვლევართ აქვთ არჩევანი. მათი ნებაა, კვლევებს მთელი თავისი დრო მიუძღვნან თუ ლექციებიც შეუთავსონ. ცნობილია, რომ არიან ბრწყინვალე მეცნიერები, რომლებიც სუსტი ლექტორები არიან და პირიქით.

მეცნიერება შემოქმედებითი სფეროა და ყოველთვის ვერ ჯდება ჩარჩოებში, ამაში ასაკობრივ ჩარჩოებსაც ვგულისხმობ, რადგანაც ინტელექტი ხნოვანებით არ განისაზღვრება, ისევე როგორც ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. მაგალითად, 80 წელს გადაცილებული ფიზიოლოგი, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი კვლავ დიდ ნოვატორად და ლიდერად რჩებოდა მეცნიერებაში და სხვ.

ამასთანავე სერიოზული მიდგომის შემთხვევაში მეცნიერება უმძიმესი და შრომატევადი დარგია. ამიტომ კარგ მკვლევარს, რომელიც კარგი ლექტორიცაა, აქვს პერიოდები, როდესაც სურს, რომ მთელი დრო სამეცნიერო კვლევებს მიუძღვნას, რაც საბოლოოდ განათლებისა და სწავლების (სასკოლო და უმაღლესი) მაღალი დონის განმსაზღვრელი პირობაცაა. ასეთ მეცნიერებს დასავლეთში არჩევანი აქვთ. როგორც წესი, მათ საჯარო ლექციებით იწვევენ, რაც მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევების დემონსტრირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაცაა.

გარკვეული ვადით ლექციებიდან გათავისუფლების პრაქტიკა დღეს საქართველოშიცაა, მაგრამ მატერიალური უზრუნველყოფა ყველას — განურჩევლად დონისა და შესაძლებლობებისა — სალექციო მარათონში ჩართვას აიძულებს. თანაც რაც მეტი გაქვს სალექციო საათები, მით მეტია ანაზღაურება, ამიტომ მატერიალური დაინტერესება ყველაფერს (სამეცნიერო ინტერესების ჩათვლით) გადაწონის. ამით ცნობილი ტიპი მეცნიერებისათვის თავგადადებული, დღედაღამ შრომაში ჩაფლული მკვლევრისა, მოტივირებული მეცნიერებისა და სამშობლოს მსახურებაზე, ქრება. ამ სიცარიელეს ავსებენ მოხერხებული და მეცნიერებას მიტმასნული კარიერისტები, გრანტების მოპოვების

*** წერილი პირველი იხ. „ჩვენი მწერლობა“ №2**

დიდოსტატები, მუდმივად გზაში და კონფერენციიდან კონფერენციაზე მოსიარულე ადამიანები, რომელთათვისაც ეს უკვე ცხოვრების წესად იქცა, ქვეყნების ნახვისა და დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალებად.

ცხადია, კონტაქტები და კონფერენციებში მონაწილეობა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ არა იმ მასშტაბით, ზოგ შემთხვევაში სამეცნიერო ტურიზმის (მითუმეტეს სხვის ხარჯზე) ხასიათი რომ მიიღო, თანაც უმრავლეს შემთხვევაში არავინ იცის, ან რა თემები გააქვთ (ხშირად უბრალოდ სათაურებს რომ უცვლიან) და რას კითხულობენ.ამ დროს ეს თანხები, ამ მოგზაურ მეცნიერებზე დახარჯული, საკუთრივ დარგების განვითარებას რომ მოხმარებოდა და მეცნიერთა ერთი ნაწილის მცირე ხელფასების გაზრდას, გაცილებით უკეთესად გვექნებოდა საქმე და იმ მკვლევართ წაადგებოდათ, ვინც მიუხედავად უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ხელმოკლეობისა, ქართული მეცნიერების საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებენ. მათ ჯერ კიდევ ძალუძთ (თუ კი მეცნიერება დაფასდება) მოიზიდონ და გაზარდონ ნიჭიერი, ახალგაზრდები და არა ისეთები, ვისთვისაც მეცნიერება სასხვათშორისო და მეორადი, თავის გამოსაჩენი, კარიერისათვის მნიშვნელოვანი ასპარეზია.

ჯიბსონ ხუნდაძე *აბსტრაქცია*

დღეს ამ ტიპის ახალგაზრდები ბანკებში, სამინისტროებში, საელჩოებსა და სხვა მაღალანაზღაურებად სამსახურებში მუშაობენ, მეცნიერებას კი, როგორც ეს უკვე ითქვა, ისე მისდევენ, როგორც მათთვის მეორად საქმიანობას. მათ შორის სხვისი შრომების მიმთვისებელნიც არიან, რაც ქართულ მეცნიერებას სხვა დიდ ზიანთან ერთად უკვე დიდ პრობლემად ექცა. ეს არის უმძიმესი დანაშაული, მიმართული არა ერთი ცალკეული მკვლევრის, არამედ ზოგადად ქართული მეცნიერების წინააღმდეგ და ერთ-ერთი შედეგია წლების მანძილზე საქართველოში სხვადასხვა სფეროში გაბატონებული ძარცვა-გლეჯისა და სიცრუის. ამანაც, რომელიც უკვე მრავალი მკვლევრისთვის პრობლემად იქცა, ამაღებინა კალამი.

სულ ახლახან, „ჩვენ მწერლობაში“ ზურაბ ბატიაშვილმა (დარეჯანაშვილმა), თურქეთში ქართული საელჩოს ახალგაზრდა თანამშრომელმა, რეკლამისათვის მიიტანა მონოგრაფია „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება” (2012წ), რომლის გარეკანიც ამ ჟურნალის სარეკლამო გვერდზე დაიბეჭდა. ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ ამ წლების განუკითხაობამ და ყველაფრის მკადრებლობამ რა დამართა ქართულ მეცნიერებას. ნაშრომი არათუ ასახავს ქართულ ისტორიოგრაფიაში საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას (რითაც სტუდენტური საკურსო ნაშრომის დონესაც ვერ აკმაყოფილებს), არამედ ავტორი ამ ლიტერატურის ნაწილს (რითაც მკითხველის დეზორიენტირებას ეწევა) შეგნებულად მალავს, მათ შორის ამ თემებთან დაკავშირებულ იმ სტატიებს, რომელიც ამ ჩემს ყოფილ სტუდენტს, ბატიაშვილს, საკუთარი ხელით გადავეცი. თუმცა ვურჩიე, რომ იგი ამ თემას ჯერ ვერ დაძლევდა და, როგორც თურქული ენის მცოდნეს, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის საკითხები თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით შეესწავლა. მაგრამ მან სხვა გზა არჩია, რის გამოც ჩემი თვალთახედვიდან გაქრა და, იმათ შორის, ვისაც ეს წიგნი უსაჩუქრა, არ აღმოვჩნდი.

მიზეზი შემდეგია.

მან დაწერა კომპილაციური ხასიათის ზემოთ აღნიშნული მონოგრაფია, რომლის ორიგინალური ნაწილიც მას არ ეკუთვნის და იმ სტატიებიდან არის აღებული, მას რომ გადავეცი. ხოლო, მაგალითად, „შესასწავლიაო“ წერს იმ თემაზე (ეხება ტრაპიზონის იმპერატორთა ტიტულატურას), რომელიც ხელნაწერის სახით მქონდა და არ გადავეცი, მიუხედავად იმისა, რომ დაჟინებით მთხოვდა იმ მიზეზით, რომ სურდა ამ თემაზე დაწერილი თავისი სტატიისათვის შეედარებინა, რაც ტყუილი აღმოჩნდა.

არც ეს სტატია, რომელიც ბატიაშვილის მონოგრაფიის (2012წ.) გამოქვეყნებამდე 2009წ. დავბეჭდე და არცერთი სხვა ჩემი ნაშრომი, რომელიც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება („ტრაპიზონის იმპერია“, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები — დავით კურაპალატი“, „ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით“, „თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან“, „თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა,” „ვარძიის ფრესკა როგორც საისტორიო წყარო“, ასევე ტრაპიზონთან მიმართებაში გაანალიზებული „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, ნუმიზმატიკური და სხვა მასალა) წიგნზე დართულ ბიბლიოგრაფიაში არ აისახა. სხვა მსგავსი ასეთი შემთხვევა, რომ ქართული ისტორიოგრაფიიდან ვინმე ასე პირწმინდად, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის მოქნევით გაექროთ, არც ვიცი.

მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ამ შემთხვევაშიც ეს ასე მოხდა. ის, რასაც ბატიაშვილი სირაქლემასავით მალავს, გარდა სამეცნიერო კრებულებისა გამოქვეყნებული მაქვს „ჩვენი მწერლობის“ არაერთ ნომერშიც. ამას მოჰყვა მკითხველის დაინტერესება, მკითხველებთან შეხვედრა „ჩვენი მწერლობის“ სალონში და ამავე ჟურნალში მკვლევარ გიორგი გამსახურდიას გამოხმაურებაც („ჩვენი მწერლობა“, 2007, 2-3, 19, 22; 2011, 17...).

მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება ქართული პოლიტიკის იმ მასშტაბმა მიიპყრო, რომელიც თამარის პოლიტიკის ორ ეტაპს დავუკავშირე, ტრაპიზონის პირველ იმპერატორ ალექსი I-სა და მისი ძმას დავით კომნენოსს შორის არსებულ კოორდინაციასა და თანხმობას, რაშიც ჩადებული იყო ქართული პოლიტიკის კონსტანტინოპოლთან დაკავშირებული გეგმებისა და ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების იდეა.

ამ აზრის დასაბუთება მას შემდეგაც შევძელი, როდესაც ყურადღება გავამახვილე დავით კომნენოსზე (რომე-

ლიც ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი), მის განსაკუთრებულ ფუნქციასა და როლზე ამ იდეის განხორციელების გზაზე. მართალია ეს ყველაფერი ბატიაშვილმა ჩემს მიერ გადაცემული სტატიიდან, მითითების გარეშე, გადაიწერა მაგრამ, როგორც ეს ასეთ ვითარებაში ხდება, უხეიროდ, და მას ისევე ვერ მოაბა თავი, როგორც ამ ურთულეს და საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, წიგნის სათაურად რომ გამოიტანა.

სხვათა შორის ეს თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები, ქართული პოლიტიკის მასშტაბისა და მისი მნიშვნელობის საჩვენებლად ტრაპიზონის ისტორიაში (რისი გაუთვალისწინებლობითაც ბევრი რამ უბრალოდ ვერ იხსნება) საზღვარგარეთაც (ინგლისურსა და ფრანგულ ენებზე) გამოვაქვეყნე. ჩემი მიზანი იყო საერთაშორისო დონეზე გამეტანა თუ რა არის ამ მხრივ შექმნილი უახლოესი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში (რასაც ბატიაშვილი ქართველ მკითხველს უმალავს).

ეს ის მიდგომაა და იმგვარი ანალიზი, რაც საქართველოს განსაკუთრებულ როლს წარმოაჩენს ტრაპიზონის ისტორიაში, საქართველოს პოლიტიკის დიდ მასშტაბსა და უმნიშვნელოვანეს ადგილს მაშინდელი მსოფლიოს საერთაშორისო ცხოვრებაში, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ ყოფილა განხილული. ეს კი საფუძველს გვაძლევს გავაქარწყლოთ ამ თემებთან დაკავშირებული იმ უცხოელ ავტორთა შეხედულებანი, სადაც საქართველოს როლი დაკნინებულია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მათ არ იციან, ანდა ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საქართველოს ისტორიაზე. ამიტომ ამ საკითხებს ისინი ქართული პოლიტიკის იმ მთლიან ჭრილსა და პროგრამულ ხედვაში (რაც ბატიაშვილისთვისაც მიუწვდომელია) ვერ განიხილავენ, რომლის გარეშეც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვას ზერელე და ზედაპირული ხასიათი აქვს. სხვათა შორის „ჩვენ მწერლობაში" ამ თემების გამოქვეყნების შემდეგ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ამ თემებით დოკუმენტურ ფილმშიც გადამიღეს, რომელიც სამუშაო პროცესშია.

დასავლურ მეცნიერებაში, როგორც ადრე ჩვენთან (საბჭოთა პერიოდშიც, მიუხედავად გამონაკლისისა), კვლავ უმკაცრესი, პედანტობამდე მისული კონტროლია. მრავლისმეტყველია 2009-2011წწ., გერმანიის თავდაცვის მინისტრ კარლ თეოდორ გუტენბერგის გადადგომის მიზეზი (2011 წ. 1 მარტი), რომელიც ხალხის სიყვარულითა და ანგელა მერკელის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. მიზეზი მის მიერ 2006წ. დაცული დისერტაცია აღმოჩნდა, რომელშიც მან რამდენიმე ციტატა ისე გამოიყენა, რომ ავტორი არ მიუთითა. მინისტრი არამარტო გადადგა, არამედ საჯაროდ ბოდიში მოუხადა უნივერსიტეტსა და გერმანელ ხალხს.

მას შემდეგ, რაც ქართულ მეცნიერებაში მსგავსი გაგებით კონტროლი დაიკარგა ანდა ფორმალური ხასიათი მიიღო, მეცნიერებაშიც იმდაგვარ შრომებს ვიღებთ, როგორებიცაა გმირთა მოედნის ბოძი, ისტორიული რიყე და სხვ., რაც ყველა სფეროსათვის საერთო მიზეზებითაა გაპირობებული.

ამ ტიპის ნაშრომებმა, სხვადასხვა ხასიათისა და უხეშ შეცდომათა მომრავლებასაც შეუწყო ხელი. საზღვარგარეთაც საქართველოს ისტორიის ის გამყალბებლები გაათამამა, ამ მიმართულებით დიდი ხანია რომ იღვწიან და რომელსაც ქართული მხარე შესაბამის წინააღმდეგობას ვეღარ უწევს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მსოფლიოში მაღალი დონის ქართული მეცნიერებისა და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას თანმიმდევრული და მიზანმიმართული ხასიათი არა აქვს.

დაბალი დონის სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემის ერთ-ერთი მიზეზი გულგრილობა და სხვადასხვა საქმეში გაბმულ მეცნიერთა მოუცლელობაცაა. ხშირად მონოგრაფიას არ კითხულობენ რედაქტორები, რედკოლეგიის წევრები, რეცენზირებას ფორმალური ხასიათი აქვს. მაგრამ არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც რედაქტორები თუ რედკოლეგიის წევრები ნაშრომს კითხულობენ, მაგრამ არ იციან თუ მასში წარმოდგენილი საკითხები როგორ განიხილება ქართულ მეცნიერებაში. ამან სამეცნიერო ნაშრომთა სწორ შეფასებაზეც იმოქმედა, რაც ადრე ნაკლებად წარმოსადგენი იყო, როდესაც კარგ და სუსტ ნაშრომსა და მეცნიერს ერთმანეთისგან მაინც ასხვავებდნენ.

კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. ეს არის ზოგადი განათლების დონის კატასტროფული დაცემა, რომლის გარეშეც კარგი და მოაზროვნე მეცნიერი, განსაკუთრებით ჰუმანიტარი, ვერ შედგება. ცნობილია, რომ ჰუმანიტარმა ძალიან რთული და გრძელი გზა უნდა გაიაროს (ეს პლაგიატორებს არ ეხებათ) მეცნიერებაში სერიოზულ შედეგთა მისაღწევად.

ერთ-ერთი მიზეზი მნიშვნელოვანი თემების პროფანაციისა და ზოგ შემთხვევაში ქართული მეცნიერების გაპრიმიტიულებისა ისიც არის, რომ — ქართული სამეცნიერო სკოლების დაკნინებასთან ერთად — იკარგება სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის ცოდნაც. ამას სტუდენტებს შესანიშნავი მეცნიერები, ჩვენი მასწავლებლები, პირველი კურსიდან მოყოლებული, დიდი მოთმინებით და მონდომებით გვასწავლიდნენ, სხვისი ნაშრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების ჩათვლით. ისინი ფართო განათლებითა და ანალიტიკური აზროვნებით, იმ განსაკუთრებულ ატმოსფეროსაც ქმნიდნენ, რაც სტუდენტს ზრდიდა და მომავალი სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის ამზადებდა. მაშინ ჯერ კიდევ არ გაწყვეტილიყო თაობებს შორის კავშირები, რაც დღეს გამიზნულად გაკეთდა და ყველაზე მეტად ისევ ახალგაზრდები დააზარალა. იმ ჭეშმარიტ მეცნიერთათვის, ჩვენ რომ გვასწავლიდნენ, მეცნიერება სულიერების სფეროც იყო. ისინი ძნელად თუ წარმოიდგენდნენ იმ რიტორიკას დღეს რომ გაისმის: განათლება ძვირადღირებული სიამოვნებაა, ძვირადღირებული პროდუქტი, აზრის აღებ-მიცემობა, განათლების მომხმარებლები, განათლების აქტი და სხვ.

მეცნიერების დონის დამწევთა შორის ის დისერტანტებიც არიან, ვინც არეულობის წლებით, მეცნიერების მოშლით ისარგებლეს და 1992 წლიდან მოყოლებული სასწრაფო წესით, ნაჩქარევად და მიზანმიმართულად სუსტი დისერტაციები დაიცვეს. ამ მრავლად მოვლენილ მეცნიერებათა დოქტორებს პრეტენზიებთან ერთად იმდენად შთამბეჭდავი სამეცნიერო სივები აქვთ, რომ ხშირად მიფიქრია, შეძლებდა კი დღეს ივანე ჯავახიშვილი გრანტების მოპოვებასა და ამ ყოჩაღ მეცნიერთა კონკურსში გამარჯვებას?! ასე დაემართა ნობელიის პრემიის ლაურეატ ერთ უცხოელ მწერალს, რომლის მოთხრობაც ქართველმა ახალგაზრდამ თავისად გაასაღა, საქართველოში გამართულ ლიტერატურულ კონკურსზე გაიტანა, მაგრამ დამარცხდა.

მსგავს პრეცედენტებს მეცნიერებაშიც აქვს ადგილი. ამ დროს დიდ ქართველ მკვლევართა ნაშრომების ერთი ნა-

წილი უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ხოლო მათი ბრწყინვალე სტატიები გაფანტული სხვადასხვა კრებულში, დღესაც შეკრებასა და ერთ კრებულად გამოცემას ითხოვს, ისევე როგორც ხელნაწერის სახით არსებული ზიგიერთი ამ მეცნიერის ნაშრომიც. უფრო მეტიც დიდ ქართველ მკვლევართა სამეცნიერო მემკვიდრეობა ინგლისურადაა სათარგმნი, რაც ქართული მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციისა და საერთაშორისო ასპარეზზე გატანის გზაც არის. ვფიქრობ, რომ დღეს, პირველ რიგში, ისევ ქართულ მეცნიერებას სჭირდება ამ დიდ მკვლევრებთან მიბრუნება, როგორც სწორი ორიენტირების აღსადგენად ქართულ მეცნიერებაში, ისე მეცნიერებისათვის (განსაკუთრებით ბოლო 20 წლის მანძილზე) მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა — ყველა საკანდიდატო დისერტაცია სადოქტოროს გაუტოლეს. ასეა დასავლეთში, მაგრამ ჩვენთან ამან სხვაგვარი ხასიათი მიეცა. დარჩა განსხვავება შემდეგი ფორმულირებით — მეცნიერებათა დოქტორი და აკადემიური დოქტორი, რაც შედარებით დაბალი კატეგორიაა. ამით მეცნიერებათა კანდიდატები (დღევანდელი აკადემიური დოქტორები) კლასში ჩარჩენილებს დაამსგავსეს, ხოლო ვინც სადოქტოროს დაცვა მოასწრო — მარადისობაში გადასულ ფარაონებს, საქმე ის არის, რომ კანდიდატს (დიდი აღმოჩენებიც რომ გააკეთოს) ახალი რეფორმით სადოქტორო დისერტაციის დაცვის უფლება არა აქვს. სამაგიეროდ მასზე წინა დგას ზოგიერთი მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მატარებელი ისეთი მკვლევარი, რომელსაც დისერტაციის დაცვის შემდეგ ან არაფერი დაუწერია, ან თუ დაუწერია, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ნაშრომი. ბუნებრივია, ამ ტიპის დოქტორებს აწყობთ ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა. ამიტომ სრულიად არაადეკვატურია მეცნიერთა სახელფასო (პენსიების ჩათვლით) ანაზღაურებაც. კრიტერიუმი სამეცნიერო ნაშრომის ხარისხი და მეცნიერებისათვის მისი მნიშვნელობა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წყალში გადაყრილი ფულია.

მეცნიერთათვის სტრესების სხვა წყაროც არის, რამაც მათ დისკომფორტი და არასტაბილურობის განცდა შეუქმნა. ეს არის მათთან ხანმოკლე ვადით დადებული ხელშეკრულებანი.

მეცნიერება, თითქოს დასავლურ მეცნიერებასთან მიახლოების მიზნით (დაახლოებით ორი წელია) ასევე დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდა, როდესაც აკადემიის საერთო სისტემიდან გამოყვანილი და განათლების სამინისტროში შეყვანილი ინსტიტუტთა ნაწილი, ცრუ დაპირებებით, ხელფასების გაზრდისა და უკეთესი პირობების გარანტიით, სხვადასხვა უნივერსიტეტებში შეიყვანეს (რაც დასავლეთში აუცილებელი წესი არ არის). დღეს ეს ინსტიტუტები გაურკვეველ, თანაც დამცირებულ მდგომარეობაში არსებობენ. რაც მთავარია, მათ — თავიანთ დიდ ტრადიციებთან ერთად — სახეც დაკარგეს, როგორც ეს საერთაშორისო სახელის მქონე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს დაემართა, რომლის ნაშთებსაც სამადლოდ ინახავენ.

ასეთი რეფორმები იმ პროპაგანდის ფონზე წარიმართა, რომ მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა და რომ არ გვჭირდება მეცნიერების ფუნდამენტური დარგები. ეს იმ დროს, როდესაც ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და მეცნიერების ეს სფეროები გამოყენების თვალსაზრისით ფართოდ შედის წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, ტელე, რადიო, კომპიუტერულ და სხვა სისტემებში და თავის მხრივ (მისი კარგად დაგეგმვისა და გააზრების შემთხვევაში), როგორც მეცნიერებისთვის, ისე სახელმწიფოსთვისაც მოგების მომტანია.

ცნობილია, რომ გამომგონებლობამ და რაციონალიზაციამ უდიდესი იმპულსი მისცეს ინგლისში ტექნიკურ რევოლუციას, აშშ-ის აღორძინებას და ზოგადად თანამედროვე ცივილიზაციას. ამიტომ ისეთი მიდგომა, რომელიც ნიჭიერსა და შემოქმედ ადამიანს საქართველოდან წასვლას აიძულებს, ეწინააღმდეგება ჩვენ წინაპართა იმ მიზნებს და ძალისხმევას, რაც მათ ფუნდამენტურ მეცნიერებაში ჩადეს.

ძალადობა და სიცრუე (ყველა სფეროს და ცხოვრებასაც რომ შეეხო) არ დაწყებულა 2003 წელს „ვარდების რევოლუციით“. მიუხედავად ამ რევოლუციის განათლების მინისტრთა ცნობილი გამონათქვამებისა: „წელში გავტეხ ქართულ მეცნიერებას“ (ალექსანდრე ლომაია), „სკოლის დირექტორების სისხლს დავლევ“ (დიმიტრი შაშკინი, ამჟამად აშშ-ში გაქცეული), „თქვე ნაძირალებო, სულს ამოგხდით“ („ვარდების რევოლუციის“ გივი თარგამაძე), ვბრძანებ ადგილზე ლიკვიდაციას (ჯაბა იოსელიანი), მადლობა ინტელიგენციას, ხელში იარაღის აღების გამო (ედუარდ შევარდნაძე), ანუ მადლობა იმ ხელისუფლების დამხობისათვის, რომელმაც ამდენი თაობის ბრძოლის, თავგანწირვის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეძლო.

მსგავსი რიტორიკა ენაა იმ სისტემისა, რომელიც 1991-92 წლებიდან საქართველოს მოარგეს. თუმცა ეს სისტემა გაცილებით დიდ დროს ითვლის და საქართველოს დაპყრობისთანავე იღებს სათავეს. ის სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, სხვადასხვა სახით თუ ფორმით გვევლინებოდა, 1992 წლიდან კი უკვე დემოკრატიის სახელით შეინიღბა. ეს სისტემა ენის გარდა, ფლობს სიცრუის, მოქმედების სპეციფიკურ მეთოდებსა და მორალს, საზოგადოების დანაშაულში ჩათრევის იმ მექანიზმებს, რაც 1992 წლიდან ქვეყნის კრიმინალიზაციის ფონზე წარიმართა და უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდები იმსხვერპლა.

ახალგაზრდობის თემა ბოლო ოცი წლის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა (ისტორიკოსებმა, ფსიქოლოგებმა და სხვ.) ის საგანგებოდ და სხვადასხვა კუთხით უნდა შეისწავლონ. ახალგაზრდების ერთ ნაწილს მართვად ქაოსში ჯერ იარაღი დაურიგდათ, ამის შემდეგ კი (2003წ.), ურთულეს დროსა და ურთულეს რეგიონში ხელისუფლება გადაეცათ (დაუსჯელობისა და ხელისუფლების დიდი ხნით ჩაბარების ილუზიების შექმნით). თუმცა მათ საამისოდ არც ცოდნა და არც გამოცდილება არ გააჩნდათ, და ფაქტობრივად იმ სისტემის მძევლებად აქციეს, რომლის ნიშანდობლივი თვისება ვერაგობაა და რომელშიც ყველა პოტენციური მსხვერპლია. ამიტომაც დღეს საქართველო, პატიმართა რაოდენობით, პირველ ადგილზე გავიდა ევროპაში.

ამის მიზეზი ისიც არის, რომ სისტემამ (ეროვნულ ხელისუფლებაზე რევანშის აღების შემდეგ) მკვეთრად შეცვალა მორალური კრიტერიუმები და ორიენტირები. დამნაშავე პატრიოტად გამოაცხადა და პატრიოტი დამნაშავედ, დაიწყო დევნა.

მართვად ქაოსს, სახლებში შევარდნასა და ჩხრეკას (რასაც ჩემი ოჯახიც ვერ გადაურჩა), დაპატიმრებებს, მიტინგებსა და ქუჩებში დახვრეტებს მეცნიერებიც შეეწირნენ. მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზი-

დენტი ზვიად გამსახურდია — ჯერ დევნილი, მერე მოკლული.

როდესაც დიდი ხნის თვალთვალისა და დევნის შედეგად დამაპატიმრეს (1994 წ. იანვარი) და დასაკითხად პოლიციაში წამიყვანეს (საიდანაც უკვე უშიშროებას გადამცეს), ვხედავდი თითქმის უწყვეტ ნაკადად როგორ მოჰყავდათ დაჭერილები, ახალგაზრდები თუ ხანშიშესულები. მათი ერთადერთი დანაშაული სამშობლოს სიყვარული გახლდათ. ეს იყო დაჭერების, სატელევიზიო სასამართლოების, ტელევიზიებით ნაცემ-ნაგვემი ხალხის ჩვენების, ქართველთა დამცირებისა და შეურაცხყოფის დასაწყისი, რაც წლები გაგრძელდება და აუწიოკებელი ოჯახი საქართველოში თითქმის არ დარჩება. სამწუხაროა, ქართველების ერთ ნაწილს დღესაც ვერ გაუცნობიერებია, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება ყველა ქართველის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული და ეს მათ სხვადასხვა სახით თუ ფორმით (ადრე თუ გვიან), შეეხებოდა. ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც „ვარდების რევოლუციის" (2003 წ.) სწორი პროგნოზი ვერ გაკეთდა.

XX საუკუნეში უკვე მეორედ, გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და წახალისებით (ფულს რომ არ დაზოგავენ ღალატის დასაფინანსებლად) უსწორდებოდნენ დამოუკიდებლობის გამომცხადებელ ხელისუფლებასა და მის მხარდამჭერთ.

მიზანი საქართველოს დაშლა, ქართული ტერიტორიების მიტაცება და ქართველებისაგან საქართველოს დაცლა იყო.

უკვე მაშინ პოლიციაში იმ ხალხისაგან, ავტომატებით თავს რომ გვადგა, დაკავებულებს შეურაცხყოფდა, ლაზღანდარობდა და საქართველოს პირველ პრეზიდენტს უშვერი სიტყვებით აგინებდა, გავიგონე თამარ მეფის ლანძღვა და მის ზნეობაზე ქილიკი. ეს მრავლისმეტყველი ნიშანი იყო.

საუკუნეთა მანძილზე თამარი სიმბოლო იყო საქართველოსი და მასთან ბრძოლა საქართველოსთან ბრძოლასაც ნიშნავდა. ამიტომაც 1801 წლამდე, დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, თუკი რუსეთი განადიდებდა თამარს (მაგ., XVI-XVIII სს. რუსული თქმულება დინარაზე, ყაზანის აღების წინ ივანე მრისხანეს გამამხნევებელი მიმართვა ჯარისადმი, თამარის სპარსეთზე ძლევამოსილი გამარჯვების თაობაზე და სხვ.) საქართველოს დაპყრობის შემდეგ თამარის დისკრედიტაციის მცდელობანი დაიწყო.

დაპატიმრებულთა შორის ის მეცნიერებიც იყვნენ, საშიშ დროსა და ქაოსში, უშუქობაში, უტრანსპორტობაში და ზამთრის ყინვებშიც ფეხით, კილომეტრობით მანძილს რომ გადიოდნენ გაყინულ აუდიტორიებში ლექციების წასაკითხავად. ამაში ისინი მხოლოდ სიმბოლურ ხელფასს იღებდნენ. ეს იყო გმირობის ტოლფასი თავდადება. ამ ადამიანთა უმრავლესობას (რეფორმების სახელით) უცერემონიოდ, სამსახურებიდან დაითხოვენ.

ასე უსწორდებოდნენ ქართველი ხალხის ნებასა და თავისუფლების წყურვილს, რის თაობაზეც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რიჩარდ პაიპსი, საქართველოში საგანგებოდ ჩამოსული 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასასაწრებად, სამშობლოში დაბრუნებული „ვაშინგტონ პოსტში" (1991წ. 9 ივნისი) დაწერს: „ქართველი ხალხი განიცდის ისეთ პატრიოტულ აღმაფრენას, რომლის გადმოცემაც კი ძნელია. მაგონდება ისრაელი მისი ჩამოყალიბების პერიოდში".

რიჩარდ პაიპსი, რომელსაც საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა 1921წ. ქართულ ემიგრაციასთან, კარგად იცნობდა ქართულ პრობლემებს (დიდი ამაგი მიუძღვის 1918-21წწ. დამოუკიდებელი საქართველოს არქივზე), ამავე სტატიაში იმასაც აღნიშნავდა, რომ „საქართველოში სიმშვიდე და წესრიგია, ესე იგი სტაბილიზაციაა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ დასავლეთმა კონტაქტი დაამყაროს საქართველოსთან. თავისი ბუნებით საქართველო დემოკრატიულია".

ამერიკელის ეს შეფასება რადიკალურად განსხვავდებოდა იმ ინფორმაციებისგან (დიქტატურა, ქსენოფობია, ანტიდემოკრატიულობა და სხვ.), მაშინდელი ოპოზიცია დასავლეთს რომ აწვდიდა. ამ ინფორმაციებმაც (რასაც ილიამ თავის დროზე სამშობლოს ბეზღობა უწოდა) საქართველოს ახალ ოკუპაციას, უკვე დემოკრატიის სახელით, იდეოლოგიური წანამძღვრები მოუმზადა.

საბჭოთა მეცნიერის იარლიყი მოხერხებული ფანდი აღმოჩნდება ქართული მეცნიერების დასანგრევად და დიდი ტრადიციების მქონე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დონის დასაწევად. ეს მოხდა შეგნებული ჰიპერბოლიზაციით იმ მანკიერი მხარეებისა, კერძოდ კორუფციისა, რომლის პრეცედენტებიც არსებობდა და რომლის გამოსწორებაც შეიძლებოდა, მაგრამ არა აქცენტით უარყოფითზე, არამედ დადებითზე, უნივერსიტეტის იმ ღირსებათა და მხარეების წინ წამოწევით, რომელმაც საქართველოს გამოჩენილი, მათ შორის მსოფლიო დონის მეცნიერებიც მისცა. სწორედ ამ მეცნიერებმა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, შეძლეს იმპერიის საზღვრების გარღვევა და ქართული მეცნიერება მსოფლიო მეცნიერების ნაწილად აქციეს. დღეს, როგორც ევროპელ, ისე რუს მეცნიერებს, უკვირთ და ვერ აუხსნიათ თუ რატომ ანგრევენ მსოფლიო სახელის მქონე ქართულ სამეცნიერო სკოლებს, რომლებსაც არასდროს გაუწყვეტიათ კლასიკურ დასავლეთთან, მის მთავარ ღირებულებებთან, მეცნიერებასა და კულტურასთან კავშირი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდის მეცნიერებასა და მის პრობლემებზე ქართული მწერლობაც რეაგირებდა და დღეს ერთ-ერთი უძვირფასესი წყაროა ქართული მეცნიერების ისტორიისა. ოთარ ჩხეიძე რომანში „ნაკრძალი" (1970წ.), რომელსაც ეპიგრაფად იოვანეს ცნობილ შეგონებას წაუმძღვარებს (სადა ნაყოფიერებაი ბოროტთაი, მუნ უნაყოფობაი კეთილთაი), მეცნიერების სხვადასხვა პრობლემის განხილვისას, პლაგიატის საკითხსაც წამოჭრის. ნაკრძალი (ლაგოდეხის ნაკრძალის მაგალითზე) საქართველოს, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. მას იკვლევს დარგისთვის თავდადებული, მაღალი სულიერებისა და ზნეობის მეცნიერი სოფრომ ბროძელი (რომლის პროტოტიპიც ბუნებისმეტყველი თედო ჟორდანიაა). მის ნაშრომს, ინსტიტუტის არქივში დაცულს, ახალგაზრდა მეცნიერები მიითვისებენ. მხილების შემდეგ თავს იმით იმართლებენ, რომ მათ იგი დიდი ხნის მკვდარი ეგონათ. თუმცა ეს „წარმატებული მეცნიერები" სინდისის ქენჯნას არ განიცდიან, თაყვანისმცემლებსაც იჩენენ და სიცრუით აგრძელებენ გზას. ეს რეალური ამბავია ერთი წარმატებული საბჭოთა მეცნიერისა, ოთარ ჩხეიძე მოგვიანებით დოკუმენტურ რომანში „ჩემი სავანე" (ხასიათები და პორტრეტები)" რომ აღწერს (1984წ.).

რომანში „ნაკრძალი", მინიშნებებით მეცნიერებისა და პოლიტიკის კავშირიცაა ნაჩვენები. ნაკრძალი სიმბოლური საქართველოა და არსებითია, თუ ვის ხელშია აღმოჩნდება ის. ეს თემა „ჩემ სავანეშიც" გრძელდება. ნაწარმოები იმ ცნობილ მკვლევრებსა და პედაგოგებზეა (იპოლიტე ვარ-

თაგავა, თედო ჟორდანია, სერგი მაკალათია, სიმონ გაჩეჩილაძე, თედო უთურგაიძე, ნოდარ ალანია...), რომელთა გვერდითაც რომანის ავტორი წლების მანძილზე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა. იგი იმ პრობლემებსა და დაბრკოლებებს აღწერს, ჭეშმარიტსა და პატრიოტ მეცნიერებს რომ უქმნიდნენ. თუმცა ისინი თავს არ უხრიდნენ, არ ეპუებოდნენ საბჭოთა სისტემას, ზოგჯერ რისკის ფასადაც დიდ ქართულ საქმეს აგრძელებდნენ, აპროტესტებდნენ (გორის ისტორიის კათედრებს შორის) საქართველოს ისტორიის კათედრის არარსებობასა და სხვა ანტიქართულ საქმეებს. ისინი შორს იყურებოდნენ და თაობათა ცვლაზეც ფიქრობდნენ. შფოთავდნენ იმ ტენდენციებზე, ზოგზოგ იმ ახალგაზრდაზეც, ინსტიტუტში რომ დაეტოვებინათ სამეცნიერად მოსამზადებლად: „ოღონდ რო არ გააჩნდათ სულ მცირე ნიშატი საამისოდა... სამაგიეროდ სხვა ნიჭი ეტყობოდათ და სხვა მოხერხებანი“.

მწერალიც შორს იყურებოდა, არ ელოდებოდა სიკეთეს იმ ახალგაზრდებისგან, ვისაც თავნება, დაუთმობელ და ურწმუნო, უცნაურ მოდასა და უცხოურ ზნეობას აყოლილებს უწოდებს. გამოსავალი ოთარ ჩხეიძისათვის თაობათა ღირსეული ცვლაა. ამაში უფროსი თაობის განსაკუთრებულ როლსა და ისტორიულ მისიას ხედავს და „ჩემ სავანეში“ ასეთ სიმბოლურ სცენას ხატავს.

უფლისციხისკენ მიმავალ მთავარ გზაზე სერგი მაკალათია თავის სტუდენტებს წინ მიუძღვის და ამ უძველესი ციხე-ქალაქის გმირულ ისტორიასა და არქიტექტურას უხსნის, გასაოცარ ისტორიას, გამძლეობას საქართველოსი, შემართებას ქართველებისა. თედო ჟორდანია კი ფრიალო კლდის მხრიდან, რაღა თქმა უნდა სტუდენტებთან ერთად, ბობღვით მიიწევს წინ და ასწავლის ხვრელებს ქვეწარმავლებისა, ცხოვრებას უხსნის ქვემძრომებისა. მერე იქ, ზევით შეიყრებიან თეატრსა თუ სამეფო დარბაზთან თუ თამარის ეკლესიის ბანზე, ისტორიკოსი და ბუნებისმეტყველი ახალგაზრდებთან ერთად.

ქართული მეცნიერების ისტორიის ობიექტური, მიუკერძოებული შესწავლა უკვე დღევანდელი გადასახედიდან, აუცილებელია, როგორც საბჭოთა პერიოდამდე, ისე საბჭოთა პერიოდში და ასევე 1992 წლიდან დღემდე, თანაც (მეცნიერების პოლიტიკასთან და ისტორიასთან კავშირის გათვალისწინებით) შესაბამის პოლიტიკურ ვითარებათა ფონზე. ამაში ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდთა სიღრმისეულ კვლევას ვგულისხმობთ, რაც თავის მხრივ მეცნიერებისადმი დამოკიდებულებაშიც (რაც ქართული მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია) გაგვარკვევდა. კერძოდ, რამ განაპირობა, ეროვნული ხელისუფლების პრიორიტეტულ მიმართულებათა — განათლება და მეცნიერება (ინტელექტუალურ კაპიტალზე ორიენტაციით), 1991-92 წწ. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ისეთი პრიორიტეტებით შეცვლა, როგორებიცაა სამომხმარებლო სფეროები, ტურიზმი, და სხვ.

ანდა რატომ არის რომ იმ ქვეყნის (დამოუკიდებელს რომ უწოდებს თავს) მოსახლეობის დიდ ნაწილს და ახალგაზრდებს ზერელე, დამახინჯებული, ანდა საერთოდ არაა ქვთ წარმოდგენა ხელისუფლებაზე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა: 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, როგორც გარანტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ამ თვალსაზრისით XX საუკუნის ყველაზე დიდ დოკუმენტზე. ყაზბეგში, ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინის მონაწილეობით, ცხინვალთან დაკავშირებით მიღებულ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტზე, რის საფუძველზეც, მოსკოვის თანხმობით, გაუქმდა ტერმინი სამხრეთ ოსეთი, ხოლო ოს სეპარატისტთა ქმედება (მოსკოვის თანხმობითვე) საქართველოს შინაურ საქმედ და ოსი სეპარატისტთაგან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეფასდა. ანდა როგორ გადაარჩინა საქართველო მოსკოვის სამხედრო აგრესიისაგან, 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დროს. ასევე უზენაესი საბჭოს კანონშემოქმედებაზე, ანუ საკანონმდებლო ორგანოს შეფასების მთავარ კრიტერიუმზე, რომელსაც დღემდე, მისი ამა თუ იმ წევრის პიროვნულ სიმპატიაანტიპატიაში ურევენ, რაც არასახელმწიფოებრივი აზროვნების კიდევ ერთი მაგალითია. ანდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ გაკეთებულ ყველა იმ პროგნოზზე (მაშინდელი ოპოზიციის დაცინვის საგანი რომ იყო), რომელიც გამართლდა და რასაც ოცი წელია ვიმკით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში საბოლოოდ იმ კურსმა გაიმარჯვა, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მხარდაჭერისკენაა მიმართული, რისკენაც მიისწრაფოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი და რის გამოც, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი) მას „დინების საწინააღმდეგოდ მცურავი“ უწოდა.

ცოტა თუ იციან, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, საქართველოს პირველ პრეზიდენტზე, მის ცხოვრებასა და სამეცნიერო, მთარგმნელობით თუ პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე. ზვიად გამსახურდიაზე როგორც პოლიტიკოსზე, სამშობლოსათვის თავშეწირულ გმირზე, ვინც (უკვე დევნილობაში) სიცოცხლისა და პრეზიდენტობის შენარჩუნების სანაცვლოდ, უარი თქვა ქართული ტერიტორიების გასხვისების თანხმობაზე. ანდა რატომ არ ჩნდება კითხვები, ზვიად გამსახურდია თუ არ იყო პოლიტიკოსი, მაშ რატომ მოკლეს. გამოდის მტერს არ აწყობდა ცუდი მმართველი (ზოგი ასეთად სახავს ზვიად გამსახურდიას) და ცეცხლით და მახვილით, მსხვერპლით, ჰაუბიცების სროლით საქართველოს თავს „კარგი“ მმართველი მოახვია.

ეს იმას ნიშნავს, ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებს, მომავალ მეცნიერებს, როდესაც ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს ხალხში ჭეშმარიტი ისტორიის გავრცელების აუცილებლობისაკენ მოუწოდებდა, XXI საუკუნის დასაწისში კვლავ აქტუალურ პრობლემად რომ რჩება. ივანე ჯავახიშვილს, როგორც ისტორიკოსს, კარგად ესმოდა ამ ცოდნის მნიშვნელობა ერის სწორი სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მომავლისათვის, რაც მას შეცდომებისა და გარეშე ძალების უხეში ჩარევებისაგან იცავს.

როდესაც 2012 წლის მაისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა (შეერთებული შტატები და საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ) მასში მონაწილეობა შემდეგი თემით მივიღე: „1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და ამერიკის შეერთებული შტატები“.

პლენარულ სხდომაზე სამხრეთ კავკასიის პროექტის (საერთაშორისო კრიზისთა ჯგუფი) დირექტორმა ლორენს სკოტმა განაცხადა, თუკი აშშ-ს საქართველოს მიმართ შეც-

დომები მოუვიდა, ამის მიზეზი საქართველოს ისტორიის არცოდნაც იყო. თუმცა ჯერ კიდევ 1992-93 წლებში ამერიკელმა ექსპერტებმა თომას გოლცმა და რიჩარდ ფერბენქსმა უარყოფითად შეაფასეს 1991-92 წწ. სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში. მათ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ შეცდომად მიიჩნიეს, რომ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს, რამაც საქართველოში კომუნისტების რევანშსა და მოსკოვიდან შევარდნაძის დაბრუნებას შეუწყო ხელი.

გარკვეულად ამ მიდგომის ამსახველი გახლდათ 2005წ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უმცროსის) მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ცეკვითა და თეძოების რხევით უფრო დაამახსოვრებინეს ხალხს, ვიდრე ამ უმნიშვნელოვანესი სიტყვით, რომელიც გააქრეს და დიდი ხნის ძებნის შემდეგ მხოლოდ თეთრი სახლის ვებ გვერდზე მოვიძიე.

ეს სიტყვები აშშ-ს პოლიტიკის შეცდომების აღიარებასთან ერთად, ერთგვარ მონანიებასავით გაისმა: „თქვენ 1991 წლის 9 აპრილს მსოფლიოს განუცხადეთ, რომ საბჭოთა საქართველო აღარ არსებობდა და დაიბადა ახალი დამოუკიდებელი საქართველო, თქვენ ამ ისტორიულ დღეს აღადგინეთ ქვეყნის სუვერენიტეტი, მაგრამ სამაგიეროდ ეს იმედიანი დასაწყისი არ აღსრულდა“.

ამიტომაც ქართველ ხალხს ბრძოლის ათვლის საწყისად კვლავ 1990 წ. 9 აპრილი დაუსახა და „ვარდების რევოლუციის“ ამოცანაც ამაში დაინახა (სტაგნაციიდან გამოსვლა, რომელშიც 1992 წლიდან აღმოჩნდა საქართველო) და ამ ბრძოლაში საქართველოს აშშ-ის დიდი მხარდაჭერა აღუთქვა.

მაგრამ აშშ-ს პრეზიდენტის ეს სიტყვები (მისი პოპულარიზაციის მაგივრად) ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ისევე წაშალეს, როგორც უახლესი ისტორიის სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტები, რომლებიც წლების მანძილზე კარგად ორგანიზებულ დეზინფორმაციებში ჩაძირეს.

მაგრამ რა უნდა მოსთხოვო სხვას, როდესაც თვითონვე არ იცი შენი ისტორია.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ (რასაც მოსკოვი მაშინდელ ოპოზიციაზე დაყრდნობით გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა), რომლის საფუძველზეც საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტი გახდა, შეექმნა დამცავი იურიდიული მექანიზმი მის ტერიტორიულ მთლიანობას, გზა გაუხსნა საქართველოს დასავლეთისაკენ და ისეთი პროცესები დაბლოკა (მაგ., ბონერ-სახაროვის კონსტიტუციის პროექტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს ავტონომიებს რესპუბლიკის სტატუსი ენიჭებოდათ), ახალგაზრდა ქართველ პოლიტოლოგებს, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა რომ ჰქონდათ. თუმცა მისასალმებელი იყო ის დიდი ინტერესი, რომელიც მათ ამ პრობლემებისადმი გამოიჩინეს, რადგანაც ამ მიმართულებით კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოსთვის საზიანო ყველა ამ გეგმის განხორციელება მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ეს არის ისტორიისადმი გაუცხოებისა და ზერელე, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითი, რაშიც მთელი საზოგადოებაა დამნაშავე. ასეთ მიდგომას ასპარეზზე გამოჰყავს არაკომპეტენტური პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები, თვითმარქვია ექსპერტები და სხვადასხვა ჯურის ჭკუის დამრიგებლები. ისინი დღემდე აყალბებენ ისტორიასა და საზოგადოების დეზორიენტირებას აგრძელებენ, ზოგიერთები ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის მისაჩქმალადაც. ეს ე.წ. ანალიტიკოსები ეროვნულ ხელისუფლებას მითების ეპოქას მიაკუთვნებენ, სტალინიზმის აღორძინებას მიაწერენ და სხვა მსგავსი აზროვნების ისეთი დომხალით აპიარებენ (სამწუხაროდ, იმ ტელევიზიებითაც ხალხი ყველაზე მეტად რომ უყურებს), რაც კვლავაც გმირთა მოედნის ბოძსა და გაუბედურებულ რიყეს მაგონებს.

ამ ანალიტიკოსებმა, ცხადია, არ იციან, რომ გარდა ეროვნულ ხელისუფლებასთან დაკავშირებული დიდძალი მასალისა, არსებობს „მრგვალი მაგიდის” კარგად დაცული და გადანახული უზარმაზარი არქივიც, ამსახველი იმ სამუშაოებისა, რაც მისმა წევრებმა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩაატარეს.

ისტორია, და ეს მისი ბუნებაა, ყველაფერს ობიექტურად დაალაგებს (ხომ იყო დრო, ილიას წაკითხვისთვისაც რომ იჭერდნენ) და თავის სახელს დაარქმევს. აღნიშნულ მასალებს სხვადასხვა დარგის მკვლევრები ჩაუსხდებიან, რაც ტელევიზიებით გაპიარებულ ამ მითებს ბოლოს მოუღებს. ეს შეეხება მათ მიერ გაფეტიშებულ ცრუ გმირებსაც, რომელთა „გმირობაც“ მხოლოდ საკუთარ ხალხზე (ისიც გარეშე ძალის ხელშეწყობით) გამარჯვებაა და მტერთან დამარცხება.

ამ დროს ჩვენ შორის დადიან თვითმხილველნი და მონაწილენი საქართველოს უახლესი ისტორიის, გაუყალბებელი, ჭეშმარიტი ისტორიის მატარებლები, თავის მხრებზე რომ გადაიტანა ეს ისტორია. მათთვის ქართული პოლიტიკის კიდევ ერთი პარადოქსი აღმოჩნდა უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი „ვარდების რევოლუციის“ ფორმულა — პირველად საქართველოს ისტორიაში, რის გამოც „ჩვენ მწერლობაში“ როსტომ ჩხეიძემ, ჯერ კიდევ 2006წ. (12) პამფლეტი „პირველად საქართველოში“ გამოაქვეყნა. თუმც ამ თემატიკასთან მიბრუნება მას კვლავ მოუწია, როდესაც ისევ გადაგვიწერეს ისტორია „და აი, ისევ ზედიზედ გაისმის ტელეეკრანებიდან, ხან პოლიტიკოსთა, ხანაც ჟურნალისტთაგან. საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარებაო. როგორ თუ... როგორ თუ პირველად. მაშ 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები საქართველოს ისტორიის ნაწილი აღარ არის. მაშინ ხომ სწორედ ასე მოხდა... კომუნისტურმა მმართველობამ მშვიდობიანად გადააბარა ხელისუფლება ზვიად გამსახურდიასა და „მრგვალ მაგიდას“ („რეზონანსი“ 15 X, 2012).

ამ ფორმულირებამ ნაციონალებს (პიარის სკოლა გავლილ დემაგოგებს) ფრთები შეასხა, დემოკრატიის მანტია მოასხმევინა და საერთაშორისო მასშტაბით მისაბაძ მაგალითად აქცია. თუმცა ამ არჩევნებმა ახალი ტერმინი დაბადა — არჩევნების ხაშურიზაცია (არჩევნებზე ნიღბებითა და იარაღით ბოგინი, ბიულეტენების გატაცება და სხვ.), რასაც ქვეყანა, გარკვეული ობიექტური მიზეზებითაც, საბედნიეროდ გადაურჩა.

ბევრისთვის უცნობია, უზენაესი საბჭოს შენობაში (დროდადრო რომ უტევენ და აპარტახებენ) მხოლოდ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი რომ იყო გამოფენილი, ხოლო 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის 9 აპრილის აქტი არა, რაც უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა გავაპროტესტეთ, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ ამიტომაც ქუთაისში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის პირველ სხდომაზე რატომღაც ლავრენტი ბერია გაახსენდა და არა ზვიად

გამსახურდია, რომელმაც თბილისში, უზენაესი საბჭოს შენობაში, 1990წ 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, რის საფუძველზეც სააკაშვილი საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტია. თუმცა 20 წლისთავი დამოუკიდებლობისა მიხეილ სააკაშვილმა 1918 წლის 26 მაისიდან (და არა 9 აპრილიდან) ათვალა და ისე იზეიმა.

როგორც ეპყრობი საკუთარ ისტორიას, შესაბამისად გეპყრობა სხვაც. ვერავინ უნდა გიბედავდეს (თვით სტრატეგიული პარტნიორიც), დაგამახანჯვინოს ისტორია.ეს არის ეროვნული ღირსების საქმე. ამიტომ როდესაც ბანერზე წერ: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ნატოელი“ (როგორც ეს ორი წლის წინათ მცხეთისკენ მიმავალ გზაზე იყო), ამით საკუთარ უთავმოყვარეობას ადასტურებ, მონურ დამოკიდებულებას სხვაზე, რაც დამღუპველია. საერთოდ ნატოში შესვლის პიარი ნაციონალებმა კომუნისტების კომუნიზმში შესვლის ლოზუნგს დაამსგავსეს. მათივე დამსახურებაა ორმაგი სტანდარტის დაშვება. ის, რაც დასავლეთისათვის მიუღებელია (მაგალითად, დაუსჯელობა, კანონისადმი შერჩევითი დამოკიდებულება, ადამიანის ღირსების შელახვა და სხვ.), ჩვენთვის ნორმაა.

ცნობილია, რომ დასავლეთი როგორც პოლიტიკის, ისე სხვა თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. ეს კარგად იციან განათლებულმა ქართველებმა და იცოდნენ XIX საუკუნის სამოციანელებმაც, რომლებიც დასავლეთთან ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის ხასიათზე, ჭეშმარიტ დასავლურ ღირებულებებზე (ჯერ კიდევ დაპყრობილი ქვეყნის პირობებში) ფიქრობდნენ.

ასე მაგალითად, „ივერიის“ კორესპონდენტი გიორგი შარვაშიძე, პოეტი და დრამატურგი (აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი), რომელიც დასავლური კულტურის ღირსეული მატარებელიც იყო, აღნიშნავდა, რომ დასავლეთისგან ყველაფრის ბრმად გადმოღება, რაც დასავლეთისთვისაც პრობლემაა ჩვენთვისაც მიუღებელია, ისევე როგორც საქართველოსადმი უპატივცემულო და ზემოდან ყურების პოლიტიკა, რისთვისაც მას საკადრისი პასუხი (ზოგიერთი ევროპელისთვისაც) გაუცია.

საკითხი ასეც უნდა დავსვათ. ქართული მხარე (1992 წლიდან) რამდენად კეთილსინდისიერად და პროფესიულად, ოპერატიულად და თანმიმდევრულად მუშაობდა დასავლეთთან საქართველოს ცნობილი პრობლემების მოგვარებაზე. რამდენად მუშაობდა (საგარეო პოლიტიკის ჩათვლით) ქვეყნის ინტერესებისა და არა ვიწრო პარტიული, საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნების პოზიციებიდან. მითუმეტეს, რომ დასავლეთთან (რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას) სამართლიანი და პარტნიორული ურთიერთობის განმაპირობებელი, პირველ რიგში, სწორი საშინაო პოლიტიკაა, რაც საკუთარ ხალხზე დაყრდნობის პოლიტიკაშიც გამოიხატება, რაც პროდასავლურობის ტესტია და დემოკრატიულობის. ვეჭვობ, იმ ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყნის კონსტიტუცია (2004წ.) ერთ პიროვნებაზე, კერძოდ პრეზიდენტ სააკაშვილზე გადაწერა, დასავლეთთან თანასწორი და პარტნიორული ურთიერთობები რომ შეძლებოდა. თანაც იმ ხელისუფლებას, ვინც წინა ხელისუფლების მსგავსად ქართველ ხალხს (სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით) ებრძვის და ატერორებს, ყიდის (უცხოელებზე) და ანიავებს ქართულ მიწებს, რაც საქართველოსათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. ამაზე XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე და სამოციანელები, XX საუკუნის ყველა დიდი მოღვაწე ფიქრობდა.

რევაზ გაბაშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მიწის საკითხს ამ პარტიის შექმნის (XXს. 20-იანი წწ,) მთავარ მიზეზად მიიჩნევდა, რომელსაც ცალკეული პიროვნებანი და ზოგიერთი პარტია ნაჭრებად და მთელი პროვინციებითაც ასხვისებდა. საქართველოსთვის მიწის გამოცლა, აღნიშნავდა რევაზ გაბაშვილი, ეს იყო დარტყმა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. ეს პრობლემები მთავარი იყო ეროვნული ხელისუფლებისთვისაც, რომელსაც ქართული სოფლის შენარჩუნებისა და მისი გაძლიერების ჭრილში განიხილავდა. ეს ის უმნიშვნელოვანესი, საქართველოსთვის სასიცოცხლო პროლემებია, რაც ქართველ მეცნიერთა მხრიდან საგანგებო კვლევასა და განსჯას ითხოვს.

ამ შემთხვევაშიც, როგორც ისტორიის დარგის წარმომადგენელმა, მისი მნიშვნელობა კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ ისტორიას, რომ მისი ყველა წამყვანი პოლიტიკოსი საკუთარ გადაწყვეტილებას ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით აკეთებს. ცნობილია, რომ ამერიკის ისტორია ამავე დროს დემოკრატიის ისტორიაა. ამიტომ, როცა ამერიკელი საუბრობს თავის ისტორიაზე, ის არ ახდენს ისტორიის იდეოლოგიზაციას. მაგრამ საქართველოში, დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, დაიწყო ქართველი ერის ისტორიის იდეოლოგიზაცია, ოღონდ დემოკრატიის თეორიით. ისევე როგორც ეს მოხდა ბოლშევიკების დროს კლასთა ბრძოლის თეორიით. ქართველი ერის ისტორია გაცილებით ხანგრძლივია, ვიდრე დემოკრატიის ისტორიაა. ამიტომ გაუგებრობას იწვევს, როდესაც საკუთარ ისტორიას უყურებ სხვისი ისტორიის თვალით. ეს გახდა მიზეზი საქართველოს ისტორიის 2003 წლიდან ათვლისა.

ისტორიის გაყალბება ჭეშმარიტი ისტორიის დავიწყების ტოლფასია. „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, — წერს ილია, — როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ აღნიშნავს, რამდენად კარგად აცნობიერებდა ილია ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის მნიშვნელობასა და მისი განვითარების (რაშიც თვითონაც მიუძღვის წვლილი) აუცილებლობას.

ამის გამო, წერს ივანე ჯავახიშვილი, ილია თავს ანებებდა თავის პირდაპირ მოვალეობას და ისტორიის კვლევა-ძიებას მიმართავდა. მისთვის ანალიზი და ისტორიული პროცესების გააზრების აუცილებლობა, რაზეც ჩვენი აწმყო და მერმისია დამოკიდებული, ჩანს ილიას იმ სიტყვებიდან, ივანე ჯავახიშვილს რომ მოჰყავს:

„ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რით და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრებისა მაგარი ქვა არ ჩაედგა, ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას, რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგ-

ვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც, ჩვენი ცხოვრების ფესვი, ჩვენი ცხოვრების საძირკველი, და თუ ეს ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი."

ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ილია, რომელიც წარსულის ძლიერსა და სუსტ მხარეებს ისტორიულ პროცესთა უწყვეტობისა და მთლიან პროცესებთან მიმართებით გაიაზრებს, ამავე პროცესებს დიდ მოღვაწეთა სახელებს უკავშირებს, ვისთანაც ერი „ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს".

ამის უამრავი მაგალითია „ქართლის ცხოვრებაში". მასში ქართველი ერის დიდ სახელმწიფოებრივ გამოცდილებასთან ერთად, პოლიტიკისა და ზნეობის, პოლიტიკის განათლებასთან კავშირების მნიშვნელობაა გააზრებული, რაც ქვეყნის მართვაზეც აისახებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსი (ბასილი ეზოს მოძღვარი) წერს: თამარი მართავდა ქვეყანას არა ვერაგობითა და სიცრუით (რომლის მავნებლობასაც ასევე განიხილავს „ქართლის ცხოვრება"), არამედ სამართლიანობით. მის დროს არავის განუცდია ძალადობა, რაც ამ მხრივაც ამ წარსულს გაცილებით თანამედროვეს ხდის, ვიდრე XXI საუკუნის საქართველოა. ჩანს აგრეთვე, რომ ყველაზე წარმატებული „ოქროს ხანა" მხოლოდ ძლიერ ეკონომიკასა და ძლიერ ჯარს არ ეფუძნებოდა. აუცილებელი პირობა, რასაც შუა საუკუნეთა ქართული პოლიტიკა აცნობიერებდა სამართლიანობა, განათლება, ზნეობა, სწორი სოციალური მიდგომები, სიმართლის ძალა და ის მარადიული ღირებულებანი იყო, რაც „ქართლის ცხოვრების" გზით თაობებს გადაეცემოდა და საუკუნეთა მანძილზე ქართველი ერისათვის სწორ ორიენტირებს წარმოადგენდა.

მრავლისმეტყველია, რომ „ქართლის ცხოვრება" ძალაუფლების საკითხებს თამარის მაგალითზეც განიხილავს. მასში ნათქვამია, რომ თამარს თავისთავად ძალაუფლება და სიმდიდრე, ამქვეყნიური სიამოვნებანი და ამაოება ქვეყნისა არ იზიდავდა. ცხოვრების უბრალოება და სისადავე, ადამიანზე ზრუნვა, თამარის ცხოვრების წესი გახლდათ. ძალაუფლება მას სამშობლოს, ხალხის მსახურებისათვის სჭირდებოდა, რაც თავის ანდერძით კიდევაც გამოხატა.

ქართული პოლიტიკის ამ პრინციპებთან მუდმივ კავშირში მეცნიერება იყო, რომელიც შესაბამის წანამძღვრებსაც ამზადებდა. მაგალითად იოანე პეტრიწი თავის „ფილოსოფიურ ტრაქტატში", სადაც ადამიანის დანიშნულების კონცეფციას ავითარებს, ეხება ადამიანის იმ მთავარ მახასიათებელს, რითაც იგი ყველა ცოცხალი არსებისაგან განსხვავდება — ეს არის სინდისი, რომელსაც პეტრიწი სამართლიანობასა და სიმართლეს, მართლგანსჯასა და თვითგანსჯას, სიკეთის ბოროტებისაგან განსხვავებას უკავშირებს. რომ არა ეს უნარი, დასძენს იგი, ყველაფერი დაიღუპებოდა, რადგანაც ყოველგვარი ბოროტების სათავე უსამართლობა, განუსჯელობა და სიცრუეა. სინდისი კი იოანე პეტრიწის თანახმად თვით ღმერთია ადამიანში.

ქართულ პოლიტიკასთან განათლებისა და მეცნიერების გზით ათონელი მამები და სხვა დიდი ქართველი მოღვაწენიც თამნამშრომლობდნენ, რომლებიც იოანე პეტრიწის მსგავსად ადამიანის სრულქმნილებას სიყვარულსა და მოყვასზე ზრუნვაში ხედავდნენ. დავით აღმაშენებლისათვის ეს იყო უმთავრესი მაჩვენებელი, როდესაც იოანე პეტრიწს გელათის აკადემიის რექტორად იწვევდა. ეს პირადი მაგალითის ძალაც იყო, რომელსაც დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ქართველი მეფეებიც იძლეოდნენ, მოკრძალებითა და ზომიერებით, პატიოსნებით, ადამიანისადმი სიყვარულითა და ზრუნვით, რაც ქართველ მეფეთა აღზრდაში იდო.

ეს თემები „ქართლის ცხოვრებაში" ჩვენს ერში საუკეთესო თვისებათა (რაც სახელმწიფოს დონეზე იყო აყვანილი) გამოვლინების კონტექსტში განიხილება. სხვაგვარად, და ეს კარგად იცოდნენ ქართული პოლიტიკის მესვეურებმა, ვერცერთ დიდი ქართული საქმე ვერ გაკეთდებოდა. ამიტომაც, მაგალითად, საქართველოს გაერთიანების რთულ პროცესებში დავით კურაპალატი ეროვნულ იდეოლოგიას, ეროვნულ წმინდანებსა და გმირებს წინ წამოსწევს და კიდევ უფრო აძლიერებს და ზრდის ქართული ენის ფუნქციასა და მნიშვნელობას, როგორც ერის ერთიანობის ფენომენს.

1801 წლიდან, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, უცხო ძალთა მონდომებითა და წახალისებით, ეს ღირებულებანი მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად, ადამიანში უარესი თვისებების გამოვლინების, ღალატისა და მონური მორჩილების წახალისების პოლიტიკით შეიცვალა. ნიჰილიზმის დანერგვისა და გარეთ პატრონის, მშველელის ძიების პოლიტიკით შეიცვალა. დაპყრობილ ქვეყანაში (რაშიც ისტორიის გამყალბებლებიც ჩაერთვნენ) დროში და თანდათანობით ამან დიდი მასშტაბები და საშიში, კატასტროფული ხასიათიც მიიღო. ერი მისი საუკეთესო შვილებისაგან გამოხშირეს — ჭეშმარიტი ლიდერები მოუკლეს.

1801 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ეროვნული მოძრაობა, ამ პროცესების წინააღმდეგაა მიმართული.

საბჭოთა პერიოდის ზედმეტად ოპტიმისტური „მზიური საქართველო", ე.წ. დემოკრატებმა „პატარა საქართველოთი" (უმწეობის ნიუანსითა და განცდით) შეცვალეს, რომელიც მათ ხელში კიდევ უფრო დაპატარავდა.

1994 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სტუმრობისას, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბრჟეზინსკიმ ამ სიტყვებით მოგვმართა: არა აქვს მნიშვნელობა ერი პატარაა თუ დიდი, მთავარია მას უნდოდეს თავისუფლება.

1 ოქტომბერს ქართველი ხალხის უდიდესმა უმრავლესობამ უარი ძალადობასა და სიცრუეს უთხრა, მხარი ცვლილებებს, სამართლიანობის აღდგენას დაუჭირა, რაც მხოლოდ სიმართლით (და არა ნახევარსიმართლით) შეიძლება. ვისაც ამ სისტემის ისტორიის 2003 წლიდან დაწყება აძლევს ხელს, გავახსენებ ედუარდ შევარდნაძის ამ სიტყვებს: „მეტი აღარ შემიძლია და 1 ოქტომბერს ვამთავრებ ჩემს მოღვაწეობას" („ასავალ-დასავალი", 2-7, X 2012).

„ქართული ოცნების" კოალიციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი განათლება და მეცნიერებაა, რაც ქართული მეცნიერებისადმი, ქართული სახელმწიფოსადმი სწორი მიდგომის მაჩვენებელიცაა. მითუმეტეს, რომ იმ სისტემის დაშლაში (რომელიც გათიშე და იბატონეს პრინციპს ეფუძნება, ქართველების ურთიერთდაპირისპირებასა და განადგურებას), სამართლიანობის აღდგენასა და დაგროვილი მრავალი პრობლემის მოგვარებაში დიდია განათლებისა და მეცნიერების როლიც.

განათლებისა და მეცნიერების კონცეფცია, შედგენილი

გია დვალის ჯგუფის მიერ, ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. ის პირველ რიგში, მეცნიერის ღირსებისა და მეცნიერთა თაობებს შორის განყვეტილი კავშირების აღდგენას ემსახურება, თავისუფალ, მოაზროვნე და ნიჭიერ ადამიანთა ასპარეზზე გამოსვლის ხელშეწყობას. პროგრამა სწორ აქცენტებსა (ფუნდამენტური მეცნიერების კვლევის ცენტრის შექმნა და სხვ.) და მიმართულებებს სვამს, ქართული მეცნიერების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას, რაც წარსულის გამოცდილებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

რაც მთავარია, ამ კონცეფციის მიხედვით, მეცნიერება პრიორიტეტულია და ქართველი ერის დიდ შესაძლებლობებსა და პოტენციალს ითვალისწინებს, ერში ინტელექტუალური კაპიტალის შენარჩუნებასა და მისი განვითარების გზებს. ამ მხრივ მისახედია სკოლაც, რომელიც საფუძველია უმაღლესი განათლების, ორივე ერთად კი — მეცნიერების.

მეცნიერების პრიორიტეტების დადგენა ცალკეულ დარგთა აღდგენა-აღორძინება (მათი ანალიზის გზით), საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარალელურად, მის პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს.

განათლებისა და მეცნიერებისადმი სწორი მიდგომა საქართველოს დემოკრატიულ და სამართლიან, ჭეშმარიტად თანამედროვე ქვეყნად გადააქცევს, განამტკიცებს დამო-

ნინო დეკანოიძე

წიგნი — ეპოქის სარკე

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში იმდღევანდელი თავყრილობა სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის ნინო ვახანიას წიგნის განხილვას მიეძღვნა. „ჩვენი XIX საუკუნე“ სოლიდური გამოცემაა და ალღოიანი მკითხველი თვალის ერთი შევლებითაც მოინიშნავს, ნაუცბათევად და იოლად გადასაკითხავ წიგნთან რომ არ ექნება საქმე.

ავტორს შესაფერისად წარუდგენს აუდიტორიას როსტომ ჩხეიძე. მოიგონებს იმ წლებს, როცა აფუძნებდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას და თითო-ოროლა გულმოდგინე და ენთუზიასტ თანამზრახველთა გვერდით ნინო ვახანიაც მოიაზრებოდა, როგორც ახალგაზრდა მეცნიერი და მკვლევარი, მეტად მნიშვნელოვანი წვლილით ამ კეთილშობილურ საქმეში:

„თუ არსებობს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, ერთ-ერთი დამსახურება გახლავთ ნინო ვახანიასი, რომელიც არა მხოლოდ დამფუძნებელია, მის მხრებზე გადავიდა ბევრი რამ, რაც გადახდა ჩვენს საზოგადოებას მისი ხან დალხენილი და ხანაც დრამატული ცხოვრების განმავლობაში.

რაც შეეხება წიგნს „ჩვენი XIX საუკუნე“. მოკრძალებითაა აღნიშნული, რომ ეს არის ლექციების ციკლი. მართალია, ძირითადად ლექციებს ეყრდნობა და აქედანაც ჩანს, თუ რა მაღალი დონის სწავლებაა სოხუმის უნივერსიტეტში. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ეს არის დასავლური დონის ლექციები. ვეებერთელა წიგნია და ერთი ჩავარდნილი ადგილი არ არის აქ, ვაცხადებ ამას სრული პასუხისმგებლობით. მაინც შემოფარგლულია ეს წიგნი, XIX საუკუნის ერთ მონაკვეთს, პირველ ნახევარს მოიცავს და მიმოიხილავს ზედმიწევნით, რაც ავალებს ავტორს, საქმე ბოლომდე მიიყვანოს და მთლიანად წარმოაჩინოს ჩვენი XIX საუკუნე. კვლევის ამდაგვარი სრულყოფა გამოადგებათ არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ ყველას, ვისაც უყვარს ქართული ლიტერატურა. წიგნში თავმოყრილი უაღრესად საინტერესო მასალებიდან ბევრი თვითონ ნინოს მიერაა მოპოვებული, დადგენილ-დაზუსტებული, არქივებში მიკვლეული და რაც კი გაკეთებულია ამ სფეროში, ყველაფერია მეცნიერული კეთილსინდისიერებით მოხმობილ-მითითებული. ერთი სიტყვით, ჩატარებულია უზარმაზარი კვლევა ისეთი მეცნიერის მიერ, ვინც ძალიან კარგად არის ჩახედული ამ ეპოქაში. ყველაფერი კი ისეთი განცდითაა დაწერილი და ისეთი ცოდნით მოწოდებული, როცა კითხულობ, თითქოს იმ ეპოქის უშუალო მონაწილე ხდები. ყოველივე ამის მიღწევა არ არის ადვილი, რადგან ცოდნა შეიძლება დააგროვოს ადამიანმა, მაგრამ შესაფერისი განცდა არ გააჩნდეს და დროის სულს ვეღარ ჩაწვდეს. სწორედ სული მოაქვს ნინო ვახანიას ჩვენთან, ეპოქის სული...

განცდა და ცოდნა — აი ეს ორი ნაკადი ძალიან კარგადაა შერწყმული ნინოს არსებაში და შესაბამისად — საუცხოოდაც გადმოტანილი“.

როსტომ ჩხეიძემ დასძინა ისიც, რომ ავტორმა წიგნი უძღვნა მამის, ვახტანგ ვახანიას ხსოვნას; და რომ შვილი ღირსეული მამის კვალს მიჰყვება, როგორც პიროვნება, როგორც მკვლევარი, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგი. „ვახტანგ ვახანიამ თაობები აღზარდა სოხუმის უნივერსიტეტში ფილოლოგებისა და მისი ლექციები დღესაც შთამბეჭდავად ახსოვთ მის ნამოწაფართო“.

სწორედ ვახტანგ ვახანიას დამსახურებად მიიჩნია სიტყვით გამომსვლელმა, რომ ნინომ შეძლო საინტერესო წიგნის შექმნა, სადაც ყოველ გვერდზე შეხვდებით ისეთ დეტალს, რაც საგულისხმო და დასამახსოვრებელია. სანიმუშოდ მოიტანა ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი, სადაც დისწული შესჩივის ბიძას, კაცი არ აღმოჩნდა, რომ დამხმარებოდა, მხარში ამომდგომოდა და ასპარეზზე გავეყვანეო.

როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ეს წერილები ბევრჯერ დაუმოწმებიათ ლიტერატორებსა თუ ცნობისმოყვარეებს, რათა ეთქვათ იოლად და ჰაიჰარად, გავლენიანმა ბიძამ უგულისყუროდ დატოვა დისწულიო. აღინიშნა ისიც, რომ ნინო ვახანია აბათილებს ამ ბრალდებას და მიუთითებს ყურადღებამისაქცევ ფაქტზე — წერილების დაწერის თარიღებზე. გრიგოლს როცა ბევრი რამ შეეძლო, წლების მერე იყო, იმხანად კი დაპატიმრებულ-გადასახლებული თვითონ საჭიროებდა დახმარებასო.

მოხმობა მსგავსი დეტალებისა მრავლად რომ შეიძლებოდა ამ წიგნიდან, ესეც მოწონებით აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ და აგრეთვე ისიც, ეს წიგნი სტუდენტებისთვის განძად რომ იქცევა, რადგან მის მიხედვით მომავალში არაერთი გამოკვლევის, სტატიის თუ ნარკვევის დაწერა გახდება შესაძლებელი.

ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა არასაქებრად დამკვიდრებულ გარემოებას, რაც ვლინდება, სამწუხაროდ,

მეცნიერების სხვადასხვა სფეროში — სხვისი ნაღვაწის მითვისება, პლაგიატორობა, ლამის ჩვეულებად იქცა. მაგალითად ახსენა ისტორიკოს **მანანა გაბაშვილის** ნარკვევები როგორ პირწმინდად გადაუწერიათ და არათუ წყარო არ მიუთითებიათ, ღირსადაც არ გაუხდიათ ნამდვილი ავტორი სადმე მოეხსენებინათ. ახლა უნდა ამტკიცოს თურმე მანანა გაბაშვილმა, რომ ეს ნარკვევები მისია. თუმცა ან დაამტკიცებს ან ვერაო (მწარე სიცილით). ჩვენ მაინც მხარს დავუჭერთო და მოხსენებისათვის **მაია ჯალიაშვილი** მიიწვია და დაახასიათა იგი როგორც სანიმუშო მეცნიერი და მკვლევარი, კეთილსინდისიერებით გამორჩეული.

მკითხველს საშუალება მიეცემა მაია ჯალიაშვილის მოხსენებას სრულად დაბეჭდილს გაეცნოს, აქ მხოლოდ ამონარიდებს შემოგთავაზებთ:

„ნინო ვახანია სხვადასხვა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შემოკრებს სიტყვაში „ჩვენი“, თუმცა ამ წიგნისთვის „ჩემი მეცხრამეტე საუკუნეც“ შეიძლება ეწოდებინა, იმდენად გამოკვეთილია მისეული ხედვა, დაკვირვება, ანალიზი, შეფასება.

წიგნში XIX საუკუნის მაჯისცემას შეიგრძნობს მკითხველი. ეს ის ღონიერი ფესვებია, რომლებიც დღემდე უშურველად კვებავენ ქართველთა აზროვნებას; ყველა იმ მწერლის ზედმიწევნით წარმოჩენილი პორტრეტებია, რომლებიც განაპირობებდნენ ახალი აზრის დაბადებასა და თაობათა სულისკვეთებას.

ეს წიგნი, დიდი გარჯის ნაყოფი, მართლაც მშვენიერია მამის ლექციებით შთაგონებული და ნასაზრდოები, ქართული გონიერი ანდაზის გამამართლებელი: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“.

ყურადღებამისაქცევია, რომ ავტორი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მსოფლიო კონტექსტში გაიაზრებს. ამგვარ ფონზეა გაჩხრეკილ-გაანალიზებული ლიტერატურული მიმდინარეობანი: კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რომელთაც, ვიდრე საქართველოში შემოაღწევდნენ, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, იტალიის, ესპანეთის გზები უკვე გაეთელათ. ამიტომაც, ბუნებრივია, ამ თემაზე საუბრისას მოხმობილია თვალსაჩინო მაგალითები ევროპული ლიტერატურიდან და ამ გზით დაიძლევა თხრობის ის სიმშრალე, რომელიც ამგვარ განსჯას ახლავს ხოლმე.

რომანტიზმი ფუნდამენტურადაა წარმოჩენილი ამ წიგნში. ზღვა სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს ამ თემაზე და ავტორს მართებს გათვალისწინება ყოველივე იმისა, რაც უკვე შექმნილა და გაანალიზებულა. ამჯერადაც ჩანს ნინო ვახანიას ფართო თვალსაწიერი... საგულისხმოა, რომ ავტორი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ხედავს და აანალიზებს სინთეზს — ტრადიციულისას და სიახლისას. ტრადიციაში ის, უპირველეს ყოვლისა, რუსთაველის ესთეტიკას მოიაზრებს.

საყურადღებოა მისი მსჯელობა ქართული რომანტიზმის თავისებურებებზე. მისი განზოგადებული დასკვნები მოწმობენ, რა დიდი კვლევა-ძიება ჩაუტარებია ავტორს; რა პასუხისმგებლობით მოჰკიდებია ქართველ და უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისებს.

„უხვი მოსავლის“ შეფასება-გაანალიზებაა ეს წიგნი, რომელშიც მეცხრამეტე საუკუნის თავგადასავალი შთამბეჭდავადაა მოთხრობილი.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი სამეცნიერო სტატიების კრებულია, კარგი რომანივით შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ცნობისმოყვარეობა არ ნელდება ბოლომდე, რადგან „სცენაზე“ მუდმივად ახალი პერსონაჟები ჩნდებიან თავიანთი ფიქრით, გამოცდილებით, ნაღვაწით, ზნეობით. ყველას აკავშირებს „ჩვენი“ მეცხრამეტე საუკუნე, საოცრად დრამატული დრო, რომელიც ამ წიგნის მთავარი გმირია.

ნინო ვახანია მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევრად წარმოგვიდგება, რომლის ნაშრომები მომავალ თაობას ახალი სამეცნიერო ძიებისას ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს“.

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯონი აფაქიძე** აუცილებლობად მიიჩნევს იმ კოლეგიალურ გარემოზე და ურთიერთობებზე თქვას უპირველესად, რაც სუფევს ამ უმაღლეს სასწავლებელში: შთაბეჭდილება კი უშუალოდ წიგნზე გაუზიარა დარბაზს ორიოდე სიტყვით: „ჩვენი XIX საუკუნე“ ეს არის მართლაც შენაძენი ქართულ ფილოლოგიური სკოლისა. ერთსაც ვიტყოდი, მხოლოდ მაღალი დონის მკვლევარს, ნამდვილ ინტელიგენტს შეეძლო ასეთი სრულყოფილი წიგნის დაწერაო“.

სიტყვით გამომსვლელმა ბედნიერ ფაქტად ისიც მიიჩნია, რომ ამ დღეს სოხუმის უნივერსიტეტი მისი პროფესორის ნაშრომის აღიარებით ღირსეულად წარმოჩნდა.

ვიდრე მორიგ სიტყვით გამომსვლელს შესთავაზებს აუდიტორიას, როსტომ ჩხეიძე დიდი ავტორიტეტის მკვლევარებს XX საუკუნიდან — **კიტა აბაშიძეს, გერონტი ქიქოძეს** და **ვახტანგ კოტეტიშვილს** მოიხსენიებს, რომელთაც ფასდაუდებელი ნაშრომები დატოვეს XIX საუკუნის კულტურულ მოვლენებზე, ლიტერატურულ მიმდინარეობებზე. არ დაფარა ისიც, რომ შემდგომ თავქვე დაეშვა ამ ეპოქის კვლევა და არაერთი წიგნი გამოვიდა ისეთი, მაკულატურად რომ უნდა შეფასდეს. ისეთი მკვლევარებიც გამოჰყო, პირველმაძიებელთა დონეს რომ ინარჩუნებენ. მათ შორის ლადო მინაშვილი დაასახელა, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი, ზნეობრივი პიროვნება და სანიმუშო მეცნიერი, მრავალ თაობის ფილოლოგთა საყვარელი პედაგოგი, სთხოვა კიდეც, სიტყვით გამოსულიყო.

ლადო მინაშვილი: ქართული ლიტერატურის ისტორიაში ახალი წიგნის გამოჩენა ძალიან სასიამოვნო ფაქტია. ჩემთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავტორმა წიგნი უძღვნა მამას. მოგეხსენებათ, მიძღვნა არახალია. აქ სულ სხვა ფორმა გამოიყენა ნინო ვახანიამ და მამა თანამონაწილედ აქცია თავისი საქმისა. მას ეყრდნობა, რაც მამის სიცოცხლის გახანგრძლივებაცაა.

მართალი გითხრათ, ამხელა წიგნი ნინო ვახანიას ავტორობით დიდად არ გამკვირვებია. ის უკვე ჩამოყალიბდა როგორც სერიოზული მკვლევარი და ძალიან საინტერესო ნაშრომების ავტორი. ვაღიაროთ, რომ ძალიან დიდი და მძიმე მოვალეობა იტვირთა. რასაკვირველია, ძალიც შესწევს ქადილისა. ძალიან ბეჯითი ადამიანი ბრძანდება. უზარმაზარი შრომის ფასად გამოწვლილვითაა ეპოქა შესწავლილი და შესაბამისად ეს წიგნი ენციკლოპედიურიცაა, ამდენად — გამოსადეგი ყველასთვის“.

დასძინა ისიც, რომ პირადად ვიქნები ხელშემწყობი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში დავამკვიდრო ეს წიგნი სახელმძღვანელოდ. ჩემთვის კი უკვე მნიშვნელოვანია, როგორც სამაგიდო გამოცემაო.

მერე კი წიგნიდან რამდენიმე ეპიზოდი მოიხმო სანიმუშოდ და გრიგოლ ორბელიანის ღვაწლის ღირსებით წარმო-

ჩენაც შეუქო ავტორს: „რატომღაც მოდად იქცა, გაკიცხონ ჩვენი დიდი წინაპრები და აქედან ისრებიც არ დააკლონ. განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანი ჰყავთ ამ მხრივ ამოღებული ნიშანში. ვერც ილია ჭავჭავაძეს ასწავლა ვერაფერი ასეთ ხალხს და სხვა რაღა ვთქვათ. ბეწვის ხიდზე გაიარა ჩვენმა ახალგაზრდა მკვლევარმა და ამ პიროვნების დიდი ღირსება ასე წარმოაჩინა; სათანადოდ შეაფასა მისი შემოქმედება“. აღნიშნა, რომ დაიწერა ბრწყინვალე წიგნი იუზა ევგენიძისა — „გრიგოლ ორბელიანი“. სასიამოვნოდ დაურჩა, რომ ნინოს ამ ავტორის წიგნში გამოხატული თვალსაზრისიც გაუზიარებია.

ლადო მინაშვილმა კვლავ მრავალ საინტერესო მიგნებაზე გაამახვილა ყურადღება. მიანიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის — „ბედი ქართლისა“ — ორიგინალურ ანალიზზეც.

ნინო ვახანია

თქვა ისიც, რომ ნინო ვახანია თვითკმარი ავტორი არ არის, მიღწეულით ტკბობაში არ ჩაეფლობა.

მერე კი რომანტიკოსების ეპოქაზე მოსაუბრემ, სიტყვაც რომანტიკულად დაასრულა: „რომ ეს წიგნი მონატრებაა, ნინო ვახანიას თავისი სიყმაწვილისა და სტუდენტობის ქალაქი სოხუმი ენატრება, ენატრება მამისეული სახლი და გულისტკივილით ლაპარაკობს კიდეც მამისეულ ბიბლიოთეკასა და არქივზე. რასაკვირველია, უკეთესი რაღა უნდა ესურვებინა, თუ არა ახდენა ნატვრისა. მოვინიშნოთ სოხუმი მისი მომავალი წიგნის საპრეზენტაციო ადგილადო. და ეს როცა ასრულდება, მეც თქვენ გვერდით მიგულვეთო — დაურთო არცთუ უსაგნო ოპტიმიზმით.

თავყრილობის წინაშე ვიდრე საკუთარი შთაბეჭდილებით წარდგება იკა ქადაგიძე, ღონისძიების ორგანიზატორი აღნიშნავს მის საქებრად, რომ ლიტერატურულ პროცესებს ენერგიულად მიჰყვება კვალში. საპატრიარქოს რადიოში მისი საავტორო გადაცემები ამ თვალსაზრისითაც გამოირჩევა და რომ უკვე მოესწრო რადიომსმენელისათვის ამ ახალი წიგნის წარდგინება და, შესაბამისად, ავტორის გაცნობაც.

იკა ქადაგიძე: „ჩემთვის მართლაც არაჩვეულებრივი იყო ამ წიგნთან შეხვედრა. თუმცა აქვე დავძენ, რომ ნინო ვახანიას დიდი ხანია ვიცნობ. ალექსანდრე ორბელიანის სახელი როსტომმა და ნინომ შემოაბრუნეს ქართულ სივრცეში.

„ჩვენი XIX საუკუნე“ გახლავთ კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ამ პრაგმატულ დროში შეიძლება იყოს ჩვენ გვერდით ადამიანი, რომელსაც სულისკვეთება XIX საუკუნისა გამოჰყოლია. ასეთია ნინო. ის არის არა მხოლოდ შესანიშნავი მეცნიერი, არამედ ჩინებული მწერალიც. ვინც იცნობს მის შესანიშნავ წიგნს — „ერთი ყლუპი ჰაერი“ — უყოყმანოდ დამეთანხმება.

რაც შეეხება საპრეზენტაციო წიგნს: როცა ვკითხულობდი, მრჩებოდა წარმოდგენა, რომ ეს არ იყო მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თანაბრად ფასეულია როგორც ქართული მეცნიერებისთვის, ისე მწერლობისთვის. აქ ბევრი რამ ახლებურადაა დანახული, წამოწეულია იმ ავტორთა ცხოვრება-შემოქმედება, რატომღაც სულ ჩრდილში რომ რჩებოდნენ, საგანგებოდ იჩქმალებოდნენ.

ეჭვიც არ მეპარება, ნინო ვახანია გააგრძელებს მოღვაწეობას და კიდევ ერთი ჩინებული წიგნით ჩვენს განათლებულ საზოგადოებას გაახარებსო“ — სიტყვა კეთილმოსურნედ ამოწურა იკა ქადაგიძემ.

ღონისძიების წარმმართველი კიდევ ერთხელ შეკრავს სასაუბრო თემას: რომ „ჩვენი XIX საუკუნე“ ძირითადად ეძღვნება ქართულ რომანტიზმს და ამ საფუძველზე დგას. აღნიშნავს იმასაც, რომ ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა სწორედ იმავე სულისკვეთების წიგნი „ქართული რომანტიზმი“, შეახსენებს საზოგადოებას, რომ პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი არის **ზაზა აბზიანიძე,** ვისმა ერუდიციამ და თავდადებამ ბევრწილად განსაზღვრა კრებულის მაღალი დონე... და რასაკვირველია, შესთავაზა სიტყვაც ნინო ვახანიას წიგნზე.

ზაზა აბზიანიძე: „ნინო ვახანიას „ჩვენი XIX საუკუნე“ ავტორისაგან საჩუქრად მივიღე და იმ დღიდან გადაიქცა ჩემს სამაგიდო წიგნად, ამ სტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ვფიქრობ, ჩვენი დღევანდელი თავყრილობა (სიტყვა „პრეზენტაცია“ რატომღაც ყურს მჭრის ამ კონკრეტულ შემთხვევაში) ხელს შეუწყობს იმას, რომ ნინო ვახანიას ძვირფასი წიგნის შესახებ გაიგოს ყველა იმ მისმა კოლეგამ, ვისთვისაც ეს 700-გვერდიანი ფოლიანტი ფასდაუდებელი საჩუქარი იქნება.

როსტომ ჩხეიძემ ახსენა აქ ჩვენი კრებული „ქართული რომანტიზმი“. ეს ძირითადად ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შედგენილი კრებულია, თუმცა რამდენიმე მოწვეული ავტორიც გვყავდა. აი აქ რა არის საინტერესო: ჩვენ და ნინომ თითქოს მოვილაპარაკეთ ინტერესთა სეგმენტები გადაგვენაწილებინა: ჩვენს კრებულში აქცენტი კომპარატივისტულ და კულტუროლოგიურ თემატიკაზე გაკეთდა (ამას ქვესათაურიც უსვამს ხაზს: „ქართული რომანტიზმის ნაციონალურ-ინტერნაციონალური საზღვრები“) და შესაბამისად, ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველს, ვფიქრობ, განუზომელ დახმარებას გავუწევთ... რაც შეეხება ნინო ვახანიას წიგნს, ასეთი ფუნდამენტური გამოკვლევა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობისა ჩვენ უბრალოდ არ გვქონია.

აქ ითქვა კიდეც, და მეც მინდა ხაზი გავუსვა, რომ ნინო ვახანიას წიგნი წარმტაცი საკითხავია, რასაც განაპირობებს მკვლევარის წერის მანერა — იშვიათი შეხამება ნარატიული სტილისა ღრმა და საინტერესო წიაღსვლებთან. შე-

საბამისად ეს ჩინებული გამოცემა ერთნაირად საჭირო იქნება როგორც დამწყები ფილოლოგისათვის, ისე ჩემი თაობის ლიტერატორისთვისაც.

ჩვენს ლიტერატურულ წინაპართა ყოფა და გარემო ისეთი ცხოველმყოფელობითაა აღწერილი, თითქოს ავტორი იყოს თვითმხილველი ყოველივე იმისა, რაც ხდებოდა იმ, წარსულ ეპოქაში, და სწორედ ამიტომ — „ჩვენი XIX საუკუნე“ — ზუსტი და ადეკვატური სათაურია ამგვარი შეგრძნებით გაჯერებული თხრობისათვის. ასე მგონია, არცერთი სხვა სათაური ამ წიგნს არ მოუხდებოდა.

დაბოლოს, ვიტყვი, რომ, როდესაც შარშან მე მომიხდა ნინოსთან თანამშრომელობა უკვე გამომცემლის ამპლუაში, ვფიქრობდი: ღმერთმა მოგცეთ ასეთი სერიოზული, ჩაკვირვებული და უღალატო კოლეგა. ვფიქრობდი იმასაც, რომ ეს თვისებები უთუოდ გენეტიკურიც არის, რადგანაც კარგად ვიცნობდი მამამისს — პროფესორ ვახტანგ ვახანიას. ნინოს ასეთი წარმომავლობა გულს მითბობს და მაიმედებს, რომ კარგი მამის ღირსეული შვილი კიდევ არაერთი კარგი წიგნით გაგვახარებს“.

თუ ვინმეს შეუძლია შეაფასოს ამ წიგნის მნიშვნელობა, როგორც ფუნდამენტური, მასშტაბური კვლევის შედეგისა, მათ შორის იგულისხმეთ რუსუდან ნიშნიანიძეო — დასძინა როსტომ ჩხეიძემ და „სამანს იქით და სამანს აქეთ“ — მისი ჩინებული ორტომეული, მსგავსი კვლევის ჩინებულ ნიმუშად მიიჩნია.

რუსუდან ნიშნიანიძის შთაბეჭდილებაც: „ნინო ვახანიას დამსწრე საზოგადოება იცნობს როგორც აქტიურ პიროვნებას, არაერთი წიგნის წარდგინების მონაწილეს, კარგ ლიტერატორს.

სამეცნიერო კრებული გარკვეულ მოდელს უნდა დაექვემდებაროს: ესაა ლიტერატურის მიმოხილვა, მკვლევართა მოსაზრებების გაცნობა, არა მხოლოდ საკუთარი პოზიციის ჩვენება, არამედ — მეცნიერული სიახლეც. ლექცია კი უფრო პერსონალურია. ნინო ვახანიას წიგნს „ჩვენი XIX საუკუნე” შიდა ყდაზე აწერია: „ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან”. ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წასაკითხ მასალას“.

ზოგადად, ლექცია მრავლისმომცველია, არაერთი თემის გაშლის შესაძლებლობას იტოვებს, — თქვა გამომსვლელმა და მაგალითად მოიტანა ცნობილი ამერიკული ფილმის ჩვენება მისი სტუდენტებისათვის: „მკვდარი პოეტების საზოგადოება” და ამასთან დაკავშირებული პერიპეტიები გამოკვეთა: ღირსება, განათლების ფართო თვალსაწიერი, ღრმა და არა დანაწევრებული ცოდნა — აი, ის მოთხოვნები, რომელთა წინაშეც დგანან ახალგაზრდები.

ნინო ვახანიას წიგნიდან გამორჩეულად საგულისხმოდ რამდენიმე თავი გამოჰყო და ერთ კონტექსტში განიხილა: „გრიგოლ ორბელიანი”, „ნიკოლოზ ბარათაშვილი” და სხვა. წიგნის, ლექციების ღირსებად მიიჩნია ე.წ. „დავალების” პრინციპიც, როცა ლექტორი არაერთი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშის წაკითხვას ავალებს თავის სტუდენტებს, თანამედროვე ტექსტების გათვალისწინებით. ხუმრობით ისიც კი დასძინა: თუკი მოხდება ისე, რომ სტუდენტი ლექციას გააცდენს, აღარ დასჭირდება თანაკურსელის „მოკლე კონსპექტის” გადაწერა, მას ეს წიგნი გაუწევს სათანადო მეგზურობას XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაშიო.

დასასრულ, რუსუდან ნიშნიანიძემ წიგნის გამოცემა მიულოცა ავტორს — ნინო ვახანიას, რედაქტორს — როსტომ ჩხეიძეს, მხატვარს — კარლო ფაჩულიას, და ყველას წარმატებები უსურვა.

დასამალი არცაა, ლიტერატურული თავყრილობები როცა ხანგრძლივდება ჰარმონიულად და არ იკვეთება ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე მოგვიანებით სიტყვით გამომსვლელნი. მათი სათქმელი ბევრჯერ დადასტურებაა დაწინაურებულთა შთაბეჭდილების. ასე გახლდათ ნინო ვახანიას წიგნის — „ჩვენი XIX საუკუნის“ განხილვისასაც.

ინტერესით, პროფესიული პასუხისმგებლობით მიმოიხილეს იგი **ზოია ცხადაიამ** და **ზურაბ პაპასკირმა, ეთერ ქაჯაიამ** და **თამილა ზვიადაძემ**.

თამილა ზვიადაძის სიტყვა კი უფრო იმიტომ გამოცალკევდება, ხაზგასმული მადლიერებაა პროფესორის, ვახტანგ ვახანიას ხსოვნისადმი. მადლიერება კი, როგორც კეთილი მეხსიერება, ბუნებრივად გადამდებია ყველასათვის:

თამილა ზვიადაძე: „ამ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ნამდვილად არ უკვირს კარგი წიგნის დაბადება, მაგრამ ეს წიგნი ჩემთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია, რადგან ავტორი ნინო ვახანია ჩემი მეგობარია. ამიტომაც ვარ მე დღეს ძალიან ბედნიერი, ამაყი, მაგრამ ცოტა სევდიანიც.

შესავალში ნინო საუბრობს მამაზე, პროფესორ ვახტანგ ვახანიაზე: „აბა, მე სად შევწვდებოდი მის სიმაღლეს, როგორ შევძლებდი მისი ხმის, ჟესტ-მიმიკის, განცდათა, სრულყოფილად რა სათქმელია, მიახლოებით მაინც გადმოცემას, მსჯელობის სიცხადესთან ერთად იმ იდუმალი ხიბლის მოხელთებას, რომელიც თან ახლდა მის ყოველ ლექციასა თუ საჯარო გამოსვლასო“. ამ სიტყვებმა ჩემი სტუდენტობა, ჩვენი სტუდენტობა გამახსენდა, გაცოცხლდა მეხსიერებაში სათუთად შენახული მოგონება ადამიანზე, მეცნიერზე, რომელიც მართლაც ყველასგან გამორჩეული იყო.

აქ, დარბაზში სხედან ვახტანგ ვახანიას ყოფილი სტუდენტები და ისინი დამეთანხმებიან, რომ მის ლექციებში იყო ყველაფერი: მკაფიო აზრი, უზუსტესი დეტალები, სევდისა და სიხარულის უცნაური ნაზავი, იუმორი... ბატონი ვახტანგი გახლდათ არაჩვეულებრივად წიგნიერი, ფლობდა უამრავ ინფორმაციას, ჰქონდა გამაოგნებელი მეხსიერება... ფართო ხედვა, სიღრმე. იყო საოცრად მართალი. სულით ხორცამდე გრძნობდა, რასაც ამბობდა, ეს გახლდათ მისი მოწოდება, სულიერი დანიშნულებაც. საოცარი ენერგია, მუხტი მოდიოდა მისი ლექციებიდან. უსაფუძვლო ამბიციებით უსუსურად შენიღბული, შემაწუხებელი და უნიჭო ადამიანების გვერდით ვახტანგ ვახანიას საუბრები იყო შვება. ფიქრს, ძიებას გვასწავლიდა, გვახედებდა წარსულში და თანამედროვეობის სწორად შეგრძნების აუცილებლობაზეც მიგვითითებდა.

მიყვარდა მისი ლექციები ცოდნით, სიღრმით, პროფესიონალიზმით, დიდი ოსტატობით გამორჩეული, მომწონდა მისი დამოკიდებულება, ურთიერთობა ჩვენთან, სტუდენტებთან“.

...სასიამოვნო მოსასმენია ფიქრები — ასე წრფელად გაცხადებული. ხოლო მადლიერების თაიგულად ამოკრებილი სიტყვებიდან რჩება მთავარი: რაც დავიწყებას არ მიეცემა.

დავით წერედიანი

თვალი თვალში

ვატო როდონაიას გარდაცვალების შემდეგ იმაზე ფიქრი ამედევნა, რომ ჩვენში, მისი წასვლით, ერთი მოზრდილი კულტურული მონაკვეთი სამუდამოდ დამთავრდა. გონებით, ცხადია, ვიცი, რომ ეს მხოლოდ შეგრძნებაა, დანაკარგის განცდაა, მაგრამ, მაგისდა მიუხედავად, ვერა და ვერ მომიცილებია, — მისი პიროვნება ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო.

* * *

მონაკვეთი ძალიან ზუსტადაც ვერ დაისაზღვრება, მაგრამ ზოგიერთი ნიშანი მკაფიოდ გამოჩანს. ათვლის წერტილი დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოა, როგორც განუწყვეტლივ თანმხლები ოცნება, მაგრამ არა მხოლოდ ოცნება, — როგორც გეზი, ცხოვრების ორიენტირი.

ენას, მხატვრულ სიტყვას განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრა თვითგადარჩენის ამ გზაზე და, როგორი სკეპტიციზმითაც არ უნდა განვიმსჭვალოთ, მან ამ მოვალეობის შესრულება შეძლო. ჩვენ მაგ საქმეში ჯარისკაცები ვიყავით, ცოტანი, მაგრამ არც ძალიან ცოტანი.

ვატო როდონაია ერთ-ერთი წინამდგომთაგანი იყო.

* * *

მის მიერ დატოვებული ლიტერატურული პროდუქცია მის ცოდნასა და ტალანტზე მხოლოდ მკრთალ წარმოდგენას თუ შეგვიქმნის.

ვახტანგ როდონაია

წერდა ძალიან კარგად, სიტყვისა და ექსპრესიის უშეცდომო წვდომით, მაგრამ იმდენად იშვიათად, რომ წერის პროცესი, როგორც ჩანს, დიდ სიამოვნებასაც არ ანიჭებდა. მხოლოდ მაშინ თუ დაწერდა რამდენიმე გვერდს, როცა გარემოებები იძულებულს გახდიდნენ. სხვაგვარად — არასოდეს. მე პირადად ასეთი შემთხვევა არ გამახსენდება. არადა, თუ გრაფომანული ჟინი არ გაგაჩნია, ეს საქმე საკუთარ თავზე ცოტაოდენ ძალდატანებას ყოველთვის საჭიროებს, სანამ მდინარება არ წაგიღებს.

როცა, ვთქვათ, რომელიღაც ლიტერატურულ თუ ესთეტიკურ იდეას გამიმხელდა, მოფიქრებულსა და უკვე სიტყვებად ქცეულს, ანდა ზეპირი მოთხრობის მოულოდნელი მხატვრული მიგნებით განმაცვიფრებდა, ჩამოწერასაც რაღა სჭირდებოდა — დამეთანხმებოდა, შემპირდებოდა, მაგრამ ისე იღიმებოდა, ვიცოდი, შემსრულებელი არ იყო.

ზეპირი მოთხრობები ნაცნობი, მაგრამ თან ისეთი არანაცნობი ხალხით იყო დასახლებული, ჩვეულებრივ ამბავთა საფარველით ისეთი წინაუკმობანი ხდებოდა, მახვილი თვალი და სიტყვა ერთმანეთს ისეთ გადაძახილებს უწყობდნენ, არ ვიცი, მაღალ პროზას კიდევ რა სჭირდება.

საზოგადოებისთვის, რასაკვირველია, ბევრად ჯობია, ამგვარმა პიროვნებამ თავისი თავის რეალიზაცია ნაწერებით მოახდინოს.

მაგრამ ყველა მოვლენას ორი მხარე აქვს, უნდა სცადო, უკუმხრიდანაც შეხედო.

თუ სულიერ ცენტრს, შინაგან წონასწორობას საკუთარი თავის შიგნითვე იპოვი — რაც ყველა ნიშნის მიხედვით ნაპოვნი ჰქონდა — ვითომ ეს ძალისხმევა საკმარისი არ არის და კიდევ სხვაც რამე გესაჭიროება? რისთვის? სხვებთან გასაჯიბრებლად?

იმიტომ არ ვამბობ, თითქოს ვამართლებდე. ცოტა უკეთ ვიცი ეგ ამბები, ვიდრე ვამხელ. ერთ-ორ გამოხდომას თუ არ ჩავთვლით, ძალიან შორს მე თვითონაც არ ვდგავარ.

* * *

ნაწერების სიმრავლე დღეს ყოველგვარი გონიერების ზღვარს სცილდება. წერს დიდი თუ პატარა, ვისაც არ ეზარება, ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, ესეებს, გამოკვლევებს, დარგობრივ სამეცნიერო ნაშრომებს, იბეჭდება, ვრცელდება, ხმიანდება... თავზე გვაცვივა...

უდიდესზე უდიდესი ნაწილი სრული მაკულატურაა. გარდაიცვლება რომელიღაც ქებული მწერალი და, მორჩა, მისი სქელ-სქელი ტომები აღარასოდეს გამოიცემა. არც ერთი აბზაცი, არც ერთი წინადადება — დასავიწყებლად შესანანი.

დაფიქრდები და — ღირს ასეთ ვითარებაში „ცოდვიანები გაამრავლო“?

მაგრამ როცა ვატო როდონაია ხარ...

დიდი მწერლის აბსოლუტური მონაცემებით...

* * *

სიბერისკენ თითქმის ყველა ოცნებამ ახდენა იცის ხოლმე. მაგრამ ისეთნაირად, შეხედავ და არ გაგიხარდება...

ქართული ენა კიდევ უფრო გადასარჩენი გახდა, ვიდრე რუსეთის იმპერიის დროს იყო. ქართული კულტურული სივრცე ასე ღრმად პროვინციული ალბათ არც არასოდეს ყოფილა. უწინ ქართველი კაცი თუ რუსულად წერას დაიწყებდა, ქართული საზოგადოებიდან მოკვეთილი იყო, განაჩენი გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა. დღეს ინგლისურად წერა მხოლოდ მისასალმებელია, თუნდაც ნახევარინგლისურად. მხატვრული სიტყვა, რომელიც ეროვნული ენერგიისა და თვითმყოფადობის ერთ-ერთი უპირველესი გამოხატულება გვეგონა, გასართობი ინდუსტრიის ნაწილი ყოფილა, სრულიად უმნიშვნელო ნაწილი. როგორ გინდა შეეჩვიო...

ვატო როდონაიას ქართულის სახელმძღვანელოების შედგენა იმის გამო არ წამოუწყია, თითქოს პედაგოგიკისადმი ნაგვიანევი ინტერესი მოეძალა.

უნდოდა, რომ მთელი ქართული ლიტერატურა ანიდან ჰოემდე, ზუსტად ისეთი, იმავე სიღრმითა და სიგანით, როგორც თვითონ უყვარდა და იცოდა, ბავშვისთვისაც შეეყვარებინა და შეესისხლხორცებინა, რომ სიყრმის ასაკიდანვე ქართველობის სამუდამო ტვიფარი დაეკრა.

ცდილობდა, საყურადღებო არაფერი გამორჩენოდა, განსაკუთრებით — მაღალი სინჯის წვრილმანები. იცოდა, მაგ საქმეში წვრილმანები გადამწყვეტია. პროგრამაში სრულად ვერ ატევდა, თმობდა და არ ეთმობოდა. თავს იმტვრევდა, მთელი სისავსით როგორ მიეწოდებინა.

ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ მისი საგანი იყო ყველაზე საშური, სპეციალური საგნები სტუდენტობის ასაკიდანაც შეიძლება სრულყოფილად შეითვისო. რაღაც ადგილი მხოლოდ მათემატიკისა და უცხო ენისთვის ემეტებოდა. მათემატიკაც ადრიდანვე სასწავლი ყოფილა, თორემ აბსტრაქტულ აზროვნებაში ბავშვს თურმე პრობლემები შეექმნება...

თავადაც ესმოდა, რომ რაღაც იდეალურს ითხოვდა, იდეალურობა კი ყველა შემთხვევაში მიუღწეველია, მით უფრო ჩვენი დღევანდელი სკოლის შემთხვევაში. არადა, რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო, მას იგი მაქსიმალურად მიუახლოვდა. და კვლავაც ჯიუტად განაგრძობდა მუშაობას...

მოკლედ, ბეწვის ხიდზე იარა. ქებასთან ერთად წყენაც ბევრი შეხვდა, სამწუხაროა და — ზოგჯერ სრულიად განზრახისი.

ყველაზე უკეთ თვითონ იცოდა, სად მიაგნო ოქროს შუალედს და სად გადააჭარბა, მაგაზეც გვილაპარაკია.

* * *

მის გარშემო ყოველთვის ბევრი ხალხი ირეოდა. ყველა მონაცემი, გარეგანი თუ შინაგანი, მას მუდამ უყოყმანო ცენტრად აქცევდა. ცოდნის გასაოცარი სიღრმე და სიფართოვე, შეუმცდარი გემოვნება, გონებამახვილობა, ცოცხალი სიტყვის ვირტუოზული ფლობა, სულ ოდნავ სკეპსისშერეული კეთილმოსურნეობა...

თან ამ ურთიერთობებს ერთი უცნაურობა ახლდა. გაშორდებოდი, შეიძლება დიდხანსაც აღარ გენახა, ის კი ისევ და ისევ უყოყმანო ცენტრად რჩებოდა. გინდოდა გაგეგო, რას ფიქრობდა ვატო როდონაია ამა და ამ სიახლეზე, წიგნზე, ქანდაკებაზე, პოლიტიკურ მოვლენაზე, კალათბურთელზე, რომ მერე, უმეტეს შემთხვევაში, შენც იგივე გეფიქრა.

თან, რასაკვირველია, ამ ნაფიქრის განუწყვეტელი ტირაჟირება ხდებოდა არც ისე მცირედთაგან, სახელდებითაც და ანონიმურადაც.

* * *

ხშირად ისმება გაოცებული შეკითხვა: საიდან იქმნება მწერლური რეპუტაციები? — იწერება და იწერება ვინმეზე საქებარ-საქებარი რეცენზიები, სახელს კი მისხალი არ ემატება.

ოდესღაც საფრანგეთში ერთი სოლიდური გამოკითხვის შემდეგ პირველ პოეტად ხმათა დიდი უპირატესობით პოლ ვალერი დასახელდა, ურთულესი ლექსების ავტორი. მისი რეაქცია ასეთი გამოდგა: — თუ ვინმეს მართლა ჰგონია, ამდენი მკითხველი მყავდეს! რამდენიმე კაფეში, ორ-სამ ქალაქში, გაფანტულად, ზის ათიოდე კაცი, რომლებსაც უსმენენ. ჩემი პირველი პოეტობა სულ ეს არის.

* * *

ვატო როდონაია მხოლოდ ის კაცი კი არ იყო, რომელსაც უსმენდნენ, არამედ — რომლისთვისაც სწორედ რომ უნდა ესმინათ.

დღეს ასეთები ძალიან დაგვიცოტავდნენ...

ქამალ აბდულა

პარისის არჩევანი

თუკი ამ, მიწიდან ბლაგვი თოხივით ამოჩრილი მთიდან, ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმულ დაბლობს გადახედავთ, იფიქრებთ, ყოველი არსი ჩვეულზე სწრაფად მოძრაობს — ღრუბლებიც სწრაფად იძვრიან, ადამიანებიც სწრაფად გადაადგილდებიან, ბალახები და ხეებიც უმალ იზრდებიან, ქალაქები და სოფლები ჩნდებიან და ნადგურდებიან. მაგრამ თუკი თავს აწევთ და მთას ძირიდან ახედავთ, გაიფიქრებთ, თითქოს ცაზე მოლივლივე ღრუბლებიც და მთის ირგვლივ მბრუნავი მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც — ყველაფერი უჩვეულო უძრაობას მოუცავს და ერთ ადგილას, დაუძლეველ სიმშვიდესა და უზრუნველობაში გაყინულა.

...შეიძლებოდა ყველაფერი გუშინდელივით ყოფილიყო, მაგრამ ამჯერად სხვაგვარად გამოვიდა. ზევსი დილიდან რაღაც ახირებამ შეიპყრო, აიკვიატა და ოლიმპოდან ჭექა-ქუხილი დაატეხა ელადას. აქვე, თითქოს ეჯიბრებაო, ზღვის სიღრმიდან პოსეიდონმაც გამოცურა, თავი წამოწია, მსუბუქი ბრიზი დაუბერა, რომელიც ტალღებზე ნაზად აკამკამდა და არაფრისგან მშფოთვარე ქარიშხალი ააგორა.

თვალის დახამხამებაში ცა თითქოს მიწას შეუერთდა და მიწა — ცას. შავმა ღრუბლებმა ძალა მოიკრიბეს და თეთრი ღრუბლები წინ გაირეკეს. „მე რით ვარ ნაკლები, ზევსს მხარი უნდა ავუბა“, — გაიფიქრა ბორეასმა და წყაროები და მდინარეები ააქოჩრა, ტყეებში ტანმაღალი ხეები ერთმანეთში გადახლართა. მთის ძირას, მიწურებში მცხოვრები ადამიანები შიშისგან მიწაში კიდევ უფრო ღრმად ჩაძრომას ცდილობდნენ. ქურუმებმა საჩქაროდ შესწირეს მსხვერპლი ზევსსა და პოსეიდონს. არავინ იცოდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მეხთამტყორცნელის ახირება. მართლაც, მის ახლანდელ მძვინვარებას არც აზრი ჰქონდა და არც რაიმე საბაბი: მიწაზე მცხოვრებთაგან არცერთს დაუშავებია რაიმე ისეთი, რასაც მისი მრისხანების გამოწვევა შეეძლო. უბრალოდ, ახირება იყო და მეტი არაფერი! მაგრამ მალე თვითონაც

ქამალ აბდულა (ქამალ მეჰდი ოღლი აბდულაევი) (1950) — აზერბაიჯანელი მეცნიერი, მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბაქოს სლავური უნივერსიტეტის რექტორი.

თურქულენოვან ხალხთა ძველი ეპოსების თუ ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მთელი რიგი საკითხების შესახებ გამოკვლევათა ავტორი ქამალ აბდულა სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, ნიუ იორკსა და სტრასბურგის უნივერსიტეტში, საფრანგეთში.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად აქტიურად მოღვაწეობს მხატვრული შემოქმედების სფეროშიც — არაერთი პიესის, რომანის, მოთხრობის, ესეისა თუ პოეტური ტექსტის ავტორია. მისი მხატვრული ნაწარმოებები თარგმნილია თურქულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, პორტუგალიურ თუ რუსულ ენებზე.

2004 წელს გამოვიდა ქამალ აბდულას პოსტმოდერნისტული პასაჟებით გაჯერებული რომანი „დაუსრულებელი ხელნაწერი“, რომელიც 2005 წელს საფრანგეთში გამომცემლობა 'არმატტან-მა ფრანგულ ენაზე დასტამბა. მომდევნო წლებში მას რომანის თურქული, რუსული, პორტუგალიური და პოლონური გამოცემებიც მოჰყვა.

2006 წელს გამოვიდა რომანი „გრძნეულთა ხეობა“, სადაც წარმოსახული იქცევა ხილული სამყაროს იდეალურ პროექციად და მითი და სინამდვილე თუ ზედროული და დროული ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს.

მისი პიესები არაერთი ქვეყნის სცენაზე იდგმებოდა. საგულისხმოა, რომ 2000 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ქამალ აბდულას პიესის „ვინა თქვა, რომ ფასკუნჯი არსებობს... (ძველი აღმოსავლური ბალადა)“ თ. მეტრეველისეული თარგმანი, ხოლო რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ, სხვადასხვა დროს, მწერლის ორი პიესა დადგა: „ერთი, ორი, სამი...“ — თბილისის აზერბაიჯანული თეატრის სცენაზე, და „ფასკუნჯი“ — სოხუმის თეატრის სცენაზე.

ირინა მოდებაძე
ფლორა ნაჯი

მობეზრდა მეხის ყურისწამღები გრუხუნი. ზევსმა წარმოიდგინა მიწის მკვიდრთა ძრწოლა და ჩაიცინებით გაიფიქრა: „დღეისთვის საკმარისია, დაე ახსოვდეთ, რა შეიძლება შეემთხვეთ“.

პირველად საყვარელმა მეუღლემ, ჰერამ შეახსენა თავი:

— იქ რა აურზაურია? რაზე ფიქრობ? ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს. დაგავიწყდა: დღეს საქორწინო ღამეა.

— საქორწინო ღამე???

— პელევსი და თეტიდა აღარ გახსოვს?

დაავიწყდა... მაგრამ ამის აღიარება, უბრალოდ, არ უნდოდა.

პოსეიდონიც გამოჩნდა. თითქოს უკმაყოფილო იყო, რომ ზევსის დილის გართობა ასე მალე დასრულდა. ჰერას დანახვაზე მიხვდა, ვისი დამსახურებაც იყო ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს. ზევსმა ორაზროვნად ჩაუკრა თვალი:

— დღეს ღამე ქორწილი ყოფილა და შენ კიდევ...

— მე?

— ჰო, შენ! რაებს აკეთებ?! მთელი ელადა ააფორიაქე... — ასეთი ხუმრობანარევი სერიოზულობით შეეცადა მეხთამტყორცნელი, რომ თავისი დილანდელი აურზაური პოსეიდონისთვის გადაებრალებინა.

— შენი ნებაა, თუკი ჩემი ბრალია, იყოს ჩემი ბრალი. — ჩვეულებისამებრ აღარ შეწინააღმდეგებია გვირგვინოსან ძმას.

— კარგია, რომ მოხვედი. — გამხიარულებულმა ზევსმა პოსეიდონს ხელი გაკრა და ჰერაზე ანიშნა. — მოისმინე! ვთვლი, რომ ამ ქორწილს ყველა უნდა დაესწროს. ჰერა წინააღმდეგია, ამბობს, მისი მიწვევა საჭირო არ არისო. რას ფიქრობ?

— ვისი? ვის გულისხმობ? — ვეღარ მოითმინა და მაშინვე ჰკითხა პოსეიდონმა, თან თავისი სამკაპი გვერდით გადადო.

— ერიდასი! ერიდაზე ამბობს! — აღარ დააყოვნა ჰერამ და თან თვალს არ აშორებდა ზევსს.

— აი, ხედავ? ჰერა რატომღაც თვლის, რომ ერიდა განხეთქილებას შეიტანს საქორწინო ზეიმში. როგორ გგონია, ამის გამკეთებელია? — ზევსი მედიდურად მიუბრუნდა პოსეიდონს და ამით თავისი უკიდეგანო სიძლიერე წარმოაჩინა. მთელი მისი არსება, სხეულის თითოეული უჯრედი დაძაბული იყო, მისი ძარღვები — მძლავრი მდინარეებივით განტოტვილიყო, ძვლები მთის ქედებს, ხოლო კანი — თავთავებით მოფენილ ყანას ჰგავდა. ზევსი უსაზღვრო სიძლიერეს, უშრეტ ენერგიას მოიცავდა საკუთარ არსებაში. პოსეიდონმა იგრძნო, როგორ ეყინებოდა სისხლი ძარღვებში. ზღვის ტალღებზე მბრძანებლობა ასჯერ უფრო იოლი იყო, ვიდრე ჭექა-ქუხილის.

— ვერ გაბედავს. ვერასოდეს! — თავიდან პოსეიდონმა გულგრილად დააპირა განხეთქილების ქალღმერთის, ერიდას დაცვა.

— როგორ არა! — თქვა ჰერამ და თან მონუსხულივით უყურებდა ზევსს. მისი პასუხი ისევ პოსეიდონს მიემართებოდა.

— რა ვიცი, მე მგონი, ჰერა მართალია, ჯობია ერიდა ქორწილში არ მოვიდეს! — ამჯერად პოსეიდონი წინდახედულად დაეთანხმა ჰერას.

— აი, შენც დაგიყოლია ქალმა... — სინამდვილეში ზევსს გაუხარდა პოსეიდონის დათმობა, თუმცა გადაწყვიტა, არ გაემჟღავნებინა. — კარგი, ისე იყოს, როგორც გინდათ, — მოჩვენებითი დაფიქრებით გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება. თან კმაყოფილი იყო, რომ ცოლს კი არა, ძმას დაეთანხმა. — ვბრძანებ: ერიდა არ მოვიდეს ქორწილში!

შემდეგ ჰერას შეხედა:

— რას იტყვი? კმაყოფილი ხარ? როგორც ყოველთვის, შენებურად გამოვიდა...

ჰერას სიხარულისგან თვალები უციმციმებდა.

ღმერთებმა პელეასის და თეტიდას ქორწილის კენტავრ ქირონის დიდ გამოქვაბულში გადახდა გადაწყვიტეს. ქირონი დიდი სიამოვნებით დათანხმდა და უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც თავაუღებლად აწესრიგებდა თავის საცხოვრებელს. როდესაც ღმერთები ზეიმზე გამოცხადდნენ, თითოეული კუთხე სისუფთავისგან ანათებდა. ზევსმა უჩუმრად

მიმოიხედა და კმაყოფილი დარჩა. გაიარ-გამოიარა, დიდებული სანადიმო სუფრის თავში მოკალათდა. ჰერა მარჯვენა მხარეს მიუჯდა, პოსეიდონი — მარცხნივ. შემდეგ ჰერას გვერდით ადგილი დაიკავა ათენამ, პოსეიდონის გვერდით კი — აფროდიტემ. მათ მერე ხმაურით სხდებოდნენ აპოლონი, არესი, ჰეფესტო, ჰერმესი და სხვა ღმერთები და ქალღმერთები. სუფრის ქვედა ბოლოში ადგილები პელეასის და თეტიდასთვის იყო განკუთვნილი. ყველაზე ბოლოს სწორედ ისინი დასხდნენ. ასე დაიწყო საქორწინო ზეიმი.

მხიარულება ყოველწუთს იმატებდა. ღმერთების, განსაკუთრებით კი ზევსის სიცილისგან ქვები თრთოდნენ. თითოეული ღმერთი მეხთამტყორცნელის წინაშე თავის გამოჩენას ცდილობდა და ამიტომაც ერთიმეორეზე უფრო სასაცილო ამბებს ყვებოდნენ. ყველაზე ხშირად ეს იყო ამბები მიწიერი ადამიანების — ჩვეულებრივ მოკვდავთა, მათი სულელური და გულუბრყვილო ქმედებების შესახებ. ზოგჯერ ზევსს, პოსეიდონს, ჰერასა და აფროდიტესაც ღმერთებს შორის კინკლაობა ახალისებდა. ცოტა ხანში, გამოქვაბულში ისეთი ღრიანცელი იყო, კაცი წესიერად ვერაფერს გაიგებდა. ბოლოს ისტორიები მეორდებოდა, რაც იმის ნიშანი გახლდათ, რომ საქორწინო ნადიმი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. ღმერთები კმაყოფილი იყვნენ საკუთარი თავით და მათი უზენაესი ღვთაებით — ზევსით. ოლიმპოს უკვდავი ბინადრები ხშირად როდი იკრიბებოდნენ ამგვარ ნადიმებზე, სადაც მათ ერთმანეთთან კამათი და შეჯიბრი არ უწევდათ. და ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ სწორედ ეს ქორწილი აღმოჩნდებოდა საბედისწერო დასაბამი ჯერ კიდევ უცნობი და უსასრულო „მყოფადისთვის“.

ქორწილზე მხოლოდ განხეთქილების ქალღმერთი არ მიუწვევიათ. ჰერას დაჟინებით, სხვა ღმერთებიც სათითაოდ სთხოვდნენ ზევსს იმავეს, არც ზევსს უთქვამს უარი. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ზოგჯერ ღმერთებს სჭირდებოდათ ასეთი — მშვიდობიანი, უკონფლიქტო — შეკრებები. ამგვარი შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებდა საფუძველს, რომელსაც საყოველთაო წესრიგი ემყარება და, რასაკვირველია, დანარჩენი ღმერთებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან მას.

ერთი სიტყვით, ერიდა ქორწილში არ მიიწვიეს.

და ახლა, ხეებიდან შურით და სიძულვილით აღსავსე თვალით უმზერდა ქირონის გამოქვაბულს. მის სულში ბოღმა, მრისხანება და შურისძიების წყურვილი ბობოქრობდა. თვალები უბრწყინავდა, რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის... მის გონებაში უკეთური აზრები ფუთფუთებდა. ესმოდა ხარხარი, რომელიც გამოქვაბულიდან ზეცას სწვდებოდა და შეფარვით ტრიალებდა შესასვლელთან, თან ფიქრობდა, ამ მხიარულებაში განხეთქილება როგორ შეეტანა. უკვე ყოველნაირად მზად იყო, რომ მთელი თავისი წყენა და მრისხანება გადმოენთხია, რომელიც მოსვენებას აღარ აძლევდა. უცბად გონება გაუნათდა, ჩანაფიქრი მარტივი და, იმავდროულად, სასტიკი იყო... „მივხვდი!“ — შვებით წამოიძახა ერიდამ, რომლის მრისხანებაც მაშინვე სიხარულმა შეცვალა. ჩიტად გარდაქმნილმა უმალ ჰესპერიდთა შორეულ ბაღებს მიაშურა. ოქროს ვაშლი! მას ახლა ოქროს ვაშლი სჭირდება! მხოლოდ ერთი ვაშლი. მხოლოდ ერთი ოქროს ვაშლი. ერიდამ იცოდა, შემდეგ როგორც უნდა მოქცეულიყო... ეს ვაშლი არა მხოლოდ განხეთქილებასა და შფოთს შეიტანდა იმდღევანდელ ზეიმში, არამედ შორეული „მყოფადი“ წარმოუდგენელ მოვლენებსაც გამოიწვევდა. „თქვენ შეიცნობთ ჩემი შურისძიების სიმწარეს და კიდევ დიდხანს გემახსოვრებათ ჩემი სახელი!“ — ნეტარებით ოცნებობდა ერიდა და თან სასწაულებრივ ვაშლს წყვეტდა...

და ახლა უკვე ისევ ქირონის გამოქვაბულთან იდგა. ერიდამ იქვე, გვერდით, დაფნის ბუჩქს პატარა ტოტი წაატეხა და ვაშლის ელვარე ზედაპირზე ამოკაწრა: „მშვენიერთა შორის უმშვენიერესს!“ შემდეგ ცბიერად დახედა წარწერას და ტუჩებზე შურისმაძიებლური ღიმილი დაეფინა.

...ღმერთები ისეთი გატაცებით ისმენდნენ არესის ნაამბობს ერთ-ერთი სისხლიანი ბრძოლის წვრილმანთა შესახებ, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ გაჩნდა პირდაპირ ზევსის და მის ირგვლივ მყოფ ქალღმერთთა წინაშე ნათლისმფრქვეველი ვაშლი. ვაშლი ჰერას, ათენასა და აფროდიტეს წინ იდო და თითქოს თითოეულს ხიბლავდა ჩურჩულით: „მე მხოლოდ შენი უნდა ვიყო“. პოსეიდონმა ყურადღებით შეათვალიერა ვაშლი, თვალები მოჭუტა და უნებლიეთ ისე ხმამაღლა ამოიკითხა მასზე ამოკაწრული სიტყვები „უმშვენიერესს“, რომ არესი და მასთან ერთად ღმერთებიც, რომლებიც მას ხმაურით აწყვეტინებდნენ ნაამბობს, დადუმდნენ. გამოქვაბული ავისმომასწავებელმა სიჩუმემ მოიცვა. პოსეიდონმა, თითქმის ჩურჩულით, გააგრძელა:

— „უმშვენიერესს“...

— ანუ ვის? — დაიქუხა ზევსმა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს შეამჩნია ვაშლი და პოსეიდონის სიტყვა გაიგონა. ფიქრი და შეკითხვა ერთდროულად აღმოხდა. „არ ღირდა, შევცდით...“ — გაიფიქრა, მაშინვე დამნაშავე მზერით გახედა ჰერას, შემდეგ ათენას და ბოლოს, თითქოს უნებურად, მზერა აფროდიტეზე გადაიტანა.

და ისევ უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა. ღმერთთაგან ვერცერთი ვერ ბედავდა ზევსის კითხვაზე პასუხის გაცემას. ბოლოს სიჩუმე ჰერამ დაარღვია:

— მაშასადამე, მე! ალბათ, მე მგულისხმობდნენ!

— შენ? — აფროდიტეს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. — შენ? და როგორ ფიქრობ, მე ვინღა ვარ? სილამაზის ქალღმერთი ხომ მე ვარ? ვაშლი ჩემია.

— არა, ვაშლი ჩემია. — ღმერთთაგან, ალბათ, არავინ ელოდა, რომ ამ კამათში ათენაც ჩაებმებოდა. — ჰო, სწორედ ჩემია. ჰერა და აფროდიტე ყოველთვის დაუფიქრებლად ლაპარაკობენ. მე ჯერ ავწონ-დავწონი და მერე ვამბობ. მე მგონი, ქალღმერთთა შორის უმშვენიერესი სწორედ მე ვარ...

— შენ?

— ჰო, მე. თუ ჰერა ფიქრობს, რომ ყველას მაგივრად გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს?!

— რაზე კამათობენ? ხმას არ ამოვიღებ. — თქვა აფროდიტემ მოჩვენებითი გულგრილობით, თითქოს არც არავის მიმართავდა, სინამდვილეში კი ყველას გასაგონად ამბობდა. — მამა, ხომ ხედავ ყველაფერს?

ზევსს უნდოდა თავი მოეჩვენებინა, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგონა. მაგრამ აფროდიტე თავისას არ იშლიდა:

— მამა! თქვი, ვინ ვარ?! სილამაზის ქალღმერთი ვარ თუ არა?!

— გაჩუმდი! — ჰერას ხმას მრისხანება შეეტყო.

— რატომ უნდა გაჩუმდეს? — ათენამ გადაწყვიტა მდგომარეობით ესარგებლა და ქალღმერთები ერთმანეთთან დაეპირისპირებინა. — თუკი ეს ქალბატონი სილამაზის ქალღმერთი არ არის, აბა ვინ არის?

— შენც გაჩუმდი! ვამბობ, ვაშლი ჩემია! — ჰერას მრისხანებამ გამოქვაბულის მიღმაც გააღწია. მთელი ბუნება შიშისგან გაქვავდა. ერიდამ გაიგონა ეს გამძვინვარებული ღრიალი, შვებით და კმაყოფილებით ამოისუნთქა, წყვდიადში გაუჩინარდა, მას შეერთო და ბედნიერებით დაიჩურჩულა: „ჩვენი შურისძიება აღსრულდა!“

გამოქვაბულში კამათი გაცხარდა და კიდევ უფრო იძაბებოდა. არც ზევსმა და არც სხვა ღმერთებმა არ იცოდნენ, როგორ დაეშოშმინებინათ ქალღმერთები, რომლებიც მზად იყვნენ, ერთმანეთი თმით ეთრიათ.

— ვაშლი ჩემია. სილამაზის ქალღმერთი მე ვარ! — აფროდიტემ კეკლუცად შეარხია თავი, რითაც კიდევ ერთხელ სურდა თავისი განუმეორებლობის წარმოჩენა. იგრძნობოდა, რომ ახალგაზრდა ღმერთები, განსაკუთრებით ჰეფესტო, მას უჭერდნენ მხარს, მაგრამ სიტყვით კი არა, გულით...

მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

— არა, ვაშლი ჩემთვისაა! — ათენა უფრო სერიოზულ მომხრეებს ეძებდა და ამიტომაც გამომცდელი მზერა დაკვირვებით მოავლო შეკრებილებს. მაგრამ ღმერთები გულმოდგინედ იყურებოდნენ განზე, მხოლოდ აპოლონი დაეთანხმა შეუმჩნევლად.

— ვაშლი ჩემი უნდა იყოს, მხოლოდ ჩემი! — ამჯერად ჰერას სიტყვები განაჩენივით გაისმა და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, დაჟინებით უყურებდა ზევსს.

— მოითმინეთ! გეყოფათ! — ბოლოს და ბოლოს ხმას აუწია მეხთამტყორცნელმა. ყველა მიხვდა, რომ ზევსს მობეზრდა ეს გაჭიანურებული შეხლა-შემოხლა და რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. — საკმარისია. მოდით, საქმე ასე დავასრულოთ: ამ კამათისთვის წერტილის დასმა ჩვენი საქმე არ არის.

ზევსმა სული მოითქვა, მიმოიხედა. თვით ჩამოწოლილი დუმილიც კი ჩურჩულებდა, რომ მისი გადაწყვეტილება სამართლიანია და დანარჩენმა ღმერთებმაც შვებით ამოისუნთქეს.

— ღმერთებს ამ დავის გადაწყვეტა არ ძალუძთ! — უკვე მშვიდი ხმით გააგრძელა ზევსმა, როდესაც შეკრებილების განწყობა იგრძნო. — ამის გადაწყვეტა მხოლოდ მოკვდავს შეუძლია. თავისი გადაწყვეტილებით ის ყველაზე მიუკერძოებელია...

— მართალია! მართალია!

— კი მაგრამ, ვინ? ვინ აიღებს ამას საკუთარ თავზე?

— ნეტავი ვიცოდეთ, ვის შეგვიძლია ეს საქმე ვანდოთ?

— ვინ არის ასეთი სერიოზული და მიუკერძოებელი?...

ღმერთები დაფიქრდნენ. ზევსიც ჩაფიქრებულიყო. საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა ასე. და პასუხი ისევ მეხთამტყორცნელმა იპოვა.

— აპოლონ! — მიმართა ახალგაზრდა ღვთაებას. — მახსოვს, ამასწინათ ტროას მეფის, პრიამოსის უმცროს ვაჟზე, პარისზე ყვებოდი. ამბობდი, მართალია, პრინცია, მაგრამ მამის სახლში დაბრუნებული, ის ისევე მორჩილად მწყემსავს ცხვარს, როგორც წინათო.

— დიახ, დიდო მბრძანებელო, პარისი ახლაც ცხვრებს მწყემსავს.

— ჩემი ნება ასეთია: ამ დავას პარისი გადაწყვეტს. დაე მან გადასცეს ვაშლი იმ ქალღმერთს, რომელსაც ყველაზე ღირსეულად მიიჩნევს!

საქორწინო დღესასწაული ნაშუაღამევს, თუმცა დანიშნულზე ადრე დასრულდა. ღმერთები, რომლებიც გულში ერიდას წყევლიდნენ (რადგანაც უკვე მიხვდნენ, განხეთქილება მისი ჩამოგდებულიაო) და რომელთაც ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, შინაგანად ებრალებოდათ პარისი, მღელვარებით გაუდგნენ ოლიმპოს გზას. უკანასკნელი სტუმრის — არესის გაცილებისას, კენტავრი ქირონი პელეასს და თეტიდას მიუბრუნდა, რომლებიც მთელი საღამო კუთხეში ისხდნენ, ხმას არ იღებდნენ და ღმერთებს უსმენდნენ.

— მოგეხსენებათ, — თქვა მან, — რომ ბრძენ ქირონს მეძახიან. თქვენმა ქორწილმა დაგვანახა ის „მყოფადი“, რომელიც უნდა დადგეს. იმას, რაც მოხდება და როგორც მოხდება — ყველაფერს დღეს ჩაეყარა საფუძველი. ამას მე, მოხუცი კენტავრი ქირონი გეუბნებით.

აპოლონის რჩეულის, ტროას მეექვსე მეფის, პრიამოსის ვაჟი — პარისი, მრავალწლიანი განშორების შემდეგ, მშობლიურ წიაღს დაუბრუნდა. ჯერ კიდევ ჩვილი იყო, როდესაც მათ, ვინც წინასწარმეტყველებდა, რომ თითქოს ის ტროას განსაცდელს მოუტანდა, მამამისის — პრიამოსის — და დედამისის — ჰეკაბეს დარწმუნება შეძლეს. მაშინ მეფემ თავისი ვაჟის მოკვლა განიზრახა და ბრძანა, მაღალი კლდიდან გადაეგდოთ. იღბლიანი შემთხვევის წყალობით პარისი გადარჩა — მწყემსებმა იპოვეს და საკუთარი შვილივით გაზარდეს. პრიამოსი დიდხანს იტანჯებოდა, როდესაც თავისი სასტიკი საქციელი ახსენდებოდა. ბოლოს ღმერთებმა შეიბრალეს, უკვე დავაჟკაცებული ყმაწვილი პარისი იპოვნეს, პრიამოსმა შვილად აღიარა და ოჯახს დაუბრუნდა. ახლა უფროსი ძმის, ჰექ-

ტორის, შემდეგ იგი სიბერეშეპარული პრიამოსის ერთადერთი იმედი იყო. დიახ, მხოლოდ ჰექტორის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჰექტორის შემდეგ... რადგანაც სასახლის კარი და ტროას მცხოვრებლები მთელი გულით ჰექტორს ერთგულებდნენ და მამაცი და ბრძნული ქმედებების გამო პატივს მიაგებდნენ.

პარისმა კარგად იცის ეს. პარისი მხოლოდ მეორეა... მოირებმა — ქალღმერთებმა, რომლებიც ბედისწერის ძაფებს ართავენ — ბედად არგუნეს, რომ მეორე ყოფილიყო. აქ რამის შეცვლა შეუძლებელი იყო. ჰექტორი მართლაც ნამდვილი გმირი გახლდათ და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. თუმცა პარისს მოსვენებას არ აძლევდა გრძნობათა ამშლელი ფიქრები. „შენ, მხოლოდ შენ ხარ ტროას ღირსეული მეფე და მბრძანებელი“, — მის სმენამდე აღწევს ვიღაცის გამუდმებული ჩურჩული.

...იმ დღეს პარისი, რომელსაც ძველი საქმიანობისთვის თავი არ დაუნებებია, ცხვრების სამეფო ფარას ილიონის შემოგარენში მწყემსავდა. ფიქრებში ჩაფლული ქვაზე იჯდა, როდესაც შორიახლოს მდებარე არც ისე დიდი დაფნის ტყიდან სამი ქალი გამოვიდა და მისკენ აიღო გეზი. პარისმა თავი აწია, ყურადღებით შეხედა მისკენ ნელ-ნელა მომავალ სილუეტებს, ცდილობდა ამოეცნო ისინი. მაგრამ ვერ იცნო. მაინც რაღაც დაუძლეველი ძალით ფეხზე წამოხტა. ქალები ისე მოდიოდნენ, თითქოს მიწას არც ეხებიანო. სინათლეს ასხივებდნენ, ხოლო მათი მიმოხვრა და სიარული არამიწიური ჰარმონიით გამოირჩეოდა. პარისი ყველაფერს მიხვდა. ეს ქალები უბრალო მოკვდავნი კი არა, ქალღმერთები იყვნენ. დაბრმავების შიშით ვერ ბედავდა, რომ მათ სახეს ყურადღებით დაკვირვებოდა. თავდახრილი შეეგება თავმდაბლად და ღირსეულად.

ქალღმერთები მისგან ორ ნაბიჯზე შეჩერდნენ.

— პარის, როგორც ვხვდები, უკვე იცი, ვინც ვართ... — მიმართა ერთ-ერთმა ქალღმერთმა, რომელმაც მის დგომაში მოკრძალება შენიშნა.

პარისმა თავაუღებლად, განსაკუთრებული თავმდაბლობით უპასუხა:

— ვიცი, თქვენ ოლიმპოს ბინადრები ხართ.

— ასეა, — დაუდასტურა მეორემ. მისი ხმა ფლეიტის ჟღერადობას ჰგავდა.

ცხვრები, რომლებიც მანამდე მშვიდად ძოვდნენ მინდორში, ქალღმერთთა გამოჩენისთანავე ერთ ადგილას გაშეშდნენ. ჰაერში ნიავიც კი არ იძვროდა, ღრუბლებმა სუნთქვა შეიკრეს, აინტერესებდათ, როგორ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა.

— კარგად უწყი, მოკვდავებს მხოლოდ მაშინ ვეცხადებით, როდესაც მოგვესურვება. ნუ შეშინდები, შეგიძლია შეგვხედო, — კეთილგანწყობით დართო ნება პირველმა ქალღმერთთაგანმა.

— დიახ, ვიცი... და მადლობელი ვარ... — ისეთივე სიფრთხილით უპასუხა პარისმა, რომელიც ისევ ვერ ბედავდა თავის აწევას.

მეორე ქალღმერთი, რომელსაც ხმა ფლეიტის ჟღერადობას მიუგავდა, უფრო მოუთმენელი აღმოჩნდა.

— ნუღარ გავაგრძელებთ... — სიმღერით წარმოთქვა. — ვუთხრათ, რის გამოც მოვედით. პარის, ჩვენ ზევსის ნებით მოვედით შენთან.

პარისი გრძნობდა, როგორ შეშდებოდა შიშისგან. „რა დავაშავე?“ გონება დაძაბა, მეხსიერებაში იქექებოდა, გამალებით აფასებდა თავის ქმედებებს, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერი გაიხსენა.

— არაფერი დაგიშავებია... ჯერჯერობით. პარის, ბოლოს და ბოლოს, აწიე თავი და გულმოდგინედ დააკვირდი თითოეულ ჩვენგანს. ყურადღებით იყავი. — ეს ჰერა იყო. — მე— ჰერა ვარ.

პარისმა ნელა აწია თავი, ქალღმერთებს შეხედა და მათი იერის დიდებულებით გაოგნებულმა კინაღამ წამოიძახა: „დიდება თქვენ!“

— ვაშლი აჩვენე, — დინჯად ურჩია ჰერას ათენამ. — აუხსენი, რა უნდა გააკეთოს. მე ათენა ვარ. — ათენამ გულმოდგინედ და ერთგვარი სიმკაცრით შეხედა ახალგაზრდას. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა პარისს.

— ჩემი ვინაობაც იცოდე, პარის. აფროდიტე ვარ. — ქალღმერთმა, რომლის ხმაც ფლეიტის ჟღერადობას ჰგავდა, თბილად გაუღიმა მას. პარისს ლოყები შეეფაკლა.

ჰერამ კი მათი მისვლის მიზეზის ახსნა დაიწყო.

— ყურადღებით მომისმინე... შენს წინაშე სამი ქალღმერთია. ამ ვაშლს ხომ ხედავ? — ჰერამ ახალგაზრდას ხელი გაუწოდა და მის ხელისგულზე უცბად მოელვარე ნაყოფი გაჩნდა. პარისს ცხოვრებაში არ ენახა ასეთი საოცარი ვაშლი. — ამ ვაშლს ხომ ხედავ? — გაიმეორა ჰერამ.

— წაიკითხე, რა აწერია! — უბრძანა ათენამ.

— „უმშვენიერესს...“ — აფროდიტემ ვეღარ მოითმინა და თვითონვე წაიკითხა.

მაგრამ პარისი მისმა სიტყვებმა ვერ დააკმაყოფილა, დიდი მოწიწებით გამოართვა ჰერას გამოწვდილი ვაშლი და გაკვირვებულმა წაიკითხა:

— „მშვენიერთა შორის უმშვენიერესს...“

— აი, ხომ ხედავ? — აფროდიტეს თვალები კეკლუცად აუთამაშდა. ჰერა ისევ სერიოზული იყო.

— პარის, შენ უნდა გადაწყვიტო სამი ქალღმერთის კამათი, სწორედ შენ უნდა გადასცე ვაშლი ერთ-ერთ ჩვენგანს.

— მას, ვისაც უმშვენიერესად ჩათვლი. — იმ წამს ათენას ხმასაც კი ფარული სინაზე შეეტყო.

— მე? რატომ მე? — გაიკვირვა პარისმა.

— ასე ბრძანა ზევსმა, — უპასუხა ათენამ.

— ჰო, ასე მოისურვა მეხთამტყორცნელმა, — მოკრძალებით გაიმეორა ჰერამ.

— არ ვიცი, რომელია თქვენს შორის ყველაზე მშვენიერი. სამივე თქვენგანი ჭეშმარიტი სილამაზის განსახიერებაა, — მოწიწებით და დიდი სიფრთხილით მიუ-

სამშაბათს, 12 თებერვალს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება

ალექსანდრე ყაზბეგისადმი
მიძღვნილი

სამეცნიერო
კონფერენცია

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

გო პარისმა. თავისთვის კი სევდიანად გაიფიქრა: „ვაშლს ერთ-ერთს გადავცემ და მფარველს გავიჩენ, დანარჩენი ორი სიკვდილამდე ჩემი მტერი გახდება“. გადაწყვიტა, ჭკუისთვის მოეხმო და არბიტრის მოვალეობა თავიდან აეცილებინა.

— შენ მსაჯული ხარ. ამას ვერსად გაექცევი. ტყუილად ნუ ირჯები, — წარმოთქვა ჰერამ, რომელმაც გამოიცნო მისი სულის მოძრაობა.

„არა, ფიქრებს ვერ დავუმალავ. მაგრამ მაშინ ვიღას მივცე ვაშლი? ვის გადავცე ეს სამგზის წყეული ვაშლი? რომელი ავირჩიო, რომ ისევ არ გამაგდონ სასახლის კარიდან, სადაც ასეთი შრომის ფასად დავბრუნდი?!“ ეს აზრები გამალებით უტრიალებდა თავში პარისს.

— თუ გინდა, შეგვიძლია დაგეხმაროთ... — ჰერამ პარისის დახმარება გადაწყვიტა და ამჯერად ცბიერად გაიღიმა.

— როგორ?

— გვიპასუხე, შეგიძლია თუ არა, თვითონვე გააკეთო არჩევანი? — ჰკითხა ჰერამ.

პარისი ისევ დაჟინებით ათვალიერებდა ქალღმერთებს. „რომელს გადავცე ვაშლი? სამივე მშვენიერია. თითოეული თავისებურად ღვთაებრივად ლამაზია... ჰერა. სხვას ვის აქვს ასეთი ღრმა, გამჭოლი მზერა? ათენა... როგორი ტანი აქვს, როგორი აგებულება... ჭეშმარიტი ამორძალია. და აფროდიტე... მგრძნობელობით, ვნებით აღსავსე ტუჩები, თვალები, ოჰ... რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე?...“

— არა, — მტკიცედ უპასუხა პარისმა ათენას, — მიჭირს არჩევანი.

— მაშინ... — ჰერამ ამოისუნთქა და გულმოდგინე მზერა მიაპყრო პარისს. — მაშინ თითოეული ჩვენგანი მზადაა ძვირფასი ძღვენი გადმოგცეს. მიიღე ერთ-ერთი და სანაცვლოდ ვაშლი გადმოგვეცი!

სიტყვა „ძღვენის“ გაგონებისთანავე პარისმა თვალები მოჭუტა და მოემზადა, რომ ქალღმერთთათვის არამარტო სმენით, მთელი თავისი არსებითაც მოესმინა.

პირველად ათენამ დაიწყო.

— მომისმინე, პარის! თუკი ვაშლს მე გადმომცემ... — ათენა ცდილობდა სიტყვებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა. — ამქვეყნად ყველაზე ბრძენ ადამიანად გაქცევ!

„კენტავრ ქირონზე უფრო ბრძენად?“ — თავისთვის ჩაეცინა პარისს და მოწიწებით თავი დაუკრა ათენას. შემდეგ კითხვით აღსავსე მზერა ჰერას მიაპყრო.

— თუკი ვაშლს მე გადმომცემ, — თავშეკავებით და ჩუმად დაიწყო ჰერამ, — თუკი ქალღმერთთა შორის უმშვენიერესს მიწოდებ, მაშინ მთელი აზიის მბრძანებლად გაქცევ. „ანუ ტროასი?!“

— პარისს მისი სიტყვების არ სჯეროდა, მაგრამ ისევ ისე მოწიწებით თაყვანი სცა ჰერას და ინტერესით და მოლოდინით აღსავსე მზერა აფროდიტეზე გადაიტანა.

აფროდიტემ კი ასეთი რამ უთხრა:

— ყური დამიგდე, პარის. ყურადღებით მომისმინე და დაფიქრდი. თუკი ვაშლს მე გადმომცემ და ჩვენ სამს შორის უმშვენიერესად მაღიარებ... ამქვეყნად ყველაზე ლამაზ ქალს შეგრთავ.

„ყველაზე ლამაზი ამქვეყნად მშვენიერი ელენეა! მთელ ელადასა და აზიაში რომელი ქალი შეედრება მას სილამაზით?“

ქალღმერთები დუმდნენ, პარისის გადაწყვეტილებას ელოდნენ. პარისი პასუხს არ ჩქარობდა, ვაშლს ხელებში ათამაშებდა და წარბშეკრული ფიქრობდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა. მან კიდევ ერთხელ, თავით ფეხებამდე შეათვალიერა თითოეული ქალღმერთი, რომლებიც მოუთმენლობით უმზერდნენ. „ო, ღმერთებო, ნუთუ ოცნება ამიხდება!“ — აღტაცებულმა თამამად გაუწოდა ვაშლი ერთ-ერთს. მისი რჩეულის თვალებში უსაზღვრო სიხარულის, უკიდეგანო სიამაყის ღიმილი გაკრთა. დანარჩენი ორი მრისხანედ დუმდა, მათი ნათელი სახეები ღრუბელზე მეტად მოიქუფრა.

— ხვალვე მოგძებნი, — მადლიერებით უპასუხა ჰერამ პარისს, ამაყად გადახედა თავის მეტოქეებს და ვაშლიანი ხელი მაღლა აწია. სწორედ ჰერამ დაისაკუთრა სასურველი ნაყოფი. რა თქმა უნდა, პარისმა ჰერა შეარჩია. ჰერა, მხოლოდ და მხოლოდ ჰერა! აი, ჭეშმარიტება, ყველაფერი დანარჩენი — ვარაუდებია... ვარაუდები...

ქალღმერთებმა ისევ ტყისკენ გასწიეს და გზად ერთიმეორის მიყოლებით განქარდებოდნენ ეთერში, ქრებოდნენ. პარისს გული მღელვარებით უცემდა მომავალი ძალაუფლებით ტკბობის მოლოდინში, რომლის სიამოვნებასაც უკვე გრძნობდა.

ფარა ამოძრავდა, კრავებმა დაიბღავლეს, ცხვრები კი ერთმანეთს ეჯახებოდნენ და გზას მიიკვლევდნენ თავიანთი მწყემსისკენ. ცაში ღრუბლებიც თავიანთ ოდინდელ გზას გაუყვნენ.

ხვალ! ხვალ ჰერა მოძებნის პარისს. ხვალ ტახტის მპყრობელი ძაბუნი მოხუცი ჰადესის სამეფოში გაემგზავრება; საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად კავკასიონის მთას შეაფარებს თავს, რომელზეც თავის დროზე უკანასკნელი ტიტანი მიაჯაჭვეს, უკანმოუხედავად გაიქცევა ყველასთვის სათაყვანო გმირი. ის კი, პარისი, ბოლოს და ბოლოს მიაღწევს სანუკვარ მიზანს — ტროას მარადიულ მბრძანებლად იქცევა.

თარგმნეს
აზერ მუსტაფაზადემ და
გაგა ლომიძემ

ოთხშაბათს, 13 თებერვალს
საპატრიარქოსთან არსებულ
ახალგაზრდობის სულიერი
და ინტელექტუალური
განვითარების ცენტრში
გაიმართება წარდგინება

ციცინო ჯერვალიძის
წიგნისა

„პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“
(წიგნი მეორე: პეტრე ხვედელიძისა და რევაზ გაბაშვილის მიმოწერა)

დასაწყისი 18 საათზე

ნუნუკა გურალია

ხევსურული სიკვდილის ეპიტაფია

არ ვცხრები...
პირში კვლავ ოქროს მჩრიან,
არ მაქვს სურვული დაშნა ვეძებო,
ორივე ხელებს თუ დამაჭრიან,
კბილებით მაინც დაგწერთ, ლექსებო.

26 დეკემბერს **პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში** გაიმართა ტრაგიკულად დაღუპული პოეტის **გოგიტა არაბულის** ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდა პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი **იკა ქადაგიძე**. მან ისაუბრა გოგიტა არაბულის შემოქმედებაზე. აღნიშნა, რომ ისინი ერთად მოღვაწეობდნენ უნივერსიტეტში და ერთობლივი პოეზიის საღამოც გამართეს.

წამყვანმა აგრეთვე მოკრძალებულად გაახმოვანა, რომ „გოგიტას თვითმკვლელობით გამოწვეული ელდა იმდენად მძიმე იყო ჩემთვის, მისი გარდაცვალებიდან მხოლოდ 9 წლის შემდეგ შევძელი დამეწერა სტატია, გამეცოცხლებინა გოგიტას ლიტერატურული პორტრეტი, სამზეოზე გამომეტანა ის მოგონებანი, რომლებიც იმდროინდელ ლიტერატურულ პროცესთა მნიშვნელობას წარმოაჩენს. დიდი ხანი არ არის ეს წერილი ჟურნალ **„ჩვენს მწერლობაში"** დაიბეჭდა და ჩემდა სასიხარულოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

გოგიტას პოეზიას ძალიან ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ახლო ნათესავების მადლიერება, რის შესახებაც პოეტი თენგო ავსაჯანიშვილი პირადად მესაუბრა. არ შეიძლება გოგიტა არაბულის მსგავსი პიროვნებანი დავიწყებას მიეცნენ და ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ ქართულ მწერლობაში გოგიტა არაბულმა სათანადო ადგილი დაიკავოს".

სიტყვით გამივიდა ცნობილი პოეტი, გაერთიანება „ბახტრიონის" ხელმძღვანელი, ჟურნალ „მითი და ტრადიციის" რედაქტორი, გოგიტა არაბულის პოეტური კრებულის „მკვდართა დარდის მზებუდობის" რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი **კობა არაბული**.

„ჩემთვის მოულოდნელი იყო გოგიტას ლექსის „მგელი" აღმოჩენა, მით უფრო მტკივნეული იყო მისი ავტორის წასვლა რომელიც 2001 წლის სექტემბერში ტრაგიკულად დაიღუპა."

იგი ვრცლად შეეხო ქართული მწერლობის საჭირბოროტო საკითხებს, რომ საჭიროა მეტი აქტიურობა. ხაზგასმით აღნიშნა, რომ მალე თავის თანამოაზრეებთან ერთად დაა-ფუძნებს დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერალთა გაერთიანებას, რომლებიც ეროვნული მწერლობის დასაცავად თანმიმდევრულად იბრძოლებენ.

გოგიტა არაბულისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც ყაზბეგიდან გამოგზავნა **თენგო ავსაჯანიშვილმა**, წაიკითხა პოეტმა **მიხეილ თუმანიშვილმა**.

თენგო ავსაჯანიშვილი გოგიტა არაბულის მეგობარი იყო და ორი ლექსი მის სიცოცხლეშივე დაწერა: **„ძმაო სიკვდილსაც არ დარჩი ვალში, გაანადგურე იგი დუელში, შენც არაგვივით ჩავარდი ბარში და არაგვივით მტკვარს შეუერთდი".**

ლექსის სიმძაფრემ დარბაზში დიდი ემოცია გამოიწვია, რომელსაც ახალი სიცოცხლე შთაბერა ბავშვების გამოსვლამ.

თბილისის 51 და 53-ე სკოლის მოსწავლეებმა **შალვა** და **დიანა მეტონიძეებმა, დიანა მესხიძემ, გვანცა** და **გიორგი მგალობლიშვილებმა** მხატვრულად წაიკითხეს გოგიტა არაბულის ლექსები.

საღამოზე გოგიტას შესახებ ისაუბრეს პოეტური გაერთიანების „ზღვარი" წევრებმა, პოეტებმა **სერგი ლომაძემ** და **კახა ბაციკაძემ**, რომელმაც წაიკითხა გოგიტა არაბულის ლექსიც „შუქია".

პოეტმა და ჟურნალისტმა **მარინა თექთუმანიძემ** დამსწრეთ ტრაგიკულად დაღუპული პოეტებისათვის მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაუკითხა.

პოეტმა **ჯუმბერ გოგრიჭიანმა (ჯუბა ღებელი)** შეაფასა გოგიტა არაბულის შემოქმედება და აგრეთვე აღნიშნა, რომ მის საღამოს წინ უძღოდა გარკვეული სიძნელე და მადლობა გადაუხადა ღონისძიების წამყვანს იკა ქადაგიძეს, რომ გოგიტას საღამო დროულად ჩატარდა.

პოეტმა და მთარგმნელმა **რუსუდან ჭანტურიშვილმა** ორი ტრაგიკულად დაღუპული პოეტის — გოგიტა არაბულისა და **რატი ნინუას** — შემოქმედება ერთმანეთს დაუკავშირა. ისინი 90-იან წლებში ერთი წლის მანძილზე ჯგუფის „დემონი" წევრები იყვნენ.

სიტყვით გამოვიდნენ პოეტები **თემურ ცერცვაძე** და **ნუნუკა გურალია**.

გამომსვლელებმა გაიხსენეს გოგიტა არაბულის ბოლოდროინდელი ჩანაწერები, რომლებიც ძალიან მძიმე წასაკითხია: **„მებრძვის ქვეყანა, არ ვიცი რა ვქნა? ზოგ-ზოგი დამჭყიპინებს, ზოგ-ზოგი დამჩხავის, საბაბის გარეშე მიტევენ გამუდმებით და რაუნდ-რაუნდად, ჭორის მორევი და ჯვარცმის ჯღავ-ჟღავი. აქ ვინ დამასვენებს! გავემგზავრები როგორც ბაღათერა... ანუ ლექსის ავტორს მტკვარში გავასვენებ".**

ისეთი შეგრძნება დაგვრჩა თითქოს გოგიტა არაბული თანამონაწილე იყო ამ დაუვიწყარი შეხვედრისა, რომელიც ზუსტად გოგიტას გარდაცვალების დღეს დაემთხვა.

საღამოს საპატიო მიზეზთა გამო ვერ დაესწრო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მიერ 2012 წლის საუკეთესო პოეტად დასახელებული **სევარიონ ნადირაძე**, რომელიც გოგიტა არაბულის პოეზიის თაყვანისმცემელია.

საღამოს დასასრულს იმპროვიზირებული გამოდგა ღვაწლმოსილი ტელერეჟისორის **ვანო გელაშვილის** გამოსვლა.

* * *

რობერტ ფიშერის ცხოვრების ქრონიკაში, როდესაც ვლადიმერ პაკი და ანდრეი ბარანიუკი ჭადრაკში მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონის პიროვნულ ხასიათსაც ჩაუკვირდებოდნენ, მისი ფსიქოლოგიური შესწავლისას მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდნენ ფიშერის ისეთ მოქმედებაზე, ყველას გაკვირვებას რომ იწვევდა.

აი, ჩემპიონი უარს ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიწვევაზე თეთრ სახლში.

და სულაც არ გააწბილებს პატიმრებს.

იგი დათანხმდებოდა ნიუ-იორკის ერთ-ერთი ციხიდან მიღებულ მოწვევას და საპყრობილეში ერთდროული თამაშის სეანსს გამართავდა.

რეპორტიორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ხელიდან როგორ გაუშვებდა შემთხვევას, აღებეჭდა ეს იშვიათი სანახაობა.

ფიშერის ბედი რომ ვიცით, ინციდენტის გარეშე არც ეს ვიზიტი ჩაუვლიდა.

თამაშისას ერთ-ერთ მაგიდაზე ბობი გაკვირვებით აღმოაჩენდა, რომ დაფიდან მისი ფიგურა გამქრალიყო!..

— სად არის ჩემი ეტლი? — წყნარად იკითხავდა.

— რა ეტლი? — ბობის გაოცებას თავის დამუშავებულ გაკვირვებას შეაგებებდა პატიმარი, — აქ არავითარი ეტლი არ მდგარა!

— აი, აქ, ამ უჯრაზე ჩემი ეტლი იდგა! — მსოფლიო ჩემპიონი სიბრაზეს უკვე ველარ დამალავდა.

ის ისევ უარზე დადგებოდა.

ბოლოსდაბოლოს ეტლს პატიმარს აღმოუჩენდნენ ჯიბეში.

ფიშერი აღშფოთდებოდა:

— აბა, ასე როგორ შეიძლება?! თქვენი ციხის უფროსს ვეტყვი და სასჯელის ვადას გაგიზრდიან!

ცხადია, მისი აღშფოთება მოჩვენებითია და მუქარა — შეფარული იუმორით განათებული.

თუმც კომიზმი აქ სულაც არ მთავრდება, რადგანაც მსოფლიო ჩემპიონის გვერდით მყოფმა ციხის თანამშრომელმა უნდა ჩაიცინოს:

— რაღას გაუზრდიან, სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი!

საერთოდ, ერთდროული თამაშის სეანსის მონაწილენი ერიდებიან ფიგურების მოპარვასა თუ ერთი უჯრიდან მეორეზე მალულად გადაადგილებას — თვით ოსტატებსა და რიგით დიდოსტატებთან, და სულაც მსოფლიო ჩემპიონს გაუბედო?!.

მიჩვეულს ნუ გადააჩვევო...

ასე ყოფილა და ასე იქნება.

ბოლოსდაბოლოს, ციხის კედლებში იმყოფები და ერთი ამისთანა შემთხვევა რაა, ხომ შეიძლება ყველაზე თუ არა, დაფების უმეტესობაზე განმეორებულიყო ფიგურების გაქრობა ან უკეთეს უჯრაზე გადაცოცება.

თქვენ ის თქვით, მაია ჩიბურდანიძე, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში და ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფთან გამართული საჭადრაკო სეანსისას რომ ვერ გადაურჩებოდა ასეთივე თავგადასავალს.

რეპორტაჟში, რომელიც „ცისკრის“ 1979 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდებოდა, საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ:

— ჟურნალი „ცისკარი“ მუდამ გულწრფელი იყო თავის მკითხველთან, ამიტომ უფლება არა აქვს დამალოს ინციდენტი, ერთდროული სეანსის გამართვის წინ რომ მოხდა.

იგულისხმება ის „დავა“, რომელიც მწერლებს შორის ატყდებოდა, თუ ვინ ითამაშებდა პირველ დაფაზე, და ძნელი გახდებოდა (თითქმის შეუძლებელიც) პროფესიონალი მწერლებისა და არაპროფესიონალი მოჭადრაკეების მწერლური ტალანტისა და საჭადრაკო უნარის დადგენა, ვიდრე მთავარი რედაქტორის მახვილგონიერება არ იხსნიდა მატჩს მოსალოდნელი ფიასკოსაგან.

გამოაცხადებდა: ყველა პირველ დაფაზე თამაშობთ და, აბა, თქვენ იცითო.

სახალისო დასაწყისია?

სულ ასე ხალისით, იუმორით, მხიარულად წარიმართებოდა თხრობა, რომლის პათოსსაც იმთავითვე მიანიშნებდა სათაური: „თორმეტი განრისხებული და ერთი ნახევრად კმაყოფილი მამაკაცი, ანუ ღიმილი ცამეტ დაფაზე“.

ინციდენტიო, — დასაწყისშივე ასე რომ მოიხსენიება ის მხიარული ჩოჩქოლი, ნამდვილი ინციდენტი მერე უნდა გენახათ, როდესაც...

ტარიელ ჭანტურია „ცისკრის“ მკითხველებს რომ ურჩევდა: ხელიდან არ გაუშვათ მაიასთან სეანსში თამაშის შემთხვევა, ამით საშუალება მოგეცემათ, ახლოდან იხილოთ მაიას შეუდარებელი ღიმილიო, — მოადევნებდა:

— სხვათა შორის, ამ უბადლო ღიმილით მიმართა მაიამ იმ დღეს ერთ ჩვენ პოეტს, რომელიც ჩემს გვერდით დაფაზე თამაშობდა: „მაპატიეთ, მაგრამ საიდან გაჩნდა ეს მხედარი აქ?!“

რეზო ჭეიშვილი იმ ვითარებას რომ გაიხსენებდა, თუ როგორ ფიქრობდა უიმედო პოზიციის გაყაიმებაზე, დასძენდა, რომ სამარისებურ სიჩუმეში მოესმა მეზობელ დაფასთან გაჩერებული მაიას ხმა:

— ბიძია, ამ ცხენს რა უნდა აქ?

და „ბიძიას“ ვინაობასაც გაამჟღავნებდა ირონიაში გახვეული ვითომდა თანაგრძნობით:

— გულში ხინჯად მრჩება, ჩემმა მეგობარმა გივი ძნელაძემ, თავისი ყაიმით, შეუპოვარი და უშეღავათო ბრძოლით რომ მოიპოვა, ამდენი კოლეგა „გადაიმტერა“ და გაანაწყენა.

თამაზ წივწივაძე თავის პასუხებს საგანგებო შენიშვნას დაურთავდა, სწორედაც შენიშვნას, რათა ირონია ასეთი გზით გაემკვეთრებინა:

— რეზო ჭეიშვილი და ტარიელ ჭანტურია აცხადებენ, შუა თამაშში მაიას ხმა შემოგვესმა: „ბიძია, ცხენს აქ რა უნდაო“. ისინი მართალი არიან, ეს ხმა მეც მომეყურა, მაგრამ ვისაც მაია „ბიძიაში“ გულისხმობდა, იმდენად სოლიდური ასაკის პიროვნებაა, იმდენად საყვარელი პოეტია, იმდენად კაი კაცია, მოპარულ ცხენზე კიდეც რომ მენახა შემომჯდარი, ვიფიქრებდი, ალბათ, ვინმემ აჩუქა-მეთქი!

მოპარულ ცხენზე კიდეც რომ მენახა შემომჯდარიო...

არ გამიკვირდება, ამ ფრაზას თავის ერთ საუკეთესო გონებამახვილობად მიითვლიდეს!..

სამი თანამოკალმე დაადგებოდა პირზე, მაგრამ გივი ძნელაძე არაფრისდიდებით არ გატყდებოდა და, ყველა მწერალ-მოჭადრაკეს ერთობლივად რომ გადაჰკრავდა ტრიუმფატორის სიმაღლიდან: ჩემზე უკეთ ყველა ლაპარაკობს, ეტყობა, მე მათზე კარგად ჭადრაკს ვთამაშობო, — „ცხენის“ თაობაზე „ზოგიერთის ირონიას“ ასეთ პასუხს გასცემდა:

— ყველამ ვიცით, ჭადრაკში „მხედრით სვლა“ გრაფიკულად რთული მოძრაობაა, ალბათ ამან დააბნია ჩემი მეგობარი მწერლები... სხვაფრივ, კაი ბიჭები არიან: უფალო, შეუნდე, რამეთუ სცოდავენ...

გათამამებულიყო და... რატომაც არა — მას ერთადერთს — 13 მწერლიდან — მიჰქონდა შინ ნახევარი ქულა და, რაც მთავარია, მწერალთა პრესტიჟი გადაერჩინა, მშრალი ანგარიშით დამარცხება რომ აერიდებინა ხელოვნების მუზის მსახურთათვის.

მადლობის მაგიერი იყო?!.

რას ერჩოდნენ, რას კბენდნენ, რას ამუნათებდნენ?!.

თუმც... განა ის კი შესაძლებელია, რომ მაია ჩიბურდანიძეს მოჩვენებოდა, ეს ფიგურა მანამდე აქ კი არა, სულ სხვა უჯრაზე იდგაო?!.

ან კიდევ — იმ წუთას უკეთეს უჯრაზეც რომ გადაეადგილებინა პოეტს გრაფიკულად რთულად მოძრავი ფიგურა, განა მაია მაინც ვერ მოუგებდა?! მეორედაც და მესამედაც ხომ არ გამოიყენებდა გივი ძნელაძე ამავე ილეთს?!.

დიდი მიხვედრა არა სჭირდება — შეამჩნევდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონი ამ არასპორტულ საქციელს პოეტის მხრიდან, მაშინვე ამოიცნობდა მწერალი-მოჭადრაკის გულისძგერასაც — ოღონდაც როგორმე გაეყაიმებინა და არაფერს აღარ თაკილობდა ეს სოლიდური პიროვნება.

შეეცოდებოდა, შეებრალებოდა, ინანებდა, რამ მათქმევინა, ეს მხედარი აქ არ იდგაო, და... თვითონვე შესთავაზებდა ყაიმს. უზომოდ გაახარებდა ერთს და... უნებურად გაანაწყენებდა თორმეტს.

ასეა თუ ისე გივი ძნელაძეს შინ მიჰქონდა სიმწრით ნაშოვნი ნახევარი ქულა სამუდამო საამაყოდ და სატრაბახოდ, — დაე, რაც ენებათ, ის ჩაეწერათ რეპორტაჟში... დიახ, ნახევარი ქულა და არა მოპარული ფიგურა, განსხვავებით რობერტ ფიშერის მეტოქე მოჭადრაკე-პატიმრისაგან, ვინც სულაც ისე გააქრობდა იმ ფიგურას, ცოტაც რომ ეცლიათ, კაციშვილი ვეღარ მიაგნებდა.

კრიმინალი მაინც კრიმინალია და უჯრის მონაცვლეობას ვერ იკმარებდა.

...სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილიო, — ეცინებოდა ციხის თანამშრომელს.

* * *

— ყველაფერი რომ იცი, — გოგი ქავთარაძეს ეშმაკურად ელიმება, ეტყობა, რაღაც ისეთი შეკითხვა აქვს მომზადებული, ბევრი რომ დაუტოვებია სახტად და ახლა მეც გაოცებული უნდა დამტოვოს, — აბა, თუ მეტყვი...

— როდის მითქვამს, რომ ყველაფერი ვიცი?

— ასე ითვლება და შენ რა გინდა... მაგრამ, აბა, თუ ესეც...

ნეტა ამისთანა ჩამჭრელი კითხვა რა უნდა იყოს?

გაფიქრებასაც აღარ მაცლის.

— გალაკტიონს რა ჰქონდა დამთავრებული?

— მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებული ექვსთვიანი სარეჟისორო კურსები.

— ეგეც იცი? — იმის მაგივრად, მე გავოგნებულიყავი, თვითონ რჩება გაოგნებული.

მეგობრული შარჟები კარლო ფაჩულიასი

— ჩაბარებული აქვს საგნები: რეჟისურა, სცენის მოწყობა და არქიტექტურა, გრიმის თეორია და პრაქტიკა...

— აბა, კარგად იყავი, შენთან საუბარს რა სჯობს, მაგრამ ახლა გამახსენდა, რომ ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს, — და სინანულით აკაკუნებს თითს მაჯის საათზე, ნაჩქარევად მემშვიდობება და მიაბიჯებს.

მე მის ზურგს მივადევნებ:

— თეატრის ისტორია, მეტყველების ისტორია და დიქცია, სახალხო თეატრების ორგანიზაცია.

შემოტრიალდება და ხელებს შლის:

— ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!..

თითქოს საკმარისია, მაგრამ ბარემ ესეც გამჟღავნდეს:

— ამაზე მაქვს აგებული კომპოზიციური ქარგა ბიოგრაფიული რომანისა გალაკტიონზე — ამით იწყება და ამით მთავრდება, მისი რეჟისორობის დიპლომით, თავისებურად რომ განმსჭვალა მისი ტრაგიკული ცხოვრება.

გოგი ქავთარაძე ამ ფრაზას ისე აღიქვამს, თითქოს საკონტროლო გასროლაც მიმეყოლებინოს, და თეატრალური ჟესტის — თავში უნდა იტაცოს ორივე ხელი — შემდეგ ფეხაჩქარებით კიდეც გადამეკარგოს თვალთაგან.

...არადა, რა ჩემი ბრალია, რომანის კომპოზიციურ ჩარჩოს ყველაზე უკეთ გალაკტიონის ის ექვსთვიანი თეატრალური განათლება თუ მოუხდა და მეც გულდასმით ჩავიხედე მისი ცხოვრების ამ ეპიზოდში.

მარტო ეპიზოდში ვითომ?

ჰოი, მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო...

ვის არ სმენია უნუგეშო მწუხარებით შემოსილი ქართული სიმღერა: შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა შავად შეგიხამებია... საზეიმო დღეებშიც მღერიან და ტრაგიკულ ჟამსაც. მაგრამ შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს, ვინ იყო ამ სიმღერის გმირი, როდის ცხოვრობდა და თავს რა გადახდენია.

აღნიშნული საკითხი ამომწურავად გააშუქა დიდებულმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. მის კალამს ეკუთვნის ოთხი ეპიზოდისაგან შედგენილი ნარკვევი, სათაურად „ქართველი გმირები“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს საუკუნეთა სიღრმეში მიგნებული წარწერა: „ჰოი, მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, ნუ ვინ გაგვიცუდებთ ჭირნახულს ამას ჩვენსა, რამეთუ აღვესრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის და დავსთხიეთ სისხლი ჩვენი“.

გიორგი ლეონიძე სქოლიოში მიუთითებს, რომ ეს ნაშრომი დაწერილი და დაბეჭდილია 1942 წელს — ქართველი მებრძოლებისათვის.

ნარკვევის პირველ ეპიზოდში დადგენილია ქართულ ფოლკლორში სამარადისოდ დამკვიდრებული შავლეგოს ვინაობა. გარკვეულია საკითხი, რომელიც, ავტორის სიტყვით, ჩვენს მწერლობაში, გამორკვევას ვინ ჩივის, არც კი ყოფილა აღძრული. ხოლო გიორგი ლეონიძე საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ სიმღერად გადაქცეულ შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შემოუნახავს თამარისდროინდელი საქართველოს სახელოვანი გმირის — შალვა ახალციხელის სახელი.

გიორგი ლეონიძე ოციოდე წლის შემდეგ გამოცემულ წიგნში შემთხვევით როდი უსვამს ხაზს თავისი მხატვრულ-ისტორიული ნაშრომის შექმნის თარიღს: დაწერილი და დაბეჭდილია 1942 წელს, ქართველი მებრძოლებისათვისო.

1942 წელი — დაუვიწყარი თარიღი ქართველი ხალხისათვის! ქერჩის ტრაგედია და განგაში დარიალის კარიბჭესთან ანუ, როგორც ირაკლი აბაშიძე წერდა: „ორმოცდაორის ცხელი ზაფხული — სისხლის წვიმები კავკასიაში“.

დაახლოებით იმავე ხანებში საბჭოეთის დაუძინებელი მტერი, გარემოებათა გამო დროებით მოკავშირედ ქცეული ლიდერი „ვერაგი ალბიონისა“ სერ უინსტონ ჩერჩილი მთელი მსოფლიოს გასაგონად ღაღადებდა მისთვის უჩვეულო და სხვათათვის მოულოდნელ სიტყვებს: „მე ვხედავ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც იცავენ იმ მინდვრებს, უხსოვარ დროთაგან რომ ხნავდნენ მათი მამა-პაპანი. მე ვხედავ, თუ როგორ იცავენ ისინი მშობლიურ სახლებს, სადაც მათი დედები და ცოლები ლოცულობენ — დიახ, ლოცულობენ, რამეთუ დგება ჟამი, როდესაც ლოცულობს ყველა, — და დღეს ისინი ლოცულობენ თავიანთ ახლობელთა გადარჩენაზე, თავიანთი მარჩენალის, ქომაგისა და მფარველის შინ მშვიდობით დაბრუნებაზე. მე ვხედავ ათი ათასობით რუსულ სოფელს, სადაც ასეთი გაჭირვებით მოჰყავთ ჭირნახული, მაგრამ სადაც არსებობს მარადიული ადამიანური სიამენი, სადაც კისკისებენ ქალიშვილები და თამაშობენ ბავშვები. მე ვხედავ, თუ როგორ უტევს ყოველივე ამას ნაცისტური სამხედრო მანქანა, მისი გულზვიადი, იარაღმოჟღარუნე და კოხტაპრუნა პრუსიელი ოფიცრებითურთ, მისი მუხანათი და გამოცდილი აგენტებითურთ, რომლებმაც სულ ახლახან დათრგუნეს და შებორკეს ათიოდე ქვეყანა. მე ვხედავ ჰუნთა მხედრობის ჩლუნგ, გაწვრთნილსა და მორჩილ მასას, კალიის ხროვასავით რომ მიცოცავს აღმოსავლეთისაკენ. საფრთხე, რომელიც ემუქრება რუსეთს — ესაა საფრთხე, ჩვენც და შეერთებულ შტატებსაც რომ ემუქრება, ისევე როგორც საქმე ყოველი რუსისა, რომელიც იცავს თავის ოჯახსა და სახლ-კარს — ეს არის თავისუფალ ადამიანთა და თავისუფალ ხალხთა საქმე დედამიწის ყოველ კუთხეში“.

მეორე მსოფლიო ომი არ ყოფილა რუსეთ-გერმანიის ომი, როგორც ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე. ეს იყო მსოფლიო ომი, და რუსეთის მხარდამხარ იბრძოდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინდოეთი, იუგოსლავია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია...

მტერი კავკასიონის მისადგომებთან იყო მოსული და მაღალი მთები გადაულახავ დაბრკოლებას როდი წარმოადგენდა გერმანელ ალპინისტთა მიერ გაწვრთნილი ალპიური დივიზიებისათვის. მთებთან ერთად ადამიანები უნდა აღმართულიყვნენ მტრის შესაჩერებლად, რათა ნაცისტურ ჩექმას არ გადაეთელა წინაპრების სისხლითა და ოფლით მორწყული „ჩვენის სამშობლოს მიწანი“. ქართველ ჯარისკაცს მკერდით უნდა შეეკრა დერბენტი და დარიალი.

1942 წელს ქართველი პოეტი ქართველ ჯარისკაცს ამხნევებდა წარსულის გმირთა გახსენებით, რომლებიც, თუკი უსაშველოდ გაუჭირდებოდა სამშობლოს, საფლავებს გამოამტვრევდნენ და ხმლით ქართლის მთებზე დადგებოდნენ.

სამშობლოს უჭირდა და მწყობრში დგებოდა გამორჩეული აჩრდილი შალვა ახალციხელისა.

საუკუნეთა უკუნეთში ქართველი დედა მოთქმით დასტირის თავის შვილს: შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა შავად შეგიხამებია... და შვიდასი წლის შემდეგ დაღუპული ქართველი ჯარისკაცი მშობელი დედის მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს თითქოსდა შავლეგოს დედასაც უწილადებს: არ დაიდარდო დედაო, რაც მე სიკვდილით გაწყინე...

„არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“, — ამგვარად ახასიათებს შალვა ახალციხელს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. სახელოვანი სარდალი მონაწილეობდა ყველა ომში, თამარის საქართველოს რომ გადაუხდია.

1195 წელი. შამქორის ომი. სწორედ შალვამ მიართვა თამარ მეფეს ამ ომში მოხვეჭილი ალაფის ყველაზე ძვირფასი სამკაული — დროშა ბაღდადის ხალიფასი.

1202 წელი. ბასიანის ომი. სახელგანთქმულ სულტან რუქნადინის სასტიკი მარცხი. ქართული მხედრობის ავანგარდში კვლავ ვხედავთ შალვა ახალციხელს.

1206 წელი. ყარსის აღება. აქაც გამოუჩენია თავი შალვა-შავლეგოს.

ერთი სიტყვით, ყველგან ჩანდა, სადაც კი იფეთქებდა „ომი ფიცხელი და ძლიერი“, სადაც ისრები თვრებოდნენ სისხლით და „ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთასა“.

გიორგი ლეონიძის კალმის წყალობით ქართული ფოლკლორისა და „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე დავანებული გმირი მკვდრეთით აღმდგარიყო და თავის შორეულ შთამომავალთ გამარჯვების რწმენას უათკეცებდა.

კონრად მონფერატი ასასინებმა მოკლეს

ვალტერ სკოტის რომანში „თილისმა“ აღწერილია, თუ როგორ მიაყენა შეურაცხყოფა ინგლისის დროშას მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა წინამძღოლმა, იტალიელმა კონრად მონფერატმა. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული მზად იყო შერკინებოდა კონრადს, მაგრამ მეგობრებმა დაუშალეს, ვინაიდან გვირგვინოსანს არ ეკადრებოდა მეტოქედ უბრალო მარკიზი. მაშინ რიჩარდის ქომაგად გამოვიდა შოტლანდიელი რაინდი და ორთაბრძოლაში მძიმედ დაჭრა კონრად მონფერატი. რიჩარდ ლომგულმა მის გადასარჩენად ყველაფერი იღონა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად კონრადს ბასრი მახვილი ჩასცა ტამპლიერთა ორდენის დიდოსტატმა, რომელიც რიჩარდის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების მონაწილე იყო და შიშობდა, რომ სასიკვდილოდ დაჭრილ მარკიზს აღსარებისას საკუთარ ცოდვებთან ერთად სხვისი ცოდვებიც არ გადმოელაგებინა.

ეს ეპიზოდი ვალტერ სკოტის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ.

სინამდვილეში კონრად მონფერატი ასასინებმა მოკლეს.

ორი გადაცმული ასასინი ექვსი თვის მანძილზე ცხოვრობდა ჯვაროსანთა შორის. ისინი ისე ჩინებულად თამაშობდნენ ქრისტიანი ბერების როლს, რომ იოტისოდენა ეჭვიც არავის გასჩენია. ყველა ენდობოდა მათ. ცხადია, ენდობოდა კონრად მონფერატიც. ხოლო ასასინები ჩვეული მოთმინებით ელოდნენ მარჯვე მომენტს. და ეს მომენტიც მალე დადგა.

1192 წლის 29 აპრილს ქალაქ ტვიროსის ქუჩაზე არხეინად მიმავალ კონრადს თავს დაესხა თეთრ სამოსელში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა. ორივეს დანა ეჭირა ხელში. ისინი ჯიქურ ეკვეთნენ კონრადს და სასიკვდილოდ განგმირეს. ერთი მათგანი ადგილზევე იქნა მოკლული, მეორე გაიქცა და თავი შეაფარა ეკლესიას, სადაც რამდენიმე წუთში შეიყვანეს სულთმობრძავი კონრადიც. ასასინი გამოვარდა სამლავიდან და ამჯერად ბოლო მოუღო თავის მსხვერპლს.

ზუსტად იქნა შესრულებული ბრძანება ასასინთა მბრძანებლისა, ვისაც ევროპელნი „მთის მოხუცს“ ეძახდნენ. საიდან გაჩნდა ეს უცნაური მეტსახელი? საქმე ისაა, რომ ასასინთა ციხე-სიმაგრენი მდებარეობდა ირანისა და სირიის მთებში, რამაც განაპირობა მათი ხელმწიფის წოდება „შეიხ აღ-ჯაბალ“ (ე.ი. მთის შეიხი). მაგრამ თავად სიტყვა „შეიხი“ არაბულად მოხუცსაც ნიშნავს და ჯვაროსნებმა რატომღაც მეორე მნიშვნელობა გადათარგმნეს.

საერთო ინტერესს იწვევდა, წააქეზა თუ არა ვინმემ „მთის მოხუცი“ კონრადის მკვლელობის ჩასადენად. გარკვეული და ამომწურავი პასუხი დღემდე არაა გაცემული. ამ ისტორიულ დეტექტივს ისიც მატებს სიმძაფრეს, რომ ეჭვმიტანილ არიან ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული და ეგვიპტის სულტანი სალადინი, ორი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა დასავლეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე XII საუკუნის დამლევს.

აღსანიშნავია, რომ არაბული წყაროები ადანაშაულებენ სალადინს, ხოლო ევროპული წყაროები — რიჩარდ ლომგულს! (პირიქით უნდა იყოს, არა?); ამ გარემოებამაც გააღვივა მკვლევართა ცნობისმოყვარეობა და აღძრული საკითხი თავსატეხ გამოცანად აქცია.

ზოგიერთი არაბული წყაროს მიხედვით, სალადინმა დიდძალი ოქრო უძღვნა ასასინთა მბრძანებელს და სთხოვა როგორც რიჩარდის, ასევე კონრადის მოკვლა. შეიხმა მხოლოდ კონრადი განწირა. მისი აზრით, ჯვაროსანთა ორივე წინამძღოლის მოსპობა უზომოდ გააძლიერებდა ეგვიპტის სულტანს, რომელიც ასასინებს მაინცდამაინც კარგი თვალით როდი უყურებდა.

იბნ ალ-ასირი მოიხსენიებს ბრალდებას რიჩარდის მისამართით, როგორც ფრანკთა შორის გავრცელებულ ვერსიას.

რიჩარდ ლომგულის სახელის შელახვა თავად ასასინთა დამსახურება უნდა იყოს. კონრადის მკვლელმა დაკითხვაზე აღიარა, რომ შეიხის ზურგსუკან ინგლისის მეფე იდგა.

ინგლისელი ორიენტალისტის ბერნარდ ლუისის აზრით, ასასინთა მბრძანებელს თუნდაც სხვისი კარნახითა თუ ჩაგონებით ემოქმედა, ფრიად საეჭვოა, რომ ასეთი საიდუმლო გარიგება ცნობილი გამხდარიყო რიგითი ტერორისტისათვის, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მკვლელობის ჩადენა ევალებოდა. ბ. ლუისი ფიქრობს, რომ დავალებასთან ერთად ტერორისტს ეძლეოდა შეთხზული „ლეგენდა“ — ეჭვისა და ურთიერთუნდობლობის დასათესად მტრის ბანაკში. ბრალდებამ რიჩარდის მისამართით მართლაც გამოიწვია უთანხმოება ჯვაროსანთა შორის. ლეგენდას, რაც მთავარია, ნიადაგს უმაგრებდა ის ფაქტი, რომ რიჩარდ ლომგული და კონრად მონფერატი ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ორივე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთპიროვნულ ლიდერობას ელტვოდა და იჩემებდა. ამიტომაც მყისვე დაიბადა დასკვნა: ვისთვის იყო ხელსაყრელი სიკვდილი კონრადისა? ვისთვის და რიჩარდისთვისო!

„მთის მოხუცს“ ისეთი ავი რეპუტაცია ჰქონდა მოხვეჭილი დასავლეთში, რომ მავანისთვის უნდობლობის დასანერგად საკმარისი იყო მისი სახელის დაკავშირება ასასინებთან (ანალოგიური სურათი შეინიშნება მაჰმადიანურ სამყაროში).

რიჩარდ ლომგულის ქვეშევრდომებმა სცადეს ეჭვის აღმოფხვრა და ევროპაში გაავრცელეს წერილი „მთის მოხუცისა“, რომელიც არწმუნებდა ქრისტიანული ქვეყნების მეფეებსა და ხალხებს, რიჩარდი არაფერ შუაშია, კონრადს ჩვენი ანგარიშები გავუსწორეთო (დღემდე გაურკვეველი რჩება, ნაყალბევი იყო თუ არა ეს წერილი).

ასასინთა გამოსარჩლებამ ვერ უშველა ინგლისის მეფეს. მითქმა-მოთქმას რიჩარდის სახელის გარშემო უკვე ღრმად გაედგა ფესვები. ერთი საუკუნის შემდეგ საფრანგეთში დაიწერა ისტორიული პოემა, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ წვრთნიდა რიჩარდ ლომგული ინგლისელ ყმაწვილებს... თავის ასასინებად!

აღაჰმა უწყის, სამართლიანია ბრალდება თუ მტკნარ ცილისწამებას წარმოადგენს. ეს უკვე სულერთია — კონრად მონფერატის მკვლელობა სამუდამოდ გადაეხლართა რიჩარდ ლომგულის სახელს. ალბათ ამიტომაც გადაასხვაფერა ისტორიული სინამდვილე ვალტერ სკოტმა, რათა ერთ ლაქასაც კი არ დაეთხაპნა მისი საყვარელი გმირის პორტრეტი.

ბიბლიოთეკა

24 იანვარს გამომცემლობა **„ინტელექტმა“** ახალი გამოცემის, მთარგმნელისა და ლიტერატორის **ოქტაი ქაზუმოვის** კრიტიკული წერილებისა და ნარკვევების კრებულის **„129 გვერდი ლიტერატურაზე“** წარდგინებას უმასპინძლა.

წიგნის რედაქტორია **ლევან ბრეგაძე,** რომელიც წინასიტყვაობაში ავტორის საქმიანობას ასე აფასებს: „საქართველოს ახსოვს მოღვაწენი, რომლებიც ორი ან სამივე სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს კულტურას მსახურებდნენ. ამ წიგნის ახალგაზრდა ავტორი ერთ-ერთი მათგანია – ეთნიკური აზერბაიჯანელი, განათლებით – ქართული ფილოლოგიის სპეციალისტი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული), მოწოდებით – პოეტი, სარწმუნოებით – მუსლიმი. ორიგინალური აზრები, მახვილგონივრული მიგნებები, ზუსტი ფორმულირებები, თხრობის ლაღი მანერა ოქტაი ქაზუმოვის, ვითარცა ლიტერატორის, თვალსაჩინო ღირსებებია”.

ღონისძიებას მწერალი **ზვიად კვარაცხელია** უძღვებოდა. გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორმა **კახმეგ კუდავამ,** კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ,** პოეტმა **გიორგი ბუნდოვანმა** და თვით წიგნის ავტორმა **ოქტაი ქაზუმოვმა** ახალი გამოცემისა და ზოგადად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კულტურული ურთიერთობების შესახებაც ისაუბრეს და ამ მიმართულებით საგულისხმო გზებიც დასახეს, როგორც მეტად საშური და გადაუდებელი.